

644 /
1957/4

30

საქართველო
ბიბლიოთეკა

8
სამართალი

644/4

საქართველო
ბიბლიოთეკა

7

1957

შ ი ნ ა ა რ ს ი

ლ. სულაბერიძე — ლექსები	3
ვ. ჯავახიძე — ლექსები	6
ა. ლომიძე — სიუვარული და ავიაციის, ნამგაღნისკარტა (მოთხრობები)	8
ბ. შანტაძე — ლექსები	13
მ. ძორაძე — უფრო გახვირდეს (ლექსი)	15
ა. ალაშვილი — მსახიობის სიკვდილი (პიესა)	17
ა. ისაბანიანი — (ლექსები) თარგმანი ა. სუ- ლაკაურისა	54
ბ. გოგინაძე — პირველი დღეები (რომანი, გაგრძელება)	57
ა. თევზაძე — ლირიკა	76
მ. აბულაძე — ლექსები	79
ზ. შერვაშიანი — ლექსები	82
მიორცხაძე — მოლდავეური ხალხური ბალა- და (თარგმანი გ. კალანდაძისა)	84

ჭ ა უ ნ ი კ ი

ვ. კობახიძე — ლექსები	86
თ. ბიბილაძე — ჩემი და, მრისხანე კაცი, გაპარვა (მოთხრობები)	88
ე. კვიციანიანი — ლექსები	100

მ ე მ შ ა რ ა მ ბ ი

მ. შალვაძე — რაც გამახსენდა (გაგრძე- ლება)	102
---	-----

ჩ ვ ე ნ ი ა ლ ა შ ი ა ნ ე ბ ი

ბ. არჩვაძე — ნათელ გზაზე	111
--------------------------	-----

მ წ ვ რ ლ ი ს ა რ კ ი ვ ი დ ა ნ

ბ. ტაბიძე — ლექსები	114
---------------------	-----

წ ა რ ს უ ლ ი ს ფ შ რ ც ლ ე ბ ი

კ. გორგოჯიანი — იმერეთის დედოფალი (ნარკვევი. თარგმანი ი. ქავთარა- ძისა)	116
---	-----

7

1957

დეკემბერი

„საბჭოთა
საპარტიული“



ს. ხუციშვილი — მასალები ალექსანდრე
ქავჭავაძის ბიოგრაფიისათვის . 122

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. კანკაპა — ცხოვრების მშვენიერება და
ხელოვანი . 126
მ. მაჭავარიანი — ცხოვრება და სკოლა 133
შ. ხიდაშელი — ერთი „რეპლიკის“ გამო
პეტრიწთან დაკავშირებით . 144

წიგნის თარო

რ. თვარაძე — რუსთველოლოგიური ლი-
ტერატურის ანოტირებული ბიბლი-
ოგრაფია . 149
ლ. ჯმაღისიძე — უიარაღოს ოხშულობათა
პირველი ტომი . 150
ა. ხუციშვილი — „ფარეკობა“ . 152
შ. დემეტრაძე — პაოლო იაშვილის ჩანა-
ხატები . 153

უოველი მხრიდან

ქრონიკა . 155



რედაქტორი ვანტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

თ. ბაღურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი.

ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ქავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02



ღამ სულაგეიძე

ზიქაჩემის ანდერძი

მიწას ხნავდა პაპაჩემი,
მეც მიწას ვხნავ გატაცებით,
მიტომ მიყვარს დედამიწა,
მიტომ მიყვარს ძმაკაცები.

თოხი მეც მაქვს ოყიანი,
ჩვენი მკედლის გაკვერილი,
მეც ვარ მრავალმოყვრიანი,
მათი ყანაც გამომარგლავს,
ხვნამ და თოხნამ გამაკაცა
და მარჯვენა გამიმავრა.

ჯაფით გავლევ წუთისოფელს,
მე ჯაფაში შემღვრების,
ბოლოს დაეტოვ ქვეყანასაც, —
ცას ვერ გამოვეკერები.

ბოლოს დაეტოვ ქვეყანასაც,
ველარ დავთეს მე ყანასა...
მაგრამ სახნის-საკვეთავი
თქვენ დაგრჩებათ შვილიშვილნო,
მე კი, მაშინ, გთხოვთ სამარეც
ამ ყანებთან მიმიჩინოთ.

ახალწვეულს

მე შენ პატარა დაგტოვე ბავშვი,
როცა წავედი ომში სოფლიდან.
მე იმ ქარტეხილს გადვურჩი მაშინ
და სიხარულად იგი მყოფნიდა,
რომ არ მოვუშვი შტერი შენამდე.

მეც ასე დამრჩა სადგურთან დედა,
ასე ვიყავი თმაგაპარსული,

მე მაგონდება, ახლა რო გხედავ,
ჩემი ყრმობა და ჩემი წარსული
და ვხარობ, ომში რომ არ მიღიხარ.

გაგიჭირდება პირველად ძლიერ,
მაგრამ რა არის ეს გასაჭირი,
ჩვენ ის კი არა, მტერსაც კი ვძლიეთ,
და ხან მკერდიც კი გვქონდა დაჭრილი,
სამშობლოსათვის ეგეც შევძელით.

და არ მოვუშვით მტერი შენამდე,
შენ მაშინ იყავ პატარა ბაილი,
რა დრო გასულა, როგორც შევარდენს
ფრთა გაგიშლია ფართე და ლაღი,
ჯარისკაცობის დამდგარა ჯერიც.

ვერ მოიმარჯვე ჯერ ეს მაზარა,
ვერ შემოახტი რაშს ფაფარაშლილს,
ჩემი სხეული არსად დამზრალა
ამგვარ ჩექმებში და მაზარაში,
და შენაც ასე გაგათბობს იგი.

მაგრამ გაშოროს შენ ჩემი ხვედრი,
ავი ქარბუქი, ვიწრო სანგარი,
იყავით მარად სხვაგვარი ბედის
ყველა ახალი სალდათთაგანი!..
გაშორით ომის ორომტრიალი!

ომში დაეცა იქ არა ერთი,
ბევრიც დაიჭრა, ხეიბარია,
გახსოვდეს მარად, ეგ შენი მკერდი
ახლა იმათი ძვლების ფარია,
მტერმა რომ ისევ გაბედოს მოსვლა.

მე მიგაცილებ, ჯიბეში მიდევს
ჩემი სამხედრო ბილეთი კიდევ.
შენსავით ერთხელ მეც მწყობრში ვიდექ,
და თუ დასჭირდა სამშობლოს, კიდევ
დავდგები ახალ სალდათთა მწყობრშიც.

და გზას გაჩვენებ, გაგიიოლებ
სვლას ქარწვიმაში, შეტევას მტრისკენ.
ჩვენ ერთად მართლაც ისე ვიომებთ,
რომ ყველა მტერი დაეცეს ისე,
ვეღარ წამოდგეს კვლავ ვერასოდეს.

მანანა ასათიანს

ლადო ასათიანის ხსოვნას

მე მამაშენის საფლავთან გნახე,
ყაყაჩოსავით სჩანდი, მანანა,
შენი თვალები და ბადრი სახე
ვარსკვლავს და მთვარეს ჰგავდა, მანანა.
ვაგლახ, საფლავში თვალს ვერ გაახელს,
რომ საყვარელმა გნახოს მამამაც.

დაცლოდა ცოტაც, ალვად ასული
ენახე ქვეყნის კარგი ასული.
ლამით ლექსებთან გულგათანგული
წაგიკითხავდა დილით ახალ ლექსს:
„გიყვარდეს, შვილო, შენი მამული,
გამიმწყაზარდი და გამახარე“.

კარგი უყვარდა მას წინაპარი
და უკეთესი შვილი უნდოდა,
კარგი სიმღერა, კარგი ზღაპარი
მას ბევრი ჰქონდა
შენთვის, მანანა...
ანდერძად დაგრჩეს, აკვანთან მაინც
გიმღერა ლექსი და იავნანა.

საფლავში იმას რა მოასვენებს
ლექსებისა და შენის ჯავრითა,
ადგება ლამით, მთაწმინდის სერებს
ამოყვება და სახლის ყავრიდან
შენთან ჩამოვა ლანდი იმისა,
მძინარს მოგაშლის ვარდებს ფერადებს,
ნეტავ მოგისწროს, ადრე დილისას
ლომგულ ვაჟკაცის ჩოხას ჰკერავდა.

ნეტავ მოგისწროს, ალვად ასული
მტერს შეჰკიოდე მისი ასულიც,
არ გაშინებდეს ფართა ძგერება,
ვით მარაბღელებს. და კრწანისელებს...
მოვა და ნაზად მოგეფერება,
დაცხრება მაშინ და დაისვენებს.



პანკაჲს ჯანახაჲ

დიდი ამბავი

ეზო ყოველთვის დღეაღად ლურჯად,
 სახლთან ყოველთვის დღეაღად შვინდი,
 დიდი ქალაქის პატარა ქუჩა
 ცხოვრობდა თავის ცხოვრებით მშვიდით.
 ჭიშკართან თეთრად ჰყვავდა ვაშლი,
 მხარდამხარ იდგნენ ჭადრები მიჯრით,
 პატარა ქუჩის პატარა სახლში
 მშვიდად ცხოვრობდა პატარა ბიჭი.
 და ერთხელ,
 დილით,
 როდესაც ლაღად
 მზე სახურავებს აღვრიდა ოქროს,
 პატარა ქუჩის პატარა სახლთან
 ჩამოიარა პატარა გოგომ.
 მას შემდეგ სახლთან შრიალებს შვინდი
 და ხმიანობენ ჭადრები მიჯრით...
 აღარა ცხოვრობს ცხოვრებით მშვიდით
 პატარა სახლში პატარა ბიჭი.

გიტარა

თითქოს მწვანე გაზაფხულმა ტრამალები გადაჩითა,
 ანდა დიდი წვიმის შემდეგ უცებ გამორდარა,
 თითქოს ზეცა იმოსება შვინდისფერი ფარაჯითა,
 როცა მღერის გიტარა.

სხვაგვარია ყოველივე,
 სხვაგვარია ყველაფერი,
 და მე თითქოს მე არა ვარ,
 და მე არა მინდა რა,

...შორიახლო ვიღაც მღერის,
 (ოი, როგორ ტყბილად მღერის),
 იგი მღერის:
 — როცა მოვკვდე, დაუქართ გიტარა!

ქალაქიდან ჩამოვედით,
რომ სოფელი გვენახა,
სოფელი ხომ თავიდანვე გვოცებდა ჩვენა.
ახლაც მიკვირს:
ვაშლის ხეზე რომ გასულა ვენახი,
ნეტავ ხეზე რა უნდოდა ვენახს?!
ნახატივით ლამაზია ჩემი სოფლის სურათი,
მე აქ ყველა გზები ვიცი,
ვივლი უმეგზურო.
მაინც მიკვირს:
ალვის წე რომ შემოსილა სუროთი,
ნეტავ ხეზე ვინ აუშვა სურო?!
მაგონდება სიყმაწვილე,
თანატოლებს ვეძახი,
სალაღობოდ ტყეში ერთად დავდიოდით ჩვენა.
ჩემს პატარა ბიჭობაში თხამ შეჭამა ვენახი,
ახლა ძია მოსე იცავს კოლექტივის ვენახს.



ანდრო ლომიძე

სოციალური და
პოლიტიკური
აზიასია

ახლა შუალაშა, სძინავთ ჩემს მეზობლებს და მე მიხარია, მარტო ვარ და ისევ ვოცნებობ შენ-ზე. ღია სარკმლიდან მოდენილი ნიავი მაგიდაზე აშრილებს ქაღალდის ფურცლებს. ვიცი, არასოდეს მოხვალ ჩემთან, თვალებს ვხუჭავ და მაინც გიხმობ. ვგრძნობ შენს სიბნელებს, გხედავ ეთეროვანსა და პირმშვენიერს, და ქაღალდი რომ შრილებს, მე შენი ღურჯი, ზღვასავით ღურჯი კაბა მგონია.



კავკასიონის მისადგომებთან დაბანაკებულ მტერს ბომბები რომ დავაყარე, ისევ საქართველოს ცას მივაშურე, მის ლაქვარდში შევაცურე თვითმფრინავი. საზენიტო ქვემების ყუმბარისაგან დაზიანებული მარჯვენა მკლავი მტკიოდა, მიღუნდებოდა. გადმოვხედე მაღალსა და უდრეკ მშობლიურ მთებს, ქედებს, თაკარა მზით მოქროვილ ზერებს და ერთხელ კიდევ ვიგრძენი უსაზღვრო და რალაც მტანჯველი სიყვარული ამ უტურფესი ცისა და მიწისადმი. მინდოდა იქვე დაეშვებულიყავი, ყოველი ვაზის ფოთოლი ნაზად ჩამეკოცნა და მეტყვა: ასიათასჯერ რომ მომკლან, ასიათასჯერ გავცოცხლდები და თქვენს თავს არავის დავანებებ...



„ვინ იცის, რამდენ ხანს მომიხდება პოსპიტალში წოლა“, — ვფიქრობდი და ვჯავრობდი.

მარჯვენა მკლავის ძვალი გაბზარული მქონდა, მტეხდა. როცა დავანშმებულმა მთვარემ პალატის სარკმელში შემოიხედა, ჩემი ბავშვობის მეგობარი ექიმი თეიმურაზ გაბუნია შემოვიდა, სკამზე ჩამოჯდა და მკითხა:

— როგორა ხარ, ვაჟკაცო?

— არა მიშავს-რა.

— ლონგინოზ, ბევრს კითხულობდი, ოცნებობდი, რომ მწერალი გამხდარიყავ, მაგრამ სად მწერლობა და სად ავიაცია! შენ ალბათ მაშინ შეისწავლე ეს საქმე, როცა მე ფოთში უკვე აღარ ვცხოვრობდი.

— ხომ განსოვს თინა ზამბახიძე?

— მახსოვს, — თეიმურაზმა თვალეები მილულა და თავი დააქნია, — ის რომ

თბილისიდან ჩამოვიდა, დაახლოებით ერთი თვის შემდეგ მე სამუდამოდ დავეტოვე ფოთი.

— წარმოიდგინე, არც გვარი ვიცოდი მისი, არც სახელი, გაგონილი მქონდა ექიმიო, თბილისიდან ახლახან ჩამოვიდაო. ვნახე თინა და სულიერი სიმშვიდე დაეკარგე. თითქოს ვიპოვე ის, ვისაც ბავშვობიდან ვეძებდი და ვეტრფოდი. ერთხელ პატარა მოთხრობაც კი ვუძღვენი ამ სიყვარულს და ფოთის გაზეთში გამოვაქვეყნე. შენ ფოთში აღარ იყავი მაშინ და, მაშასადამე, წაკითხული არ გექნება.

— კი მაგრამ ავიაცია რამ შეგაყვარა?

— თუ დრო გაქვს, მოთხრობას წაგიკითხავ, პასუხს იქ იპოვნი. ავწერე ის, რაც იყო, არაფერი მიმიმატებია.

— მერე, სადა გაქვს ის მოთხრობა?

— თან ვატარებ, ბრძოლის დროსაც მუდამ უბეში მედო. ის ხომ ქალღმერთი გადატანილი ჩემი სულის უმხურვალესი ლოცვაა. დღესაც მიყვარს თინა და ალბათ წარუვალა ეს სიყვარული. მოთხრობა ცოტა პოეტურია და ღმერთი არ გაგიწყრეს, არ დამცინო, — ჩემს სასაუბროსთან მიდგომულ კარადის უჯრიდან დაკეცილი, გაყვითლებული გაზეთი ამოვიღე, ფრთხილად გავშალე და წავუკითხე.

„მავშელის დღიურიდან“

ქოლგის ჩრდილში წამოწოლილი თვალს ვადევნებდი მობანავეთ, გაცეკვროდი თინას. წყნარ ზღვაში მკერდამდე შესული ცელქობდა იგი პირმშენიერი და ახალგაზრდა. ხან სახესა და ნუშის ყვაილისფერ სახეე ტანს წყალში მალავდა და მაშინ მისი წაბლისფერი, დაგრუზული, ზღვით დანამული თმა ჩამავალ მზის სხივებში ათასფრად ელვარებდა, თითქოს მალე ხოხობი ბანაობსო ზღვაში. და როცა თავს ასწევდა, მკერდს გამოაჩენდა, წყალს უბერავდა და ხელით აქაფებდა, მეგონა: ზღვის ქაფი კი არა, ჩაის ვარდის ფოთოლი იშლებოდა ლურჯი წყლის ზედაპირზე და თინას შიშველ მკერდს ეფინებოდა.

უცებ თინამ მკლავები აისროლა და კივილი მორათო. ვიტანჯებოდი, რაღაც ხიფათი რომ შეემთხვა, თანაც ეხარობდი — დავეხმარებოდი, გავიცნობდი.

მიუთახლოვდი, გაფითრებულმა თინამ ხელით მანიშნა ქვევით, სადაც სწრაფად მოძრაობდა წყალი. ზღვის კატას ღრმად ჩაერჭო ბარძაყში ძვლის ხერხისებური შხამიანი ბოლო. ბარძაყიდან ბოლო ამოვგლიჯე და კატა ნაპირისაკენ ვისროლე.

სათუთად ავიტატე თინა. კისერზე რბილად შემომხვია ფაფუკი ხელი, თავი მხარზე დამაყრდნო და გული შეუღონდა.

ნაპირზე გავიყვანე, ჭრილობა შევუხევე, მანქანა გამოვიძახე. თინა იმ საავადმყოფოსაკენ გააქროლეს, სადაც თავად მსახურობდა ექიმაღ. როცა მანქანა თვალს მიეფარა, ისევ დავეწეკი სილაზე.

ტიტლიკანა ბავშვები ნაპირთან მობანავე ძალზე მსუქან, შუახნის დედაკაცს სველ სილას ესროდნენ. დედაკაცი ბრაზობდა, ბავშვებისაკენ იწევდა; ისინი ყვინთავდნენ და თავს შველოდნენ. დედაკაცი ხანგამოშვებით ჩემსკენ იყურებოდა და თითს ბავშვებისაკენ იშვერდა, თვალებით მტუქსავდა — წესრიგს რატომ არ იცავო, მაგრამ ვლუმბი ბედნიერი და ვილიშებოდი ჩემთვის. მშვიდი ზღვა, ნაპირზე ტანაშოლტილი ალვის ხეები, ბღღვრიალა მზე და უსასრულო ცის ლაყვარდი მაშინ თითქოს ჩემი სულის წაწილები იყვნენ.

იმ საღამოსვე ვინახულე თინა.

გრძელ წამწამებს მალიძალ ახამხამებდა, თვლემდა. მიზიდავდნენ და მალეღვებდნენ მისი ზღვისფერი, უძირო თვალები — სიყვარულის პოემა და წამწამები — წაბლისფერი ყდები.

ბალიშის ქვეშ ამოდებულ კონვერტზე ჩემი სახელი შეენიშნე. ცნობისმოყვარეობამ წამიღო. რამდენიმე წამით რომ ჩასთვლიმა, ვისარგებლე და კონვერტი ფრთხილად გამოვაცოცე, ჯიბეში ჩავიდე. მერე ძილი ნებისა ვუსურვე, სააუადმყოფოდან გამოველ, მცირე მანძილი გავიარე, რკინა-ბეტონის სვეტთან შევედექი და ზედ მოქახჭახე დიდი ელნათურის შუქზე წავიკითხე — „ძვირფასო ლონგინოზ! დღეს მე გადავათვალიერე უცნობი ავტორის მეტად საინტერესო ძველი წიგნი და აი, რას წავაწყდი: „მხოლოდ სიყვარულია ის ხიდი, რომლის მეშვეობითაც ადამიანის სული მთლიანად, სავსებით გადადის დაუსრულებლობაში, ნამდვილად ხდება უსაზღვრო. სწორედ ამიტომ ქებათა-ქების ღირსია გრძნობა ყოვლისშემძლე სიყვარულისა. და ქალს რომ არ უყვარდეს კიდევ, მაინც მადლობის ღირსია იგი, რადგან შენში იწვევს უდიდეს განცდებს“. მოგწონს ლონგინოზ? ცოტა არ იყოს, დავიბენი, კარგად ვერ გავიგე.

ვენაცვალე შენს ყუყუნა მოლისფერ თვალებს.

თინა“.

თითები ამითრთოლდა მაშინ, წერილი კინაღამ ქარმა წამართვა. თინას წერილს ვეამბორე, უბეში შევინახე და შინ დავბრუნდი.

სარკის წინ დიდხანს ვიტრიალე, ჩემს მოლისფერ ყუყუნა თვალებს ვაკვირდებოდი. ჩემი თვალები მოსწონდათ ქალებს.

ლოგინოზი ჩაწოლილს ის დღე მომაგონდა, თინა პირველად რომ ვიხილე ევკალიპტის ხეებთან. შრიალებდნენ ევკალიპტის ვერცხლისფერი ფოთლები და იმ ფოთლებთან ერთად შრიალებდა თინას ზღვისფერი კაბაც.

იმ ღამეს, რაზე არ ვოცნებობდი! თითქოს არა მარტო თვალები, ხმაც მომჯადოებელი აღმომაჩნდა, ქალაქიდან ქალაქს მიეემგზავრები და თან მიმეყვება მხურვალე ოვაციები და სიყვარული. ჰქუხს დარბაზი, თავს ვხრი აუდიტორიის წინაშე და ვხედავ თინას ალტაცებულსა და ატრემლებულს... შემდეგ ხან დიდი მეცნიერი ვიყავი, ხანაც დიდებულ რომანებს ვწერდი. დამალა ფიქრმა და ჩამეძინა.

გამომეღვიძა და რამდენჯერმე ჩუმად, ნაზად წარმოვთქვი: „თინა!“ მერე წამოვეჯექი, მძინარე დედას და ძმას დავხედე მორიდებით. და როცა დავრწმუნდი — ეძინათ, დავმშვიდიდი. კიდევ გავიმეორე საყვარელი სახელი და უხმო, დამათრობელმა ოცნებამ გამიტაცა.

სამი დღე არ გავკარებდევარ სააუადმყოფოს, მჯეროდა: შეწუხდებოდა, მოვენატრებოდი. იღუმალ შევბას მგვრიდა ეს. მეოთხე დღეს შევირბინე თინასთან. მის სასთუმალთან ფერმკრთალი სამხედრო პირი იჯდა.

თინამ ჩურჩულით რაღაცა უთხრა ვაჟკაცს, მერე მომმართა:

— გაიცანით ჩემი ქმარი, მფრინავი ლონგინოზ ზამზახიძე.

ხელი მაგრად ჩამოვართვი, ერთხანს თავში კეტდაკრულივით ვუმზერდი მფრინავის მოლისფერ ყუყუნა თვალებს და სწორედ მაშინ გადავწყვიტე, მეც მფრინავი გავმხდარიყავი“.



ნამგალ-ნისკარტა

ნამგალ-ნისკარტას მელოდიური ხმა რომ გავიგონე, უეცარმა სიხარულმა უცნაურად ამიჩქროლა გული, თვალი მყისვე გამექცა მდინარის ნაპირისაკენ, მაგრამ იქ მხოლოდ წინტალები დარბოდნენ და ქლურტულობდნენ.

ადიდებული, ამღვრეული, მგლისფერი რიონი ყრუ, იღუმალი ქშინვით ერთვოდა წყნარ, ლილისფრად მოკამკამე, აქა-იქ პაწაწინა თოვლისფერი ზოლებით დასერილ ზღვას. სუსხიანი ზენა ქარი მდინარის მორევეებიდან იტაცებდა ქაფს.

რიონში, ზღვასთან ახლოს მურყანიტა და ეკალ-ჯაგით დაფარული პატარა კუნძულია. აი, ამ კუნძულიდან უცებ აფრინდა ნამგალ-ნისკარტა, ტკბილად დაუსტვინა და კუნძულის თავში დაეშვა. მცირე ხნის შემდეგ იქ მთელი გუნდი წამოიშალა, მურყანს თავს გადაეელო და თვალს მიეფარა.

ნამგალ-ნისკარტები რატომღაც წარამარა ინაცვლებდნენ ადგილს, ხან კუნძულის თავში სხდებოდნენ, ხანაც ბოლოში. ბავშვობიდან ვოცნებობდი მენადირა ამ ფრთხილ, საუცხოო ფრინველზე, მაგრამ ყოველთვის რაღაცა გადამელობებოდა, ხელს შემიშლიდა. ახლაც, ჩემსა და ნამგალ-ნისკარტებს შორის რიონის ღრმა და განიერი ტოტი ბორგავდა. მდინარის ნაპირს ვავხედე, შავად შეღებილი ნავი დავინახე და მისკენ გავწიე ჩქარი ნაბიჯით.

ნავი ძველი, ალაგ-ალაგ ხავსმოკიდებული აღმოჩნდა, ამიტომაც რამდენსამე წუთს ვმერყეობდი, შიგ ჩაჯდომა ვერ გამებედა. ბოლოს, ნამგალ-ნისკარტზე ნადირობის სურვილმა სძლია შიშის გრძობას, ნავი შევაცურე წყალში და კუნძულისაკენ გავემართე. საჭირო იყო ხოფების მარჯვედ ხმარება, რომ ქარსა და მდინარის მძლავრ დინებას ზღვისაკენ არ გავეტაცე. და მეც თავს არ ვზოგავდი. როგორც იქნა, მივალწიე კუნძულს, ნავი ნაპირზე ავათრიე და ფრთხილად გავაბიჯე კუნძულის თავისაკენ, სადაც ნამგალ-ნისკარტა მეგულეობდა.

წელში მოხრილი მივიწვედი, დროდადრო შევჩერდებოდი, სმენად ვიქცეოდი, მერე კვლავ განვაგრძობდი გზას. აი, იღვრა კუნძული, წინ ხშირი ჯაგნარია, ფეხაკრეფით მივდივარ და თვალებს ძალას ვატან. აქ, სადღაც უნდა იყენებ განაბულნი. შევდექი. მურყანის დამპალი, ყავისფერი ფოთლებით მოფენილ მიწის ყოველ მტკაველს გულმოდგინედ ვათვალიერებ. უთუოდ შემამჩნიეს და გაფრინდნენ, მაგრამ მე არ მსურს ეს დავიჯერო, კვლავ ვეძებ ნამგალ-ნისკარტას და ებრაზდები, თანაც უზომოდ მწყინს, თვალი ცრემლით მევესება, ლამის ხმამალა ავტირდე. მაინც ისე როგორ დასტოვეს ეს ადგილი, რომ თვალი ვერ მოეკარი, ვერც ფრთების ფათქუნი გავიგონე!

ქარგა ხანს ვიდექი ერთ ადგილას, მერე წამოვწექი და პაპიროსი გავაბოლე. ქარმა მიმართულება იცვალა, ახლა ზღვიდან წამოუბერა, ცა საავდრო ღრუბლებით გაიქედა. ანაზღუელად გაღმა მოსიარულე რამდენიმე კანკმალალი ფრინველი დავლანდე. დავაკვირდი. „ნამგალ-ნისკარტა!“ — წამოვიჩურჩულე გაოცებულმა. მიწას გავეკარი და ვესროლე, თუმცა ვიცოდი, საფანტი ფრინველამდე ვერ მიალწევდა. „იქნებ დაფრთხნენ და ისევ კუნძულს დაუბრუნდნენ-მეთქი“, — გავიფიქრე. მართლაც, რამდენიმე ნამგალ-ნისკარტა მოწყდა მიწას და ისევ გაიფანტა მდინარის ნაპირზე. კვლავ ვესროლე. ახლა გუნდი ავარდა ზევით, კუნძულისაკენ გადმოუხვია და ამ დროს დაიწყო წვიმა. ახლო-მახლო კარავის მსგავსი



არაფერი მოიპოვებოდა, რომ თავი შემეფარებინა. ვიდრე გვიანი შემოდგომის ატირებულ ცის ქვეშ და თავბედს ვიწყევლიდი. ჩვეულებისამებრ კი არ წვიმდა, ბარე ორი საათის განმავლობაში თხილის ოდენა წვეთებს განუწყვეტლივ ისროდა ზეცა. ხან ბროლის მარცვლებად ცვივოდა და მაშინ გარკვევით ვხედავდი შუქურას, ხეებს, ხანაც მოუხშირებდა, ჩემს ირგვლივ თეთრი, მსხვილი, უთვალავი ბაწრის თვალგაუყრელი კედელი აღიმართებოდა.

კუნძული წყლით დაიფარა. წვიმამ რომ გადაიღო, სადღაც სულ ახლოს მკაფიოდ გაისმა ჟრუანტელის მომგვრელი სტვენა. ერთ წამს დავიბენი, ჯაგებს მივაპყარ თვალი, ჯაგნარამდე ორმოციოდე ნაბიჯი იქნებოდა, ვიდრე იქამდე მივირბენდი და დავიმალებოდი, ნამგალ-ნისკარტები ალბათ შემნიშნავდნენ. გაზუნზლულს ბევრი არ მიფიქრია, წყალში ჩავწექი თუ არა, დიდმა ნამგალ-ნისკარტამ ხეებს გადმოუარა, ბორცვაკზე დაფრინდა და ცნობისმოყვარეობით მომაჩერდა. ჩემი მხოლოდ თავი რომ დაინახა, გაუკვირდა — ეს რა ცხოველიაო. ჩქარა მეორე ნამგალ-ნისკარტამაც მოკეცა ფრთები და ბორცვაკზე დასკუბდა. გაქვავებულნი თვალს არ მაშორებდნენ, კვიანი და ფრთხილი ფრინველი ექვმა შეიპყრო.

იმ წუთებში სიცივე აღარ მიგრძენია, თუმცა ცივი წყალი დროდადრო ამიკანკალებდა სხეულს და მაშინ წყლის ზემოთ გამართული თოფი ირხეოდა. ჩემი არსება ერთ სასიხარულო ფიქრს შეეპყრო: ორი გრძელნისკარტიანი, კანკმადალი, ხმელი ფოთლისფერი ფრინველი სათოფეზე იყო. ერთი გასროლით ორივე მოვცელე. წამოვვარდი, ნამგალ-ნისკარტები ავკრიფე და ბედნიერი გავეშურე ნავისაკენ.



გაკიდე ჭანჭუკი

* *
რა მოხდა, მამულის მთებო,
მუდამ რომ სიმღერას მაძალებთ...
მაცალეთ, მოვითქვა სული,
მაცალეთ,
ღიმილი მაცალეთ...

მე თქვენს სიყვარულში, მთებო,
მყავს აურაცხელი მოცილე,
მუხლებზე ვეხვევით, მთებო,
მწვერვალებს,—გვირგვინით მოსილებს.

რა იქნა, რა მოხდა, მთებო,
მუდამ რომ სიმღერას მაძალებთ,
მაცალეთ, მოვითქვა სული,
მაცალეთ,
ღიმილი მაცალეთ...

* *
მწუხრი ცისკრით განიბანა,
ქრის ნიავი კორიკანა,
შენ დაგეძებ ბანი-ბანად,
ჩემი მზე ხარ, — შორი, განა...
ჩემთან მოდი, ალვისტანავ,
არ გავამხელ არვისთანა...

* *
ძლიერ, ძლიერ მაღლიდან
მზე ბაჯადლოს მალვრიდა.
ბიჭი გოგოს მისდევდა
ტუჩშედებილს მაყვლითა.

ქარი ყვავილს მაყრიდა,
ვაშლის ყვავილს მაყრიდა,
მოდოდა ყვარელი
ყვავილების მაყრითა.

ნეტა, მალლა ამზიდა,
ძლიერ მალლა ამზიდა,
გული, გული ვიჯერო
ამ სინათლით, ამ მზითა...

*
* *

ქარიშხლის მკერდი,
ცის თვალი თუ
ჯეირნის ყელი,
დამბადებელმა და ბუნებამ შენ მოგამადლეს,
საშველად შენსკენ ხელგამოწვდილს არ მიე ხელი,
მაგრამ... შენ ძალზე ლამაზი ხარ და ეს გამართლებს.

შენ თურმე სწვაედი ოცნებებს და ლამაზ იმედებს...
მე ეს მიაძებს... მე ეს ვნახე... მე ეს გამანდეს...
იცრუე!
დაგმე!
მოატყუე
და გაიმეტე!
მაგრამ... შენ ძალზე ლამაზი ხარ და ეს გამართლებს.

ხდება: გადამწყვეტ წუთებში რომ აპყრი კამათლებს,
გამოუცნობელს მოელი და უმზერ კამათლებს...
მე ბედს ველოდი,
მე მჯეროდა,
მე არ ვიცოდი,
მე არ გიცნობდი და... ეს ერთი თუ გამართლებს...



მუჩან ქოიავა

უფრო გახვირდეს

მთვარემ ვენახი გადაანათა,
მაგრამ ბერმუხებს როლი ეძინათ.
ორლობის მიღმა თოფი გავარდა
მივხვდი —
მეზობელს ძე შეეძინა.

თოფმა იქუხა, თოფმა ზედიზედ,
გაშლილი სუფრაც მამამ ისურვა,
და დაილოცა ბიჭი მეშვიდე
პაპა კი...
სდუმდა დარბაისლურად.

მოხუცის ფიქრმა მყისვე ამანთო
და მეც ვინატრე უხმოდ, მაშინვე:
დაე, სოფელმა სოფელს გასძახოს,
თოფის ქუხილი
უფრო გახვირდეს!





„მსახიობის სიკვდილი“

ნახატი ზურაბ ლეუავასი

ადიო ადამი

მსახიობის სიკვდილი

მოკმედი პირნი

გიორგი — ოდესის თეატრალური სტუდიის სტუდიელი, შემდეგ ქართული დრამის მსახიობი.
ანა — გიორგის მეუღლე.

ნიკო — გიორგის შამა.

ვასილისა — ოდესელი მუზადურის ქერივი, გიორგის დიასახლისი.

ასმათი } ქართული დრამის მსახიობნი.

გიორგი — თამაშობს ყალბ მსახიობს. მისი საუბრის ტონი ყოველთვის პათეტიკურია.

რაქდენი — ქართული დრამის რეჟისორი.

ლევანი — განათლების მინისტრი მენშვევიური მთავრობისა.

დორითე — ხელმოცარული თავადი.

იაგორა } მეეტლეები.

მანიჟოლური როლები

იორამი } გიორგის მეგობრები. სტუდენტები.

რუსუდანი — ქართული დრამის მსახიობი.

ქიტეხა — გლეხი, გიორგის კარისმეზობელი.

ანატოლ დონილოვი — ოდესის თეატრალური სტუდიის ხელმძღვანელი.

კირილე — მრეწველი.

ფლორენცია — კირილეს მეუღლე.

ირილიონი — გაქარი.

ლელია — ახალგაზრდა მომღერალი ქალი.

ზარნაბა — განათლების სამინისტროს მოხელე.

იტალიელი მომღერალი ქალი.

ლაქია — ესტრადის მომღერალი ქალი. მოხელეთა ცოლები, ბანქოს მოთამაშენი. ახალგაზრდობა. მთბრობელი.

მოქმედების დრო 1915-20 წ.

პირველი მოქმედება — ოდესაში, მეორე და მესამე — თბილისში, მეოთხე — სოფელ არადეთში.



პირველი მოქმედება

პირველი სურათი

ფარდის გახსნისას სცენაზე სიბნელეა. ანთებული სანთლით ხელში შემოდის მოხრობელი. მოხრობელი. ამ ძველისძველ სახლში, რომელიც ოდესის გარეუბანში დგას, მებაღურის ქვრივის ბინაზე, სამი წელია ქართველი ჭაბუკი ცხოვრობს.

მისი სახელია გიორგი. იგი ახლა ამ ოთახში ზის, თქვენ ჯერ მას ვერ ხედავთ და არ გესმით. მისი გულის საოცარი ფეთქება.

გიორგის მეგობრები სამშობლოში გაემგზავრნენ. მათ მშობლები, სატრფო, სამსახური უხმობდა.

გიორგის კი მარტო მოხუცი დედა მოეღის, მაგრამ დედას ეშინია შვილის ჩამოსვლისა. ცოფსა ჰყრის გიორგის მამა — შვილი გადაუდგა მის სურვილს, უნივერსიტეტს თეატრალური სტუდია ამჯობინა.

გიორგიმ აისრულა საწაფელი. ვაზეთებმა შეაქეს მისი ნიჭი, უწინასწარმეტყველეს — დიდი ხელოვანი გამოხვალო... ეს წერილები თბილისის გაზეთებმა გადაბეჭდეს და მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ ერთადერთი მხცოვანი მსახიობი გამოეხმაურა — ულოცავდა, ამხნევებდა, ურჩევდა საქართველოში მალე დაბრუნებას.

...სანაცვლოდ ნიკო ხიდაშელმა რისხვითა და მუქარით სავსე ბარათი გაუგზავნა — ეგ სისულელე, ჩემგან მალულად მანდ რომ შეგიძენია, ოდესაშვიე დაიბერტყე და შინ ადამიანად გამოიმცხადეო...

ახლაც ის ბარათი უკავია ხელში და ვინ იცის მერამდენედ კითხულობს... და ფიქრობს გიორგი — სამშობლოში დაბრუნებულს მიიღებს მამა? კარს გაუღებს ქართული თეატრი?

...თქვენ გესმით როიალის ხმა. მას გიორგის სატრფო ანა უკრავს. დღეისერთა ანა ამ სახლის მესამე სართულზე ცხოვრობს. მან ეს-ეს არის დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელი და სწულედი დღემისი სიხარულმა გამოაჯანსაღა, — მაგრამ ხანგრძლივი კია ეს სიხარული?

ანა და გიორგი ხშირად სვირობდნენ მყუდრო, იდუმალეებით სავსე ზღვის სანაპიროზე. მაგნოლიის ჩრდილქვეშ სხდებოდნენ, ოცნებით გაცქეროდნენ მოლივლივე ზღვას და მათ ესმოდათ ერთმანეთის გულისძახილი. დღეაღდა ანა, სხულში თითქოს ხანძარი ენთო, მაგრამ სციოდა მაინც, თრთოდა და ცაყცაყებდა. ჩამავალი მზის შუქში ეალერსებოდნენ ისინი ერთმანეთს... არა, მათ უერთმანეთოდ ყოფნა არ შეუძლიათ და ანამ გადაწყვიტა საქართველოში გავეყეს გიორგის... მაგრამ რატომ ვჭკარობ, თვითონვე დაინახავთ, თუ როგორ წარიმართა მათი ცხოვრება.

სწორედ გუშინწინ ასე საუბრობდნენ ისინი ზღვისპირად.

მოხრობელი აქრობს სინათლეს. უჩინარდება. ნათდება მკირე ნაწილი სცენის სიღრმეში. საღამო ზღვისპირი. ჰორიზონტზე აფრებიანი ნავი. ანა და გიორგი ჰორიზონტს გაცქერიან, მათ სახებზე ირეკლება მზის სხივები.

ანა. შეიძლება აგრე დიდხანს დუმილი?

გიორგი. ჩანს, შეიძლება!

ანა. მე დუმილის მეშინია... როცა გულს სათქმელი აქვს და დუმილს ირჩევს, შიში მიპყრობს გიორგი. სამიში რა უნდა იყოს ზღვამ იცის — გულსაც და თვალსაც გაგიქვევებს ხანდახან და,

შენს მაგიერად თვით საუბრობს ტალღების რხევით...

ანა. ნუთუ შენ გესმის რას ჩურჩულებს ახლა ზღვის ტალღა?

გიორგი. გულში ჩამჭურჩულებს — ანას გიორგი უყვარსო და თითქოს უფრო ძლიერად, ვიდრე გიორგის ანა!

ანა. ეს მართალია კიდევ რას ამბობს?

გიორგი. ის ტალღა ამბობს — ანას გიორგი უყვარს, მაგრამ ეშინია საქართველოში წასვლისა... მისთვის უცხო მხარეა საქართველო, ეგებ ვერ შეეგუოს ხალხს, გიორგის მშობლებს... ჰო, ასე ფიქრობს ანა და თან ეცრძალება ამის გამხელა.

ანა. ეს სიცრუეა! ახლა ნამდვილად ტყუილს ამბობს ის შენი ტალღა! ჩვენ ერთი გზა გვაქვს... შენთან წამოვალ მე თბლისში, არადეთში. მოვეალერსები შენს მოხუც დედას... თვითონაც ხომ შემოვიყარებს?

გიორგი. შეგიყვარებს, ნამდვილად შეგიყვარებს... ელირსება კი დედაჩემი ჩვენს ნახვას? შარშან მყოფდა, მთელი წელიწადი ლოდინში გაატარა: თვალი ჰიშკრისკენ მიჰიარავს, შვილო, მომეკანცა, შემობრალეო... დაბაჩუნობდა საცოდავი ჩვენს ბაღში და მეზობლის ბიჭებს ეხვე-

წებოდა: ეს ვაშლი გოგაისია, ნუ ჩამობერტყავთ, თქვენი ჭირიმეო. მამაჩემს ბრძანებით ეუბნებოდა: ევენახის ეს მწკრივი არ გაპკრიფო, გოგაისია, ჩამოვა და თვითონ დაპკრიფოს... ის ვაშლები ქარმა ჩამოჰყარა. ყურძნის მტევნები ვაზს შეატყნა!

ანა. წეღს არ მოხდება ასე! ჩავალთ. ჯერ არადღეში დავგრჩებით, თავს მოვეყურით ახალგაზრდებს, ვიმღერებთ, გამხიარულდება სოფელი... მერე ჩვენ ხომ გვეყოლება ბავშვი?

გიორგი. როგორ თქვი?

ანა. შეილი... შეილი ხომ გაგვიჩნდება?

გიორგი. ჰოო, შეილი? აუცილებლად!

ანა. შენ გახდები პირველი მსახიობი ქართული დრამისა...

გიორგი. შეილი რომ გაგვიჩნდება, მერე გავხდები დიდი მსახიობი?

ანა. არა. მანამდის.

გიორგი. ვინ იცის!

ანა. დონილოვმა მითხრა.

გიორგი. შენც დაიჯერე?

ანა. მე მჯერა მისი. შენ? შენ არ გჯერა?

გიორგი. მე კი მჯერა, მაგრამ ხალხი? ხალხი დამიჯერებს? შეძლებ ხალხს შეეყვარო თავი? თუ ხალხი არ შეიყვარებს — ხელოვანის ბედი განწირულია!

ანა. აი ის ტალღა ამბობს — გიორგი გაიმარჯვებსო.

გიორგი. იმიტომ ამბობს, რომ შენ ასე გსურს... საქართველოს დედაქალაქში კვირაში ერთი დღე აქვს დათმობილი ქართულ თეატრს! დასჭირდება მას ჩემი თავი?

ანა. თუ არ დასჭირდება, მაშინ... მაშინ შენ თვითონ შეტყმნი თეატრს!

გიორგი. ეებს, ანა, ჩვენს დროში ჯერ უნდა მოხუცდე, მერე მოგანდობენ საქმეს... ახალგაზრდის ენერჯია ბოზოქრობს, გონება ახალს ეძიებს, დუღს, მოუსვენარია, — აი ასეთ დროს უნდა შეაჭიდო დიდ საქმეს ადამიანი...

ანა. ის ტალღა ამბობს, გიორგი, მალე წადით საქართველოში... აი ასე ნაპირ-ნაპირ გაჰყვება გემი, შეიტყვებს დღეს ფოთში ვიქნებით... მთელი სიცოცხლე ამ გზაზე დასცურავდა მამაჩემი... საქართველოდან ახალი სიმღერა ჩამოჰყვებოდა ყოველთვის... განაპირდებოდა გემბანზე ღამით და დაბალის ხმით ცისა და ზღვის სიწყვდიადეში რუსი მეზღვაური ქართულ სიმღერას მღეროდა...

გიორგი. ჩინებულია!

ანა. ამ სიმღერებით შემაყვარა მამაჩემმა შენი ქვეყანა.

მუსიკა უკრავს „გაფრინდი, შავო მერცხალოს“ მელიოდისა, ანა და გიორგი უსიტყვოდ აჰყვებიან.

გიორგი. ახლა ალბათ დედაჩემი მღერის ამ სიმღერას! მერცხალს ევედრება, შეილის ამბავი ჩამომიტანეო...

ანა. გავფრინდეთ, ჩავუტანოთ შეილის ამბავი!

გიორგი. (ხელში აიტატებს) წავიდეთ, ანა!

სინათლე ჰქრება. სიბნელეში ისმის მთხრობელი ხმა:

აი მოახლოვდა გამგზავრების დროც... და გიორგი ისევ მამისეულ ბარათს ჩაჰკრიკიტებს, ეგებ პასუხი მოუძებნოს და შინჩასულმა თავი იმართლოს. ანა კი... ისევ მწუხარე მელიოდის უკრავს როიალზე.

ნათდება. დარბუზულად მორთული ოთახი მეორე სართულზე. სარკმილიდან ჩანს გრძელი ვიწრო ქუჩა. ქუჩის ბოლოს ზღვა. ფანჯარა ღიაა. ფანჯარასთან ამოჩრილი მოაჯირი ცხადყოფს, რომ აქ ზედასართულის კიბე ჩამოდის. გიორგი ზის ძველ სავარძელში. ზედასართულზე უკრავენ შოპენის ნოქტიურსს.

გიორგი. (კითხულობს მამისგან მიღებულ წერილს).

...სირცხვილს გვაყრი და ცოცხლად გვმხიარვებ დირსეულ მშობლებს!

ნეტავ ვიცოდე, ვინ მიმუხთლა ეგრე უღმობლად!

ნუთუ შენ თვითონ მოისურვე ჩვენი სიკვდილი?

ვერ დავიჯერებ... სიკვდილამდე ვერ დავიჯერებ:

ჩემი ვაჟაკი — ბერიკა და ქვეყნის მასხარა?

...ვის დავენახვო, სამარეში ცოცხლად ჩასული...
 არა! ჭორია ჩემი მტრისგან გამოგონილი, —
 შენ დამიმოწმებ, რომ ნამდვილად ჭორია, შეილო!"

(როიალის ხმა ძლიერდება)

...გულს მითბობს ეს ხმა... ეს ბეგრები სულში შეჭრება —
 ამ პახში სედა უძიროა, მაგრამ იმედის
 უშუქიც ელვარებს შავ ნალექის გასაქარვებლად
 ერთდამივ დროს...

(შემოდის ვ ა ს ი ლ ი ა)

ვახილისა. დავამთავრე, აპა, გიორგი!
 ჩაიცვი, შეილო, ნუ ეხდობი გაზაფხულს აგრე —
 დათბება უცებ... კვლავ სიცხე მოგვეპარება.

(აწვედის წინდება)

გიორგი. რა დროს წინდაა, გაზაფხული მოვიდა უკვე,
 ნუაუ არ გესმის ფრინველების კივილ-ხივილი?
 ვახილისა. მიუგდე სარკმელს, — გაზაფხული აღრეა ჯერე,
 მზე ჯერ დაბლავს, მას ეს პანჯი ვერ აამაღლებს.

ვახილისა ხელით ანიშნებს ზევით, საიდანაც მუსიკა ისმის. გადის. გიორგი გა-
 ნატრძობს წერტილის კითხვას.

გიორგი. ნეტავ განახვა დედაშენი, — მოჩვენებას ჰგავს.

შფოთავს და დრტვინავს, სახეს იხოკს, ცრემლად იღვრება:
 ჩემი გიორგი, ჩემი ეშხი და სიხარული —
 არ მეგონათ აგრერიგად თუ გამწირავდა!"

შეუმჩნევლად შემოდის ი ო რ ა მ ი და რ ე ვ ა ზ ი.

რევაზი. თურმე დიდიდან იწყებს ვარჯიშს... მიტომაც იყო
 სხევებს რომ აჯობა...

იორამი. გავიკვირდა განა, უპაუკო?
 მათემატიკა აღარ უყვარს ამ შეჩვენებულს,
 თორემ წიგნები სალაღობო და საალერსო...

გიორგი. „ჩემი ვაკეაცი ბერიკა და ქვეყნის მასხარა?“

რევაზი. უკვე შეურთავს ანა... შევილსაც მოელის ნალექ!

გიორგი. „უკვე აგვიკლეს მეზობლებმა, ჭორჭორაობენ:
 გივი გაზარდა ნიკომო, ნამდვილი გივი!"

იორამი. წინასწარ სჯერა — მისი შვილი გივი გამოვია!

რევაზი. თვითონ თხზავს, თურმე წერეთლობას იწყებს ყმაწვილი...

იორამი. თუ არა თვითონ, ვინ ახსენებს ამას გვარს წიგნში!

წაეიდეთ, თორემ ხელს შევეშლით. რევაზ, წავიდეთ.

გიორგი. (ხმამალლა, თითქოს ეკამათება ვიღაცას)

აგრე სასტიკად განწირულად რად ჩაითვლებით?
 ან მე ისეთი უკულმართი როგორ გამოვდექ —
 მშობლები თვითონ ჩავაწვინო ცივს სამარეში?

რევაზი. მეტისმეტია, მგონი ზოდავს...

იორამი. ზოდავს ნამდვილად!

გავსაუბრე, რევაზ, მიდი, გავსაუბრე!

გიორგი. „მე რომ ვირწმუნო, ჩემი ძვლები არ ირწმუნებენ“...

რევაზი. არ შეიძლება დაყოვნება! (უახლოვდება. ირონიულად) რატომ ვერ გვამჩნევთ,

დიდო არტისტო, ჩვენ, უბრალო მომსახურებელი?
იორამი. (ირონიულად) ცრუობს!
არ მიმაჩნია ჩემი თავი მე მომსახურებელი.
რადგან უკვლამყოფს მეგობრობა დიდ ხელოვანთან!
გიორგი. (გამოერკვევა, გაჯავრებით) კარგი... გეყოფათ!
იორამი. გამახილეთ — ანაც შევირთავს.
უკვე ვითვლებით ხელოვანთა ჩვენ მეგობრებად!
რევაზი. მღერის და უკრავს...
იორამი. როგორ მღერის და როგორ უკრავს!
გიორგი. (გამოჯავრებით) როგორც არავინ ქვეყანაზე... როგორც არავინ...
რევაზი. ასე წლის შემდეგ, ორივე რომ გარდაიცვლებით...
იორამი. გარდაცვალებით რატომ იწყებ, ფილოსოფოსო?
რევაზი. (პათეტიკურად) გარდაცვალებას გააჩნია... უკვდავთა სიკვდილს
მიტომ ვუწოდებთ მომსახურებელი გარდაცვალებას —
ისინი მხოლოდ ფიზიკურად გვეთხოვებიან,
ხოლო სიცოცხლეს განაგრძობენ ქვეყნად მუდმივად!
ხალხში ცოცხლობენ... აი შენში, შენს მეგობრებში,
ჩვენც, მომსახურებელს, უკვდავყოფენ... მხოლოდ დროებით!
ალგაძალებენ მაღლა... ზევით, მაგრამ როდესაც
ხელებს აღეპყრობთ უკვდავების ჩინაობებლად —
მაშინ დაგეწვევენ: მომსახურებელი, შენ აქ შესდები. —
აქ არის ზღვარი — მთას რომ გაპყოფს უღელტეხილი,
ზევით ჩვენა ვართ! თქვენ — კი დაბლა...
...თუმცე უკვდავების გვირგვინს ხშირად სიცოცხლეშივე
მოხილეთებენ აბეზარნი და მლიქვნელებიც,
მაგრამ სიყვარულს ხალხის გულში ვერ იმკვიდრებენ —
მიტომ ტკნებიან ყვაილების გვირგვინზე აღრე, —
შესწყვეტენ ტანტალს... და ხსენებაც მათი გაპყრება!
ამ გზას არ გაპყვე — შენ, გიორგი, ამ გზას არ გაპყვე!

(მოისმის ანა ხმა)

ანა. წუთია წუთის ქვეყანა, წუთის წებოთი იწყება,
ზოგი ღზინსაა, თამაშს, ზოგიც უცეცხლოდ იწყება...
იორამი. (ირონიულად) ო, უკვდავება ხედავ, რევაზ? მოდის ზეციდან, —
დრო არის ქვესკნელს შთავიკარგოთ...
რევაზი. მივდივართ, მაგრამ
ერთი საათის შემდეგ ისევ ალვსდგებით მკვდრეთით... (მიღიან).
ანა. (თანდათან ჩამოდის კიბეზე)
ზოგი ღზინსაა, თამაშს, ზოგიც უცეცხლოდ იწყება...
გიორგი. საიდან იცი ეს ლექსები, მე რომ არ მითქვამს?
ანა. რაც შენ არ ვითქვამს, მე ისეთი ბევრი რამ ვიცი!
გიორგი. მე სხვა ვითარბი... ეს ლექსები ქართული არის
და შენ საიდან... (ანა ფანჯარაზე შედგება, გიორგი მიეშეულება და გაღმოყყავს
ოთახში).
ანა. ჯერ ესენი ვიცოდი, მერე —
შენ მერე შეგხვდი! გაგივირდა? ნუ გაიციებ, —
თუმცე შენ ბირველი ქართველი ხარ ჩემგან ხილული,
მაგრამ სამშობლოს შესასას აღრე ვიცნობდი შორით —
ბევრი თქმულეზა, საოცარი ტკბილი ზღაპარი
და ბევრი ლექსი წამიკითხავს საქართველოზე...
შენ რომ გაგიცან, მერე ასე დაგიმეგობრდი,
ვთქვი — ის ზღაპარი, ის ლექსები, ის თქმულეზები,
ესოდენ გმირად, ასე ტურფად და საოცნებოდ
რომ გვისახავენ საქართველოს... მართალი არის!
გიორგი. მაინც რა იცი შენ ისეთი, რაც მე არ მითქვამს?
ანა. ვიცი, — მაღალ მთებს წყაროები ახმინებენ,

მთებიც ისეთი მაღალაა, წვერზე რომ შედგე,
ჯოღა ვარსკვლავებს შეგიძლია მიწვედე ხელებით.

გიორგი. და ვარსკვლავები...

ანა. ციმციმებენ სულ სხვანაირად!

ზღვა კი ისეთი, როგორც ჩვენთან, აქ, ოდესაში —
ხან დაწმენდილი, მოლივლივე და განაბული,
ხანაც შმაგია, ყალყიანი და ბოზოქარი!

შორიდან ვხედავ საქართველოს... მე გულით ვხედავ, —
და მესმის მისი გაფოთლილი მუხის შრიალი!

გიორგი. რაიც ახლოა, იმას გული უფრო შეიცნობს!

ანა. დიახ, ნამდვილად... შენი გული ახლა რომ ღელავს,
შენ რასაც ჰფიქრობ, რაც გსურს მითხრა...

გიორგი. შენ იცი განა?

ანა. ნამდვილად ვიცი... მესმის კიდევ.

გიორგი. აბა მითხარი!

ანა. თვითონ ხომ იცი, რასაც ჰფიქრობ?

გიორგი. შენ უნდა მითხრა,

აკი ახლა თქვი, ყველაფერი ვიციო, რასაც...

ანა. დიახაც ვიცი, მესმის-მეთქი...

გიორგი. ჰოდა, მე ვისმენ!

ანა. (პალუზა) ათი დღის შემდეგ შენ ოდესას დასტოვებ ღზენით...

გიორგი. ცოტა გეშლებათ, უფრო ადრე.

ანა. ნუ მაწყვეტიანებ! ათი დღის შემდეგ შენ ოდესას დასტოვებ ღზენით

გიორგი. იყოს ათი დღე.

ანა. გზას ფოთამდე გაივლი გემით...

გიორგი. ეტლით სჯობია... და იმ ეტლში ორნი ვისხდებით!

ანა. ჯერ ხომ ეტლები არ დადიან ზღვაზე?

გიორგი. ივლიან, შენ თუ ისურვებ...

ანა. ჰოდა გზამანებ, დაე იარონ!

გიორგი. ახლა დედოფალ ანას ჰგავხარ... ვისმენ, მიბრძანე!

ანა. და ბრძანებს ანა: ოდესიდან მოყოლებული

ვიდრე ფოთამდე, გაიყვანონ პირდაპირ ზღვაზე
ფართო შარავზა... მოაკირწყლონ თეთრი კენჭებით,
ალვის ხეები ჩაუშვკრივონ გაღმა-გამოღმა,
და ალვის ხენი ვიდრე გზას არ მოაჩრდილებენ,
რომ სიცხემ გზაზე არ მოჰგვაროს თავის ტკივილი —
ბატონ გიორგის აუკრძალოს აქედან წასვლა!

გიორგი. დავგვიანდებით... უფრო ადრე არ მოხერხდება?

ანა. ჰო, მართლა, სწრაფად იზრდებიან ალვის ხეები!

გზამანებ — კაკლის ხე ჩაამწყრივონ ალვების ნაცვლად,
თანაც კაკლის ხის ჩრდილი უფრო მარგებელია;
ალვები თვითონ ქმნიან ქარსა ზედმეტის რხევით!
ქარში მგზავრობა საშიშია, გამიცვივლები...

გიორგი. მე არც ისეთი სათუთი ვარ!

ანა. მე ეს ასე მსურს!

გიორგი. ჩვენ ხვალ მივდივართ!

ანა. (ერთბამად მოწყდება) შენ კი წახვალ... ვიცი, რომ წახვალ,
ვერ დაგაკავებ... გზა ხსნილია შენთვის, გიორგი!

გიორგი. ჩემთვის ხსნილი გზა შენთვის ნეტავ ვინ გადაკეტა?

ანა. შენს საქართველოს მიაშურე მარტო, უჩემოდ. —

მე აქ ვილოცებ — გაგიმართლდეს, რაც შენ გწაღია.

გიორგი. თითქოს მე ვიყო ვაკის როლში, რომელსაც ქალი

აი ეს არის უარს ეტყვის იმ სიყვარულზე,
რომელიც ძილშიც გულზე ჰქონდა შემოხვეული...

ანა. ასეა თითქოს... არა, არა, ასე არ არის!

გიორგი. არ არის ასე! ისიც თითქოს არ არის ასე?

ამას შენ ამბობ? ვერ მივმხვდარვარ, მითხარი, ანა, ერთს დღე-ღამეში ასე როგორ შესცვალე აზრი? სცდი ჩემს სიყვარულს — ძლიერია იგი თუ სუსტი? თუ ყალბი იყავ ადრე, როცა მეფიცებოდი, რომ სიკვდილამდე, — კარგად მახსოვს, რომ სიკვდილამდე —

ანა. ვით ორი ტალღა, ერთმანეთზე გადაჰდობილი, ერთად ვივლიდით ამ ცხოვრების ხორკლიან გზაზე...

გიორგი. ვით ორი ტალღა, ერთმანეთზე გადაჰდობილი... და აი უცებ...

ანა. შენ ნუ იტყვი! ჰე, შენ გგონია, მე თითქოს განგებ ვაჰირდიდებ... არა, ნუ მეტყვი, — ჩემიც მეყოფა სატანჯველი... როგორ უეცრად ფრთები დაატარა ჩემს ოცნებას ამ ერთმა ღამემ! ...დღემ თითქოს მშვიდად ჩაიარა... იღბენდა დედა, მომიალერსა საღამოჟამს და ისე ტკბილად, როგორც პატარას, სულ პატარას, მეფერებოდა. ...მერე დაეწეკით... მე რომ თავი მოვიმძინარე, ის აქვითინდა. ლულულულებდა: „ხვალ წავა ანა!.. ოთხი კედელი... სიმარტოვე... უნდა წავიდეს! უყვარს... სიყვარულს შორს გაჰყვება ყმაწვილი ქალი, მაგრამ მე? დედა? ერთადერთი შვილის შემყურე“ მოვიდა კრძალვით, დამაცქერდა. კვლავ აქვითინდა — „მე შენით ესუნთქავ, შენით ვიღებენ, შენით ვსულდგმულობ, და ჰა, შენ მტოვებ! ჰო, ასეა, უნდა წახვიდე! ასეა წესი — გააჩაღებ შენ ახალ კერას, — შენ გაიხარე, შვილო, ჩემსას ნურას იკითხავ“!.. ...მე მთელი ღამე არ მეძინა... და იმის თვალებს მდულარი ცრემლი მთელი ღამე არ შემრობია... ო, იმას ერთხელ მაინც ეთქვა: „ანა, ნუ წახვალ!“ ეგებ მე მასში მეგრძნო დედა, რომელიც იღწვის შვილის სიხარულს ფრთა მოსტების, ოღონდ თვითონ კი, გაიხანგრძლივოს სიხარული.. მას დავტოვებდი, თვალდახუჭულად დავტოვებდი მაგრამ არა სთქვა! ასეა, ხშირად უთქმელობით უფრო გვბოჰავენ... ... ის ჩემით სუნთქავს, ჩემით იღბენს, ჩემით სულდგმულობს. როცა მიცქერის — ნაოჭიან თვალის უპეში ცრემლს შეიკავენს და ღიმილით მესაუბრება, რომ მე ვერ ვიგრძნო მწუხარება მისი გულისა... ...წადი, გიორგი! ბედისწერამ ჩვენ თუ შეგვეყარა, ახლა კვლავ გეთიშავს უკუღმართი ის ბედისწერა! წადი... დავრჩები გატანჯული არ დამივიწყო! ეგებ სხვა ვინმე შევიყვარდეს... გახსოვდე მაინც, ნუ დამივიწყებ! გესმის, ანას ნუ დაივიწყებ...“

*ქვითინებული მოხვევა ყელზე. მცირე ხნით ჰქრება სინათლე. იგივე ოთახი. გიორგი ი ჩემოდანში ალაგებს ნივთებს. იქვე ფუსფუსებს ვასილისა. ორივენი სავარძელში სხდებიან.

ვასილისა. როცა შინ, შვილო, დაბრუნდები გულმხიარული, დედას უთხარი, რომ მეორე დედა ვარ შენი — და მის სიხარულს ვინაწილებ მეც მეტნაკლებად... მეორე დედა? არა, არა... ეგებ იწყინოს — საკუთარ შვილის სიყვარულში მეცილებათ შორეული მხრის მეზაღურის ბებერი ქვრივი!

გიორგი. აგრე რად იტყვი, ვასილისა? შენ — შორეული? ვასილისა. მე ჩემი პირმშო არ მყოლია ბედით-დაჩაგრულს,

მაგრამ სიყვარულს დედობრივსა განვიცდი დიდად,
რადგან ჩემს გულში გამოზრდილა ბევრი ვაჟაკი!
ბევრის დედა ვარ! ჰო, ასეა — ბევრის დედა ვარ!
... აი ეშორდებით, სამშობლოში მიეჩქარები,
შენს მოლოდინში ეწურება გული დედაშენს, —
და გაიხარებს, სინარულის ცრემლებს გადმოღვრის,
როდესაც მკერდში შენ ჩავიკრავს ათრთოლებული!
... მეც გავიხარებ შორით მყოფი, მეც ავტრდები...

(გიორგი კალთაში ჩაუღვებს თავს. ვასილისა ხელებით უვარცხნის ქოჩორს)
სხვადასხვაგვარი ძილი იცით ახალგაზრდებმა —
ზოგი მკლავს მშვიდად ამოიდებს თავქვეშ და სძინავს,
ზოგი ძილფხიზლობს, თუმც თვალები აქვს მოჭურტული,
ზოგიც მშფოთარებს, მოუსვენრობს, წამოიძახებს...

გიორგი. საიდან იცი ჩვენი ძილის ამბავი ასე?

ვასილისა. მე გრძელ ღამეში ყურს ეუვგდები თქვენს ძილსაც... ზოგჯერ
როს შფოთიანი ძილში სიტყვას წარმოიხსროდა.
ის სიტყვა უცხო იყო ჩემთვის, მაგრამ მესმოდა —
დედას უხმობდა შვილის გული და მე მესმოდა...
მე ფეხაკრფით მივიდოდი მის სასთუმალთან,
შეუეშვრალედი ოფლიან შუბლს, ჩავჩურჩულებდი:
— აქა ვარ, შვილო, დაწყნარდი და მშვიდად იძინე...

(ისმის როიალის ხმა. ვასილისა თავს აუწევს გიორგის და თვალებში შეაჩერდება)

არ დაგიძლავ — სხვებზე უფრო შენ იყავ მშვიდი,
მშვიდად გეძინა, უშფოთველი იყავი... მაგრამ
ეს ადრე იყო, ასე შარშან... უფრო შარშანწინ...
... რაც კი ის ქალი გაიცანი, ის შენი ანა —
მერე ძილფხიზლობ, შფოთიანი შეიქენ მერე!
... ძილში ახსენებ იმის სახელს, — ესაუბრები.

გიორგი. ძილშიც ვახსენებ?

ვასილისა. საქრახისი არაფერია,

ძილშიც რომ გიყვარს — ეს ნამდვილი სიყვარულია.
... იმ კუდიანმა იცის, აქ ხარ და მითომ უკრავს...
როცა მარტო ვარ და ფიქრები შემომავწეება,
შევსთხოვ — დაუკარ, ჩემო ანა, ღმერთი დაგლოცავს, —
ან თავს აიტკენს, ან ხელებს და ან დაღლილობას
მოიმიზეზებს და უარით გამომისტუმრებს.
მაგრამ ვატყუებ...

გიორგი. შეგიძლია განა იცრუო?

ვასილისა. ეს მხოლოდ ერთხელ... გათანგული ვიყავი ფიქრით,
მიველ და ვუთხარ — გიორგი გთხოვს დაუკრა-მეთქი;
დაუკრა, მაგრამ როგორ ლაღად, ხალისიანად!

(ისმის ზარის ხმა. გიორგი წამოდგება. ვასილისა შეაჩერებს).

არა, შენ არა, შენ დღეიდან სტუდენტი არ ხარ!

(კართან მისული შემობრუნდება)

მაგრამ თვითონ კი უკმეზია და მედიდური.
ცხვირს მაღლა იწევს, — თუ სურს ზეცას შეუდგას სვეტად!

(გადის გვერდით ოთახში და უმაღვე ბრუნდება. ირონიულად).
დიდი ბატონი მოვევახლა.

გიორგი. მაინც რომელი?
ვასილისა. შენი ხელმწიფე. დონილოვი გამოგეცხადა...

შემოდის დონილოვი, გიორგი აღფრთოვანებით მიეჭრება

გიორგი. არ მოგელოდით!
დონილოვი. და შეც მისთვის გამოგეცხადეთ.
ვასილისა. აგერ, ბატონი, აქ დაბრძანდით.
დონილოვი. მე მხოლოდ წუთით...
ვასილისა. წუთით და ისიც აქ, თეატრში გამოცხადება?
გიორგი. არ გაიკვირვოთ, ვასილისა თეატრს მეძახის.
დონილოვი. მომწონს, კარგია!
ვასილისა. ცუდი, ცუდი!
დონილოვი. და მაინც რატომ?
ვასილისა. თქვენი თეატრი, მე თუ მკითხავთ, საეგიფთია —
ზოგი ლულულუღებს, ზოგიც ზღაღებს, ზოგიც გაპკივის
არ ბრის ასე. ცხოვრებაში ასე არ ხდება!

გიორგი. გუთხვ, ვასილისა!
ვასილისა. მართალს ვამბობ... აი, მობრძანდით.
შემოვევებებით, მოვესალმეთ ჩვეულებრივად:
თქვენთან სხვაგვარად: „გამარჯობათ, ბატონო ჩემო,
ბუნების ძალას ვთხოვ გამყოფოთ მუღამ კეთილად!“
გაიკვირება უცნაურად კაცი და ხმაში
ისეთ სიყალბეს შეაპარებს — უმაღლე ფერძნობ,
გულსგარეშე ვესალმება... ნაბიჯს გადადგამს, —
არ ჰგავს ზიარულს ჩვეულებრივს, — თელს აბრიალებს,
ოთქოს სიკვივ მოსდგომია კარზე უბედურს —
ასე არ ხდება ცხოვრებაში, ასე არ ხდება!

დონილოვი. მაგრამ გიორგი არც გაპკივის და არც ლულულუღებს.
ვასილისა. ნორმალურია... ნიტომ მიკვირს, თქვენ როგორ აყვავით!
შორეულ მხრიდან ჩამოვიდა არა იმისთვის,
მართალი გული გაყალბოს... მშობელმა იგრძნო —
ტექა-ქუხილი მოუვლინა საქართველოდან...

დონილოვი. ვიცი. სწორედ ამიტომ შემოვიარე. ხშირად ხდება ასე — ჰქმნი, ძერწავ, აქანდაკებ.
მთელს გულით ეტრფი საქმეს, დარწმუნებული ხარ, რომ ერთადერთი გზაა ეს შენთვის.
მაგრამ აი გამოჩნდება აღამიანი და არ სწამს სიმაართლე შენი აზრისა — გეკლაფს, გაჭი-
ქებს, ცდილობს გული ავიტროოს. არ შეუშინდე! მამაშენს არ უნახიხარ სცენაზე და წი-
ნასწარ გიცხადებს — სისულელეს თავი ვაანებო; გნახავს, დამოშინდება, მოეწონები. მეც
ბევრი ჭიდილი გადამიტანია, მაგრამ თეატრს როდი გავანებე თავი! განა შეიძლება ად-
მიანი თავის თავს გამოირღვს? გამაგრდი, გიორგი, გაივლის დრო და მამაშენის რისხვა
სიყვარულით შეიცვლება...

ვასილისა. მტერი იყოს ამის იმედით!
დონილოვი. ამ ქალბატონსაც მოეწონებოდი, შენი თამაში რომ ენახა. მოვიწვიე, არ გეკადრა.
ვასილისა. ჩემი მულღეც მკვდრეთით აღდგეს და ითამაშოს,
ფეხს არ შემოვდგამ მე თეატრში! მე ღმერთს შეეფიცე!
ორხელ ვიყავი, — ვიმყოფინებ მე სამუდამოდ...

დონილოვი. (გიორგის) სიამოვნებით დაგტოვებდი ჩემთან, მაგრამ მჯერა — ქართულ თეატრში
უფრო ამეტყველებდი! მიაშურე მშობლიურ კერას... ვახსოვდეს — ვარსკვლავები უპირვე-
ლესად თავისი ქვეყნის ცაზე აკაფდებიან!.. თუ ავბედიდათ დაგოცდეს ფეხი, მიხმე, მო-
გეშველები... ნახვამდის, ვასილისა, თქვენს თეატრში მართლა წუთზე მეტს დავერჩი, ჩანს,
კარგი თეატრი გქონიათ, მაპატიეთ. (გიორგი აცილებს დონილოვს).

ვასილისა. ხანში შესულა, მაგრამ ჭკუა შორს გაპტრენია... (ვასილისა გიორგის ჩემოდანს უტრია-
ლებს. გიორგის შემოპყვებიან რეჟისორი და იორამი).
იორამი. მზად ხარ? დრო არის! (რეჟისორს) მუშაკაცო, პა, ჩემოდანი!
(გიორგის) ასე უწევრო რომ მიუხვალ მამაშენს ნიკოს,
* აგხედ-დაგხედავს და ერთს მაგრად შემოგეკუთხებს —

და იმის გულის მოსაგებად, აბა, ყვავილი
ვასილისა. გასათხოვარი ქალი არის გიორგის მამა?
 გამოსულელი? ყვავილები ქალებს ეკუთვნით.

(ხელიდან გამოსტაცებს ყვავილს)

გიორგი. (რევასს) ეს ყვავილს მატანს, შენა, რეზო?
ვასილისა. ეს ჭკვიანია...

რევაზი. (ცალ ხელში ჩემოდანს დაიკავეს)
 შენ ჩემს მაგივრად გაიარე მუხრანის ველზე,
 თვალი შეაღლე საგურამოს, არაგვის ჭალებს,
 მოინახულე ანანური, ჩვენი ქინვალი,
 ლოღზე ჯიქურად დაჯახებულ არაგვს გადაეც —
 რომ მისი ძალა აქ გამოწყვა და მაგარი ვარი
 და მუხრანელი გუთნიდედის გუთნიდედური —
იორამი. როცა ოდესის მიყრუებულ სარდაფში ჩადის,
 ყურში ჩასძახის — დალიეო, ჩემო ვაჟაკო...

(ისმის გემის საყვირის ხმა)

გიორგი. უკვე დრო არის... **ვასილისა,** აბა, მშვიდობით,
 ოღონდ უცრემლოდ (ეხვევა), ცრემლი, არა! ცრემლი ცუდს ნიშნავს!
ვასილისა. მშვიდობით იყავ... მე უცრემლოდ, — აი, შემხედე. (იცრემლება).
რევაზი. წავიდეთ! (ერთი წუთით დასახდებიან) ანა? (სამიგენი გიორგის შეაცქერდებიან).
გიორგი. ანას გუშინ დავემშვიდობე... (გიორგი, იორამი და რევაზი გადიან, **ვასილისა** ფანჯრი-
 დან გასცქერის ქუჩაში მიმავალთ).
ვასილისა. ანას მივართმევ მე ამ ყვავილს. ვეტყვი — წასვლისას
 შენ ეს ყვავილი დაგიტოვა იმან სახსოვრად!
 კიდევ ვიცრუებ, არაფერი არ დაშავდება!

(კიბიდან ნელა ჩამოდის ანა და ფანჯარას მოადგება)

ანა. წავიდა?
ვასილისა. (ბურანშია) წავიდა. წავიდა ჩვენი გიორგი... (გამოერკვევა) შენ რატომ მოიქციე ასე?
 ანა. სხვანაირად არ შემეძლო, **ვასილისა!**
ვასილისა. არაფერი მესმის.
 ანა. არა, გამომშვიდობება, გაცილება არ შემეძლო.
ვასილისა. მაინც არაფერი მესმის.
 ანა. მე ხომ არ მინახავს მისი წასვლა... ასე მგონია ისევ აქ არის, ჩემთან... ნამდვილად ასეა... აი
 გაივლის მცირე დრო და ისევ შემობრუნდება... (ატირებული მოეხვევა **ვასილისას**).

ფ ა რ ლ ა

მეორე მოქმედება

მეორე სურათი

მოქმედების დეკორაციაა სამი ოთახი. ერთი სარეპეტეციოა. ერთი ქალთა და ერთიც მამა-
 კაცთა საბირფარეო. სურათების შეცვლისას ოთახებში ინთება და ჭრება სინათლე.

ს ა რ ე პ ე ტ ე ც ი ო ო თ ა ხ ი: ერთ კუთხეში სხედან რუსუდანი, ბეჟანი, სიკო,
 წინა პლანზე დგანან ასმათი, გიორგი და რეჟისორი. მიმდინარეობს პატ-
 რიოტულ-გმირული დრამის ერთი სურათის რეპეტეცია.

რეჟისორი. (ასმათს) არ დაგავიწყდეს — შენ სურა გაქვს ხელში წყლით სავსე,
 მარჯვენა ხელი ოდნავ დაბლა — სურა გამიმებს,

აი, ამგვარად. წინ წახრილი დგებარ ვაჟის წინ,
ის შენ უცერად შეგეფეთა, მაგრამ არ შეკრთი,
რადგანაც იცი — გითვალთვალებს, კვალდაკვალ დაგდებს...

ამაყად დგებარ, სახეში კი არ გსურს შეხედო,
მას ღირსად არ თვლი შეხედვისა... აბა, დავიწყოთ!

გიორგი. „ბრმა ვყოფილიყავ, შენი ხილვა თვალს ამიხელდა,
უგულოს — გული ჩამედგმოდა მკერდში მაგარი,
გამომესხმოდა უცნაური და მძლავრი ფრთები,
ფრთებზე დაგსვამდი სანეტარო ტურფა დედოფალს“ ...

რეჟისორი. ხაზი გაუსვით — „უცნაური და მძლავრი ფრთები!“
აქ უძრავობა შეიძლება განა, გიორგი?
მხრები ასწიე, შეარხიე მკერდი ძლიერად —
თითქოს ეს არის მოგემატა ძალა მკლავებში
და ფრთებზე თითქოს ეს-ეს არის გამოგესხმება.
„ბრმა ვყოფილიყავ, შენი ხილვა თვალს ამიხელდა“, —
ქალს შეატყურდი, თითქოს ბრმა ხარ, აი ეს არის,
იხილე იგი და სინათლე ჩაგიდგა თვალში...
აქ შენ ატყუებ ქალიშვილს და უნდა გერწმუნოს.

ასმათი. (თავისთვის) ვიცი, მატყუებს!

რეჟისორი. მოაჩვენე თავი ისე, რომ
შენ უიმიოდ ეს სიცოცხლე ჩირად არ გიღირს.
განვაგრძოთ.

ასმათი. „გული მეუბნება — ეს არ მოხდება!

ვიცი, ყალბია ყოველივე, რასაც შენ ამბობ
და ყურთასმენას უსიამოდ ესმის ეს ფიცი! —
თქვენ გსურთ გაბჭურდით საქართველო, გააჩანავით
და რადგან ერთის დაკერით ამას ველარ ახერხებთ,

(თანდათან უახლოვდება გიორგის)

გსურთ აქ დასახლდეთ, მოიკიდოთ ფეხი ძლიერად“ ...

რეჟისორი. თქვენ გეზიზღებათ, ცხადი არის, რომ გეზიზღებათ —
ამიტომ ასე ახლო მიჭრა უადგილოა.

ასმათი. „გსურთ აქ დასახლდეთ, მოიკიდოთ ფეხი ძლიერად,
ქართველი ხალხის კერიაში დაიდოთ წილი —
და ჩვენ, დედებმა, ვშვათ შვილები, რომელნიც შემდეგ
უარსა ჰყოფენ ჩვენს რჯულსა და ჩვენს დედა ენას
ეს არ მოხდება, არასოდეს ეს არ მოხდება!..
თქვენ ჯერ არ იცით, როგორია ქართველი ქალი!“

გიორგი. „იმის თვალეში განთიადის ციმციმებს სხივი“.

ასმათი. „ცეცხლი ელვარებს მის თვალეში მტრის გამგმირავი!“

გიორგი. „მის სათნო გულში სიყვარულის ცეცხლი ანთია“.

ასმათი. „შურისძიების ხანძრად იგი გადაიქცევა!“

გიორგი. „არა, გაათბობს სიყვარულით მის მოტრფიალეს
და იანვარშიც ვერ დაზაფრავს მძაფრი ქარყინვა“.

ასმათი. „თვითონ იჭროლებს იგი, როგორც სუსხი, ქარყინვა
და გამოახმობს მოძალადის სხეულს ხესავით“.

გიორგი. „ის ელვარებას შეუმატებს შირაზის ვარდებს!“

ასმათი. „სულდარის ფერი დაედება წინანდლის ვარდებს,
ქართველ ქალს მტერი მოსისხარი რომ შეუყვარდეს“.

რეჟისორი. „სულდარის ფერი დაედება წინანდლის ვარდებს,
ქართველ ქალს მტერი მოსისხარი რომ შეუყვარდეს!“
თითქოს ლოცულობთ, მოწყალებას ითხოვდეთ მისგან.
რბილად გამოთქვამთ — „მოსისხარი რომ შეუყვარდეს“;
ისე უნდა თქვამთ — რაინდობა ჩანდეს სულისა.
თან გეზიზღებათ! დაგავიწყდათ?

ასმათი. (თავისთვის) მაგრამ მე მიყვარს...
რეჟისორი. ჩვენს სამშობლოში შემოტრიალა როგორც ურჯუკი,
სიხარბით გული აესებია — თავისად უნდა
ჩვენი ზურმუხტი მინდორ-ველი, ჩვენი სიმდიდრე,
რაც კი ძვირფასი გაგვანია — სურს წარიტაცოს.
იცის — ოჯახის გული არის ქალი ნამდვილად,
ცდილობს ეს გული ამოგვეკეთოს! მერე სხეული
ნაწილ-ნაწილად დაიშლება... აბა, განვაგრძოთ.
გიორგი. „პირველად ქალი, იცი, უნდა გაგიჯოტდეს,
უფრო ალგანთოს, გაგიღვივოს მწველი ხანძარი,
მაგრამ გულში კი მოკრძალება აქვს ჩამარხული...
იცი, შენ მალევე შენი გულის ნამდვილ საწადელს,
და თანაც ჰშიშობ“...

ასმათი. „ჰოი, ვშიშობ, ნამდვილად ვშიშობ!“
რეჟისორი. უფრო დაცივით! შენი ქვეყნის მოსისხარს ხედავ
ამის სახეში; თათარია იგი თუ სპარსი,
ამას არა აქვს მნიშვნელობა... იგი მტერია,
რომელმაც ახლა დავიჯანა, მაგრამ შენ გჯერა —
კვლავ გაიბრძოლებს შენი ქვეყნის ხალხი გმირულად
და შემოსეულთ დაბადების დღეს აწყველინებს —
მას შენ დასცინი: „ჰოი, ვშიშობ“... გავიმეოროთ.
გიორგი. „და თანაც შიშობ“...

ასმათი. „ჰოი, ვშიშობ, ნამდვილად ვშიშობ!“
გიორგი. „ჰფიქრობ, დაგტოვებ გამოტანჯულს ბედის ამარად
და სიყვარული არ გგონია ჩემი გულწრფელი!“
ასმათი. „ჰე, გზა მიტიე! მამაჩემი შენ მელოდება“.
გიორგი. „ჯერ ხომ ადრეა, შებინდება შორს არის კიდე!“
ასმათი. „დღევ საშიშა, ავაზაკნი როცა დაძრწიან“...
გიორგი. „ნუ გეშინია, როცა შენთან მე ვიმყოფები“.
ასმათი. „ჩემს წინა დგეხარ ავაზაკი უპირველესი!“
გიორგი. „იცოდე აქვე, შენს წინაშე გულს გავიგმირავ
და შენც სიცოცხლეს მოგისწრაფებ ამავე მახვილით,
თუ უარს მტყუცი!

ასმათი. „გზა მიტიე! მახვილს არ ვუყრთო!
შენ შეგიძლია ამომკვეთო მკერდიდან გული,
ვერ ჩამისახავ სიყვარულს კი გულში მცირედსაც“.
გიორგი. „მამ შევედრე შენს ღმერთს, ზეცას ალაყარ თვალნი,
უკანასკნელად მიმოხედე ზმ შენს გარემოს,
აღმართე ხელნი სალოცავად... მოინანიე,
მოინანიე, საცოდავო, შენი ცოდებნი“.

(თითქოს ხმალი იშიშვლა, წინ წამოიჭრება სიკო).

სიკო. „ჩააგე ხმალი!“
გიორგი. „სიკვიდის ეძებ?“
სიკო. „ვიპოვე კიდეც“.
გიორგი. „ეგებ გგონია, შევიბრალებ შენს გამო შენს ქალს?“
სიკო. „არც ვინღა ითხოვს შებრალებას შენგან“...
გიორგი. „საქმი ვინ ვარ?“
სიკო. „შენ უკეთ იცი“.
გიორგი. „ბერიკაცო, მსურს შენა თქვა!“
სიკო. „შენ ხარ სატანა, უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!“

(სიკოს თამაში ყალბია, რეჟისორი ნერვიულობს, მოთმინებას ჰკარგავს).

რეჟისორი. არა, არ ვარგა! „უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!“

ხაზი გაუსვი „უწმინდურის!..“ ზიზღით უთხარი.

სიკო. „შენ ხარ სატანა, უწმინდურის თესლი ხარ, ბილწო!“

გიორგი. „შებრებს პატივს ვდებთ, ვიდრე გონზე სრულად არიან“.

სიკო. „ქალს გზად უხვდები ურჩხულივით და ხმლით აშინებ,
სიკვდილის კართან ათამაშებ“.

რეჟისორი. „სიკვდილის კართან!

ქალს გზად უხვდები ურჩხულივით და ხმლით აშინებ, —

შენ ხარ სატანა, შენ რაინდად არ გაჩენილხარ, —

უმწურო ქალი მოიმწყვდევ, ხმალს ატრიალებ... —

თანაც სიყვარულს ეფიცები!... გაიმეორეთ.

სიკო. „ქალს გზად უხვდები ურჩხულივით და ხმლით აშინებ,
სიკვდილის კართან ათამაშებ“...

გიორგი. „რადგან სიყვარულს“...

სიკო. „სიყვარულს მტრისას ვით შეიძლებს გული კეთილი!“

გიორგი. „მერე ვინა თქვა — ბოროტი ვარ და კაცთმოძულე?

შენ დამიმტკიცებ? შეგიბრალებ... შენი ოჯახი

გადავარჩინე აოხრებას, აწიოკებას,

შვილს და მამასაც მე სიცოცხლე შეგინარჩუნეთ,

ეს არის ჩემი ბოროტება?“

ასმათი. „მხოლოდ იმიტომ,

რომ უფრო მკაცრად დაგვიმონო და გავვაწამო“.

სიკო. „ყურში მიწივის სახლიკაცთა გმინვა და კენესა“.

გიორგი. „რომ მოგვეთათ ეს ყურები, ვერ მოისმენდი... —

წადით, გამშორდით. (ასმათს) შემინდვია, მხოლოდ შენს გამო.

უნებც იცოდე — შენ უჩემოდ აღარ გაცოცხლებ!“

ასმათი და სიკო მიდიან. რეჟისორი სიკოს მოაბრუნებს.

რეჟისორი. მართალი კაცი დამნაშავეს ნაბიჯს მიადგამ.

აბა შემხედე!

(გაივლის სიკოს ნაბიჯებით)

დამარცხე შენ ის სიმართლით!

განა დაგინდობს? დაგადევნებს თავის დამქაშებს... —

წუთით ქალიშვილს მოაჩვენა თავი რაინდად. —

არ შეგიბრალებს ბერიკაცს და შენს ქალს წარგტაცებს!

ჰოდა, ამგვარად გამხეცვებულ ურჩხულის თვალწინ

უნდა თამამად გაიარო! შენ შენს სახლში ხარ,

თამამად წარსდგი ნაბიჯები (გაივლის). აბა, ახლა შენ.

(სიკო ცდილობს მიბაძოს რეჟისორს, მაგრამ ვერ ასერხებს)

ზევანი. მტერი არ არის — სიკომ ასე ვერ გაიაროს...

რეჟისორი. არა, არ ვარგა! ვიდრე კარგად არ შევისწავლიო,

არსად არ წაგაღო. აბა, თავიდან...

(სინათლე ჰქრება. ნათდება ქალე ბის საბიირფარეშო. ასმათი
სარკესთან ტრიალებს და გრიმს ისწორებს. „სკენაზე“ წარმოდგენა მიდის).

ასმათი. თვალებს რომ ასე შევანათებ, ნუთუ არ იგრძნობს,

გულში რა ცეცხლი მიტრიალებს და გიტარჯები?

ნუთუ იმდენად მსახიობობს, რომ ყოველივეს

გულის გარეშე წარმოსახავს?... ცუდი ფერი მაქვს,

ბრინჯაოსფერი უნდა ვიყო! — ეს კი ჭანგია...

... ახლოს რომ ვეკვრი, ვგრძნობ ცახცახებს, თვალსაც მილულავს...

თითქოს ჩურჩულით მეუბნება — მე შენს თვალებში

რადაც სხვანაირ ელვარების ვამჩნევ ნაპერწკალს, —

და მეც მიყვარხარ. შემომხედე, განა არა გრძნობ?

მაგრამ ამაოდ... მოჩვენება არის ნამდვილი —

თვედება სცენა და ნელდება მასში ყოველი
ისევ დინჯია და საოცრად გულჩახვეული...
გცდი ერთხელ კიდევ... მოკრძალებით ხელს რომ შენახებს...

(შემოდის გაბრაზებული რუსუდანი, კარს მიაჯახუნებს. ქოლგას კუთხეში მიაგდებს)

რუსუდანი. როცა მყრალ ბალახს აკისრებენ როლს ყვაილისას,
არ გამოდგება არც ბალახად და არც ყვაილად!
ასმათი. (ირონიულად) ვინ გაგარისხა? ვინ გაბედა?

რუსუდანი. შენმა გიორგიმ!
ერთს გამოგხედავს და სიცოცხლეს გამოვითავებს...
ხელს რად აქნევთო წარამარა, ხმას იწვრილებთო...
ვინლა მიგღია... თავს მიხედოს. ბაღლი... უვიცი!

ასმათი. მაინც რა მოხდა?
რუსუდანი. მედიდურობს, ფილოსოფოსობს:
ამ პიესაში მწერალიო ამას ამბობსო,
ეს გმირი კვდება ფიზიკურად, მაგრამ აზრები —
აზრები მისი იმარჯვებენ და ამის გამო
სიკვდილი მისი არ ნიშნავს მის დამარცხებას...
საოცარია, — თითქოს გვერდით ეჯდა მწერალი
და უთანხმებდა თავის აზრებს ამ მეტიჩარას...

ასმათი. რატომ იკადრებთ, მეტიჩარა არ არის იგი!
რუსუდანი. ტყუილად იცავ! თუ გგონია გულით უყვარხარ...

ასმათი. მე ვეფიცები მას საყვარულს... მე მიყვარს იგი!
რუსუდანი. ფარისევლობა შენს გიორგის არ ეძნელება;
მე რას მიმალავ! შენი ქებით ყური წაიღო
და განგებ სჩადის — შენი თავი მანამ სჭირდება,
ვიდრე ჩამოვა ოდესიდან მისი მეუღლე!
სახელიც ვიცი, მისამართიც... სახელი გითხრა?

ასმათი. ნუ თუ ასეა?
რუსუდანი. აკვირინა ერქვა უთუოდ.
რომანტიკოსმა შეუცკალა სახელი ანად!
და სწერს ის ანა: „ოდესიდან რაც შენ წახვედი,
მე იმის შემდეგ ნათელი დღე არ მღირსებია;
მუდამდღე ცრემლი, ღამღამობით ავი სიზმრები, —
არ შემიძლია უშენობა... ლამის გავგიჟდე!“
ჭერე, როგორც სწერს — გარდაცვლია მოხუცი დედა, —
ალბათ მრეცხავი იქნებოდა ის საცოდავი...
ეს ყიამყრალი ქუჩა-ქუჩა დაეთეროდა,
ვინმე ქუჩის ქალს აედევნა და როგორც რაინდს
შეეფერება — სიყვარული შეჰფიცა კიდევ;
და მოისწრაფვის თბილისისკენ მრეცხავის გოგო!

ასმათი. ნუ თუ ასეა?
რუსუდანი. ასე გახლავთ! ის ბარათები
აი აქა მაქვს შენახული... თუ გსურს, მოგართმევ
სცენარიუსი. (კარებში გამოჩნდება ანა).
ასმათ, სცენაზე. (ასმათი ვადის. ანას)
წარმოდგენა რომ დამთავრდება,
მე აქ მოვიყვან, დაიხვენეთ, აი ადგილი.
(ანა შემოდის საპირფარეოში).

რუსუდანი. სასაცილოა... თუმცა ჩვენ გვხდის ის სასაცილოდ,
თვითონ კი ბრძენად დაბრძანდება და მედიდურობს.
ანა. (თავისთვის) ნეტავ ვინ არის აქ ასეთი?
რუსუდანი. (ანას შეათვალიერებს. ჩანს მოეწონა, მაინც უკმეხად) თქვენ ვინ ბრძანდებით?
ანა. მე? როგორ გითხრათ...
რუსუდანი. როგორც არის, ისე მითხარით.

ანა. (თქმა უძნელდება) მე?.. მსახიობის მეუღლე ვარ...

რუსუდანი. მაინც რომელის? (ისმის გ ი ო რ გ ი ს ხმა — „ბრმა ცყოფილიყავ, უენი ხილვა თვალს ამიხელდა, უგულის — გული ჩამედგმოდა“...).

ანა. ის არის! ჰოი, გიორგია! მესმის მისი ხმა —

თავისთავადი, გაქვაცური, ალაღმართალი...

ასეთ ხმას ერთხელ რომ მოისმენ, მერე არასდროს

არ გავიწყდება, ყურთასმენას აღარ შორდება —

ის გულში შედის, თითქოს გული ქლერს და ბუზუნებს...

... მახსოვს „ლალატი“... ანანიას ბედზე ჩიოდა...

და ხალხშიც ისე წარმოთქვამდა ფრაზას და სიტყვას,

როგორც ნამდვილად ლაპარაკობს ჩვენი გლეხკაცი...

... ერთხელ უცერად შემომესმა უცხო ძახილი —

„აი, მოვედი მასპინძელო, კარი გამიღე!“

ხმა ვერ ვიცანი! და კარებში გიორგი იდგა:

„— აი, ამ ხმაზე ლაპარაკობს ის ანანია —

სევდანარეად, ხორკლიანად, იმედინად —

დაიმახსოვრე და ხმა თუ კი გამოვიცვალო

შემომიტიე, შემომძახე — ის გლეხი არ ხარ!

არა, არა ხარ ანანია, გესმის, არა ხარ!“

რუსუდანი. უცნაურია მამაკაცი! ერთხელ არ უთქვამს არამც თუ ცოლი... გიორგია თქვენი მეუღლე?

(ანა გამოერკვევა, უხერხულობას იგრძნობს)

ასეა, არა? მერამდნე ცოლი ბრძანდებით?

მან ოდესაში თუ მიიღო მუსულმანობა!

გასაგებია... — მუსულმანებს რჯული ნებას რთავს

მრავალი ცოლი იყოლიოს...

ანა. მრავალი ცოლი?

რუსუდანი. ერთი მეუღლე გიორგისა აქ, ჩვენთან ვახლავთ...

ანა. ხომ არ გეშლებათ, ქალბატონო, მისი მეუღლე?

რუსუდანი. სცენაზე ერთად... ცხოვრებაშიც ერთად არიან...

სხვა რაღა არის (დაცინვით), ქალბატონო, კიდევ ცოლქმრობა?

აი ახლავე მობრძანდება მისი მეუღლე,

თქვენ ის შემოგხვდათ ამ კარებში...

ხმა. დროა, სცენაზე.

ანა. (დაბნეულად) გთხოვთ მას არ უთხრათ, რომ აქა ვარ...

რუსუდანი. მე მას ხმას არ ვცემ! (გადის).

ანა. ნუთუ მოგტყუედი? უკულმართმა ბედმა დამცინა?

სინათლე ჰქრება. ნათდება მ ა მ ა კ ა ც თ ა ს ა პ ი რ ფ ა რ ე შ ო ოდნავ გამოღე-
ბულ კარებთან დგას გ ი ო რ გ ი. სცენიდან აღწევს ს ი კ ო ს ხ მ ა — „თქვენ ვერ შეიძ-
ლებთ დაიმონოთ ჩემი სამშობლო“... გიორგი კარს მიხურავს.

გიორგი. ისე წარმოთქვამს ალალ სიტყვას თავის გმირისას,
თითქოს გარედან იყოს ეს ხმა გამოხმობილი,
თითქოს ცალკეა კაცის გული, ხმა კიდევ ცალკე...
ვერ ვერწმუნები! არასოდეს მე არ მსმენია,
არადღე გლეხკაცს სიტყვა ეთქვას აგრე უსახოდ!
ის შინაგანად ლაპარაკობს... ის ღელავს, როცა
ამაღლევებელ ამბავს აცნობს თავის მეგობრებს;
იცინის, როცა სასაცილო ამბავს უყვება...
თვალგაშეშებულს რომ იხილავ გლეხკაცს, მაშინა
იმიხი გულიც ესიტყვება თვალს გაშეშებულს!
ჯერ გული იგრძნობს წუხილსა და მერე თვალეში
გამოსახავენ ზედმიწევნით გულის წუხილსა...

(ისმის სიკოს ხმა:
„რატომ ჩემულობთ ძალადობას, ბერიკაცი ვარ“)

კისერში სხვისი ყელი უდგას, თვალებიც სხვისი
უბრიალებენ... მაყურებელს აშინებს თითქოს...
განა ეს არის სახიობა? ეს უნდა ვიყვეთ?

შემოდის ბეჟანი. კედელზე ჩამოკიდებულ პიჯაკის ჯიბეებს ქეჩავს, ჩანს ვერ-
იპოვა, რასაც ეძებდა. ნერვიულობს, სცენიდან კვლავ ისმის სიკოს ხმა: „ჩემი შვი-
ლია ერთადერთი, ჩემი იმედი“.

გიორგი. გლესს შეილს უკლავენ! გამწარებულ გლეხკაცს ქოლავენ.
შზად არის გული შეახიოს ვერაგ მოსისხარს, —
ყოველი ნაკეთი სხეულისა უკრთის და რისხვით,
ნაპერწყლიანი გამოხედვით მტერს გულს უგმირავს...
... ეს კი გამდგარა მოშიშარი განზე და თითქოს
მტერს შებრალებას გამოსთხოვდეს ამ უკაცური
„არ ჰქნა, არა ჰკლას“ გამოთქმითა ავრე უსახოდ.
... ეჰ, მისთვის გაჰქრა ხალხის ლტოლვა თეატრისადმი,
რომ კომედიას ტრადედიად წარმოეუსახავთ,
ანდა პირუკუ — გმასხარაობთ სიკედლის კართან
და ტლინკებს ვისვრით, როცა თავში უნდა ვიკემდეთ...

ბეჟანი. პაპიროსი გაქვს? მომაწოდე.

გიორგი. ყოველთვის მასხრობ!

ბეჟანი. გაქვს პაპიროსი? გინდ მაგარი, გინდა მსუბუქი?

გიორგი. წუთით მაინც არ შეგიძლია, რომ არ იმასხრო?

ბეჟანი. მე ტრადიულად გეკითხები — გაქვს პაპიროსი?

(გიორგი აწვდის პაპიროსს. ბეჟანი მოუკიდებს, გააბოლებს)

იცოდე, როცა მწვევლს ესე შემოაკლდება —
აი ეს არის ტრადედია უსაშინლესი!
როცა იშოვის — კომედიად გარდაიქცევა...
შეხედე, როგორ ვათამაშებ!

გიორგი. ბრიყვულად მსჯელობ!

ბეჟანი. მე ჯერ პირაქეთ შემოგთხოვე — პაპიროსი გაქვს?

შენ ვერ გაიგე აზრიათ ჩენი მოთხოვნა;

მაშინ პირუკუ — შემოგძახე ომასხიანად —

გაქვს პაპიროსი? შენ გამიგე და მომაწოდე...

აი ხომ ხედავ, რომ პირუკუ საქმის კეთება

ხშირად სასურველ შედეგს აღწევს... თანაც იოლად!

ხმა. ბეჟან, სცენაზე!

ბეჟანი. უკვე მიხმობენ... პაპიროსი ვიშოვე, მაგრამ

მწოწვევა ვეღარ მოვახერხე — ასე, — პირუკუ!

პაპიროსს მოყრძალებით დებს საფერფლეში. გადის. შეუმჩნეველად შემოდის სიკო.

გიორგი. ...აი, ხომ ხედავ, რომ პირუკუ საქმის კეთება,

ხშირად სასურველ შედეგს აღწევს...

სიკო. ფილოსოფოსობ?

ფილოსოფოსო, უკვე დროა, სხვა გზა ვეძიოთ.

გიორგი. ეგებ...

სიკო. მომბეზრდა შენი რჩევა-ღარიგებანი!

მე გზას ვიპოვი! მეწვრილმანე გავხდები თუნდაც...

ღიას, ვიპოვი! ქუჩა-ქუჩა გავყიდი ასანთს!

ეს მირჩენია, ვიდრე ცივ და ცარიელ დარბაზს

ხმა შევლილი და ვიძახო „ხალხო, მისმინე!“

სად არის ხალხი? გვიტოვებო, სად არის ხალხი?

გიორგი. ბაღებში დადის... ქართულ კლუბში ბანქოს თამაშობს.

სიკო. თეატრშიც დადის... იტალიელ მომღერალს უსმენს!

გიორგი. ის კარგად მღერის.

სიკო. რაც ხალხს უყვარს, ის იმას მღერის.

მიტომაც აგრე ეტანება ხალხი ურიცხვად.

ჩვეს თეატრში კი საიოდუ კაცი პოკინობს!

შენ შემაღლები ტრიბუნაზე... ცარიელ დარბაზს

ოძახიაჲი აჲ.თ გაჲაჲი: „იალიო, მისიჲი!“

და მაშინ თვითონ დიდებული ეს სიტყვა „ხალხი“

პატარავდება, მსუბუქდება და ჩიავდება...

შემოდის ბ ე ქ ა ნ ი.

არ შემძლია მე ასანთი უნდა გავყიდო!

ბეჲანი. ჯერ მომიყიდე, მერე თუდაც გაასაჲუქრე. (გიორგის) შენი სცენა, გავიწყდება? რად იგვიანებ?

გიორგი გადას. ბეჲანი პაპიროსს იღებს საფერფლედან.

ვერ მოვახერხე — ერთი ღერი პაპიროსისა —

ბოლომდე ისე მოვიწელო, როგორც წესია...

სიკო. სხვა სატიკიარი, ბეჲანიკო, არ გაგაჩია?

ბეჲანი. უპირველესი სატიკიარი ჩემი ეს არის!

მეც ხომ კვამლი ვარ და კვამლს როცა გავყურებ ლაღად.

თითქოს სიღალე მემატება სულში და მჯერა —

როგორც ეს კვამლი მალლა-მალლა მიიწეეს რხევით,

მეც ასე მალე ავმადლდები...

აიკო. სასაფლაოზე!

მალე დაგმარხავთ კუკიაზე და რადგან მალლა,

მალლა მიიწეეს შენი სული — მომადლო ადგილს

გამოგინახავთ... და შენ ქალაქს...

ბეჲანი. დილის ბინდბუნდში,

სწორედ რიკაქზე ქალაქს ლაღად გადაეუქროლებ

და შეადაგვარი ჭიადლა ვერ შემომწყდება...

მე მალლა ვიფრენ!

სიკო. შენ იფრენ მალლა და მალლა,

ოღონდ მე დაბლა — ჭიადლუას ვისაც მეძახი —

სახრავი ჩემი დამიტოვე. არ მსურს შენსავით

კვამლად გადაექცე და ზეცაში ვიქროლო ლაღად...

ბეჲანი. შენ მლოდავი ხარ, მალლა ფრენას ფრთები სჭირდება...

სიკო. შენ და გიორგი, მჯერა, ერთად ახვალთ ზეცაში,

მე აქ დავჩრები თქვენი სულის მოსახსენებლად —

და ვიტყვი: იყუნენ საოცარი ტრადიკონები,

იწკოდნენ მთელის შთაგონებით... მერე დიწუნენ,

კვამლად გადაქცნენ... დედამიწამ მათ ვერ გაუგო,

ამაღლდნენ ცაში და ზეცაში მართავენ სპექტაკლს.

ოღონდ უფასოდ, ვით შეჲფერით ნამდვილ წმიდანებს...

შემოდის რ ე ქ ა ნ ი. სიკოს გამომცდელად შეაცქერდება, დაკეცილ გაზეთს მი-
გიდაზე დაადებს. ჰქრება სინათლე. ნათდება ქ ა ლ ე ბ ი ს სა პ ი რ ფ ა რ ე შ ო. და-
ბალ სკამზე თავიჩაინდრული ზის ა ნ ა. მის გვერდით, ოღნავ უკან, დგას ა ს მ ა თ ი.

ახმათი. აი ეს იყო... მე არ ვმალავ, რომ ის მიყვარდა!

და მიყვარს ახლაც... ასე უცებ ძნელია ჩემთვის

უარვეყო ჩემი სიყვარული! განა თქვენ შესძლებთ

გულიდან უცებ ამოიჭრათ არა თუ ტრფოზა,
 თუნდ სიძულელიც, რაც გვადაბლებს ადამიანებს?
 ... ამასაც ვიტყვი — რომ გიორგის ჩემს სიყვარულზე
 სიყვარულითვე ეპასუხა — მე გაგწირავდით,
 თუნდაც გამეგო, რომ აღრევე თქვენ ის გიყვარდათ!
 ... იტყვი — ბოროტი ყოფილხარო. მე მართალს გეტყვით —
 ამ ბოროტებას ჩავიდენდი, რადგან მე ისე,
 ისე ძლიერად შემეყვარდა, რომ უინისოდ
 არად მიღირდა გატანჯული ჩემი ცხოვრება...
 ... ის ცივად შემხვდა... მაგრამ გული არ გაგიტეხე,
 ვთქვი: ფიქრობს, ალბათ, გატაცება არის უბრალო,
 რაიც სჩვევიათ ქალიშვილებს... და მე მჯეროდა —
 როს დარწმუნდება, როგორ წრფელად და მთელის გულით
 მიყვარს... და მიყვარს არა მართო როგორც ვაკაკი,
 არამედ როგორც ხელოვანი... რომ გიორგია,
 ვისაც ვეძებდი გატაცებით... აი ვიპოვე
 და მხოლოდ მისით შევიქნები მე ბედნიერი —
 შემეყვარებდა... მაგრამ არა, არ მოხდა ასე!
 ამის მიზეზი თქვენ ყოფილხართ... ის მცირე შუქიც,
 ჩემს გულს რომ ოდნავ ანათებდა, სრულიად ჩააქრა!
 ის თქვენ წინაშე სუფთა არის, ალაღმართალი!
 დროა, წავიდეთ.

ანა. მისი ნახვა არ შემძლია!

ასმათი. ჩემთან წამოხვალთ. ყველაფერში რომ დაგარწმუნებთ,
 მერე მე თვითონ... მე წავიყვანთ თქვენს გიორგისთან!

ქრება სინათლე. ნათღება მამაკაცთა საპირფარეშო. მაგიდასთან ზის
 რეჟისორი, ოთახის ერთ კუთხეში ბეჟანი, მეორეში სიკო. ჩანს ბეჟანს დაუმ-
 თავრებია გაზეთის კითხვა.

ბეჟანი. ისიამოვნეთ, წაიკითხეთ, ბატონო სიკო.
 სიკო. არ ესაჭიროებ... რაც წერია. ისედაც ვიცი.
 რეჟისორი. ალბათ წინასწარ გითანხმებენ?
 სიკო. სწორად ვაზროვნებ!

აქ ყოფნის ნაცვლად რომ დარბაზში იჯდეთ, ბატონო,
 ღმჯობესია... ერთით მეტი მაყურებელიც
 დიდი საქმეა.. ტაშის დაკვრაც თქვენ სხვებზე უფრო...

ბეჟანი. ნეტავ სცენაზე ახერხებდნენ ასე ლაპარაკს!
 სიკო. ალექსებულად ვლაპარაკობ მე რეჟისორთან —

მას უკეთ ესმას მსახიობის გულისტკივილი...
 უპირველესად რეჟისორი გაიგებს ხოლმე,
 როგორი დრამა მოიპოვებს ხალხში სიყვარულს.

ბეჟანი. ხშირად არ იცის, იმ დრამაში ვინ ათამაშოს!
 სიკო. პირდაპირ პასუხს ერიდებით არავინ უწყის,
 ამ პიესაში ჩემს როლს როგორ ვითამაშებდი!
 რეჟისორი. მათ ალბათ ახსოვთ წინანდელი თქვენი თამაში...
 სიკო. მაღლობა უფალს, ამოშაქრეთ, ღირსი გამხადეთ!
 რეჟისორი. და ვნანობ კიდევ.
 სიკო. შეგიძლიათ უკან წაიღოთ...

მე სწორი სწორთან ვლაპარაკობ! არ ესაჭიროებ
 თქვენს მოწყალებას, დიდოსტატო... ცარიელ დარბაზს
 თქვენ გისახსოვრებთ! შეგიძლიათ კვებნით ამტკიცოთ —
 თქვენ თქვენის ნიჭით აამაღლეთ თეატრი დიდად
 და სიდიადეს თქვენსას ვეღარ შემოწვდა ხალხი...

ზმა. „ბეჟან, სცენაზე“. ბეჟანი და რეჟისორი გადიან. სიკო იღებს გაზეთს, ათვალეირებს, იღიმება, ფანქრით რამდენიმე ადგილს გახაზავს, გაშლილად დადებს მაგიდაზე და გადის. შემოდის გიორგი. დღელია. გრიმს უხალისოდ იწმენდს. დაინახავს გაზეთს, ათვალეირებს ნერვიულობს. ხმამაღლა კითხულობს.

გიორგი. „ისე გლეხურად დააბიჯებს სცენაზე, თითქოს აპეურიდან განოეხნას ეხლა ხარები“.

გაზეთს ხელიდან გაავდებს, მოწყვეტით ჯდება.

ნეტავ აქ იყოს ჩემი გული ეგებ დამშვიდდეს...
რალაც იოლად გადაიტანს ნაღველს ღიმილით,
მერე იმ ღიმილს მე გადმომცემს... ჩემი ნაღველიც
გაჰქრება საღაც და ნათელი მეჭრება სულში...
ეებს, შორს არის ჩემი ანა... იცოდეს მაინც
ვით იტანჯება უიმისოდ მისი ბესიკი.

ფ ა რ დ ა

მისამე მოქმედება

მისამე სურათი

ფარდის გახსნისას სცენაზე სიბნელეა. ანთებული სანთლით ზღში შემოდის მთხრობელი.

მთხრობელი. აი ეს გახლავთ ქართული კლუბი, ქალაქელთა თავშესაყარი. უპირველესი სტუმარნი ამ კლუბისა დიდი მოხელეები გახლავთ, ამათ თავი ისე უჭირავთ, თითქოს ხალხისთვის ზრუნვით იტანჯებიან, ნამდვილად კი ხალხის ტანჯვას და გულისწუბილს არად ავდებენ, დაცინიან გულში კიდევაც... მამულიშვილად მოაქვთ თავი და თუ დასჭირდათ, წარბშეუხრულად გაჰყიდიან თავის სამშობლოს. ამ მოხელეებს ჩრდილოვით ახლავთ მამუზღარნი და მლიქვნელები — ეს ავი ხალხი გზას იკაფავს ჭორჭორაობით, თავად ჩაიღენს ბოროტებას და მერე სხვას გადააბრალებს, რომ დაჰფაროს საკუთარი დანაშაული. ვაჭრები, მრეწველნი, ჭორიკანა ქალები, ბანქოს მოთამაშენი ისამხრებენ ამ კლუბში... და ჩვენი ხალხის სასახელი შვილებიც აქ იყრიან თავს.

დღეს ამ კლუბში განათლების მინისტრი ვახშამს უმართავს იტალიელ მომღერალ ქალს... კლუბის დიდ დარბაზში დიდი თადარიგია და ვიდრე სუფრა გაიშლებოდეს, შევიხედოთ კლუბის ოთახებში. (აქრობს სანთელს და უჩინარდება).

ვრცელი, ნათელი ოთახი. რბილი სავარძლები, კედელზე დიდი სარკე. პარასკევა სარკის წინ ტრიალებს, აგრაფინა სავარძელში ზის.

პარასკევა. იმ დაფეხვილ მკერავთან რომ მიმაგზავნე, შე ქალო,

ნეუქელი უკეთესი არ გეგულებოდა?

აგრაფინა. რავა, ცუდად კერავს თუ?

პარასკევა. ხომ ხედავ, რაც არის!

აგრაფინა. შენ არ ამოირჩიე ფასონი?

პარასკევა. მარტო ვინ მიმიშვა! წამოშვევა ჩემი ყაძახი: მკლავები ფართო იყოსო; მკერდი დახურული — არაფერი გამოსაჩენიაო შენი მკერდი; წელში გამოყვანილი არააო საჭირო — შენს ურემივით ტანს არ დაშენდებაო... დაუჯერა იმ შენმა მკერავმაც და ა, ტომარით დამკიდა კაბა; (აგრაფინას წინ დატრიალდება. მოულოდნელად შეჰკიფლებს და ჩაიკეცება).

აგრაფინა. რა დაგემართა, ქალო?

პარასკევა. მომკლა! მომკლა! ვაი დედა!

აგრაფინა. რამ მოგკლა, შე ქალო?

პარასკევა. ამ შეჩვენებულმა მახოლმა. გადატყაული მაქვს თითები.



აგრაფინა. (წამოაყენებს, კაბას აუკალთავს, ფეხებში უყურებს) ნამეტანი შემოსხებიცაა ფეხსაცმელები.

პარასკევა. (კენსით) ესეც ჩემი ყაბანის წყალობაა. ორი ნომრით ნაკლებ ფეხსაცმელს მიკერავს: მაღალ საზოგადოებაში ყველას პატარა ფეხები აქვსო, შენი სპილოს ფეხები რა გამოსაჩენიაო (ისევ შეპკვილებს). ღორის ტყავი უნდა იყოს ეს ოხერი, ხესავითაა. (სკვარძელში უღებდა).

აგრაფინა. კი მაგრამ ამაღამ როგორ გაძლებ?

პარასკევა. ო, ღმერთო ძლიერო, ერთი ფეხშიშველად გამარონიე ჩემს ეზოში და მერე მომკალი (ისტერიულად იცინის, როდის-როდისღა მოითქვამს სულს). ვარ, ჩემო აგრაფინა, წვეულებაში და... კირილემ დამაპტივა.

აგრაფინა. უჩემოდ?

პარასკევა. ა წელს, ზაფხულში, შენ ქალაქში არ იყავი მაშინ...

აგრაფინა. ჰოო.

პარასკევა. წაგვიყვანა თვით დუქანში, ვიღაცა უცხოელები ჰყავდა სტუმრად. გვერდით კავალერი მიზის...

აგრაფინა. ლონგინოზი?

პარასკევა. არა, შენ არ იცნობ!

აგრაფინა. ვინაა ასეთი?

პარასკევა. არა, ჯერ არ გეტყვი! ჩემს პირდაპირ ჩემი მეუღლეა გაჯგომული...

აგრაფინა. არ ეგვიანობდა?

პარასკევა. სად აქვს ეგვიანობის შინაო ტყუილად ფახიფუზობს... დამცადე, ქალო! ვზივარ და მომიჭირა ფეხსაცმელმა. მომიჭირა და მეც ავიდე და ჩუმაღ გავიხადე. ღმერთო დიდებულო, არ ამოვიუსუნთქე?!
აგრაფინა. ფეხშიშველი ზიხარ სუფრაზე?

პარასკევა. ვზივარ არხიანად და უცებ დამთავრდა ლხინი. წამოიშალნენ. ჩემი კავალერიც ადგა-დაუფართუე ფეხები, შენი თავი არ მომიცვდეს, არაა ჩემი ფეხსაცმელი! ვაგუჭობინე ცალი თვალით, არაა! ვიკადრე თავის შეყოფა მაკიდის ქვეშ. — არაა და არაა! მოკვდი ქალი. შეგვიღვე. ატყდა ჩოჩქოლი. გული შემიღონდა. მერე ეტლში მოკსულიერდი. ვიღაცის შაღლით მჭონდა ფეხები შეხვეული. თურმე შეჩვენებულ ძალს არ წაუღო ჩემი ღორისტყავის ფეხსაცმელები!

ისტერიულად იცინიან, მერე პარასკევა ისევ შეპკვილებს, ფეხებზე წაივლებს ხელს, სინათლე ჰქრება.

ნათდება მეორე ოთახი. კვამლის ბუდი დგას. წინა ბლანზე მრგვალ მაგიდას უსხედან ბანქოს მოთამაშენი. მათა საუბარი არ ისმის. მეორე, გრძელ მაგიდაზე ლოტოს თამაშობენ. დროგამოშვებით ისმის ძანლო: ოცდამედი—დვადცატ სემ! სამოცდა ორი—შესტდესიატ დეა! ორმოცდა ოთხი — სოროკ ჩეტირე! ცხრაშეტი — დევატნაცატ! ერთი მოთამაშე ხელს აწვევს და წამოიძახებს: არის პარტია!

ბანქოს მოთამაშეთა ჯგუფი: მაგიდის შუაგულში დახევეებულია ქაღალდის ფული. მებანკე ჩამოარიგებს ქაღალდს.

მებანკე. სტუკია, ბატონო!

მოთამაშე. მომეციო თქვენი ბანკი!

მებანკე. ბანკი? ბერიო! ნახევარი ინებეთ.

მოთამაშე. მაშინ... უთამაშოდ ნახევარი!

მებანკე. ვაფრთხილებთ, კარგი ქაღალდი მაქვს.

მოთამაშე. ნუ გვაშინებთ, ბატონო! მომეციო თქვენი ბანკი...

მებანკე. ინებეთ (აძლევს ქაღალდს. მოთამაშე დიდის სიფრთხილით ხსნის).

მოთამაშე. კიდევ ერთი ქაღალდი მიბოძეთ!

მებანკე. ინებეთ. (მოთამაშე ისევ დინჯად ხსნის).

მოთამაშე. კიდევ ერთი!

მებანკე. ინებეთ! ახლა კი ნამდვილად დაიწყით...

მოთამაშე ხელებს ნელ-ნელა წაიღებს დაბლა. მებანკე გაფაციცებით ადევნებს თვალს და დაინახავს, როგორ დააგდო მოთამაშემ ერთი ქაღალდი იატაკზე, მებანკე წამოხტება და შეპკვირებს: ქულიკობას თავი გაანებეთ! მოთამაშე იფეთქებს. ყველანი წამოიშლებიან. ჩოჩქოლი. სინათლე ჰქრება.

ნათლება მე ს ა მ ე ოთახი. კედლების გასწვრივ სავარძლებში ახალგაზრდები სხედან. მხოლოდ ერთი ახალგაზრდა დგას ფეხზე და დაბალი ხმით კითხულობს ლექსს.

ახალგაზრდა. ბევრი ვეფხვი გაუზრდია ქართველ დედას,
რაინდები, ვაჟკაცები უშიშარი —
სამშობლოს ძლიერების დარაჯებად!
ციხის კარი — თვითონ დედის გულში არი, —
იგი ქედდა მტრის ურდოზე გამარჯვებას...
უკვდავების შუქი მოსავს ქართველ დედას!
წყვლიადს ჰკვეთდა, ბნელში შუქად ბრღვეილებდა,
გულს აჰდია საქართველოს იარები...
ხეილს რგავდა, ნასახლარზე აშენებდა
და მანდილით მოსისხარებს აშელებდა —
უკვდავება დაემკვიდრა ქართველ დედას!
აკაცობას იაენანის ხმაში ჰზარავს,
გვიგალობდა — კაცურ კაცად ქვეყნად გვევლო...
მარტო ერთი რუსთაველი გაეზარდა —
უკვდავებას ვინ წაართმევს საქართველოს! (სინათლე ქრება).

მთხრობელის ხმა. დიდ დარბაზში უკვე თავი მოუყრია საზოგადოებას და მოუთმენლად ელის სტუმრის მობრძანებას. ჩვენც ვეწვიოთ ამ დარბაზს.

ნათლება კლუბის დიდი დარბაზი. დარბაზს რამდენიმე კარი აქვს. მეორე ოთახში ხანგა-მოშვებით ნელა უტრავს საექსტრადო ორკესტრი. დარბაზში თანდათან შემოდიან სტუმრები. შეკრებილი ჯგუფ-ჯგუფად დგანან და საუბრობენ. ყველა მამაკაცს ფრაკი აცვია, ხოლო დორითეს — იისფერი ჩოხა თეთრი ახალუხით.

ფლორენცია. ეს იტალია ხმების საწყობია პირდაპირ.

დორითე. ფიგურალური გამოთქმაა, ქალბატონო.

ლეილა. ქე ენ მაგაზენ დე ვუა ლირიკ!

დორითე. რომელ ენაზე გალობთ, სულიკო?

ლეილა, ფრანგულად.

დორითე. გადმომიქართულეთ, სულიკო.

ლეილა. „ლირიული ხმების დიდი საწყობი“.

დორითე. ეცეც ფიგურალური გამოთქმაა, სულიკო.

ფლორენცია. მაღირსებს კი ოდესმე ჩემი ქმარი იტალიის ნახვას?

დორითე. ერთხელ კიოდე შემომამშუქეთ თქვენი თვალები, ქალბატონო ფლორენცია!

ფლორენცია. რამ გავაგიჟეთ, ბატონო დორითე, დღეს? (ყურს აუწევს და შეაცქერდება).

დორითე. მარტო ცალ თვალში გაქვთ იმდენი ეშხი, რომ მთელი მსოფლიოს ქალებს ეყოფათ, თუ თანაბრად გაუნაწილებთ. როგორ უძლებს თქვენი მეუღლე ამ თვალებს!..

ფლორენცია. ჩემი მეუღლე თვალებში არ მიყურებს მე!

დორითე. აბა სად? სად, ქალბატონო?

ფლორენცია. (ხარხარებს) ფეხებში...

დორითე. (შეათვალისწინებს) ოო, არ ჰქონია ცუდი გემოვნება!

ფლორენცია. (ისევ სიცილით) დიახ... და მიჩინებებს — სწორად გაადგი, ქალო, ფეხი, ვერა გრძნობ, რომ ფეხსაცმლის ქუსლი ცალ მხარეზე ილევას.

დორითე. შევარცხვინე მისი ვაჟკაცობა, ხარისტყავის ნაჭერი ენანება ღვთაებისათვის?

მათ მიუახლოვდებიან კ ი რ ი ლ ე და ი რ ო დ ი ო ნ ი.

კირილე. თავადი დორითე მუდამ აღგზნებულია...

დორითე. გვაქვს მიზეზი, ბატონო კაპიტალიზმო!

ირიდიონი. რომელი როტშილდი ჩვენ გენახეთ, ბატონო დორითე!

დორითე. თავს ნუ იკატუნებთ! თქვენ გავაძვრეთ ტყავი მშრომელებს...

ფლორენცია. (იცინის) ბატონი დორითე და მშრომელი! ისევ პოლიტიკა, ბატონო დორითე?

ირიდიონი. ჩვენს მთავრობას და თვადიშვილებს მარტო პოლიტიკა შერჩათ.

დორითე. ადგილ-მამული და სიმდიდრე თქვენ წარგეტაცეთ და...

კირილე. რატომ, ზემო იმერეთში კიდეც დაგრჩათ ვენახი.

დორთუ. თქვენი ჭირი წაიღო, გაყვიდე.

იროდიონი. ასე გაგჰყირდათ?

დორთუ. თქვენმა მეგობარმა დამარწმუნა — ხეალ-ზეგ ბოლშევიკები მოვლენ, მამულსაც წაგართმევენ და სულსაც ამოგზადიანო.

ფლორენცია. და თქვენ შეშინდით?

დორთუ. (დაბნეულად) არა... არა, შიში რა შუაშია, — რაღა იმათ წამართვან? შეშველი ხელე-ბით შევხედები პროლეტარიატს, ცარიელ-ტარიელი!

კირილე. და გიჰმოზს, შეგიაშხანაგებს?

დორთუ. თქვენ მაინც არ დაგაყრით ხვირს პროლეტარიატი! ახლა ფულით ურევიხართ ხალხში, პროლეტარიატს კი თქვენი ფული არ დაჰყირდება. შემოგძახებს: აბა, მარშ, მოუსვით აქედან!

იროდიონი. ჩვენი საქმე, ჩვენი ცოდნა გადაგვარჩენს.

დორთუ. ცოდნა! ხელოვნების დიდი მცოდნენი ბრძანდებით დღეს, მინისტრმა რომ ვახშამზე მოგიწვიათ! ერთი მიზრძანეთ — როკოკოს სტილი მოგწონთ თუ პუჩინის მუსიკა? ჰა, რომელი მოგწონთ? (ხარხარებს).

მეორე აქტი

ბარნაბა. არაა საჭირო ასეთი ტრაგედიის დატრიალება სცენაზე. თეატრში გასართობად მიდის ხალხი და არა სატირლად.

ბეჟანი. გართობა დაირითაც შეიძლება. დაუკარით და იცეკვეთ!

ბარნაბა. ჩვენ მაშინ ვერთობით, როცა სხვის ცეკვას ვუცქერით. ვიცით, ბატონო მსახიობო: გვეომებოდნენ და ვეომებოდით. სააკაძეც გვახსოვს და ერეკლეც... გადაგვაყოლეთ ახლა!

აქედან შეუერთდება დორთუ. მას თითქმის მთელი დარბაზი უსმენს.

დორთუ. ახალი ტიპის მგონებაც მოგვევლინენ, ბატონებო, ჰმ, ჰმ, ფილოსოფიური და გვიმტკიცებენ (ჯიბიდან იღებს ქაღალდს და კითხულობს)

„სიახლის მტკერი სახეს აღარ ამტვერიანებს, ეს ძველის ჭუჭყი მოგედება გულზე მანკივით“.

გადმოვთარგმნით ახლა ეს უბრალო მოკვადვის ენაზე: სახე რომ მურში შეჰყო, მაინც არ გამურთანდებო. ძველი დროის მტკერი მტვერია, ხოლო ახალი დროება რომ მოზრძანდება — იმისი მტკერი თვალთმარგალიტო... დასაჯერებელია ეს, ქალბატონო ფლორენცია? დასაჯერებელია?

ფლორენცია. ნამეტანს ლელავთ, ბატონო დორთუ...

დორთუ. ადელი შესაძლებელია გავგიჟდე კიდევ, აბა, ინებეთ (კითხულობს)

„თვალებს აცეცებს აბეზარი გაქსუბული — აღტაცებული უცხოური მოდის კაბებით“..

ეს, ბატონებო, უკვე ნამდვილი ლანძღვაა! მამ, გაქსუბული და აბეზარი ვარ მე: კოსტაკაბანი (ფლორენციას შეაცქერდება), სათნო, ჰაეროვნად ჩაცმული ქალი თუ მომეწონება? ამ ლექსის დამწერმა შეიყვაროს ჩემგებანი და მილიციის პაკონებით დამწვენებული ქალი, ღმერთმა შეარგოს! ისლანდია რომ ინგლისის კულტურას არ ზიარებოდა, ველური ქვეყანა იქნებოდა დღესაც (აქა-იქ გაისმის სიცილი)... დიახ, დიახ, მე ჭეშმარიტებას მოგახსენებთ, აქ საქირქილო არაფერია!

ფლორენცია. დამშვიდდით, ბატონო დორთუ, დამშვიდდით.

დორთუ. რად იგვიანებს ეს ოჯახაშენებელი! ვახშამად ვართ, ბატონო კირილე. მოწვეული, თუ ღამის სატეხად?

შემოდინ ანა, გიორგი, რეჟისორი, სიკო. მათ შეეგებება ბეჟანი. ფლორენცია თვალს არ აშორებს ანას.

დორთუ. (ფლორენციას. თითქმის ჩურჩულით)

ყოფნა... არ ყოფნა... საკითხავი აი ეს არის!
გატრადიკულდა მხიარული ჩვენი ვახშამი.

ფლორენცია. ის მეუღლეა? სიფრიფანა სახის პატრონი!
დოროთე. მეუღლე გახლავთ. ლოგინოვის ქალი ბრძანდება.
ფლორენცია. მერე და რატომ? საქართველოს ცოტა ჰყავს ქალი ბატონ გიორგის შესაფერი?
დოროთე. მაგას ნუ იტყვით!
ფლორენცია. ვითომ და რატომ?
დოროთე. საოცარი ქალი ბრძანდება,

სწორედ გმირობა ჩაიდინა, იმას რომ გაჰყვა...
აი გაგაცნობთ, უსათუოდ მოიხიბლებით!

ფლორენცია. „ქართველი ქალი! საქართველო!“ სულ გაიძახით.
უცხო ქალებით კი გაავსეთ ეს საქართველო...
დოროთე. ეშიშობ, მწყინოთ...
ფლორენცია. თქვენ უცნაურს იტყვით, თავადო.
დოროთე. ასე განსაჯეთ — დიდად უყვარს ჩვენი ქვეყანა

და უფრო ხიბლავს საქართველოს დიდი წარსული.
ჯერე ზოგიერთ მანდილოსანს, ქართველად შობილს!

ფლორენცია. ო, რა იოლად იტყუებთ თავს მამაკაცები!

საკმარისია უცხო ქალმა თქვას: „საკარტველო“
და თქვენ გგონიათ, დიდად უყვარს მას საქართველო.
ეებს, დოროთე, თქვენგან მაინც...

დოროთე. აი, ახლავე! (დოროთე ანას გააცნობს ფლორენციას. ანა, ლეილა და ფლორენცია გა-
ნაპირდებიან და ხმადაბლა საუბრობენ. დოროთე თვალს მოჰკრავს კართან მდგარ ლაქიას
და მისკენ გასწევს) მამულიშვილო, მომამეველ სწავლულება შენი და ცხონდება სული
მამიშენისა.

ლაქია. (გაუაერებული) რაშია, ბატონო დოროთე, საქმე?

დოროთე. გადამიტალიურე ორიოდე სიტყვა.

ლაქია. უკაცრავად, მე თარჯიშანი არ ვახლავართ.

დოროთე. ჯერ არ გაბატონებულა პრილეტარიატი და ასე იბღვირები? ოჰო, ჰო, როგორ დამი-
ცაცხანებ, ბოლშევიკები რომ მოვლენ... ასე უნდა უფროსის პატივისცენა? შენ გგონია,
ბოლშევიკები რომ წოვლენ, ლაქიებს, მეპურეებს, მეეტლეებს და მეკურტნიებს მინისტრე-
ბად დასვამენ! იმდენე ცხონდა მამიშენის სული! ჰაიტ, შე გლახაკო, თვალთ არ დამენახო
ვახშამზე, თორემ წიწილივით გაგგლეჯ, აი ასე! (ლაქია გულმოსული შორდება დოროთეს.
დოროთე ლეილას დაიმარტოხელებს) გადამიტალიურე, სულიკო, ორიოდე სიტყვა.

ლეილა. რად გჭირდებათ, ბატონო დოროთე?

დოროთე. იმ მომღერალ ქალს მინდა განათლებულ კაცად მოვეჩვენო.

ლეილა. იტალიური არ ვიცო.

დოროთე. თქვენ და ფლორენცია სულ იტალიაზე კი ლაპარაკობთ.

ლეილა. ფრანგულად მოახსენეთ, მან ჩინებულად იცის ფრანგული.

დოროთე. ფრანგულად იყოს, სულიკო, ფრანგულად. აბა, გადამიტარებნე — მე უცოლო თავადი
ვახლავართ“.

ლეილა. ვე სუი ენ პრენს სოლიტერი!

დოროთე. (ქაღალდს და ფანქარს იმარჯუებს) უნდა დავწერო სულიკო, მიკარანახე... ვე სუი... ენ...

ლაქია. (გამოჩნდება კარებში. ხმამაღლა) ბატონებო, მინისტრი მობრძანდება.

მინისტრს შემოჰყავს იტალიელი მომღერალი ქალი. დარბაზში შეკრე-
ბილთ მინისტრი რიკრიკობით წარუდგენს სტუმარს. ქალები მას რვეერანსით ესალმებიან,
მამაკაცები კი ხელზე კოცნიან.

მინისტრი, წარუდგენს ი რო დიონს და კირილეს) ჩვენი მრეწველნი, ხელოვნების მგზნებარე



მეცნატები, დიდად მოხიბლული თქვენი ჯადოქრული სიმღერით. ამათ უყვართ მუსიკა და დროით. განსაკუთრებით სიმფონიური მუსიკა (საერთო ჩუმი სიცილი).

მინისტრი. დიხ, ესენი იყვენ პაროზის, რომის, ვენის, ბერლინის თეატრებში და სურთ თბილის-შიაც შექმნან ასეთი. მერწმუნეთ, მათი სურვილი განხორციელდება!

მომლ. ქალი. აუცილებლად, აუცილებლად. თქვენ ჩინებული მომღერლები გყავთ...

მინისტრი. ქალბატონი ფლორენცია, მეუღლე ბატონ კირილესი, თქვენი ყველა კონცერტის მუდმივი მსმენელი.

ფლორენცია. გაზოვთ დაუმატოთ — აღფრთოვანებული მსმენელი!

დროით. დიხ, დიხ, როცა თქვენ სიყვარულის სიმღერას მღერით, ქალბატონი ფლორენცია ცრემლად იღვრება, — სახალგაზრდავეს ნატრობს... არა, თუმცა ჯერჯერობით...

ფლორენცია. ბატონო დროითე! ბატონო დროითე...

მინისტრი. ეს ჩვენი საამაყო ქალიშვილი, — იგი უკვე სამოდ მღერის, მას წელსვე მოგაგელებთ იტალიაში და მჯერა, თქვენის შემწეობით დაოსტატებული დავიბრუნდება.

მომლ. ქალი. აუცილებლად, აუცილებლად, სინიორ მინისტრო!

მინისტრი. რუსეთის ასული, ჩვენი რძალი, მეუღლე ჩვენი ჩი... (გიორგის გადახედავს) ჩინებული მსახიობისა... ფრიალ განსწავლული მუსიკაში.

მომლ. ქალი. სსსაამიონა, დიდად სასაამიონა...

მინისტრი. ეს რაინდი კი თვითონვე გაცნობთ თავის თავს: საქართველოს ბრწყინვალე თავადი, გონებამანვილი და მუდამ მზიარული, ტრფიალი და ოცნება თავისუფალ საქართველოსი, ბატონი დროითე!

დროით. (თავისთვის) ეს „ო“ რა ჯანდაბაა: (მომღერალ ქალს ნაწყვეტ-ნაწყვეტად) ეე სუი ენ... პრენს... სოლიტრ! (საერთო ხარხარი).

მომლ. ქალი. ოო, ეს დანაშაულია, დიდი დანაშაული! ამდენ ხანს როგორ მოითმინეთ უოჯახობა? დროით. საქართველოს ქალები მწუნობენ, სინიორინა, ეგებ იტალიამ გამიღიოს!

მომლ. ქალი. აუცილებლად, აუცილებლად, სინიორ დროითე.

დროით. (თავისთვის) ვატყობ, ეს „ო“ ჩოხის კალთაზე მომეკერა.

მინისტრი. აი ჩვენი ხელოვანიც. მსახიობები, რეჟისორი.

მომლ. ქალი. ოო, მოხარული ვარ, მღერიან, არა?

დროით. არა, სინიორინა, ესენი ტრადოს-ტრადიკოს-ტრადელია! ტირიან, სინიორინა.

მინისტრი. ამათ ასლოს სუფრაზე გაიცნობთ, სინიორინა, ჩვენი მასპინძლები ესენი გასლავთ... სამწუნაროდ, მათ შორის...

გიორგი. სამწუნაროდ, ბატონი მინისტრი ახლო არ გვიცნობს!

რეჟისორი. გიორგი, გავიწყდება სად იმყოფები?

მინისტრი. (თითქოს არ გაუკონაა გიორგის სიტყვები. ხმამალა) ჩვენს სანეტარო სტუმარს ნუ მოვაწყენთ. იტალიასა და საქართველოში მოწყენა არ შეიძლება, ვიმზიაროლოთ... (უკრავს ორგესტრი. ისმის ქალის სიმღერა)

დავშორდით. — გემი მოსცილდა ნაპირს,
გააპო ტალღა — ლურჯი ყამირი;
ვარდი ამკობდა ქათქათა აპრილს
და ყვავილები ნაირ-ნაირი.

დავშორდით, ბედად არ გავხდით დიდხანს
ერთად ყოფნის და აღურსის ღირსი...
მან საყვედური თუმცა არ მითბრა,
მსაყვედურობდნენ თვალები მისი!

მინდოდა მეტქვა, მაგრამ იმჯერად
ერთ გულთბილ სიტყვას ვერ მივაგენი...
რასაც თვალები იტყვის პირველად,
მას გამოთქვამენ შემდეგ ბაგენი.

სიმღერის დროს დარბაზში მყოფნი სეირნობენ და ხმადაბლა საუბრობენ. მინისტრი და ქალები ქმნიან ერთ ჯგუფს, სამინისტროს მოხელე ბარნაბა და მსახიობები—მეორეს.

ბარნაბა. სამინისტროს არ შეუძლია უმიზნოდ თანხების ხარჯვა.
რეჟისორი. მშობლიური თეატრისათვის დახმარების გაწევა რატომ მიგაჩნიათ უმიზნოდ?

ბარნაბა. მშობლიური თეატრი ხალხის გემოვნებას უნდა უწევდეს ანგარიშს.
რეჟისორი. ხალხი!..

ბარნაბა. უკაცრავად, თქვენთვის ხალხი მხოლოდ მუშაა, ხელოსანი, მკურტნე. და მეწერილმანე!
თქვენ ინტელიგენციას ხალხად არ თვლით და მიტომ ღაფავს თქვენი თეატრი სულს...
დიახ, არისტოკრატია არისტოკრატიაა, ბატონო რეჟისორო, მთავარი ძარღვი თეატრისა!
რეჟისორი. სამწუხაროდ, „დღევანდელი ჩვენი არისტოკრატისათვის თეატრი, ლიტერატურა, სამ-
შობლო — სულ ცარიელი ფლასტი-ფლუსტებია და მეტი არაფერი!“

ბარნაბა. როგორ ბედავთ?

რეჟისორი. ამას აკაკი წერეთელი მოგახსენებთ, მამულიშვილო!

ბარნაბა. აკაკი წერეთელი! დიდებული მგოსანი იყო ცხოვრებული, მაგრამ ენამწარე და ღვარძლი-
ნი... სამწუხაროდ, ზოგჯერ ცდებოდა თქვენი აკაკი წერეთელი!

ბეჟანი. შესაძლოა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცამდე მართალია.

ბარნაბა. იყოს მართალი აკაკი წერეთელი! მეც მართალს მოგახსენებთ — თქვენი თეატრისათვის
სამინისტრო ფულს ვერ გაიღებს.

ბეჟანი. უარის თქმაში მაგარი ბრძანდებით, მამულიშვილო!

ბარნაბა. თქვენი თავი აიკდეთ სასაცილოდ. გამოჩნდებიან ხელოვანი, რომელნიც ჩვენი არისტო-
კრატის გემოვნებას გაუწევენ ანგარიშს. როგორმე უთქვენოდ მოვაგვარებთ ამ საქმეს.

ამ ჯგუფს მიუახლოვდება დოროთე.

ბეჟანი. ჩვენი მინისტრი უცხოელი მომღერლების ყველა კონცერტს ესწრება და... ვახშმებისათვის
საკმაოდ დიდ თანხას ხარჯავს...

დოროთე. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით ზრდილობა არ დაუკარგავს ჩვენს მინისტრს!

ბეჟანი. ქართული თეატრში რომ ფეხი არ შემოუღვამს?

რეჟისორი. ეს დიდი ზრდილობაა არა, ბატონო დოროთე?

დოროთე. არა, არა! ეს მოუცვლელობის ბრალაა, ბატონებო, გადატვირთულია ჩვენი მინისტრი!

მ ე ო რ ე ჯ გ უ ფ ი

მომღ. ქალი. არ შეიძლება ქართული თეატრის წარმოდგენა მანახით?

მინისტრი. შეძლებით როგორ არ შეიძლება, მაგრამ არ გირჩევთ.

მომღ. ქალი. მაინც რატომ?

მინისტრი. არა მგონია სასიამოვნო გამოდგეს.

მომღ. ქალი. პირიქით, სინიორ, ჩვენ, მომღერლებს, მოხერხებული გვაქვს ოპერა და კონცერტების
მოსმენა. მე მინდა ვნახო ქართული დრამა. აი, სინიორას (ანაზე უთითებს) მეუღლე და-
გვეხმარება.

მინისტრი. დე, აღსრულდეს თქვენი სურვილი; ოღონდ წინასწარ გაფრთხილებთ — უკაცყოფილო
ღარჩებით.

გიორგი. ქალბატონი თვითონვე გასწავის, ბატონო მინისტრო, წინასწარ ასე რატომ გვამცირებთ?
მინისტრი. ვიცი მისი გემოვნება! რას უჩვენებთ თქვენ? როგორ ვებრძოდით წარსულში ირანს,
თურქეთს. მერე რუსეთს როგორ შეაკავშირა ერეკლემ საქართველო, ომები, სისხლისღვრა...
კვლავფერი ეს წარსულს ჩაბარდა! ამიერიდან საქართველო თავისუფალ ევროპას ეძმობ,
ამიერიდან საქართველოში მხოლოდ მონადირის თოფი თუ გავარდება! ტყუილად ოცნე-
ვობთ, პატივცემულო ხელოვანო — რაც რუსეთში მოხდა, ის საქართველოში არ განმეორ-
დება! საქართველო თავისი გზით მიდის... თქვენ კი თქვენი წარმოდგენებით ისევ ბრძოლის-
კენ მოუწოდებთ ხალხს! უნდა მოგახსენოთ, ბატონებო, რომ დიდი ტრაგედიისათვის პა-
ტარაა ჩვენი ქვეყანა.

გიორგი. სტყუით! პატარა არასოდეს ის არ ყოფილა!

თვით მაშინ, როცა მარცხდებოდა, იყო დიადი.

როგორ შეჰკადრებთ საქართველოს გამოტანჯულ ხალხს —

პატარააო ზისხლმორწყული მისი ქვეყანა!

ანა. გიორგი!

რეჟისორი. კმარა! დაარღვიე ჩვენი პირობა?

გიორგი. არ შემიძლია, ლამის გული ამომივიარდეს...

(მინისტრს) თქვენ დაბლა-დაბლა ღოღილი გიყვართ... ცხადია...
მის სილიადეს ვერასოდეს ველარ შესწვდებით!

ანა. გიორგი, გემის რას ჩადიხარ?

გიორგი. დიხხაც მენმის!

(მინისტრს) ელაქუცებით დასავლეთის ყველა ქვეყანას,
ქართველი ხალხი მონობაში რომ იყოლიოთ —
მიტომ არა ვსურთ ჩვენს თეატრში სიმართლე პქუხდეს!
გვიჩვეთ ვიძახხროთ, დავაღუნვოთ ხალხის გონება —
ფეხი დავადგათ ვაყას, ყაზბუგს, დიად ილიას...
დღეს წერეთელიც შეგვიგინა თქვენმა მოხელემ!
მას ტენის ნაცვლად ნავაგი აქვს თავში ნამდვილად!

ბარნაბა. თქვენ პასუხს ავებთ!

გიორგი. დიხმალეთ, გირჩევთ, ბატონო.

რადგან სირცხვილი არ გაწითლებთ და ურცხვად დგხართ!
მინისტრი. (რეჟისორს) ჯანა ამისთვის მოგიწიეთ? არ მოველოდი!

გიორგი. ვიცით, რომ განგებ მოგიწიეთ... თითქოს გვაფასებთ,

ხოლო ჩუმ-ჩუმად ათასნაირ ხრიკებს მიმართავთ —
კარი მიუგდოთ ქართულ თეატრს, ქართველ მსახიობს,
რადგან სიმართლეს წარმოსახავს დღევანდელ დღისას...

თქვენს ხელში არის გაწეები და უსირცხვილოდ
გათახხირეთ ხალხის თვალში ჩვენი თეატრი.

თვით არ გვკადრულობთ... ემისრებს კი ბლომად გვიგზავნით,
ჩვენ იმათ ვამჩნევთ, უსირცხვილოდ ხალხში მიმალულთ, —
იმახვილებენ ყურთასმენას ვაგბატონები,

როცა სცენაზე წარმოსდგება გლები ან მუსა,

და იმათ სიტყვას როგორ შეხვდა მაყურებელი,

იმავე ღამეს დაწვრილებით მოგახსენებენ..

დიახ, ეს ვიცით! ისიც ვიცით, რომ თქვენი ღვაწლით

ქართულ თეატრში სტუმარია ქართული დასი!

დრამა აკრძალეთ, გზა დაუთმეთ ფარსს და ვოდევებს,

ქურდბაცების, კაცისმკვლელობა, ნაძირალების,

როსკობ ქალების ავხორცობას გინდათ უცქიროთ:

ბანდიტს მდიდარი ქალი როგორ შეუყვარდება,

მერე სიმდიდრე ხელთ რომ იგდოს იმ გარეწარმა,

ცოლს საწოლშივე გამოადრჩობს საკუთარ ხელით, —

აი ეს გინდათ! ამას ეტრფით! აი თქვენი გზა!

საუბედუროდ, თქვენს ხელთ არის თეატრის ბედი,

მაგრამ იცოდეთ, მინისტრობა ცოდნას არ ნიშნავს; —

უსწორო გზაზე ხელოვანი არ ვაგყვებიან!..

მე თვით უარყოფ ასეთ თეატრს... მე ხალხში წავალ,

ბატარა ტალღად შევერევი ხალხის მდინარეს...

დაე, იცოდეთ — ეს მდინარე ნაპირს მოიხსნის

და ყველა უღირსს წაილგავს დასაღუპავად!

ანა, წავიდეთ!

ანა და გიორგი სწრაფად სტოვებენ დარბაზს.

მინისტრი. (რეჟისორს) ხვალდანვე აღარ ვიხილო...

რეჟისორი. თქვენი ბრძანება ზედმეტია. თქვა, — შეასრულებს!

ლაქია. მობრძანებას გთხოვთ, ბატონებო!

დორთე. (ფლორენციას) აკი ვითხარით,

ვატრალიკულდა მხიარული ჩვენი ვახშამი...

მეოთხე სურათი

ადგილი ქართული კლუბის წინ. ღამეა. ცივა. ხანდახან ქარი გამოიჭრათობს. კლუბის სადარბაზო შესასვლელთან შეეტლებს მაყალი გაუჩაღებით.

იაგორა. (მაყალზე. ხელებს ითბობს და ცას შესცქერის) თითქოს ვარსკვლავებსაც სციოდეთ.

ტუგრია. (ცას ახედავს) ჰოო, როგორღაც ცივად კიაფობენ!

იაგორა. შენ თვითონ შეათვალეერე? ხალხი ბევრია?

ტუგრია. ბევრი.

იაგორა. უნდა გაათენონ ოჯახქორებმა?

ტუგრია. დაგვიწყებრა, ხვალ კვირაა.

იაგორა. მერე? ხვალ რომ კვირაა, შაბათ ღამეს უნდა გამოსკდეს ადამიანი?!

ტუგრია. უშიზეზოდ ჯავრობ. ამ კლუბს უნდა უმადლოდე, — შენს ეტლში ისეთი კაცი თუ ჩაჯდება, რომ გამომთვრალა და თვალები განდაგანას უთამაშებს, თორემ...

იაგორა. თორემა შენი ეტლი სჯობია, აი!

ტუგრია. სჯობია რომელია? ვერაზე რომ ჩავაქროლებ, ზუბალოვის კნენია აივანზე გამოფრინდება და თვალეზით მანიშნებს: ტუგრია, შენ შემოგველოს თბილისის ყველა მეეტლეო.

იაგორა. იფ, იფ...

ტუგრია. ჰაი, რომ მანიშნებს და მანიშნებს...

იაგორა. ჰო, ჰო, როგორ აფრენს! ზუბალოვის კნენას მოსწონხარ, აი! იმიტომაც დაბრძანდება ის ქალბატონი შენი ეტლით! ზუბალოვის კნენია შენს ხარახურა ეტლში ნაკავსაც არ ჩაპყრის, ბიჭო... მაყალს შეუტყეთ, იმ კნენას თვალეზს გაფიცებ, თორემ გაფიყინე კაცი...

ტუგრია. მერე-ღა შენ იცი როგორი თვალეზი აქვს ზუბალოვის კნენას? იცი, ჩმისი თვალეზი რაამღერიან?

იაგორა თვალეზი მღერიანო? გრამაფონი ხომ არა აქვს შენს კნენას თვალეზში, ბიჭო!

ტუგრია. შენ ზუბერი ხარ და ღამაში ქალის თვალეზის სიმღერა არ გესმის... აი მე კი მესმის:

ბიჭო, წყალში გამიყვანე, წითელქუდა ცხენიანო,

მე ამის მეტს ვერას გეტყვი — ქალი ვარ და მცხვენიანო.

აი ანას მღერიან ღამაში ქალის თვალეზი!

იაგორა. ჰოდა, შენც მიუბანე, ოღონდ ე მაყალი გაჩაღე! (ტუგრია მაყალს აჩაღებს. ისმის ეტლის მოახლოვების ხმა) მოგრიალდა ზედის მაძიებელი...

ტუგრია. კარგია. ღმერთს სამება უყვარს და აი ჩვენც გავსამლოთ.

მეეტლეები სიბნელეს გასცქერიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდის გიორგი. მას მეეტლის ტანსაცმელი აცვია.

იაგორა. არისტოკრატას ჩვენი უმდაბლესი საღამო!

გიორგი. ადრე მობრძანებულა თქვენი ბრწყინვალემა... მსუბუქად ხართ?

ტუგრია. როგორც თქვენი თეატრი, არტისტო!

გიორგი. სცდები. ჩვენი კლუბი სავსე იყო.

იაგორა. მუქთი ფლავის საკმელად მგვდარიც აღგებო.

სცენაზე გაივლის ქალ-ვაჟი. ტუგრია ცნობისმოყვარედ აცქერდება ქალს, თითქოს იცნოო, გაუღიმებს. ქალ-ვაჟი კლუბში შედის.

ტუგრია. ეეზ, ვერ მიცნო! ღამაში ქალეზი ეტლში მისხდებიან, გულში კი არა! რა იციან, როგორი სიყვარული შეუძლია ამ გულს!

იაგორა. ღამაში ქალეზი რომ ჩასხდება ეტლში, თითქოს ცხენეზიც გრძნობენო, ქარივით მიიქროლებენ ეტლს...

ტუგრია. არ მეგონა, თუ შენი ცხენეზიც აგეთები იყენენ! (კლუბიდან მოისმის სიმღერისა და მუსიკის ხმა).

იაგორა. (გიორგის) გამოფრაკული იჯექი კლუბში! არ გერჩივან?

გიორგი. არა.

ტუგრია. ავანგებებ! თეატრში ორიოდ სიტყვას იტყოდი, ჯამაგირს გაძღვედნენ... მერე კლუბი

განსამი. ქალები!

იაგორა. არ მერჩივნაო, იტყვი! იმათ მუცლებში ქორწილია, შენს მუცელში ნიშნობაც არ არის.

გიორგი. შემძულდა.

ტუგრია. თეატრი ქალი ხომ არ არის, შეიძულო!

გიორგი. ეებს, როგორ ავიხსნათ თქვენ...

იაგორა. ახსნა რად მინდა! მე ვყოფილვარ თეატრში და მე თვითონ ვიცი — ცრუ საქმეა თქვენა თეატრი!

გიორგი. სიცრუეს ათამაშებენ და იმიტომ.

ტუგრია. შენც აიღე და ნუ ითამაშებ სიცრუეს!

გიორგი. მერე ვინ მოგცა ამის ნება?

იაგორა. აშენებულო, ნება ჩემი არ არის? მე — მე არა ვარ: არ მინდა და არ ვითამაშებ! აი თბილისის ყველა ეტლი რომ მაჩუქონ, კაცისმკვლელის, მოლაღატისა და ჯიბეგირის როლს არ ვითამაშებ!

გიორგი. რატომ, იაგორა?

იაგორა. იმიტომაც, რომ ქურდსა და მკვლელს რომ ითამაშებ, გაიწაფები და მერე შეიძლება ნამდვილადაც მოვინდეს... ანა და, თუ არ იცი ხელი როგორ ჩააბარო სხვის ჯიბეში... არა, ცუდი ხელობაა! (კლუბის სადარბაზო კარებში გამოჩნდება ქალ-ვაჟი).

ვაჟი. ეტლი! მეეტლე!

იაგორა. ტუგრია, წაიყვანე, შენი ჯერია.

ტუგრია. (სწრაფად მიუახლოვდება ქალ-ვაჟს) აქა ვარ, ჭირიმე.

ვაჟი. ჭირი იქით იყოს, — ცხენები კარგი გიბია?

ტუგრია. რაშები გახლავთ, ჭირიმე.

ვაჟი. აღმართს აირბენს?

ტუგრია. აღმართსაც აირბენს, ჩაღმართსაც ჩაირბენს, სწორზე გაფრინდება! გენბაეთ — ტრაპიზონში ჩავიყვანთ...

ვაჟი. შენც ხომ არტისტი არა ხარ, მონოლოგებს რომ კითხულობ! წავიდეთ. (გაღიან).

გიორგი. (მაყალთან ჩაცლუქდება. დაბალი ხმით)

„დამისხი, დამალეინე
ეგ ღვინო ოხერ-ტიალი.
ეგების წალმა ვიფიქრო
ქმეყნის უკულმა ტრიალი.
ეგების სეღის ვარამი
ჩავყლა მაგ ჯიხვის რქაშია,
აგენტო შურისძიებით,
ცეცხლი გამიჩნდეს ტანშია...“

კლუბის სადარბაზო კარიდან გამოდიან ქალი და კაცი. როგორც კი ქალი ყურს მოჰკრავს გიორგის ხმას, შეკრთება. კავალერს ხელს წააგლებს და კიბის საფეხურზე გაშვდება.

ეჰ, არ გამიმართლდა, ჩემო იაგორა, არ გამიმართლდა... მე გავლოთდი, ქვეყანა კი ისევ უკულმა ტრიალებს... ტრიალებს და ჩვენც ჭიადუსავით დავლოდავთ ამ უკულმართ გზაზე... ცეცხლი კი გამიჩნდა ტანში. მწვაავს... მანადგურებს!

ქალი. დააყურადე!
კაცი. რა იყო?
ქალი. სუ... გესმის?
კაცი. პო, მესმის. მეეტლეები ღაზღანდარობენ.
ქალი. ის არის!
კაცი. ვინ ის?

ქალი. ჩვენი არტისტი ჩვენი მეზობელი გიორგია!
კაცი. ქუკუაზე ხომ არ შეშლილხარ?
ქალი. ღმერთმანი ისაა, გიორგი! იმისი ხმაა... ჩუმაღ!
იაგორა. მგონი ეტლი უნდათ, გიორგი. წაიყვანე. ვერა ხედავ — გულოდებიან.
ქალი. ხომ გაიგონე, გიორგო, ნამდვილად ის არის... წავიდეთ. წავიდეთ!
გიორგი. (უახლოვდება) ბატონებო, ეტლს არ ინებებთ?
ქალი. ო, არა, არა. ჩვენ აგერ, აქვე გცხოვრობთ... ღმერთო ჩემო, საშინელებაა... წავიდეთ!

გაღიან. გ ი ო რ გ ი მათ მზეერას გააყოლებს, მცირე ხანს გარინდული შეკრთება.

გიორგი. მგონი ტკუიდან შევიშალო! იაგორა, ერთი გახედე, ის ქალი ჩვენსკენ მოდის?
იაგორა. (გვერდით ამოუღებება) მცრე რატომ უნდა შეიშალო ტკუიდან? განა ქალი არ გინახავს?
გიორგი. დააკვირდი, ჩვენსკენ მოდის, ხომ?

იაგორა. განა ეერ ხედე. ჩვენსკენ რომ მოდის? რატომ ცახცახებ, ბიჭო!
გიორგი. პო, ნამდვილად ის არის! მე მაგდივარ, იაგორა, ეტლს შენ გიტოვებ!

იაგორა. ორი ეტლი რაღად მინდა! რა მოგივიდა?

გიორგი. მერე გეტყვი. იმ ქალმა თუ გკითხოს ჩემს შესახებ, არაფერი უთხრა. არც კი იცი, ვინ ვარ! (უკან გადადგამს ნაბიჯს, უნდა მიიმალოს სიბნელეში. შემოვსმის ანას ძახილი).

ანა. გიორგი!

გიორგი. (გაშეშდება) არ მოგელოდი! (შემოვბის ანა. აღელვებული მიეჭრება გიორგის, ეხვევა) ვინ გავაგებინა? ვინ მოგასწავლა?

ანა. ყველაფერი ვიცი!

გიორგი. განა ყველაფერი?

ანა. მთელ სოფელს ცოდნია. მე დღეს გაგიგე და აი გამოვეშურე...

გიორგი. რომელმა ოხერტალმა არ დამინდო!

ანა. საღამოს — თეატრი, დამით — ეტლი, დღისით — ხარდაფი... ყველაფერი ვიცი! გაგტებს, გაანადგურებს...

გიორგი. სხვა გზა ვერ ვიპოვე!

ანა. რა გაგეუიერდა ასეთი? სახლში, სოფელში, ჩვენთან!

გიორგი. აღრენილი მამაჩემი...

ანა. ოლონდ მოვიდეს, ხმას არ ამოვიღებ, შეგხედავ — იმედად მყყოლებათ. (იცრემლება) ბავშვმა დამაბარა...

გიორგი. რაო, რა დავაბარა?

ანა. მამა ჩამომიყვანე... მხრებზე უნდა შეეაჯდე და გაეაქნოო.

გიორგი. (იცრემლება) უყურე იმ ეშმაკსა! — უნდა გაეაქნოო?

იაგორა. წადი, შეილო... წადი! მე სხვა რამეში არ გამოვდგები, თორემ მეეტლეობა რა ბედენაა...

აბორგებული ხარ, წადი, გული დაიმშვიდე. მეეტლეებად ჩვენც ვეყოფით ამ ხალხსა.

გიორგი. შენ ხომ იცი...

იაგორა. იცი. ის მაინც მამაა და შენ მაინც შეილი ხარ.

გიორგი. ჰოო, ეს მართალია... მხრებზე უნდა შეეაჯდე და გაეაქნოო... მშვიდობით, იაგორა...

(გადაეხვევა) წავიდეთ. (გიორგი გაღს. ანა რაღაცას ჩურჩულით ეუბნება იაგორას).

იაგორა. არ უთხრა, რომ მე შეგატყობინე, თორემ... ცუდ კაცად ჩამთვლის...

ფ ა რ ღ ა

მეოთხე მოქმედება

მისთვის სურათი

სოფელი. გიორგის სახლი. ვრცელი ოთახი. ეტეობა ოდესღაც მდიდრულად იყო მორთული. კედლებზე გამოხუნებული ნოხები ჰკიდია. ბუხართან მიღმულ ტახტზედაც ნოხია გადაფარებული. ტახტზე ზის გიორგის მამა, ტახტთან ახლოს სამეფვა სკამზე კარისმეზობელი ქიტესა. ორივენი ყალიონს აბოლებენ. ოთახის შუაგულში მათკენ ზურგშექცეულად დაბალ სკამზე ზის გიორგი და კალათს წნავს. ვლებურად აცვია. წვერ-ულვაში მოშვებული აქვს. მეზობელ სახლში მღერიან. ისმის ხმადაბალი „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლავ“.

ქიტესა. თქვენმა ანამა აავალობა ე ჩვენი სოფლის ხალხი, თორემა ცხვირჩამოშვებულეში დააბოტებდნენ, — ვითომა სოფელში კი არა, სასაფლაოზე ეცხოვრობდეთ.

ნიკო. სიმღერას მაშინ აქვს მაღლი, ჩემო ქიტეს, როცა საქმე სამღერალადა გაქვს!

ქიტესა. არ ამბობ მართალსა! ჩვენი ხალხი გლოვის დროსაც კი გალობს, — იმითომა, რომ გალობა და სიმღერა ამსუბუტებს სევდასა. აბა, ყური მიუდდე. (ისმის სიმღერა):

წუთისოფელი ესა —
დღეს ღამე უთენებია.
რაც მტრობას დაუნგრევია,
სიყვარულს უშენებია.

მაგრამა ეს კია, რომ ჯერჯერობით მტრობა სჯობნის სიყვარულსა და გატიალებულია ჩვენი ცხოვრება...

ნიკო. იმიტომ, რომ ბოროტები ბევრი ყრისხართ ამ ქვეყანაზე და ბოროტი კაცის ხელიდან სიყვითე როდის გამოსულა?

ქიტესა. ყრისხართო რომელია? ბოროტება პირველად თქვენი მოიგონეთ!

ნიკო. ვინ ჩვენა, გლახო კაცო?

ქიტესა. შენა და შენისთანებმა!

ნიკო. ვაჰ, დროებასა...

ქიტესა. დროება რა ბრალშია? მცონარობამ გაგაფუჭა! ახლა კი იძახი: ვაჰ, დროებაო...

ნიკო. დღეს რაღაც ლაზათიანად ატარტალებ ენასა, გლახუჭაე!

ქიტესა. გლახუჭასათვის კარგად რომ მოგველოთ (ირისიულად), თქვენც კარგად მეყოლებოდით, თავადიშვილო!

ნიკო. როგორაო, არა ვარ თავადიშვილი თუ?

ქიტესა. მიიკრე შეუბზუნე და იარე აღმა-დაღმა! აგერა მალე, ბეტერბურლიდან წამოსული ახალი დროება მოვა ჩვენთანაცა და მაგ თავადობისთვის ოთხში ამოვიღებენ, ბატონო ნიკოლაო!

ნიკო. რა ენა გაქვს, შე ტიალო! დააყენე, თორემ ამ ჩიბუხს მაგ ხრიკინა გოგრაზე გადაგამტვრევ, აი...

ქიტესა. ვიცი რო გადაამატვრევდი, მარა გეშინია! მიბღვერ და ჩემი გეშინია. შენ... იმ ახალ დროებისაც გეშინია... გატყობ.

ნიკო. როგორა გგონია — იმ ახალ დროებას ჩემთვის შავი ქვა მოაქვს და შენთვის ქადაბურები?

ქიტესა. ნამდვილად.

ნიკო. რაღაც შეღერებული ხარ... ახლოს არიან?

ქიტესა. ბაქოში რომ არიან, გეცოდინებათ, ბატონო ნიკოლაო!.. ბაქოდან ჩვენამდე რომ გაკეა, ა, ასეთი ვაკე, ესეც მოგხსენებათ...

ნიკო. შენი ურემი გაუგზავნე, ქიტეს, უფრო მალე ჩამოვლენ!

ქიტესა. მეგონა შენ დაგჭირდებოდა სასაფლაოზე გასასეირნებლად. რახან ნება გებოძეთ, გავგზავნი. ოღონდაც იმათი ჩამოსვლა რა საჭიროა! ჩვენი ხალხია ამდგარი, გაიძახის: ეს ტურტლიანო მენსევეკების მთავრობა არ გვინდა, ერთს ამბობს და მეორეს კი სჩადისო და მატყუარა მთავრობა არ გვინდაო, გაიძახის ხალხი, მამა!

ნიკო. ცეცხლი მომაწოდე, ტუტუტუ.

ქიტესა. (აწვდის ნაკვერჩხალს. გიორგის) გააგებინე ერთი მამაშენსა, რომ იმათ ჩემი ურემი არა სჭირდებათ.

ნიკო. მაგან? მაგას თაიგის ამბავი ვერ გაუვია...

გიორგი. (კალათას წნავდა, მაგრამ ამათ საუბარს ყურს უგდებდა) ერთმანეთს ჰკორტნით და მაინც ვერ ელევით ერთმანეთს!

ნიკო. ამ სატანას გარდა არავის სცალია ჩემთვის! გამოყვრუდე? დავმუნჯდე?

ქიტესა. შენი კალო გაგილუწია და...

ნიკო. ცუდად, ჩემო ქიტეს, ცუდად!

გიორგი. სხვები რა ბრალია?

ნიკო. მართლაც რომ ჩემი ბრალია... იქ, ოღესაში უნდა ჩამოგჭრიდი, შენც დამეფრინე და შენი დონილოვიცა! უნდა ხალხი შემეყარა და მეყვირა: ჩემი შვილი უჭკუოა, ბატონებო, მაგრამ ეს დონილოვიც გიჟია, კაცს რომ ოინბაზობას ასწავლის და ღუბავს-მეთქი... საბედისწეროდ დამაგვიანდა. (დგება) ხანდახან აგრე გასწირავს ტიალი ბედი კაცსა და აი როგორი ჩამომიხველი! უკანასკნელი კაცი ხარ ხალხში... წყალში ჩამიყარე ყოველივე და ახლა ჩემი ბებერი გულის გასახეთქად კალათებსა წნავ შინა!

გიორგი. არ მოთავდება?

ნიკო. ვიღერ სული მიდგას, რამ უნდა გამომითაოს სადარდებელი? მომატებით კი მომმატება შენს შემხედვარეს... სწორედ ნანატრი ამიხდა — ჩემი შვილი ჯერ ოინბაზი იყო, მერე მეეტლე, ახლა მხენელ-მთხეველი, მეველე, მეწისქვილე... ხვალ კიდე ხელზე მოსამსახურედ დაუდგება ვინმე ვაჭარსა და სულს გამინათებს. (უახლოვდება გიორგის, გიორგი ხელიდან კალათს გააგდებს) ლაპარაკს მიკრძალავ — ხმას რად იღებ, რად ოხრავო... ვიმღერო,

აბა, ჩემი რძალივითა? ჩემს გულს ემღერება, განა?... არ იოხროსო! — თქვენ დასწრეში თქვენვე იცეკვით! აგერ. აი ქიტესა აცყვებათ... ამას ემღერება — არაფერი გააჩნდა და არც არაფერი დაუკარგავს! ერთი საცეკვაო შეუწყვეთ, ქიტეს, და ჩამოუარე, აი ჩემი ვაკაცა აცყვება!.. თავზე ჩამომაქციე ოჯახი და ვიმღერო? ტაშ-ფანდური გავაჩალო?... (გიორგი წასვლას დააპირებს) დაცადე! ვიცი, რასაც კაიკაცობდი ქალაქში, — მუშების კლუბში რაღაც სისულელეს თამაშობდი, ფუქსაგატი ხალხი ტაშს გიკრავდა და თავი გმირად წარმოიდგინე... სწორედაც კაიკაცობისათვის განოგადგეს ქალაქიდან! — ახლა ამ ჩვენს ქარაფშუტა გლეხებში ჩამდგარხარ და ისევ არ იშლი სისულელეს — ხალხს ყური მიუგდოთო! ხალხი.. ხალხს რომ ყური მიუგდო, გაგაგიყებს! ჯერ ჩვენ აგვიჯანყდა. დაკაყოფილდა? არა! მერე მეფეს აუჯანყდა ახლა? ახლა — ეს მთავრობა არ გვინდა, გვადრჩობს, ტყავს გვაძრობსო... ჰმ, ხალხი გლეხები! მე ვიცი მგაათი წაშალი... უღელი დიახ, უღელი დაადგი ხალხს და გაგიყუნდება!.. ჰოო, უღელი და მათრახი! შემომხედე! შენც შემომხედე ქიტეს, — არ შევშინდები! გინდათ შემაშინოთ, მე კი არ შევშინდები! აარა, არ შევშინდები.. მაგარი ვარ! (შემოდის ანა და შემოჰყავს სიკო).

ანა, აბა, სტუმარი მოგიყვანეთ.

სიკო. (ცნობისმოყვარეობით ათვალერებს) გიორგი, შენ ხარ?

ანა. დიახ, ბატონო, გიორგია... გლეხურად ვცხოვრობთ.

სიკო. მამ გამარჯობა, გლეხო-კაცო! (ხელს ართმევს) სტუმრად მოველი!

აბა, შენ იცი, თუ გლეხურად გამიშლი სუფრას.

ახალ ქვევრს მოხდი და წვადებსაც არ დაიშურებ!

მე შენ ამბავი მოგიტანე სასიხარულო —

და ღირსიცა ვარ მასხინძელის გულუხვობისა...

ნიკო. (ქიტესას) ჩანს ზედმეტი ვართ, ბერიკაცო, შენსას წაივდეთ, ვერც ჩემი რძალი, ჩემი შვილი, ვერც ეს სტუმარი ხელს ვერ შეგვიშლის... დიახ, დიახ, ხელს ვერ შეგვიშლის; ვკორტნოთ და ვკორტნოთ ერთმანეთი შეუბრალებლად....

ნიკო და ქიტესა გადიან.

სიკო. (ხელჯონით ფეხსაცმელზე ტალახს იშორებს) საოცარია, როგორ უძლებთ ამ სოფლის ტალახს...

მერე და სევედა? სოფლის სევედა უფრო მძიმეა,

უფრო ტლანქია... თქვენი მიკვირს, ძვირფასო ანა,

შოპენის პანგებს ამ სოფელში რატომ ატყევენ?

გიორგი. მხოლოდ ამისთვის გვინახულე?

ანა, გიორგი!

გიორგი. ანა, გთხოვთ მაპატიო, მარტყოფნა მინდა სტუმართან.

სიკო. მე თქვენ ორივეს სიხარული ჩამოგიტანეთ!

გიორგი. მაშ იყოს ასე... აი ცეცხლთან. აგერ დაბრძანდით. (სამივენი ბუხრის ახლოს სხდებიან.

ხანგრძლივი პაუზა. ანა დგება, კუთხეში მიგდებულ კალათს აიღებს)

ანა. მე ერთის წუთით. ბავშვს მივხედავ და მოგბრუნდები. (გაღის. სიკო ცნობისმოყვარეობით ათვალერებს ოთახს. გიორგი თავჩაქინდრული ზის).

სიკო. წაიკითხავდი ჩვენს გაზეთებს.

გიორგი. ანა მიკითხავს.

სიკო. რატომ, თავად არ გეკადრება?

გიორგი. გული არ მიმდის...

სიკო. შენ რომ გაქებენ!

გიორგი. გვიანია...

სიკო. ვერ გამიგია!

გიორგი. დამარხულ საქმეს ვერ აღადგენს გაზეთი მკვდრებით.

სიკო. როგორ დამარხულს? ცოცხალი ვართ ჩვენც და თეატრიც!

გიორგი. თქვენ ცოცხალი ხართ და მიტომაც მოკვდა თეატრი...

სიკო. ისევ ქედმაღლობ და დაგვიჩინი კვლავ ძველებურად.

მაგრამ საჩხუბრად მე არა ვარ დღეს აქ მოსული...

გიორგი. ან თქვენ და ან ის! თუ იცოცხლებს თქვენ შორის ერთი...
ორივე ერთად ვერ თავსდება!..

სიკო. ფილოსოფოსობ!

უსწაურ აზრებს ეჭიდები და აი ხედავ,
როგორ შედეგსაც მიაღწიე... შენს თავს შეხედე,
მეუღლეს შესასხ, შეს გარემოს! — ძლივს მოვალწიე —
გზა გზას არა ჰკავებს, სახლი სახლს და... მანაც ქედმაღლობს;
მერე და ანას არა ჰკითხავ — აქ ურჩევნია?

გიორგი. თვითონ ირჩია, გატაცებით მუშაობს...

სიკო. სცდები!

გგონია ანა ამ სოფელში ხალისით ცხოვრობს?
ო, დიდად სცდები, მეგობარო, ის არტისტს გაჰყავა,
ქართულ თეატრის სახელოვან, დიდებულ არტისტს
და არა გლეხკაცს, მწიწიქვილეს და ვაზის მყნობელს...
გაგიფრინდება! აი ნახავ — გაგიფრინდება,
და რმის გზა-კვალს ვერ იპოვი...

გიორგი. (წამოიჭრება) სტუმრად არ იყო,

რისი ღირსიც ხარ, კარგად ვიცი! სთქვი, რისთვის მოხვედ?

სიკო. რომ ისევ გზაზე გაგიყვანო, დიდების გზაზე!

გიორგი. ეს დიდების გზა სადღა არის?

სიკო. ჩვენთან, ჩვენს წრეში!

გიორგი. თქვენთან? თქვენს წრეში?

სიკო. გაგიკვირდა? ხომ გაგიკვირდა?

ჩვენ გადაეწყვიტეთ დაგაბრუნოთ... ჰო, ისევ ჩვენთან!

გიორგი. თქვენ? ეს ვინ არის, — რომ არ მესმის?

სიკო. ქართული დასი!

გიორგი. ისევ თეატრში მოღვაწეობ?

სიკო. მამ სად წავიდე?

განა არ ვიცი. რომ შენსავით პირველი არ ვარ
და რეცენზენტებს მე ერთხელაც არ შევეუქივარ!
ჩამჩიჩინებენ — სხვა გზა ნახე, სხვა ეძიე...

ვერა, ვერ გაძეღ უთეატროდ! თეატრში ერთხელ
თუ შედგი ფეხი, — მერე ვეღარ ამოიგვთავ!

გიორგი. როს ეჭიდებით იმას, რისი ძალიც არ შეგვეწივს,
ჩვენ ვიტანჯებით და საქმეს კი არ ემატება...

სიკო. აკი ვითხარი — მე საჩხუპრად არ ვარ მოსული.

ყური დამიკდე! როგორც ცხოვრობ — თვითონვე ხედავ,

ჩვენ ეს გავიკეთე... შეწირაილდა მთელი თეატრი

და დაგადკინეთ, რომ თეატრში კვლავ მოგიწიოთ...

მერე მინისტრიც დაგვეთანხმე... აი ბრძანება!

(პიჯაკის ჯიბიდან იღებს ქაღალდს)

გიორგი. რატომ შეწუხდით... მე რა ვიყავ ან ახლა რა ვარ,
მთელი დასი რომ შეწირაილდა ჩემა გულისთვის...
მერე მინისტრიც შეაწუხეთ!

სიკო. არაფერია,

ამის ღირსი ხარ, შენ თვითონვე დაიმსახურე.

აი ავანსიც მოგიტანე... ჩაცმა გპირდება, —

ასე გლეხურად ვერ ჩამოხვალ, ძმაო, თბილისში.

აჰა, აიღე, გამომართვი!

(ხანგრძლივი პაუზა)

გიორგი. შენთანვე დარჩეს...

მინისტრსაც უკან ჩაუტანე მისი ბრძანება,

ჩემი მადლობაც მოახსენე. ღირსად არა ვთვლი ჩემს თავს, ბრძანება მიხისტრისა აქ დავიტოვო.
... თვითონვე იმკის თავის სიბრძნის ნაყოფს მინისტრი! სად გაქვთ თეატრი, რომ თეატრის სახელით მიწვევით მერე და ქართულ თეატრს როგორ უწოდებთ თქვენ თავს, როცა ქართული არაფერი არ გაგაჩნიათ?
ტადარი ხალხის კულტურისა ურცხვად შებღალეთ და ტაქიმახბრულ ვოდვეილებს გაუღეთ კარი! „კატა აწონე“ ითამაშეთ „ლალატის“ ნაცვლად...

სიკო. მერე რა არის საქარხისი? ხალხი გაცინეთ...

გიორგი. ... ცოლმა ჯიგარი შეაქამა შეყვარებულ ვაჟს, ქმართან იცრუა — შესანსლაო ოხერმა კატამ. მერე აწონეს საცოდავი მჩხავანა კატა; იყვირა ქმარმა — აწონილი მყავდა წინასწარ და ამ საცოდავს ჯიგარი რომ გადაესანსლა, მოიმატებდა წონაშიო... ქალი გამოტყდა, წარმოიღვინეთ, უცოდველი გამოდგა კატა! ... აი თეატრი! ისიც თურმე ჩვენი, ქართული! ხალხს შეაძულეთ თქვენ თეატრი და თქვენი თავიც და ახლა გინდათ ჩემი თავი მოიშველიოთ? ამოო ცდაა... მე ვერაფერს ვეღარ გიშველიო! ... ხალხმა უარგყოთ და თუ რატომ, თვითონვე იცი.

სიკო. ვიცი, რატომ ხარ აღრენილი...

გიორგი. ჰოდა, თუ იცი...

სიკო. მაგრამ მეგონა...

გიორგი. რა გეგონა?

სიკო. გადაიფიქვე!

გიორგი. ღამცინი კიდევ?! დავიწყებას როგორ შევძლებდი, რაც თქვეს სიკეთე დამყარეთ ისე გულუხვად... განა შენ თვითონ არ მოქსოვე ინტრიგის ქსელი? „შეხედე, ხალხო — ამ უნიკო ახალგაზრობამ რუსულ თეატრებს დამგვანა ჩვენი თეატრი: სურთ წაკვიშალონ ეროვნული სახე მსახიობთ... მოდით, გვიშველეთ, ვიღუპებით, გადაგვარჩინეთ! ... «სე გაღებურად დააბიჯებს სცენაზე, თითქოს აპურრიდან გამოეხსნას ახლა ხარები»... როცა ჩვენ ვქმნიდით, ამტკიცებდით: არრა არისო; მასსოვს შექსირსაც იმოწმებდით ხელაპყრობილი — „არარაისგან არ იქმნების არარაიცა“... ახლა კარგები შევიქმნებით არარაისგან? გამოლატაკდით, მოექტეცით ჩიხში და იბრძვით გახხანგრძლივით არსებობა... ამოო ცდაა — „არარაისგან არ იქმნების არარაიცა“...

სიკო. ამდენი ღვარძლი გულში გქონდა? როგორ ითმენდა?

გიორგი. ეს სიმათლეა! თქვენ, სიმათლე, ვიცი — არ გიყვართ — რა გაეწყობა!

სიკო. დიახ, მართლაც, რა გაეწყობა! (ირონიულად) ბოლშევიკების პარტიაში ხომ არ შესულხარ?

გიორგი. დიახაც შევალ! ხალხის ტანჯვას, ხალხის სიხარულს, ხალხის გმირობას ვინც გულდაგულ გაიზიარებს, ვინც ამ ცხოვრების შუაგულში იჭრება ლაღად — აი ასეთებს შევიყვარებ, შევეწირები!

სიკო. ყოჩაღ, გიორგი!

გიორგი. მოწონებას არ ვსაკიროებ!

შენ შენს გამომგზავნეთ მოახსენე ჩემი პასუხი: მეწისქვილე ვარ, ხეხილს ვამყინი, კალათებსა ვწნავ და ჯერჯერობით თეატრისთვის არა მცალია...

სიკო. დე აგრე იყოს! მოვხსენებ, რაც დამაბარე,
შენ კი შეხს თაკსეე დააბრალებ, რაც დაგემართოს!

გამოუმშვიდობებლად სწრაფად გადის ოთახიდან. შემოდის ანა.

გიორგი. ვიცი — გვისწენდი სხვანაირად მე არ შემეძლო!
ანა. მე არ გამტყუნებ! აგრერგად ნერვების აშლა... (ეფერება).
ეს კი არ ვარგა... აღრეხილი, გაუპარსავი...
ჭიტსას გიდა დაემგვახო შენი წვერებით?
დღესვე გაგპარსავ...

(ისმის ძახილი: „ანანია, პე, ანანია“)

გიორგი. დავიჯერო? ბეჟანის ხმა!

ძახილი ძლიერდება: „გიორგი! ანა!“ გიორგი გარეთ გაიჭრება და ეხმინება: „ბეჟან, ა, ბეჟან!“ ანა ცდილობს სწრაფად მიაღაგოს ოთახი. ტახტზე ნოხს შეასწორებს, სკამებს გადაადგილებს. შემოდის გიორგი და ხელჩაქვილებული შემოჰყავს ბეჟანი, იგა სიყვარულით ესალმება ანას.

გიორგი. აი სტუმარი! გავვიწაღე გლეხური სუფრა!
ბეჟანი. აქაც დედოფლოს ჩვენი ახა! (გიორგის ავირდება) შენ რა, გაგლეხდი?

გიორგი. გლეხი ვარ, ბეჟანი! პო, ნამდვილი! როგორ, არ მოგწონს?
ანა. დღესვე გაგპარსავ. პაჭიტებსაც გავხდი როგორმე.

ბეჟანი. ო, არა, არა! ეს წვერები და პაჭიტები
დღეს მე მჭირდება!.. მხოლოდ ფქვილი, —
(წვერებზე ხელს მოუსვამს) პო, თეთრი ფქვილი...

ანა მეორე ოთახში გასვლას დააბირებს, ბეჟანი შეაჩერებს.

მე მხოლოდ წუთით!

გიორგი. თუ გავიქვდი? არც დღეს და არც ხვალ!
ბეჟანი. ხვალ გორში თვითონ შენ ჩამოხვალ შენის წვერებით, —
შენ ხვალ თამაშობ!

გიორგი. სისულელეს თაუ ანეუ,

აღარც კი მჯერა, თუ ოდესმე ვიყავ არტისტი!
ბეჟანი. მორჩა გათავდა, დაივიწყებ, რომ გლეხი იყავ!
„ლაღატს“ ვთამაშობთ, მჯერა, შენ რომ არ მიღალატებ,
შეის ახახის ითამაშებ... ხალხმა გაიგო,
უკვე გააკრეს აფიშები! დასა განვუცხადე.
რომ შენ წინასწარ წერილობით მომეც თანხმობა;
ხვალ გორში, შემდეგ ქუთაისში, მერე ბათუმში,
დაბა-ქალაქებს მოვედებით, ვიმოგზაურებთ,
ვიდრე თბილისში არ იქნება ჩვენთვის ადგილი!
ასე... მივდივარ!

გიორგი ასე უცებ?

ბეჟანი. ხვალ გორში გელი!

გიორგი. ბეჟანი!

ბეჟანი. მავრბივარ, ბორანგალმა მელოდებიანი!

ბეჟანი მიდის, გიორგი გაჰყვება. ანა ნერვიულობს, ისევ გადაადგილებს სკამებს. შემოდის გიორგი. ბურანშია.

გიორგი. შემოიჭროლა და უმაღვე ქარად გაიჭრა...

სიტყვა დააგლო, მე პასუხი არ მათქმევინა!
ნამდვილი გიყი! შენ რას იტყვი, გიყი არ არის?

ანა შეუმჩნეველად გადის მეორე ოთახში.

შემოიქროლა და უმაღლვე ქარად გაიჭრა!
უნდა წავიდე? ვითამაშებ ჩემს ანანიას?
ჰო, ანანიას ვითამაშებ... უნდა წავიდე!

ჯდება დაბალ სკამზე. ანა უხმალოდ ოდნავ გამოაღებს ოთახის კარს და უთვალ-
თვალებს.

გადამავიწყდა? განა მართლა? რა დამავიწყებს!
რატომ ვიცრუე მეგობართან? ჰო, ვასილისა,
შენც ხომ იცრუე სწორედ ერთხელ... და იმ სიცრუეს
არავისათვის ზიანი არ მოუტანია...
მეც მხოლოდ ერთხელ! უნებურად, ჰო, უნებურად...
მე იმას ხვალვე დაეუმტიციებ — დღეს რომ ვიცრუე! (წამოდგება)

ვიცრუე, ბეჭა! მე ძილშიაც თეატრით ვცხოვრობ...
... აი სცენაზე დავაბოტებ მართლაც გლებურად,
და ვხედავ, ხალხში ანა ჩუმად როგორ ჩამჯდარა —
ჩემი თამაში იმას მოსწონს და იცრემლება...
ეჰ, თავისიანს მუდამ მოსწონს თავისიანი!
მაგრამ აი ხალხს... ხალხსაც მოსწონს! ტაშმა იქუნა...
... თვალებს ავახელ — ჩემი სახლის ჭერი დამტირის.

უნდა წავიდე... ოთარ-ბეგი მკაცრად დამხედება,
აიშართება ჩემს წინაშე ჯმუხი, ამაყი;
შიცნობს უთუოდ, მარცვ გაავებ ამხედ-დამხედავს,
ჯიქურად მკითხავს — სადაური გდობარ გლახაო,
მეც ისე მაგრად დაეუღებები! დავცინებ, მაგრამ
იმ დაცინვაში შებრალების მარცვალს გავურევ:
«ვიცი, ოთარ-ბეგ, გულს ხანძარი შემოგხთებია,
მაგრამ გახზელის გეზიხია და იღაგები...
ჰაი, მიგზივდი ოთარ-ბეგო, ხედავ, მიგზივდი!»

... აი ის აქ დგას... აქ ანანიას... შებღვერით მკითხავს:
«სადაური ხარ, კაცო, ვინ ხარ?» მორჩილად ვეტყვი:

«ანანურელი ვახლავარ, შენი ჭირიშე, სოფლის მამასახლისი. მეტსახელად გლახას მე-
ძახიან. თქვენი გზირი გეახლათ და ბრძანება მოგვრატანა — ამ სამ დღეში სამი ცხენი და სამი ყმა-
წვილი ქალი იშოვეთ და მოგვართვითო. ცხენები ისეთები მოგართვი, რომ ადამიანის თვალი უკეთესს
ვერას მნახავს: ქალები კი არ ვახლავან, ბატონო. ვინც პატარა რივიანი იყო და თვალში ჩინი ჰქონ-
და, შარშან წაასხეს ტფილისსა და ვინც უნასი იყო, თქვენმა ჩაფრებმავე დაირიგეს მაშინვე»...

... გამირჩხედება ოთარ-ბეგი, წარბებს შეიყრის:
«რაებს მიჰქარავ, შე ბებურო, რაებს მიჰქარავ!»
არ შევშინდები! მე ჩემს ნათქვამს ბეჭედს დავასვამ:

«შენს გზირებსა ჰკითხე, დიდო ბატონო. მე ნუ დამიჯერებ, შენი ჭირიშე. ვარემშომც
კი არსად არ არის პატარა რივიანი გოგოები... მინდოდა დამექორწილებინა ე ბიჭები და
საპატარძლოები ვერ ვიშოვე. უცოლონი დარჩნენ. ავერ მოგართვი და შენს ნებაზედ
იშახურე. ოდესმე მეც მამაშეს ვემსახურებოდი და ახლა შენთვის შევიღები დაგზარდე.
მინდა გემსახურონ თავიანთი ჯანითა და ვაჟაკობით».

... ვახალისდება, თვალს შეავლებს ყამირ ჭაბუკებს,
ჰკითხავს სახელებს, წლოვანებას, სარწმუნოებას, —
მამადიანი ვახლებითო, ეტყვის ქუხილით,
და როს ბიჭები გულანთებით აჰყვირდებიან —
იმით დავტუქსავ და ოთარს კი შევეუნთებ ხანძარს:



„ჩუმად ეყარნით ემანდა, თქვე საძაგლებო! როგორ ჰპედავთ და ეურჩებით დიდის მატონის სურვილსა? ჩვენზედ კარვად იცის, რომელი რჯულია კარგი და რომელი ავი! თუ უარი სთქვა მამა-პაპისა და თავის ქვეყნის რჯულზედ, ჩანს, რომ ამისმა სვინდისმა ავრე მონიდომმა სვინდისი გესმით, თქვე სულელებო. რა არის სვინდისი? მე თვითონ გამოვიცვლიდი, დიდო ბატონო, ჩემს რჯულს... რა სარგებელი გვაქვს? ზარალის მეტი არაა ფერია ერთიორადც მეტს გვახდევინებენ, ძაღლებითაც გვექმენ, სხვა სერიც არა გვაყრია-რა... გესმით, სულელებო? გამოვიცვლიდი, მაგრამ ერთი რამ მაწუხებს, — განსვენებულს მამაშენს რა პირით შეგხვდენ იმ სოფელში? ხომ პირში ჩამაფურთხებს და შეტყვის: ვაი, ანანია, რომ მეორე თვალი სპარსელებმა გამოვთხარეს, როცა ჩემს გვერდით იბრძოდე. თორემ თვალებში ჩავაფურთხებდიო. აი ასე შეტყვის“...

დამვიწყებია? ჩანს, რომ არა! ეპე, მოვდივარ!
ანა, მივდივარ!

ანა. (სწრაფად უახლოვდება) სუ, ბეშვს სძინავს, ჩუმად, გიორგი!
გიორგი. (დაბალი ხმით, თითქმის ჩურჩულთ) მივდივარ-მეთქი!
ანა. სად მიდისარ?
გიორგი. შენ დაგავიწყდა?

ბეჟანთან, გორში!.. ტანსაცმელი?.. დე, ეგრე იყოს,
მე ხომ გლეხი ვარ და სცენაზეც გლეხკაცს ვთამაშობ!
ანა. ნუთუ არ ვახსოვს, შენ ხვალისთვის გიხმო ბეჟანსა!
გიორგი. (ამოხვრით) მე დღეს მეგონა!.. ანაღამე!.. მაშ, ხვალ მივდივარ?

(ანას მკერდზე მიიკრავს)

შენ არ მიწყინო, რომ უშენოდ წავალ ერთი დღით,
მარტო ერთი დღით... (თვალებში აქტერდება) მებუტები? განა არ ვიცი,
როგორ გაგტანჯე აწუწილი ჩემი ცხოვრებით. (ეაღერსება)
შენ შეასრულე შენი სიტყვა... პო, შეასრულე —
ერთად ვივლით ამ ცხოვრების ხოაკლიან გზაზე...
მე სიხარული წამიერიც ვერ მოგანიჭე.

ანა. მავას ნუ ამბობ!
გიორგი. ყოველივეს გულში რომ იკლავ,
ეს უფრო მტანჯავს. აორკეცებს ჩემს გულისწუხილს..
ანა. (ეაღერსება) მალე... სულ მალე კვლავ იქუხებს შენი სახელი,
გაიფანტება ჩვენი სეველა... ჩვენი ვარამი...
გიორგი. მალე... პო, მალე... სვალიდანე! ბეჟან, მოვდივარ!

ჰქრება სინათლე. სცენაზე ანთებული სანთელით შემოდის მ თ ხ რ ო ბ ე ლ ი.

მთხრობელი. ... და ის წაიდა მკორე დღეს. წინაღამით წვიმდა და წვიმდა. ნოემბრის ქარი თარეშობდა ქარაშოტივით. სოფლის ბოლომდე გააცილა იგი მეუღლემ და როცა ანას დაემშვიდობა—ნაბიჯს აუჩქარა, თითქოს სადაც; დანიშნულ ადგილზე, ბედნიერება ასვენია და ეშინია არავინ მიაწროსო! ქარში დიდხანს იდგა ანა, გასცქეროდა ასე ჩქარის ნაბიჯით მიმავალ გიორგის, უხაროდა და იკრემლებოდა... აი მიადგა მტკვარს და ვერ იცნო — ადრეული, მღვრიე და ყალყიანი ტალღებს ჯიქურად მიავორებდა... მას იქ არ დახვდა არც ბორანი და არც მებორნი! უკან დაბრუნდეს? არა, დღესვე უნდა შეადგას ფეხი სცენაზე, დღესვე უნდა დაუწრუნდეს თეატრს! მიმოიხედა. არავინ ჩანდა, მხოლოდ მავთული ისე წიოდა ქარში, თითქოს უბორნობას სტირისო. და მას დიდხანს არ უფიქრია — მაგრად ჩასჰიდა მავთულს ხელები, დაკვიდა და გაჰყვა. მძლავრად არწევდა ჰაერში დაკიდებულ მის სხეულს ქარი, მაინც თავისუფლად ინაცვლებდა ხელებს, თამამად მიიწევდა წინ... მდინარის შუაგულს მიადწია! დაღლას არა გრძნობს... მაგრამ უცებ ჩაიზნიქა მავთული, ხელები ჩამოუცურდა, მდინარეში ჩავარდა... ტალღები ვადაეფოფრა, ჩასძირა, ფსკერისკენ გააქანა... მდინარემ პირი შეიკრა და თითქოს დასრულდა ყოველივე... მაგრამ აი, აქორჩილ ტალღებში, როგორც სასწაული, გამოჩნდა გიორგი! მან მძლავრად გაჰკრა მხარული და ნაპირზე გავიდა... გაწუწული და გათომილი გაუდგა გზას! ...თეატრი. ჩაჰქრა სინათლე.

ხალხი ღელავს, მოუთმენლად მოელის საყვარელი მსახიობის გამოჩენას და როცა ხელნაწი ანანიამ შემოანათა — ტაშმა იქუხა, ხალხი ერთი კაცივით წამოიჭრა ზეზე და დარბაზი ზანზარებს... დიდხანს, დიდხანს იდგა გიორგი სიტყვაუთქმელად და მერე გვიან, როცა ზირზე დაშვებულა, კვლავ ამეტყველდა მისი ხმა — ალაღმართალი, ხორკლიანი, თავისთავადი... გაცოცხლდა. ნამდვილად აღსდგა მკვდრეთით! რაღაც საოცარი შინაგანი მღელვარებით და სიმძაფრით თამაშობდა და როცა გამწარებულმა ბედს შესჩივლა — ჩემი ცხოვრების გზა გავლიე, დაგავიწყდა, სიკვდილო, ჩემი მისამართით — სიცრუე იყო თურმე ტანში ეჯდა სიკვდილი.. დამთავრდა წარმოდგენა და მოცედილივით დაეცა... სამ დღეს ებრძოდა სიკვდილს, ბოლოს მაინც სძლია სიკვდილმა... სოფლის სასაფლაოზე ამალღებულ ადგილი შეურჩიეს თანასოფლელებმა და მოკრძალებით მიაბარეს მიწას...

... და ყოველდღე, საღამოს მწუხრში, მის საფლავთან დგას ანა და მღუმარე საფლავს ჩასჩურჩულებს:

სცენის სიღრმეში გამოჩნდება საფლავთან მდგარი ანა სილუეტი, შიორდება პირველი სურათის მუსიკა.

წუთია წუთის სოფელი, წუთის წებოთი იწვება,
 ზოგი ლხინსაა, თამაშას, ზოგიც უცეცხლოდ იწვება...
 ... შენი დაიფერფლე და ცხოვრების სორკლიან გზაზე
 მარტოდ დამტოვე... ჩემთვის მკვდარი მაინც არა ხარ —
 არ გამიქვრია კერიაზე ცეცხლის ღადარი!
 აქ, ჩემთან დარჩა შენი გული. შენი ხმა მესმის —
 იმედინი, ხორკლიანი, ალაღმართალი...
 ... რამდენს უდროოდ მოესწრაფა ასე სიკვდილი
 და ვერ შეესწრო სამშობლოს ნამდვილ განთიადს!
 ხავსა და ნეშოს დაუფარავს მათი საფლავი,
 მავრამ სახელი, შექმოსილი მათი სახელი,
 ხალხის ხსოვნაში არასოდეს არ წაიშლება.

ფ ა რ დ *



ავეჯიქ ისააკიანი

ირგვლივ უდაბნოა და ზეცის თევანი,
მიდის ქარავეანი უგზობით დაღლილი...
ცოტა მოიცადე, ჩემო ქარავეხო,
მგონი სამშობლოდან მომესმა ძახილი.

ო, არა, უდაბნო ჩუმი და წყნარია,
მზით გადამწვარია, გადაბუგულია,
აწ შორი ყველაზე — სამშობლო მხარეა,
აწ ცივი ყველაზე — მიჯნურის გულია.

აღარ ეხსომება მისი ფალავანი,
თბილი ალერსი და ცრემლი დამღარავი.
მე ვინ დამიძახებს?! გასწი, ქარავეანო,
შუადღის ლოცვები ჩემთვის აღარა არი.

გასწი, ქარავეანო, და გადამიტარე
ბედის სამანი და ღამე გადასერე,
მე ჩემი სამშობლოს სიშორე მაკმარე
და საღმე-მიუვალ კლდეზე დამასვენე.

მეოცნებება საღამო წყნარი,
სახლს ბუხრის კვამლმა გადაუარა,
ტირიფებს არხევს შრიალით ქარი
და კედლის ბზარში ღვიძავს კრულას.


მეოცნებება — ბუხართან სხედან
ბავშვი და ჩემი მოხუცი დედა,
ცეცხლის ტკაცუნში ბავშვი თვლემს ტკბილად
და დედას ხმაში ერევა სევდა:

— ყველაზე უწინ უშველოს ღმერთმა
ყველა დავრდომილს, ოტებულს, ყარბს,
ხოლო მათ შემდეგ გიშველოს ღმერთმა
და მწყურვალს, შვილო, შეგასვას წყალი...

სახლს ბუხრის კვამლმა გადაუარა,
მოისმის დედის ლოცვები წყნარი,
და კედლის ბზარში ღვიძავს კრულას
და ისევ არხევს ტირიფებს ქარი.

თარგმნა არჩილ სულაკაურმა





„პირველი დღეები“

ნაბატი ჯემალ ლოლუასი

მედიკალიზაცია

ქართული ჯანდაცვა

რომანი

8

თენდებოდა. ცაზე არც ერთი ღრუბელი არ ჩანდა. მზე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ მისი სხივები წითლად აელვარებდნენ მარადი თოვლით მოსილი მთის შორეულ მწვერვალებს.

მამლები თავგამოდებით ჰყიოდნენ. პატარა ქალაქი იღვიძებდა. ირაკლი გიგაური ნელი ნაბიჯით მიდიოდა. გზაზე აღრიან მგზავრს შეხვდა. რომ გაუთანასწორდა, უცნობმა სალამი შეაგება, კეთილი დღე უსურვა. დედაკაცები სახლის კარებს აღებდნენ. ზოგან ძროხას წველიდნენ, ზოგან ეზოს ბარავდნენ.

მამლები კვლავ თავგამოდებით ჰყიოდნენ, ახალი დილის დადგომას იუწყებოდნენ.

მდინარის პირად ირაკლიმ ბალი შენიშნა. თავის ნებაზე მიეშვათ, უყურადღებოდ მიეტოვებინათ. ირგვლივ ღობეც კი არ ეკრა.

ბაღში შევიდა. ხეების ქვეშ ნახირის კვალი ჩანდა. სასეირნო გზებზე ბალახი ამოსულიყო, ისიც ნახირს წაეჭამა.

უცბად ბაღის ბოლოს ვიღაცას მოჰკრა თვალი. ხელში ბარი ეჭირა და თხრიდა.

ვინ უნდა ყოფილიყო?.. ამ მიგდებულ ბაღში ვინ რას აკეთებდა?.. მიუახლოვდა და გაოცებული შედგა. მის წინ რაიკომის დამლაგებელი და შიკრიკი თედო იდგა. გუშინ საქმის გამო სასტუმროში ესტუმრა და იქიდან იცნობდა.

თედო თავგამოდებით მუშაობდა. პატარა, ახალამოსულ ხეს ნახირისაგან დასაცავად საიმედო საფარს უკეთებდა.

თედოს არ გაუგონია ირაკლის ფეხის ხმა. რომ მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინ შეამჩნია. ახლა თედო შეჩერდა გაოცებული. ასე დილაადრიანად რაიკომის ახალ მდივანს აქ სრულიად არ მოელოდა. სიჩუმე ირაკლიმ დაარღვია:

— სალამი, თედო, ასე გაოცებული რომ მიყურებთ, განა ვერ მიცანით?

— ცნობით როგორ ვერ გიცანით, ჩემო ბატონო, — მცირე დაყოვნების შემდეგ უპასუხა თედომ. — მაგრამ, რა დაგიმალეთ და გამიკვირდა, ძალიან გამიკვირდა.

— რამ გაგაკვირა?

— ასე დილაადრიანად აქ რამ მოგიყვანათ, ჩემო ბატონო?

— ვაჟკაც კაცს ჩიტმაც არ უნდა დაასწროს ადგომა.

* გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 6.



— ჩიტისათვის თუ გასურდათ დასწრება, ამ სიშორეს წამოსვლითაა დასაშვანი წუხდებოდათ, ჩემო ბატონო.

ირაკლის გაეცინა. შემდეგ სერიოზულად უპასუხა:

— ჩვენს ქალაქს ვათვალისწინებდი. ყველაზე კარგი დრო ადრინაი დილაა. უფრო თავისუფლად გაივლი, შენს ნებაზე.

ირაკლიმ პაპიროსი ამოიღო. თედოსაც გაუწოდა. თედომ არ აიღო, —ახლანხან მოეწიო; პაპიროსი რომ გააბოლა, თედოს შეკითხვით მიმართა:

— ჩემი მოსვლის მიზეზი ხომ გაიგეთ, ახლა თქვენიც მითხარით, აქ რას აკეთებთ?

— მე?... — გააგრძელა თედომ. — აგერ, შეძლებისდაგვარად ამ მიგდებულ ბაღს ვუვლი. რაღა დაგიმალოთ, ხელობით მეზალე კაცი ვარ, მაგრამ ჩვენს ქალაქში მეზალე ვის რათ უნდა!.. როგორც ხედავთ, წინათ აქ ბაღი იყო, ეს თხუთმეტი წელია, მოუვლელია, გაჩანაგების პირადაა მისული. არავინ ყურადღებას არ აქცევს... მე, ჩემთავად, ასე მალულად თუ დავხედავ, ჩემო ბატონო... თორემ დრო სადა მაქვს. მეზაღეობისათვის გასამრჯელოს არავინ იძლევა და ამიტომაც რაიკომში დავიწყე მუშაობა. მეზაღეობა საზოგადოებრივ დატვირთვასავეთ მაქვს. გულს მიკვდება, ამ ბაღს ასეთ მდგომარეობაში რომ ვხედავ... რა დაგიმალოთ და, იქაც, რაიკომში ოთახების დალაგებისას, ხის ავეჯს უფრო ვაკრიალებ, სიყვარულით ვეპყრობო...

ირაკლის გაეღიმა. არაფერი უპასუხა, მხოლოდ დაიმანსოვრა, რომ ამ ბაღს აღდგენა ესაჭიროებოდა და ცენტრი თუ შტატებს დაუმტკიცებდა, მთავარ მეზაღედ თედოს დანიშნავდა.

— რაიკომში ყველაფერი დალაგებული მაქვს და სანამ სამუშაო დღე დაიწყებოდეს, აქ მოვედი. ახლავე წავალ... — მოიბოდიშა თედომ.

— პირიქით, ჩემო თედო, პირიქით... ეს შესანიშნავი ამბავია. მოდი, ერთი, დამატარე ეს შენი ბაღი, ვნახოთ რას წარმოადგენს.

თედო ირაკლის წინ გაუძღვა.

ბაღს საკმაოდ მოზრდილი ფართობი ეჭირა. გვერდით პატარა მდინარე ჩამოუდიოდა. მდინარეს, ადიდებისას, მთიდან ლოდები წამოეთრია. ახლა ძლივს მიიკვლევდა მათ შორის გზას.

თავის დრაზე ბაღი მზრუნველ ხელს გაეშენებინა. ამ მხარისათვის უცხო ხეებიც დაერგო და გაეხარებინა. შუა ადგილი დეკორაციული მცენარეებით მოერთო. წინათ, ალბათ, აქ მოედანი იყო. ახლა მისი ყოველგვარი ნასახი წაშლილიყო, მცენარეებიც თითქმის გადამხმარიყვნენ.

გზის პირად დარგული წიწვიანი ბუჩქები მეჩხერად აშლილიყვნენ, ტოტები უშნოდ გაეზარდათ.

თედო თვითვე ხეს ახლობელი ადამიანივით იცნობდა. მისი კარგიც იცოდა და ავიც. ზოგიერთი მათგანის დაბადებასაც მოსწრებია და ზოგიც მის თვალწინ დაბერებულიყო.

ალაგ-ალაგ ძვირფასი ხეები მოექრათ, რამდენიმე მათგანი, როგორც თედომ თქვა, ამოეთხარათ და რაიკომის შენობის წინ, ქალაქის ცენტრში გადაერგოთ.

ცხრა საათი სრულდებოდა, როდესაც ირაკლიმ რაიკომის შენობის კიბეზე ფეხი შედგა. კიბის ერთი საფეხურიდან აგური ამოვარდნილიყო. აგური ფეხით თავის ადგილას ჩასვა და გზა განავრძო.

რაიკომში ყველანი თავიანთ ადგილებზე იმყოფებოდნენ. მართალია, ადრინადად რაიკომის ახალ მდივანს არავენ ელოდა, მაგრამ დღეს სამსახურში მაინც არავის დაგვიანებია: ვინ იცის, ახალ მდივანს ეგებ ჩვეულებად აქვს ადრე ადგომა.

რაიკომის თანამშრომლები ახალ ტანსაცმელში გამოწყობილიყვნენ. კარგად იცოდნენ, პირველი შთაბეჭდილება ბევრ რამეს ნიშნავდა. ყველას ერთი ფიქრი აწუხებდა, როგორ მიიღებდა, რა თვალთ შეხედავდა პირველი მდივანი თვითეულ მათგანს. ისინი, რომლებიც აქამდე განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდნენ, საკმაოდ ღელავდნენ: ვაი თუ ახალმა ახალი მრჩევლები გაიჩინოსო... სხვებს იმედი უღვივებოდათ.

ყველა ჩქარობდა თავისი საქმეების მოწესრიგებას: პასუხგაოცემელ ქალღლებზე პასუხს აძლევდნენ, პასუხგაცემულს საქმეში აკერებდნენ, ზედმეტს თავიდან იშორებდნენ, ახალს თავის ადვილას ათავსებდნენ.

პირველად ირაკლი მემანქანე ლუიზამ დაინახა. იგი ფანჯარასთან იდგა, როდესაც ირაკლი კიბეებზე ამოდიოდა. ლუიზა ფანჯარას მოწყდა და ხმამაღლა დაიძახა:

— მოდის, მოდის, მოდის!..

შემდეგ სულის მოუთქმელად სხვა ოთახებიც შემოირბინა. ისეთი სახე-ალეწილი და აღელვებული გადასცემდა რაიკომის ახალი მდივნის მოსვლის ამბავს, თითქოს რაღაც არაჩვეულებრივ რაიმეს იტყობინებო. თანაც ჩქარი ლაპარაკი იცოდა ლუიზამ, ერთ წუთში ქვეყნის ამბის მოყოლას მოასწრებდა ხოლმე.

რაიკომის მდივნის მოსვლის შეტყობინების აურზაურში დრო ვერ გამოზომა და თავისი ოთახის კარი რომ შეაღო, გოცებისაგან იქვე გაშეშდა. ახალი მდივანი პირველად მათთან შესულიყო და ლუიზას მეზობლად მჯდარ ინსტრუქტორს რაღაცას ეკითხებოდა.

ირაკლის ახალშემოსულისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ლუიზა ერთხანს კართან იდგა, შემდეგ ფრთხილი ნაბიჯით თავისი მაგიდისაკენ გასწია. მართალია, ფეხის წვერებზე მიდიოდა, მაგრამ ახალმა ფეხსაცმელებმა გასცეს. ისე მოღალატურად და ხმამაღლა აპრაქუნდნენ, რომ ლუიზას მეტი არაფერი დარჩენოდა, ლულულით ბოდიში უნდა მოეხადა:

— მაპატიეთ, დავაგვიანე... თქვენი მოსვლის ამბავი სხვებსაც შევატყობინე.

ირაკლიმ მხოლოდ ახლა შეხედა ლუიზას.

— მერე, — ისეთი კილოთი უთხრა, ვერ გაიგებდით, ხუმრობდა თუ მკაცრად ეუბნებოდა: — განა ჩემი მოსვლა თქვენს საქმეზე უფრო მნიშვნელოვანია?... — უთხრა და მეორე ინსტრუქტორის მაგიდას მიუახლოვდა. ბოლოს ოთახიდან ისე გავიდა, ლუიზასათვის ერთი შეკითხვაც არ მიუცია.

რაიკომის თვითეული მუშაკი ცდილობდა ახალი მდივნის შექება დაემსახურებინა. ზოგიერთი მათგანი ზედმეტი ყურადღებით ექცეოდა, ემლიქნელობდა.

ყველაზე ნაკლებ დავით ხიზანიშვილი ფიქრობდა ირაკლის გულის მოგებას და ყველაზე დიდხანს ირაკლი მაინც მასთან დარჩა. ერთი რამ მოეწონა თავიდან ირაკლის ხიზანიშვილისა: ზოგიერთივით არ წამომხტარა, დინჯად წამოდგა ირაკლის შესაგებებლად. საქმეებიც ასევე დინჯად გააცნო.

ირაკლის განსაკუთრებით რაიკომის ბიუროზე გასატანი მასალები აინტერესებდა. ეს ინტერესი უფრო გაულრმავდა, როდესაც თავისი სიყრმის მეგობ-



რის ვახტანგ არაბულის გვარს მოჰყრა თვალი. ბიუროს დადგენილებების პროექტი ითვალისწინებდა ვახტანგ არაბულის კოლმეურნეობისათვის ემტევისიდან პირველი სატრაქტორო ბრიგადის მიმავრებას. იქვე დავით ხიზანიშვილს საყვედურს უცხადებდნენ ამ ღონისძიების ჩაშლისათვის.

ირაკლიმ ხელმეორედ გადაიკითხა დადგენილების პროექტი და დავითს საქმის ვითარება გამოკითხა.

დავითმა დაუფარავად უამბო ყველაფერი. უამბო, რომ ვახტანგს ყველაზე ნაკლებ ესაუბირობოდა ემტევისის ყველაზე მოწინავე ბრიგადა, რომ მასზე უფრო სხვა კოლმეურნეობას უნდოდა დახმარება, რომ დავითი თავიდანვე ამ განკარგულების წინააღმდეგი წავიდა და ამის გამო საყვედური აქვს ჩაწერილი. რას იზამთ, ასეთი იყო რაიკომის მდივნის განკარგულება...

ირაკლიმ მხოლოდ ახლა მიაქცია ყურადღება ერთ გარემოებას: თუ სხვა საქმის ვაცნობას სამ წუთსაც არ ანდომებდა, ვახტანგის ამბავს აგერ ნახევარი საათია ჩაპკირკიტებს. ცოტათი უხერხულობა იგრძნო.

უბის წიგნაკში ჩაინიშნა, რომ ეს საკითხი ემტევისის დირექტორთან დაეზუსტებინა.

შუაღლე გადაცილებული იყო, როდესაც ირაკლიმ თავისი კაბინეტის მოსაცდელი ოთახის კარი შეადო. მართალია, დღეს რაიკომის ყველა თანამშრომელი ახალ ტანსაცმელში გამოწყობილი შეხვდა, მაგრამ მაყვალას სამოსმა და ლაზათმა მაინც თვალი მოჰყრა.

ირაკლის დანახვისას მაყვალას სიმორცხვით სახე აელანძა და უცხად ფეხზე წამოდგა. ირაკლი ძველი მეგობარივით მიესალმა, ხელი ჩამოართვა, მისი ჯანმრთელობა იკითხა.

კაბინეტში ერთად შევიდნენ.

ირაკლი თავის მაგიდას მიუჯდა. მაყვალაც იქვე ჩამოჯდა. ერთხანს დუმდნენ. სიჩუმეს კედლის საათის მონოტონური წიკწიკი არღვევდა.

— ასე, ჩემო მაყვალა, — დუმილის შემდეგ შინაურულად მიმართა ირაკლიმ გოგონას. — მაშასადამე, დღეიდან ერთად მოგვიხდება ამოდენა საქმის წარმოება. თქვენ ჩემი მხოლოდ პირადი მდივანი კი არ იქნებით, ჩემი მარჯვენა ხელი უნდა გახდეთ. თქვენს ზუსტ და კეთილსინდისიერ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი საერთო საქმის წარმატება. თქვენ ყველა საქმის კურსში უნდა იყოთ. აქ წარმოებული ყველა საქმე ჩემსავით უნდა გაინტერესებდეთ და მაშინ, დამერწმუნეთ, დრო სრულიად არ დაგრჩებათ სამსახურში რომანების მალულად წასაკითხად. არა, არა, — ირაკლიმ შეცვალა კილო, — კი არ გისაყვედურებთ. ნურც იმას იფიქრებთ, საერთოდ წინააღმდეგი ვიყო წიგნების კითხვისა. უსაქმურად ჯდომას სასარგებლო წიგნების კითხვა სჯობია. მაგრამ თუ მთელ რიგ საკითხებში თავს პასუხისმგებლად იგრძნობთ, თვითონ დანახავთ, წიგნებისათვის ვერც კი მოიცილით. გასაგებია?

— გასაგებია, — ჩაილაპარაკა მაყვალამ. — ყველაფერი გასაგებია...

— საქმესაც ყურისგდება უყვარს, — განავრძო ირაკლიმ. — ჩვენ უსიტყვოდ უნდა გვესმოდეს ერთმანეთისა და ჩემგან წასული საქმე, რომლის დიდი უმრავლესობაც თქვენს ხელში გაივლის, არსად არ უნდა დაყოვნდეს, იგი დანიშნულ ადგილას ზუსტად და დროზე უნდა მივიდეს. ესაა ძირითადად თქვენი მოვალეობა. ამასთან ერთად იმ საქმის შემდეგი გზაც უნდა გვაინტერესებდეს. მე აქ ჩემთვის ჩავინიშნავ ყოველ მათგანს. თქვენც გირჩევთ, სპეციალური რვეული იქონიოთ მათი ბედის გასარკვევად. ახლა მეორე მთავარი საკითხი: ვინც არ უნდა მოვიდეს, ვისაც ჩემი ნახვა აუცილებლად სჭირდება, დაუყო-

ნებლიე შემოუშვით. თუ ცალკე უნდა მოლაპარაკება, დააცდევინეთ, სანამ მარტო
 ტოდ არ დაგრჩები. ხვალღან შემოვიღოთ ასეთი განრიგი: დილით — ფოსტა.
 რაიკომის თანამშრომლებისათვის ათი-თერთმეტი საათი. თერთმეტიდან პირ-
 ველამდე ჩემ მიერ გამოძახებულნი მოვლენ. ორიდან ხუთამდე მთხოვნელებს
 მივიღებ. რაც არ უნდა მოხდეს, ამ საათებში მე აქა ვარ და ჩემი კაბინეტის
 კარი ყველასათვის ღიაა. ბიურო დაეწესოთ ხუთშაბათობით. მთხოვნელთა
 პირად საქმეებშიც უნდა გაერკვეთ. ეგებ ჩემზე უფრო სხვა ჭირდება, სხვა
 შეძლებს უშველოს. მაშინ ჩემი სახელით სხვასთან გააგზავნეთ და იქაც თვალ-
 ყური ადევნეთ. მთხოვნელთა მიღების საათებში არც ერთ თანამშრომელს არ
 მივიღებ... ამაზე მოვრჩეთ. რაიმეს ხომ არ შეეკითხებით?

— არა, შეკითხვა არ მაქვს... გასაგებია...

— ძალიან კარგი. ახლა კი ფოსტა შემომიტანეთ.

ფოსტა ბევრი დაგროვილიყო. პირველად რაიონული გაზეთი ეცა თვალში.
 პირველ გვერდზე მოთავსებული იყო რაიკომის პლენუმის ინფორმაცია. ასე
 ეწერა: „ამ დღეებში შედგა ჩვენი რაიონის რაიკომის მორიგი პლენუმი. დღის
 წესრიგში იდგა მხოლოდ ერთი, ორგანიზაციული საკითხი. პლენუმმა რაიკომის
 პირველ მდივნად ერთხმად აირჩია აშხ. ირაკლი გიგაური და შეიყვანა პლენუ-
 მისა და ბიუროს შემადგენლობაში. მეორე მდივნად არჩეული იქნა ალექსანდრე
 გომართელი, მდივნად მტს-ის დარგში სოლომონ ჯაველიძე“. გაზეთის შემდეგ
 ფოსტას დაუბრუნდა. გულდასმით კითხულობდა თვითეულ მათგანს. უცბად
 ერთმა წერილმა დააინტერესა. წერილი ვახტანგ არაბულს ეხებოდა. დღეს უკვე
 მეორედ შეხვდა მეგობრის სახელი. წერილი პარტიის რაიკომის პირველი მდივ-
 ნის სახელზე იყო გამოგზავნილი. ხელს აწერდა „წინსვლის“ სახელობის კოლ-
 მეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ათანასე ბეჟაური.

განცხადება დიდი იყო, ჭკვიანურად დაწერილი. ჩანდა, მის ავტორს ბევ-
 რი ეფოქრა, ბევრი ეყოყმანა, სანამ ამ განცხადებას გამოგზავნიდა.

წერილი ბოდლით იწყებოდა, მაგრამ მდგომარეობის მეტისმეტად გამწვა-
 ეების გამო შეუძლებელი იყო დუმული:

„ამ ექვსი წლის წინათ, — წერდა ბეჟაური. — ვახტანგ არაბული ჩვენი
 სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ. იგი პროფესიით აგრო-
 ნომია, ჩვენებურიცაა და სოფლის მეურნეობაც კარგად ესმის.

პირველ დღესვე ჯარასავით დატრიალდა. ყველა საქმის სადავე თვითონ
 ჩაიგდო ხელში. მაგრამ საოცარი იყო. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას
 რატომღაც სამხედრო ყაიდაზე აწარმოებდა. თავიდან, თითქოს, მოგვეწონა კი-
 დეც ასეთი წესები: ყოფილი ფრონტელები ხომ შეჩვეულნი იყვნენ და ჩვენ-
 თვისაც უჩვეულო იყო, ახალი.

პირველი ორი წელი არა უშავდა რა... მოსავალიც კარგი მოვიყვანეთ,
 ცხვარიც გავამრავლეთ. მაგრამ თანდათანობით ძნელი გახდა ჩვენი თავმჯდო-
 მარის მიერ შემუშავებული სამხედრო დისციპლინით საქმიანობის წარმოება.
 დილ-დილობით, კოლმეურნეობის ბრიგადები მინდვრად სამუშაოდ რომ გა-
 დიოდნენ, სამხედრო შეკრება გეგონებოდათ. იყო პატაკის ჩაბარება და გადა-
 ბარება. ისმოდა ბრიგადირების შეძახილები:

— სმენა!.. ნაბიჯით იარ!..

როგორც მოგეხსენებათ, სამხედრო საქმიანობა განკარგულების შესრუ-
 ლების დროს კრიტიკას ვერ იტანს, იგი უფროსის ბრძანების უსიტყვოდ შეს-
 რულებას მოითხოვს.



მართალია, უკანასკნელ ხანებში ამხანაგმა ვახტანგ არაბულმა სამხედრო დისციპლინაზე ასე თუ ისე უარი თქვა, მაგრამ თავისი საქმიანობის კრიტიკას ვერ შეეჩვია. ეს კი ბევრ რამეში გვიშლის ხელს.

ვახტანგ არაბულმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ჩვენი მუდამ ჩამორჩენილი კოლმეურნეობა რაიონში მოწინავე თუ არა, მოწინავეთა მომდევნო მაინც გაეხადა. კოლმეურნეებს წინათ იგი ძალიან უყვარდათ, არც ახლა ეჯავრებათ, მაგრამ საჭიროა ხალხის ხმასაც ყური უგდოს, ზოგი რამ ხალხსაც დაუჯეროს.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებიდან კოლმეურნეობის გამგეობას და მათ შორის მეც, — თამამად წერდა განცხადების ავტორი. — ჯერჯერობით სათანადო დასკვნები არ გამოგვიტანია. სახელმწიფოსა და საკუთარ თავს ბევრ დოვლათს ვაკლებთ. ბევრია ჩვენში ჯერ კიდევ აუთვისებელი ფართობი. ცხვარიც მეტი შეიძლება ვიყოლიოთ, გაცილებით მეტი და კარგი ჯიშისანი. ამის შესახებ ვილაპარაკე კოლმეურნეთა საერთო კრებაზე და ვცდილობდი ჩემი მოსაზრებანი ფაქტებით დამედარებინა. მაგრამ ამხანაგმა ვახტანგ არაბულმა იუკადრისა კრიტიკა და ლანძღვა-გინებით მიასუსხა. შეიძლება არ ვიყავი მართალი, მაშინ აეხსნა, გაეგებინებინა. ეგებ დავთანხმებოდი, თუ კი ჩემი საწინააღმდეგო აზრის დასამტკიცებლად სათანადო ფაქტებს მოიყვანდა. არაფერს მოგწერდით, მაგრამ იმ დღიდან გასაქანს არ მძღვეს. მეჩხუბება, მედავება, უმართებულოდ მიჯავრდება და მიყვირის. ამასაც ავიტანდი, საერთო საქმის საწინააღმდეგოდ რომ არ მოქმედებდეს. მე კი მხოლოდ ერთი რამ მსურს: ვახტანგ არაბული უკეთესი იყოს და ჩვენი კოლმეურნეობაც უკეთესი გახდეს. არაბული ხალხის ხმას ყურს არ უგდებს, არაფრად აგდებს.

გთხოვთ ადგილზე შეამოწმოთ ჩემი განცხადების სიმართლე, — ასკენიდა განმცხადებელი. — და დაგვეხმაროთ, ვახტანგ არაბულსაც დაეხმაროთ, თორემ შესაძლებელია ეს სასარგებლო მუშაკი გზას ასცდეს“.

ირაკლი ჩაფიქრდა. განცხადებიდან ჩანდა, მის ავტორს საქმისათვის გული შესტკიოდა. ვახტანგი რალაც ამბებში დაბნეულა. ნუთუ გომართელით ზურგ-მომაგრებული თავის კოლმეურნეობაში ამდევ თვითნებობას სჩადის?!..

კარგად იცოდა ირაკლიმ, როგორი ზედმეტად თავმოყვარე და ამაყი იყო ვახტანგი. ამ საკითხის გამორკვევას დიდი სიფრთხილე და წინადახედულობა სჭირდებოდა, თორემ ერთი არასწორად გადადგმული ნაბიჯი, ერთი არასწორად ნათქვამი სიტყვა და შეიძლება ყველაფერი აირიოს. ვახტანგი ირაკლის იმას არ აპატიებდა, რასაც სხვებს, თუნდაც იგი ცენტრალური კომიტეტის მდივანად მოეველინოს. და ირაკლისათვისაც ზომ ვახტანგი ერთადერთია, 'ყუც-ვლელი, ერთგული მეგობარი, რომელსაც უნდა გაუფრთხილდეს. აქ რომ სამუშაოდ მოდიოდა, იმიტომაც მოუხაროდა, ვახტანგი იმედოდ ეგულებოდა. დაწვრილებით უნდა გაარჩიოს ყველაფერი. პირველ რიგში კი ვახტანგი უნდა ნახოს...

ფიქრთა დენა მაყვალამ შეაწყვეტინა.

ირაკლის ახალ მდივანთან პირველი მთხოვნელი მოსულიყო.

ვახტანგ არაბულმა ცხენი რაკომის ეზოში შემოაგელვა. ცოტახანს გაატარ-გამოატარა, შემდეგ აღვირი მეჯინიბეს მიუგდო.

— შენებურად მიმიხედე, სხვა ჩემზე იყოს! — უთხრა და ჩქარი ნაბიჯით კიბეს დაჰყვა. სამ საფეხურს ერთი ნახტომით აღიოდა.

სამი დღეა მთაში ცხერის საზაფხულო საძოვრებს ათვალეირებდა, სადგომები წესრიგში მოჰყავდა. წუხელის ამბავი ამოუტანეს: რაიკომის მდივნად ახალი კაცი აირჩიეს, ირაკლი გიგაური, და თავისთაი გინძობსო.

დიდხანია ირაკლი არ ენახა. ახლა ასე ახლოს ეგულებოდა და გული რას მოუსვენებდა. იმ საღამოსვე წამოვიდა. შუალამეს გადაცილებული იყო, გაქაფული ცხენი შინ რომ შეაჭენა. ხეირიანად არც კი მოუსვენია, არც თავი მოუყვანია წესრიგში. ცხენი გამოიცივალა და ასე ტლაპოში ამოსვრილი და წვერებაბურძენული ადრე დილით აქეთ გამოეშურა.

მისაღებ ოთახში მაყვალას გარდა არავინ იყო. მაყვალას ვახტანგი არც გაუჩერებია, ღიმილით მიესალმა და თვალით ანიშნა: თავისუფალია, შედიო.

ვახტანგი რაიკომის მდივნის კაბინეტში შევიდა. ირაკლი მაგიდას უჯდა და რაღაცას წერდა. კარის ჭრაჭუნნი რომ შემოესმა, თავი ასწია. ვახტანგის დანახვისას თვალები აუციმციმდა, სასწრაფოდ წამოდგა და მის შესაგებებლად გაეშურა. სიყრმის მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— ირაკლი, ეს შენა ხარ, ირაკლი!.. — სიხარულით როხროხობდა ვახტანგი. — ოხო, ხო, აი, ყოჩაღ!.. აი, ყოჩაღ!.. ასეც უნდა!..

მასზე ნაკლებ არც ირაკლი იყო გახარებული, თუმცა გარეგნულად უფრო მშვიდად ეჭირა თავი.

შეხვედრის პირველმა სიხარულმა რომ გაიარა, მეგობრები სავარძელზე დასხდნენ, ერთმანეთის გვერდით. ვახტანგმა თვალი შეავლო ირაკლის უკანასკნელ წლებში ცოტათი შეცვლილიყო. შუბლთან თმა ოდნავ შეთხელებოდა. გემოვნებით ეცვა.

— აქამდე სად იყავი? — შეეკითხა ირაკლი. — რამდენი ხანია შენი ნახვა მინდა. მე გინახულებდი, მაგრამ ჯერ ქაღალდების გადაბარ-გადმობარებას და ათას საქმეებს ვუნდები.

— მთაში ვიყავი, — უპასუხა ვახტანგმა. — ხომ იცი, ცხერების საზაფხულო სადგომს დროით თუ არ მიხედე, შემდეგ გვიანი იქნება. როგორც კი შენი ამბავი ამომიტანეს, იმ წუთასვე აქეთ გამოვეშურე.

— როგორა ხარ, რას შერები? — კვლავ შეკითხვით მიმართა ირაკლიმ.
— რა მიჭირს... — მაგრამ ვახტანგს ამდენ ხანს ერთ ადგილას რა გააჩერებდა. ვერც თავის სიხარულს ფარავდა. წამოხტა, ხელების ქნევით ირაკლის წინ გაიარ-გამოიარა, შემდეგ შედგა. — ერთი შემოგხედო, ამხანაგო რაიკომის პირველო მდივნო!.. ჰაი, დედასა, ჩემი ირაკლი ჩემი რაიკომის მდივნია!..

ირაკლიმ გაიღიმა, ვახტანგი ხელით მოიპატიჟა, გვერდით მოისვა და ხუმრობით უთხრა:

— შენ კი ისეთივე დათვი დარჩენილხარ.
— დახე, ჰალსტუხიც გაუკეთებია!.. — არ ისვენებდა ვახტანგი. ცოტახანს სული მოითქვა და შემდეგ გამოცვლილი ხმით მიმართა: — ჩვენს რაიონში რა ქარმა გადმოგისროლა?

— უმაღლესი პარტიული სკოლა რომ დავამთავრე, აქ მოვხვდი... ესაა და ეს...

— მეცოდები! — მიახალა ვახტანგმა.
— გეცოდები?
— ჰო, მეცოდები! — გაიმეორა ვახტანგმა. — ისეთ რაიონში მოხვდი, ცხენი შეკაზმული უნდა გყავდეს გასაქცევად. აქედან ან მოგხსნიან, ან, თუ ვინმე

მფარველი გყავს, უკეთეს შემთხვევაში ავადმყოფობის გამო გაგანთავისუფლებენ...

— შენც გასაქმევად ემზადები? — გააწყვეტინა სიტყვა ირაკლიმ.

— ხომ იცი, დათვის ტყავი მაქვს, გამძლე. სადაც საჭიროა, დარტყმას დარტყმითვე ვუპასუხებ. შენ კი ჩემზე სუსტი ხარ, გაგაფუჭებენ.

ირაკლის გაელიმა და ხუმრობით უპასუხა:

— ხომ ამდენი ხნის მეგობრები ვართ, მაგრამ კარგად მაინც არ გცნობივარ, ამხანაგო ვახტანგ არაბულო.

— შენ აქაურობას არ იცნობ...

— გარდა ამისა, ჩვენ, კომუნისტებს, როდი გვჩვევია სიძნელების წინაშე ქედის მოხრა.

— წიგნებიდან ნუ მელაპარაკები.

— დაუშინებიხარ.

— მე?.. — ვახტანგი ცოტახნით შეჩერდა, შემდეგ მტკიცედ განაგრძო: — შენც იცი, არაბულს ასე იოლად ვერ დააშინებენ... მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი აქვს.

მეგობრების საუბარმა საქმიანი ხასიათი მიიღო, ამიტომ მათი კილოც სერიოზული გახდა. ირაკლი წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მაგიდასთან მივიდა, სკამს ხელი დაავლო, სავარძლის წინ დადგა და დაჯდა. ასე სჯობდა, ვახტანგს პირდაპირ უყურებდა.

— თუ ასე გიჭირს, სასწრაფო ზომებს მივიღებ, ვინმეს დაგახმარო. ისეთს გამოგიგზავნი, კმაყოფილი დარჩე.

ვახტანგმა ხელები გაასავსავა.

— ოღონდ, შენი ქირიმე, ჰალსტუხიანს ნუ დამანახებ, ნურც მორთულ-მოკაზმულს, თორემ ჩვენს ტლაპოში ამოისერება და გაუვალ ტალახზე გაბრაზებული ჩემზე ცუდ ამბავს მოგიტანს.

ირაკლიმ პასუხი ცოტახანს დააყოვნა და შემდეგ ოღნავი საყვედურით მიმართა, თუმცა საყვედურს იმ წუთასვე ღიმილი დაადევნა:

— რა გასაკვირი იქნება, შენგან ჩამოსულმა კაცმა ასეთი ამბავი ჩამოგვიტანოს: კოლმეურნეობა „წინსვლას“ ხეირანი შარავზა არა ჰქონიაო.

— ვზა... ვზა... — დაიბნა ვახტანგი. — ვზაზე განა ყოველთვის ტლაპო დგას...

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს!

მხოლოდ ახლა გაახსენდა ვახტანგს, რომ ფეხსაცმელი ერთიანად ტლაპოში ჰქონდა ამოსერილი. ცერად შეხედა იატაკს. მისი ნაფეხურები თეთრად აჩნდა. შერცხვა და ფეხები სავარძლის ქვეშ დამალა. ირაკლის არ გამოჰპარვია ეს მოძრაობა.

— ჰო, კარგი, კარგი! — დაყვავებით მიმართა — განა ამისათვის გითხარი... მე რას მერიდები.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

ირაკლი მაგიდას მიუჯდა. შუა უჯრა გამოადლო. ქაღალდებში რაღაც მოძებნა, წინ დაიდო და ვახტანგს მიუბრუნდა:

— ახლა მე მომისმინე. თქვენი კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა... — შეჩერდა, მის გვარს ძებნა დაუწყო. — ჰო... ათანასე ბეჭაურმა ჩვენი შენს შესახებ განცხადება შემოიტანა. ამას იმიტომ გეუბნები, რომ ასეთივე განცხადება მას კოლმეურნეობის გამგეობისათვისაც მიუცია.

ვახტანგი გაბრაზებული წამოხტა.

— აქაც გამოუგზავნია?.. — წამოიძახა ხმამაღლა. — მე მაგას!.. დანა!.. სულ ლუკმა-ლუკმად ავქნი!..

ამ გაცეცხლების დროს ყველაზე მეტად ენიშნა ირაკლის ვახტანგის ხასიათი. ო, რა ბობოქარი და მოუსვენარია. ვერც წლებს გამოუცვლია დიდად. ირაკლის გუნებაში გაეღიმა, მაგრამ გარეგნულად სერიოზული სახე შეინარჩუნა. საქმე, მართლაც, მეტად სერიოზული იყო.

— მე იმაში ვარ დამნაშავე, — არ ცხრებოდა ვახტანგი, — კრებაზე იმდენი რომ ვალაპარაკე და იმ წუთასვე კინწისკვრით არ გავაგდე. მაგრამ კრებას თავმჯდომარეობდა და...

— რას ლაპარაკობ! — ახლა ირაკლი გამოვიდა წონასწორობიდან. — კრების თავმჯდომარე კრებიდან გააგდო?.. ეს რა მსჯელობაა!..

— აბა, მან უნდა მასწავლოს, ცხვირმოუხოცავმა?! როდესაც ჩვენ ფრონტზე სისხლს ვღვრიდით, ის აქ საწოვართი რძეს ყლაპავდა...

— მერე რა ვუყოთ, შემდეგ გაიზარდა და მხარში ამოგვიდგა. ასეთია ცხოვრება!..

ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ირაკლიმ ყურმილი აიღო. ვილაცას დიდხანს ელაპარაკა. ვახტანგს მისი საუბრისათვის ყური არ უგდია, თავის ფიქრებში იყო წასული. რა ფრთხილხმული მოუხაროდა ირაკლისაკენ და ბექაურის განცხადებამ კი სიხარული გაუნახევრა. სიბრაზისგან ყელში რაღაც ბურთივით აწვებოდა და ნერწყვის უშრობდა. ასეთ დროს საღმე უნდა ამოიყაროს ჯაგრი, თორემ გულზე მომდგარ ბოლმას ვერ გაუძლებს. ვერც რაიმე ახსნა-განმარტებანს მისცემს დღეს ირაკლის, ჩამოვიდნენ და ადგილზე შეამოწმონ...

ირაკლიმ ტელეფონით ლაპარაკი მოათავა. ვახტანგი ფეხზე იდგა და წასასვლელად გამზადებულიყო.

— შენ საით? — გაკვირვებით შეეკითხა ირაკლი. — განა ამ განცხადების თაობაზე არაფერი გაქვს სათქმელი? თავი მაინც იმართლე.

— არა, ირაკლი, — სხაპასუხით უპასუხა ვახტანგმა. — თავს არ ვიმართლებ, დღეს არც არაფერს ვიტყვი. ისეთ ხასიათზე დავდექი, რაღაც წამომცდება და ჩემს თავს ვავნებ. სჯობს ეს საკითხი ადგილზე შეამოწმო. პირადად შეისწავლე, ან თუ ვინმეს დაავალე, კაცურ კაცს დაავალე... მეტხანს შენთან ვერ დავრჩები, ჩემს საქმეებსაც უნდა მივხედო. მთავარია, განახე...

— ასე როგორ გაგიშვა, რაც არ უნდა იყოს, მასპინძელი ვარ.

— არა, — ნაძალადევად გაეცინა ვახტანგს, — ჩემს რაიონში შენ და მასპინძელი?..

— რა გაეწყობა, — თანხმობით ჩაილაპარაკა ირაკლიმ. — თუ ასე გეჩქარება, ვერ დავაკავებ. ერთ რამეში დარწმუნებული იყავი, ყველგან და ყოველთვის ჩემი მეგობრობის იმედი გქონდეს... მაგრამ შენც ერთი პირობა უნდა მომცე.

— რა პირობა?

— ათანასე ბექაურს ამ განცხადებისათვის ნუ წაეჩხუბები. სიტყვა მომეცი, რომ არ აუხიროდები.

— რა გაეწყობა, მომიცია... — ძლივს ჩაიდუღუნა ვახტანგმა.

— რა იქნებოდა, დარჩენილიყავი. დამთავრდება სამუშაო დღე და გავიხსენოთ ჩვენებური...

— სად ცხოვრობ? — გამოცელილი ხმით შეეკითხა ვახტანგი.

— ჯერჯერობით სასტუმროში. ამ დღეებში ახალ ბინაში გადავალ.

— მეუღლე?

— ანკეტაში ძველებურად ვწერ: „უცოლო“.

— ეს კი ცუდია. ნახვამდის!

ვახტანგი კარებისაკენ თავჩაღუნული წავიდა. უცბად იატაკზე კვლავ თავის ტალახიან ნაფხურს თვალი მოჰკრა და ხმამაღლა წამოიძახა:

— შაბაშ, ერთ კვირაში გზას გაეკეთებ.

— აქედან ზევნ დაგეზმარებით. რაც დაგვირდეს, თამამად ვეთხოვე.

ვახტანგი კარებთან შედგა.

— კარგად გნახე, ირაკლი! ახლა შენი ჯერია, აუცილებლად ჩამოდი. დედაჩემს ძალიან გაეხარდება. გელოდება. ცოლ-შვილსაც გააცნობ. სარეცხიც გამოაგზავნე, ნუ მოგერიდება. მარტოხელა კაცი ხარ, ვინ უნდა მოგიაროს... — ერთი ღრმად ამოისუნთქა. — ეხ, როგორ გამიფუჭა შენი ნახვის სიხარული მაგანცხადებამ... ნახვამდის!..

— დაიცადე, შე დათვო... რადგან შენსას არ იშლი, ხელი მაინც ჩამომართვი.

— ნახვამდის! — ხელი შეაგება ვახტანგმა. — კარგად გნახე.

— შენები მომიკითხე. ბავშვები დამიკოცნე. რამდენი გყავს?

— სამი. ორი ბიჭი და ერთი გოგო.

— ბედნიერი კაცი ხარ. ერთი თხოვნაც, — შეაჩერა ირაკლიმ. — ბექაური გამომიგზავნე. პირობა კი არ დაგავიწყდეს!

ვახტანგი კარისაკენ წავიდა. უცბად მობრუნდა და სხვათა შორის თქვა:

— ჰო, მართლა, სულ არ დამავიწყდა?

ირაკლი სმენად გადაიქცა. მიხვდა, რომ მან მთავარი სათქმელი ბოლოსათვის შემოინახა. ვახტანგმა თითქოსდა უმნიშვნელო რაფეს ეუბნებოდა, ისე წამოიწყა:

— ჩემს მინდვრებს მუდამ ემტევისის ტრაქტორისტების პირველი ბრიგადა ხნავდა. ახლა მხოლოდ ორი ტრაქტორი გამოუგზავნიათ.

— მერე, რას თხოულობ? — შეეკითხა ირაკლი.

— განკარგულება გაეცი, კვლავ პირველი ბრიგადა მომამაგრონ.

ირაკლიმ გაიარ-გამოიარა.

— წარმოიდგინე, საქმის კურსში ვარ, — უთხრა მშვიდად. — ჩემი განკარგულებით იყო, შენთან რომ ორი ტრაქტორი გამოგზავნეს. პირველი ბრიგადა მახარაძისა და ჯაფარიძის კოლმეურნეობების მინდვრებსა ხნავს. მოასწრებ, ერთად დაამთავრებთ!

— მაშ ეს შენი განკარგულებით მოხდა?

— ამხანაგებს შევეკითხე, მათაც მირჩიეს. გაიგე, რომ რაიონისათვის ასეა საჭირო.

— მე რატომ არ შემეკითხე? — ყრუდ ჩაილაპარაკა ვახტანგმა.

— შენ ჩემი ვახტანგი ხარ, ისედაც გამოიგებ...

ვახტანგს სახე შეეცვალა. არაფერი უთხრა. მობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გავიდა.

ირაკლი მისაღებ ოთახში გაჰყვა, მაგრამ მხოლოდ ვახტანგის ზურგსლა მოჰკრა თვალი.

მისაღები ოთახის ერთი ფანჯარა რაიკომის ეზოსკენ გადიოდა. ირაკლიმ ფანჯრიდან დაინახა, თუ როგორ შეჯდა ვახტანგი თავის ცხენზე. იქვე მეჯინებ იდგა, ალბათ, ვახტანგისაგან ყურადღებას დაჩვეული. ვახტანგმა მას ზედაც არ შეხვდა, აღვირი დაქაჩა, ცხენს მათრახი ძლიერად გადაჰკრა და მთე-

ლი თავისი გულის ჯავრი მასზე გადაიტანა. ცხენი ყალყზე შედგა. ვახტანგმა აღვირი მოუშვა. ცხენი ადგილს მოწყდა და გაქვნიდა.

ირაკლიმ ვახტანგს თვალი გააყოლა.

„დათვია, ნამდვილად დათვია!“ — თავისთვის ჩაილაპარაკა და კაბინეტში შებრუნდა.

თხუთმეტ წუთში მასთან რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარე დიდიმე უგრეხელიძე უნდა მოსულიყო, გამომახებული ჰყავდა.

11

დიდიმემ საათს დახედა. მოეჩვენა, თითქოს საათის ისრები თორმეტს გადაცილებულიყვნენ. უცბად თავში სისხლი აუვარდა, ერთნაირად აწითლდა და სახეზე ოფლმა დაასხა. ბევრი აღარ უფიქრია, მოწყდა ადგილს და ძუნძულით რაიკომისაკენ გაიქცა.

სახუმარო საქმე კი არ იყო. თორმეტ საათზე რაიკომის ახალ მდივანთან უნდა გამოცხადებულიყო. პირველად იბარებდა და პირველ დღესვე იგვიანებდა... თვალწინ მათი პირველი შეხვედრა ედგა გომართელის ბინაში, როდესაც მთვრალმა ისე შეაწუხა გიგაური... თუმცა რა იცოდა...

მერე და გუშინდელი დღიდან მაინც არ მომზადებულიყო ამ შეხვედრისათვის. რომ გამოიძახეს, ათასი ფიქრი აღეძრა. დიდიმეს არ უყვარდა, როდესაც უფროსები თავისთან უხმობდნენ. უმეტეს შემთხვევაში, ამ შეხვედრებს კარგა არაფერი მოჰქონდა მისთვის. ათასჯერ ურჩევნია საერთოდ არ მოიგონონ, არც კარგებში მოიხსენიონ, არც ცუდებში. იყოს თავისთვის და საქმეებიც თავისთვის აკეთოს. გადაცილებით იოლია ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკის ცოლთან საერთო ენის მონახვა. ქალის ბუნებას კარგად იცნობდა დიდიმე და თუ მის ბადეს ერთხელ მაინც მოედებოდა რომელიმე მათგანი, შემდეგ მას არასოდეს გაუშვებდა, მოუშინაურდებოდა, საჭირო და აუცილებელ კაცად გაუხდებოდა. ხელმძღვანელ ამხანაგებთან კი იბნეოდა, თავის აზრს არასოდეს იტყოდა. მათ ყველაფერში ეთანხმებოდა, თვალეზში შეტყუროდა და ელაქუცებოდა...

დიდიმემ სირბილით გადასჰრა ქუჩა, სანამ რაიკომის შენობას მიუახლოვდებოდა, ათჯერ მაინც შეჩერდა და აქოშინებულმა სული ძლივს მოითქვა. არ ცხელოდა, მაგრამ მელოტ თავზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. ცხვირსახოცი რომ არ ეყო, პალტოს სახელოთი დაიწყო ოფლის წმენდა.

რაიკომის მდივნის მისაღებ ოთახში კედლის დიდი საათი ეკიდა. ირიბად ახედა: თორმეტს ხუთი წუთი აკლდა. მაჯის საათს დახედა. იქაც ასევე იყო. თავის თავზე გაბრაზდა: ნეტავ რა ეშმაკი შეუძვრა, რა მოეჩვენა!.. ეს რა უბედურებაა, საათის ისრებსაც ვერ არჩევს!.. რა ტყუილ-უბრალოდ მიასკდა გულს, რა მოარბენინებდა ენაგამოვდებულის!.. ეხ, ალბათ, ცუდადაა საქმე!..

დაგვიანების გამო გამოწვეული შიში ვერ იქნა და ვერ მოიშორა. ალბათ იმიტომ, რომ რაიკომის მდივანთან შეხვედრას უფროსობდა. შიში გულში ქრუანტელად უვლიდა და გულის ცემას უჩქარებდა. ვერც პაპიროსმა უშველა. ირაკლი გიგაურთან რომ გამოიძახეს, სახეზე უკვე ადამიანის ფერი აღარ ედო.

კაბინეტში ორნი ისხდნენ, ირაკლი გიგაური და ალექსანდრე გომართელი. ალექსანდრე გომართელის იქ ყოფნამ თითქოს ცოტათი დაამშვიდა, გულში იმედის ნაპერწკალი ჩაესახა. გომართელის რეკომენდაციითაა დანიშნული დი-



დიმე რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ და ახლა რა ღმერთი გაუწყრება, არ დაიცვას. მისალმებას რომ მორჩნენ, ირაკლიმ ჩვეულებრივი ფრაზით მიმართა, ისეთით, როგორითაც საუბარს იწყებენ ხოლმე:

— როგორ მიდის საქმე?

დიდიმე არც დაფიქრებულა, უცებ უპასუხა:

— შესანიშნავად!

პასუხი ხმამაღალი და რიხიანი გამოუვიდა, ზედმეტად რიხიანი, რის გამოც გომართელსაც კი დაციწვით გაეღიმა. არა, სჯობდა პირველი სიტყვიდანვე უფრო თავდაპირველი და მოკრძალებული ყოფილიყო.

ირაკლიმ გაცივებით ახედა დიდიმეს, შემდეგ მაგიდაზე რაღაც ქაღალდები გადაფურცლა და მშვიდად ჩაილაპარაკა, თითქოს თავის თავს ესაუბრებო:

— მე კი თქვენი სისტემის წარმოებებიდან სხვაგვარი ცნობები მომიდის.

დიდიმემ არც ახლა გაიტეხა იხტიბარი. თვითონაც უკვირდა, ამდენი ვაზედულება საიდან ჰქონდა. რაღაც ძალა ამოძრავებდა, რომელიც მისგან დამოუკიდებლად და მისი სურვილის გარეშე ამოქმედებდა. ტირილი უნდოდა და ყვიროდა, თხოვნა უნდოდა და მბრძანებლობდა. რადგან თავიდანვე მტკიცე კილო აიღო, ახლა უკვე უკან დახევა არ შეიძლებოდა. ირაკლი პასუხს ელოდა. დიდიმემ თავი ასწია, თვალი მაინც ვერ გაუსწორა გიგაურს და კვლავ ხმამაღლა უთხრა:

— ინტრიგებია, გეფიცებით, ინტრიგებია... აი, პატივცემულ ალექსანდრეს შეეკითხეთ, ის კარგად მიცნობს... მოგეხსენებათ, კარგ მუშაქს მუდამ ჰყავს მტრები.

არა, სრულიად არ უნდოდა ასეთი პასუხი გაეცა. სწორედ რაღაც ბოროტი ძალა ამოქმედებდა, რომელიც ანგარიშს არ უწევდა, არც გარემოს, არც მდგომარეობას.

ალექსანდრე გომართელი სკამზე უხერხულად შეიმშენა. ვერ მიმხვდარიყო, ეს ფრთხალი, მშინარა და წინდახედული კაცი ასე უტაქტოდ რად იქცეოდა. უნდოდა თვალთ რაღაც ენიშნებინა, მაგრამ დიდიმეს თვალების დაქერა განა შეიძლება!.. მუდამ სადღაც გაურბის, სხვის თვალებს ემალება.

— მტრები? — გაიმეორა ირაკლიმ. — მაშ ესეც მტრებმა მოგიწყეს, რომ საწოლების წარმოება გაჩანაგების პირადაა მისული და იქ სახელმწიფო ქონების დატაცებანია გამოვლენილი.

ძლიერმა შიშმა წააბარბაცა დიდიმე, თუმცა ჩქარა გონს მოვიდა. გასაჭირს მაგრად დაუდგა და გიგაურს გარეგნულად მშვიდად უპასუხა:

— ჭორია!.. სიცრუეა!.. ენებს არ დაუჯეროთ.

— არა, — განაგრძო ირაკლიმ. — მე მხოლოდ ფაქტებს ვუჯერებ. როგორც ჩანს, თქვენ თქვენი წარმოებების საქმის კურსში არა ხართ. არ იცით, რომ გუშინწინ რევიზიამ მუშაობა დაიწყო და პირველად საწოლების წარმოებას ესტუმრა. აი მათი დასკვნა, გაეცანით.

დიდიმემ დასკვნა კი გამოართვა, შიგაც ჩაიხედა, მაგრამ ქაღალდზე ვერაფერი გაარჩია. გასროლილი ისრებივით ხტოდნენ ასოები. თავის კეფაზე საშინელმა ტკივილმა დაუარა, შემდეგ ის ტკივილი გულში ჩასახლდა და გონება დაუბნელა. მართლაც იმ წარმოებაში ერთი წელია არ შეუხედა. იცოდა, რაიკომმა რევიზია რომ გამოჰყო, მაგრამ თუ ასე ჩქარა და ჩუმად დაიწყებდნენ მუშაობას, არ ეგონა. უაზროდ შესცქეროდა რევიზიის დასკვნას დიდიმე, რაღაც რომ არ ეთქვა, ბოლმა დაახრჩობდა. მეტი ვერაფერი მოახერხა, მხოლოდ კვწესით ამოილულულა:

— ვაი, ჩემს გაჩენას!..

— ამხანაგო უგრეხელიძე, რამდენი წელია რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ მუშაობთ? — ესმოდა შორიდან დიდიმეს გიგაურის შეკითხვა და მისი შინაარსი კი ვერ გაეგო. ვერც ის გაეგო, თუ რა უნდოდათ, რას ეკითხებოდნენ. ამიტომაც თავს აქნევდა და ადასტურებდა:

— დიახ, რასაკვირველია.

გომართელმა ველარ მოითმინა და დიდიმეს შეუბღვირა:

— შენ გეკითხებიან, რამდენი წელია შენს თანამდებობაზე მუშაობო?

ვერც ეს შეკითხვა გაიგო ბოლომდე დიდიმემ.

— რამდენი?.. — გაიმეორა თავისთვის. უცბად გაახსენდა, დღეს ცოლმა რომ თხოვა, ოცდაცხრამეტი ნომერი ფეხსაცმელი მომიტანეო. გაახსენდა და რატომღაც დაუფიქრებლად წამოიძახა:

— ოცდაცხრამეტი.

ირაკლიმ ალექსანდრეს შეხვდა:

— განა ოცდაცხრამეტი წლის წინათ რაიკავშირი არსებობდა?

რა უპასუხოს. ეს შეკითხვა კი გაიგო დიდიმემ, მაგრამ ის კი ვერ მიხვდა, თუ რა შუაში იყო რაიკავშირის ისტორიის გახსენება.

— როგორ გითხრათ... — ჩაილაპარაკა დიდიმემ. — ისტორია ცუდად ვიცი. გომართელმა აცხადებულ დიდიმეს შეუბღვირა:

— შენი ისტორიის ცოდნა ვის რად უნდა! — შემდეგ ირაკლის მიუბრუნდა. — თუ არ ვცდები, მეხუთე წელია.

ირაკლი დააქერდა დიდიმეს და მკაცრად უთხრა:

— ეს მაინც მითხარით, რა მოსაზრებით სარგებლობთ, როდესაც წარმოებების ხელმძღვანელ კადრებს არჩევთ?

ვერა, ვერ გაიგო დიდიმემ, თუ რა უნდოდათ მისგან, ამდენხანს რად აწვალდებდნენ. რა უნდა უპასუხოს? ხელთ ისეთი ქაღალდი ეჭირა, ხელსაც წვადა, გულსაც, მთელს სხეულს.

— ვაი, ჩემს გაჩენას!.. — ისევ ამოიკვნესა დიდიმემ.

დიდიმესაგან პასუხი რომ ვერ მიიღო, ირაკლიმ დასკვნები თვით გამოიტანა:

— მაშასადამე გამოდის, რომ სათანადო კონტროლს არ უწევთ თქვენს წარმოებებს?

— დიახ, რასაკვირველია!.. — ამოილულულა დიდიმემ. ოღონდ აქედან გაუშვებდნენ, ახლავე, ამ წუთას, და ყველაფერზე თანახმა იყო.

— გამოდის, რომ საერთოდ არ იცნობთ თქვენს კადრებს? — განაგრძობდა ირაკლი.

დიდიმეს პასუხი თავისთავად მზად ჰქონდა:

— დიახ, რასაკვირველია!..

ალექსანდრე აქამდე კიდევ იკავებდა თავს, აქ კი ველარ მოითმინა, იფეთქა:

— ეს კაცი გამაგიჟებს!.. არ უფიქრდები, რასაც ლაპარაკობ? ყეყეჩი ხარო, რომ გითხრათ, უნდა დაგვიდასტურო?

დიდიმე ისე იყო დაბნეული, არაფერი ესმოდა, არაფერს ხედავდა, არაფერს გრძნობდა. მხოლოდ თავისთავად ორად-ორ სიტყვას დუღუნებდა:

— დიახ, რასაკვირველია!..

ოფლის დენა მგლოტი თავიდან დაეწყო და სახეზე ჩამოუცურდა. იმდენი



ვერ მოეფიქრებინა, ცხვირსახოცით სახე შეემშრალეზინა. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან რა სერიოზული ლაპარაკი შეეძლო ირაკლის.

— თავისუფალი ხართ. რევიზიის დასკვნა წაიღეთ, გაეცანით და გონს რომ მოხვალთ, დამირეკეთ.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!.. — იმედის ნაპერწკალი გაუღვივდა დიდიმემს. მას ანთავისუფლებენ აქ დგომისაგან. — ათასი ბოდიში... ათასი ბოდიში...

კარებთან გომართელის შეკითხვა წამოეწია:

— ქკუა სად დაკარგე, ამხანაგო უგრეხელიძე?

დიდიმემ ვერც ახლა გაიგო შეკითხვა. მხოლოდ სიტყვა „დაკარგე“-ს მოჰკრა ყური და თავი რომ ემართლებინა, უპასუხა:

— იქ დამრჩა, სამსახურში.

— მოგვეწყვიდე თავიდან! — ისე შეუყვირა გომართელმა, რომ დიდიმემ მხრებში აიწურა და ოთახიდან თავგზააბნეული გამოვარდა. აღარ ახსოვდა, კიბეებზე როგორ ჩავიდა, როგორ გადასჭრა ქუჩა. მარჯვენა ხელი ეწოდა თითებში ჩაბღუჯული ქაღალდისაგან...

მაღე გიგაურის კაბინეტიდან აღექსანდრე გომართელიც გამოვიდა.

მაყვალას მანქანა-ტრაქტორთა სადგურიდან გამოგზავნილი მიმართვა უნდა შეეტანა ირაკლისთან. კაბინეტის კარი რომ გამოაღო, გაოცებისაგან იქვე შედგა: ირაკლი ფანჯრის რაფას დაყრდნობოდა და ხმამაღლა ხარხარებდა. ჩანდა ამ სიცილს დიდი ხანია იკავებდა და მარტოდ რომ დარჩა, მხოლოდ მაშინ გაუხსნა გზა. კარის ხმაურზე მობრუნდა. მაყვალას გაოცებულ თვალებს წააწყდა. სიცილი არ მიუტოვებია. ისე გულიანად ხარხარებდა, მაყვალასაც გადაედო მისი სიცილი. სიცილსა და სიცილს შუა ირაკლიმ მოასწრო მიზეზის ახსნა:

— ეს რა რაიკავშირის თავმჯდომარე გვეყოლია!..

ირაკლი გიგაურმა შორიდან მოჰკრა თვალი რედაქციის ფანჯრიდან გადმოდვრილ სინათლეს. თუმცა დაღლილი იყო, დასაძინებლად მიეშურებოდა, მაგრამ გადაიფიქრა და გეზი პირდაპირ სინათლისაკენ აიღო.

რაიონული გაზეთის რედაქცია და სტამბა აღმასკომის შენობის ბოლო მხარეს იყო მოთავსებული. პირველ სართულზე სტამბას ეჭირა ერთი დიდი ოთახი, მეორე სართულზე რედაქციას ორი პატარა ოთახი.

სტამბიდან საბეჭდი მანქანების ხმაური ისმოდა და რაგვლივ გამეფებულ მყუდროებას არღვევდა.

პატარაობიდან იტაცებდა ირაკლის რედაქციის საქმიანობა. ეს პატივისცემა დღემდე შერჩენოდა. განსაკუთრებით უყვარდა ბეჭდვის ის პერიოდი, როდესაც საბეჭდი საღებავის სპეციფიური სუნდაყოლილი, კორექტურული შეცდომებით სავსე ფურცელი სწორდებოდა, შემდეგ გაზეთის გვერდებზე იკვრებოდა და გამოსაშვებ ფორმას ღებულობდა.

ირაკლი კიბეებზე ავიდა. სიბნელე იყო. ოთახში რომ შევიდა, სინათლემ უცებ თვალი მოჰკრა. ოთახში ახალგაზრდა კაცი იჯდა და რაღაცას წერდა. პარტიის რაიკომის ახალი მდივანი კარებში მდგარი რომ დაინახა, წამოხტა.

ირაკლი მიესალმა და ხელით ანიშნა, განაგრძე მუშაობაო. ოთახში მყოფი არ დაჯდა.

— რედაქტორი სტამბაშია, ახლავე დავუძახებ. — სხაპასხუპით უნდა ვკარისაკენ გაეშურა.

— იყავით, იყავით!.. — უპასუხა ირაკლიმ. — ამჟამად არ მჭირდება. — ახალგაზრდა კაცი დარჩა, თავის ადგილას დაჯდა და წერა განაგრძო.

ირაკლი იქვე, სავარძელზე ჩამოჯდა. მაგიდაზე რაიონული გაზეთების შეკვრა იდო. უკანასკნელი თვეების ნომრები ერთად აეკინძათ. დინჯად დაუწყო ფურცლა. გაზეთი პატარა ფორმატისა იყო. იგი სულ ორი გვერდისაგან შედგებოდა და კვირაში სამჯერ გამოდიოდა. გაზეთების შეკვრის გადასინჯვას დიდხანს არ მოსდომებია. გაზეთი არ გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით: თვითეულ ნომერში ცენტრალური გაზეთებიდან გადმობეჭდილი მასალები ჭარბობდა. ისინი ირაკლის თავის დროზე წაეკითხა, ამიტომ ხელხალა არ გადაუთვალთვლებია. ერთ ნომერში რაიკომის მეორე მდივნის ალექსანდრე გამართელის სურათიც მოეთავსებინათ, ხოლო სურათის ქვემოთ — მისივე წერილი.

რამდენიმე გაზეთილა დარჩა გადასახედი, რომ კომკავშირის რაიკომის მიმართ კრიტიკულ წერილს მოჰკრა თვალი. ამ წერილის გამო გუშინ მანანა ლებანიძემ მასთან განცხადება შემოიტანა, სადაც რედაქტორს არაობიექტურობას სწამებდა და წერილის შინაარსი ცილისმწამებლურად მიაჩნდა. ამ დილით მოუტანეს ეს ნომერი. ვერ მოასწრო გადაკითხვა. ბარემ აქვე გაეცნობა.

ქუდი მოიხადა, პალტო გაიხსნა, სავარძელზე მოხერხებულად მოეწყო და წერილის კითხვა დაიწყო. ამ დროს ოთახში გაზეთის რედაქტორი სიო თუხარელი შემოვიდა, ხელში გაზეთის საკორექტურო ანაბეჭდი ეჭირა. ოთახში რაიკომის მდივანი რომ ნახა, გოცებული შედგა. წითური სახე უფრო აუწითლდა. ქუდი მოიხადა, ჩვეულებისამებრ მელოტ თავზე ხელი გადაისვა, თითქოს თმას ისწორებდნო. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ ამ შუალდით რაიკომის მდივანს რედაქციაში თუ ნახავდა, ამას კი ვერ წარმოიდგენდა.

ირაკლი მიესალმა, ბოდიში მოუხანდა, რომ ასე გვიან შემოიარა. თუხარელმა ოთახში მყოფ თანამშრომელს თვალით ანიშნა, სტამბაში ჩადიო. ახალგაზრდა კაცი იმ წუთასვე ადგა და გავიდა. სიომ ირაკლი კაბინეტში შეიპატია.

— აქ დავრჩეთ. მე ავერ ამ წერილის კითხვას დავამთავრებ, თქვენ კი თქვენს საქმეს მიხედეთ.

სიომ ცალი თვალთ გადახედა გაზეთს. მიხვდა, რომელ წერილსაც კითხულობდა გიგაური. არაფერი უპასუხა. უხმოდ მაგიდას მიუჯდა და ანაბეჭდის სწორება დაიწყო. დროდადრო მალულად ირაკლის გადახედავდა. ირაკლი წერილს გულდასმით კითხულობდა. სხვა რამ მის სახეზე არაფერი მოჩანდა, არც მოწონებით გამოწვეული ღიმილი, არც უკმაყოფილებით შექმუხვნილი წარბები.

სირუმეს საბეჭდი მანქანების ყრუ გუგუნე არღვევდა.

ირაკლიმ წერილის კითხვა დაამთავრა. უკანასკნელი ნომრებიც გადასინჯა. მათში ვერაფერი ნახა საინტერესო და გაზეთის შეკვრა განზე გადადო.

სიომაც მოათავა გვერდის კორექტურა. მათი თვალეები ერთმანეთს შეხვდნენ.

ირაკლიმ პაპიროსი ამოიღო, გააბოლა. წამოდგა. გაიარ-გამოიარა. სიომ თავი ჩაღუნა და ფანქარი ქაღალდზე უაზროდ გაატარ-გამოატარა.

ირაკლი კვლავ დაჯდა, მაგრამ სანამ თვითონ რაიმეს იტყოდა, სიომ თავი ასწია და პირველმა დაარღვია დუმილი:

— რადგან ჩვენთან მოხვედით და ახლა თქვენი მასპინძელი ვარ, ამიტომ რედაქციის სახელით ერთი თხოვნით უნდა მოგმართოთ.

— ინებეთ, ინებეთ!.. — შეაგება სიტყვა ირაკლიმ.

— რედაქციას ძალიან პირდება თქვენი წერილი ჩვენი რაიონის წინაშე დასმული ამოცანების შესახებ და თქვენი სურათი.

— სურათი რად გინდათ?

— როგორ გითხრათ... მართალია, სხვაგან არ მინახავს, მაგრამ ხომ ვთავსებთ რაიონის მოწინავე მუშაეების სურათებს... ჩვენც ასე გადავწყვიტეთ, დიდი დანაშაული არ უნდა იყოს, გაზეთის საშუალებით რაიონს თავისი ახალი ხელმძღვანელი გავაცნოთ!

ირაკლი შეიშმუშნა. ნახევრად მოწეული პაპიროსი ნერვიულად საფერფლეს დაასრისა და სიოს უპასუხა:

— განა სხვა საშუალება არ არსებობს, რომ ხელმძღვანელმა ამხანაგმა რაიონს თავისი თავი გააცნოს? აქ ჩვენი სურათები თუ ბეჭდეთ, გაზეთი ისედაც ორი გვერდია, ალბომს დავმსგავსებთ...

— აი, როდესაც გომართელმა დროებით კახაძე შეცვალა, რედაქციამ სპირიტუალურად ჩათვალა გომართელის სურათის მოთავსება.

— და ძალიან ცუდად მოიქცა. — უთხრა მტკიცედ ირაკლიმ. — მე ამის შესახებ თბილისშიც მითხრეს. თქვენზე ფელეტონს ამზადებდნენ. ვთხოვე: ეს ერთი აბატიეთ-მეთქი. არ მინდოდა ჩემი აქ ჩამოსვლა და ფელეტონი ერთმანეთს დამთხვევოდა. როგორც ჩანს გვაპატიეს, რომ აქამდე არ დაუბეჭდილათ.

სიომ არაფერი უპასუხა. მკაცრი განაჩენის მოლოდინში გაინაბა. ირაკლიმ განაგრძო:

— აქ, რასაკვირველია, უადგილოა ანბანური ქეშმარიტების შეხსენება. ჩემზე უკეთ იცით, რომ თვითრეკლამა კომუნისტების ბუნებას არ ჩვევია. ხომ ხედავთ, თქვენი ეს წამოწყება თავიდანვე უადგილო აღმოჩნდა. ამას თავი დავანებოთ, ეს არც თუ ისე ძნელი გამოსასწორებელია. მე სხვა რამ უნდა გითხრათ. აი, აქ ერთი თვალის გადაკვრით გადავთვალა ჩვენი გაზეთის ნომრები. თავის დროზე უფრო დაწვრილებით გავეცნობი მათ, მაგრამ ვფიქრობ, პირველი შთაბეჭდილების შესახებაც შეიძლება ლაპარაკი.

— რასაკვირველია, რასაკვირველია!..

— ხომ იცით, უცხო თვალი უფრო სადია, ვიდრე შეჩვეული.

ერთხანს ოთახში დუმილი ჩამოწვა.

— მითხარით, — უცებ ხმამაღლა დაიწყო ირაკლიმ, — განა ისეთი რაიონული გაზეთი გვესაჭიროება, სადაც უმთავრესად საქდესისა და ცენტრალური გაზეთებიდან გადმობეჭდილი მასალებია მოთავსებული?

სიომ შეეცადა შეკამათებოდა:

— ჩვენ ადგილობრივი ცხოვრების ამსახველ მასალებსაც ვბეჭდავთ.

— ძალიან ცოტას. მათი სათაურებიც თითქმის ერთნაირია. — გაზეთის შეკვრას ფურცვლა დაუწყო, თან სათაურებს კითხულობდა: — „ჩვენი რაიონის მიღწევები... წარმატებები... გამარჯვებები... მოწინავე კოლმეურნეობა... მოწინავე მწველავი...“. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, საჭიროა, მაგრამ რაიონის ახლო გაცნობისას დაეინახავთ, რომ მოწინავე კოლმეურნეობების გვერდით ბევრი ჩამორჩენილი კოლმეურნეობები გვაქვს, მოწინავე მწველავის გვერდით — ცუდი და მაჩანჩალა მწველავი. ისინი სად არიან? ადგილობრივი გაზეთის არსებობა გამართლებულია მხოლოდ და მხოლოდ ადგილობრივი, ცოცხალი მასალების გამომხეურებით. აგერ, ერთ ადგილას, პრესის მიმოხილ-

ვაში კულტსახლის კედლის გაზეთის რედკოლეგიას უსაყვედურებთ, ზეთს მხოლოდ დღესასწაულის დღეებთან დაკავშირებით უშვებენ. თქვენ კი თითქოს ყოველდღე დღესასწაული გქონდეთ. ოფიციალურ მასალებს ჩვენზე უკეთ ცენტრალური გაზეთები ბეჭდავენ.

— საქდესი იმდენ მასალებს აგზავნის. ყველას ზედ აწერია, პირველ რიგში.

— შერჩევით უნდა ვბეჭდოთ. და ბევრი მათგანი კიდეც რომ არ დავბეჭდოთ, არა მგონია მკითხველი დაგვემდუროს. ჩვენი გაზეთი კი მხოლოდ ჩვენი რაიონის მკითხველისთვისაა გათვალისწინებული. სხვა დანიშნულება მას არა აქვს.

— რედაქციას ძალიან მცირე შტატი ჰყავს, — სცადა სიომ თავის მართლებას. — სულ სამი კაცისაგან შედგება. ყველაფერს ჩვენ ვაკეთებთ. კორექტურასაც ჩვენ ვასწორებთ, სტილისტებიც ჩვენ ვართ, გამომშვებნიც, განყოფილებათა გამგეები, ლიტმუშაკები, თუმცა ოფიციალურად თვითუფლებს ჩვენი თანამდებობა გვიჭირავს.

— ამაში დაგეხმარებით. ერთად ვიბრძოლოთ. თავს თუ გამოვიჩინოთ, შეიძლება ფორმატის მომატების შესახებაც დავსვათ საკითხი.

უკანასკნელ სიტყვებს ირაკლიმ განგებ გაუსვა ხაზი და შეჩერდა. სიომ მოლოდინად გადაიქცა. ამდენი მკაცრი სიტყვის შემდეგ რაიკომის ახალმა მდივანმა ეგებ კეთილი სიტყვაც შეაწიოს.

— ამხანაგო თუხარელო, — მიმართა ირაკლიმ. — ვიქტორ ჰიუგოს „ოთხმოცდაცამეტი“ თუ წაგიკითხავთ?

„ეს კიდეც რა უბედურებაა!“ — გაიფიქრა სიომ, მაგრამ პასუხი არ დააყოვნა:

— დიახ, წამიკითხავს.

— კარგად გახსოვთ?

— როგორ ვითხრათ...

— ერთ ადგილს შეგახსენებთ, მარკიზ ლანტენაკის მოქმედებას გემზე...

— სახელდობრ?

— ერთ მეზღვაურს სიმამაცისათვის ორდენი რომ დაჰკიდა...

— და იგივე მეზღვაური, — განაგრძო სიომ, — დანაშაულისათვის ორდენის მიღებისთანავე რომ დახვრიტა.

— სწორედ, სწორედ...

— მახსოვს.

— ჰოდა, — ღიმილით უთხრა ირაკლიმ, — ჩემი ნება რომ იყო, ამ წუთას ერთი წერილის გამო გულუხვად დაგაჯილდოებდით, მაგრამ იმავე წერილისათვის სასტიკად დავსჯიდით.

— რა წერილია? — ჩუმად შეეკითხა სიომ, თუმცა მიხვედრილი იყო, გიაურს რომელი წერილიც ჰქონდა მხედველობაში.

— კომკავშირის რაიკომის მიმართ დაბეჭდილმა კრიტიკული ხასიათის წერილმა დამარწმუნა, რომ, თუ მოინდომებთ, შეძლებთ თქვენს საქმეს კარგად გაუძღვეთ. იმ წერილში ჩანს პარტიული გაზეთის მუშაკის მახვილი თვალი, მაგრამ იმ წერილს მეორე მხარეც აქვს. მასში გამოსკვივის პირადი განაწყენების ტონი, აი, ამისათვის კი პასუხი უნდა ავათ.

ირაკლიმ ახალი პაპიროსი ამოიღო. არ მოუყიდა, ისე დაიჭირა ხელში.



— ახლა მოდით, ერთად გადავათვალიეროთ ნომრის მასალები. კორექტურაშიც მომიშველიეთ, მასწავლეთ და დამიხმარეთ.

ხელახლა გადაიკითხეს მასალები. სიომ ერთი პაპკა გამოიტანა. შიგ ისეთი მასალები იყო, რომელთა დაბეჭდვაც, ძისი აზრით, შესათანხმებელი იყო. ირაკლიმ ამაზე არაფერი უპასუხა, ისედაც საკმარის ჭკუისდამრიგებლის როლის შესრულება მოუხდა. „შესათანხმებელი პაპკიდან“ რამდენიმე მასალა ამოიღო. ერთი რაიკომის ერთ-ერთ მუშაკსაც ეხებოდა. ითათბირეს, იმსჯელეს, სხვებსაც დაუძახეს. ზოგი მასალა ახლით შეცვალეს. ერთი, მთლად შეკრული გვერდი დაშალეს და ხელახლა შეკრეს. ირაკლი გატაცებით მუშაობდა. ბევრი რამ მისთვის უცხო და გაუგებარი იყო. რედაქციის მუშაკები უხსნიდნენ, ასწავლიდნენ.

მუშაობა რომ მოათავეს, შუალამის ორ საათს გადაცილებული იყო. მათ წინ ახალი გაზეთი იყო. აი, როგორი ყოფილა პრესაში მუშაობა, რა საინტერესო და ამადლეგებელი. შრომის ნაყოფიც აგერ დევს...

დრო ისე შეუმჩნევლად გაპარულიყო, დადლაც არ უგრძენიათ. რედაქციიდან ყველანი ერთად გამოვიდნენ. ირაკლისა და სიოს ერთი გზა ჰქონდათ. სხვებს დაემშვიდობნენ და ნელი ნაბიჯით დაჰყვნენ დაცარიელებულ ქუჩას.

— სულ ცოტა და გაზაფხული მთელი ძალით შემოვა. — დაარღვია სიჩუმე ირაკლიმ. — რუსეთში კი, ასეთ დროს, ჯერ კიდევ საკმარის ძლიერი ყინვები დგას.

— რუსეთში ყოფილხართ?

— მთელი ომი რუსეთში მოვიარე, უკანასკნელი სამი წელიც მოსკოვში ვსწავლობდი. ორი თვე მეგობართან დავყავი, ბრონიცის რაიონში. ეს რაიონი მოსკოვის ოლქშია და ჩემი მეგობარი იქ რაიკომის მდივანად მუშაობს. ერთ-ერთი მოწინავე რაიონია.

— ალბათ გაზეთიც კარგი ექნებათ!

— არა უშავს რა... ერთი იყო: ჩემი მეგობარი არასოდეს მოუსმენდა რედაქტორს, თუ კი იგი რომელიმე წერილის შესათანხმებლად მასთან მივიდოდა. სიომ მიუხედავად გადაკრულ სიტყვას. ერთხანს ჩემად მიდიოდნენ.

— ა, რა იქნება, ამხანაგო ირაკლი, — უთხრა სიომ, — მაგ რაიონთან ახლო ურთიერთობა დავამყაროთ. ერთმანეთს გაზეთები გავუზავნოთ, გვერდები გავცვალოთ და ძალა თუ გვეყო, მთელმა რაიონმა სოცმეჯიბრში გამოვიწვიოთ.

ირაკლიმ ნაბიჯი შეანელა. მიეწონა სიოს აზრი, მაგრამ ექვმაც გაჰკრა. უფლება კი აქეთ ისეთი რაიონი გამოიწვიონ, როგორც ბრონიცის რაიონია? მაგარი რაიონია, აქ კი, ჯერჯერობით, რესპუბლიკის რაიონებს შორის საშუალო დონეზეც არ დგანან... — ფიქრს ბოლომდე არ გაჰყვა და სიოს უპასუხა:

— შესანიშნავი აზრია... მაგრამ ჯერ სჯობია ისე, ყოველგვარი შეჯიბრის გარეშე... ბევრი რამ შეგვიძლია მათგან ვისწავლოთ, ბევრ კარგს ისინიც ნახვენ ჩვენში. შემდეგ კი ვნახოთ, ავწონ-დავწონოთ. თუ ძალა გვეყო, გაუბედოთ, თუ არა და ახლო მეგობრობას ხომ არავინ დაგვიშლის.

ნიავემ ძლიერად დაუბერა. არ შეუმჩნევიათ, ისე გაცილდნენ სასტუმროს. პატარა ხიდზე გავიდნენ, შედგნენ და მოაჯირს დაეყრდნენ.

— ბავშვობიდანვე ჩემი ოცნება მოგზაურობა და ახალი ქვეყნების ნახვა იყო, — თქვა ცოტახნის დემილის შემდეგ სიომ, — მაგრამ, ვგონებ, ისე ვბერდები, შავი ზღვაც კი ვერ ვნახო. ომმა გვერდით ჩამიარა. ჯანი არ მომდევდა, იმ ქაირშხლის მონაწილე ვყოფილიყავი. მე ხომ ცალი ფეხი თითქმის არ მივარგა და თუ არ ვკოქლობ, ეს ჩემს თავთან დიდი ბრძოლის შედეგია. რა ბედ-

ნიერი ვიქნებოდი, თუ ჩვენი შეჯიბრება მოხდებოდა და რუსეთში წამსვლელი ჩვენი რაიონის დელეგაციის ერთ-ერთი წევრი მეც ვიქნებოდი.

ირაკლიმ სიოს სიტყვების კილოში რაღაც ისეთი იგრძნო, რაც უიმედობასაც ჰგავდა, სინანულსაც და შიშსაც.

სიო ხიდზე თავჩალუნული იდგა და შესცქეროდა მთვარის სხივებით განათებულ პატარა მდინარეს. მოუნდა ირაკლის ამ კაცისათვის თბილი სიტყვა ეთქვა, გამამხნეებელი. სხვა ვერაფერი მოიფიქრა:

— ეს აზრი თქვენი წამოწყებულია, სიო, და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რაიონული გაზეთის რედაქტორი თავისი თანამდებობით ასეთ დელეგაციების აუცილებელი თანამგზავრია.

— მაგრამ ვიქნები კია რედაქტორი? — შეაპარა კითხვა სიომ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ? — კითხვას კითხვითვე უპასუხა ირაკლიმ.

— როგორ ვფიქრობ?.. როგორ ვფიქრობ?.. — გაიმეორა სიომ. — გულახდილად ვითხრათ?

— სრულიად გულახდილად.

— ასე იყო. პირდაპირ გეტყვით: თუ ლანტენაკივით დასჯა განგიზრახვით, მოდით, ჯერ დამსაჯეთ და შემდეგ მადლობა გადამიხადეთ.

ირაკლის გაეცინა.

— მეც გულახდილი ვიქნები. თუ სხვებმაც მხარი დამიჭირეს, იმ დელეგაციის სიოს შედგენისას პირველს თქვენ დაგასახელებთ, როგორც ჩვენი რაიონული გაზეთის რედაქტორს.

ირაკლიმ ასანთს მოუკიდა. ასანთის სინათლეზე მაჯის საათსაც დახედა. სამი სრულდებოდა. უკვე საკმაოდ გვიანი იყო აქ დასადგომად და სალაპარაკოდ. ხიდზე დაემშვიდობნენ ერთმანეთს. დამშვიდობებისას ირაკლიმ უთხრა:

— ჩემს წერილს სამ დღეში მიიღებთ. თქვენი იმედი მაქვს, თქვენებურად გაჰკარით. თუ რაიმე არ მოგეწონათ, ნუ მომერიდებით, პირდაპირ მითხარით, ერთად შევასწოროთ. დამეხმარეთ, რომ წერილი კარგი გამოვიდეს. ხომ იცით, პირველი წერილი იქნება და მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული...

(ვაგრძელება იქნება)



ანდრო თევზაძე

ლირიკა



შენა ხარ ჩემი სიხარულის მახარობელი,
გულში ჩარკინულ ყინულების გამალბობელი;
რა შორს იყავი და ყოფილხარ რა მახლობელი,
შენ დამიბრუნე დაგმობილი წუთისოფელი.

ჩემი თვალები, სიხარულის ცრემლით სოველი,
შენი მშვენების არის მხოლოდ ცქერის მთხოველი,
შენ ჩემი ლოცვის ტაძარი ხარ — სექტიცხოველი
და მე, მგოსანი, განახლებას შენით მოველი.

თუნდა აბორგდეს ბოროტების ძალი ყოველი,
ვერღა გამხადონ დიდებისა ჩემის მგლოველი,
რადგან იქნება ჩემს წინ გზებზე ბნელის მქრობელი
შენი თვალები, სიყვარულის შუქთა მთოველი.

შენა ხარ ჩემი სიხარულის მახარობელი
და მე, მგოსანი, განახლებას შენით მოველი.



შენი შეხვედრით გული ჩემი ისევ გალადდა,
ფრთები შეესხა და მიილტვის სივრცის გადაღმა;
მინდისავეით ვესაუბრე მინდვრად ბალახთა
და ვიგრძენ, ჩემში სიჭაბუკე როგორ განახლდა.

უშენოდ ჩემს სულს ნაპერწკალის შუქიც არ ახლდა,
ლამის ეს გული დაიბრწყინა დარდმა ვაგლახმა;
ახლა აზღვავდა, გაიშალა, გამიამაყდა,
და დაივიწყა განსაცდელი, რაც რამ გადახდა.

ჩემი ცხოვრება სულ ბრძოლების გზით მაქვს გავლილი,
 ზედის ყორანთან შეყიელების ხმით ვარ დაღლილი;
 ზოგჯერ ტალღა ვარ, ქარისაგან კლდეზე დახლილი,
 ზოგჯერ აღმაფრენს სიხარული, ცრემლში გაცვლილი.

ვეფხის ტყავი ვარ, რუსთაველის წიგნად გაშლილი,
 შვილდ-ისარი ვარ, ავთანდილის ხელით გათლილი,
 აზარფეშა ვარ, ღვინით სავსე, ჯერ არ დაცლილი,
 საუკუნე ვარ, წუთ-წამების ისრით დათვლილი.

მყინვარის მთა ვარ, მწვერვალი მაქვს გადათოვლილი,
 და ცისარტყელა გვირგვინად მაქვს შუბლს შემოვლილი,
 კალთებს მიმშვენებს გაზაფხული მკერდ შეფოთილი,
 მაგრამ უშენოდ გულს სევდა მაქვს შემოწოლილი.

ჩემი ცხოვრება სულ ბრძოლების გზით მაქვს გავლილი,
 საუკუნე ვარ, წუთ-წამების ისრით დათვლილი.



მიკიან ახუცაძე

დღეს
ჩემს ოჯახში,
ყველა ოთახში,
ბედნიერება დადის, ხმაურობს!

უსახელო და უსათაურო,
უგვარო
ზარო
ვინა სთქვას,

როცა:
დედა
ქერის პურს,
როგორც თბილის გულს,
კი
აღარ გვიყოფს
(რაც გარდასული ომის დროს იყო!)
არა,
თავთუხის პურის სურნელი
ათრობს კიდობანს,
მიტომაც
მთხოვენ:
ლეღვი, კუნელი,
ყურძნის აკიდო,
რომ კიდობანსაც უნდა მშვიდობა!

უსახური და თუნდ ულამაზო
მე ვინ მიწოდოს?! —
რათ მინდა — ზეცა შემომთავაზონ,
რათ მინდა — მთვარე გამომიწოდონ, —
როცა დღეს ისევ
მე განჯინაში მარბილი მიძევს.
კუმჭი,
უემური,
და მოქუმული

ძველ ქვითკირივით,
დაოსებული მუდამ ტირილით,
მე ვინ შემკადროს?! —
როცა აკვნიდან მიცინის ბავშვი,
დე, ყოველ სახლში კიდევ ემატოს!..

მე მაქვს:
სიმდიდრე — კიღობაში პური რომ მიდევს,
თან სილამაზე — განჯინაში მარილი მიძევს,
და სიხარული — ჩვილი ბავშვი აკვანში მიწევს!
დანარჩენი კი:

ძმობა,
მშვიდობა
ამ პურ-მარილს და
ამ ბავშვის ხელებს
ფეხს არ დაადგამს!

ყველაფერს ამას
ჩემმა ლექსებმაც უყარაულონ, —
დღეს
ჩემს ოჯახში,
მეზობლის სახლში,
ჩემს ქვეყანაში
ბედნიერება დადის, ხმაურობს!..



მე ყველას ვუმღერ:
ვინც იყო წუხელ,
ვინც დღესაც ელის პირველ პაემანს, —
აივანს,
ქუჩას,
ყველა მოედანს,
ყველგან დაივლის სხვის მოლოდინში,
ვინც სიარულში გასცევათავს ქოშებს, —
კოცნით გასცევათავს ტუჩებს და ლოყებს!

ვისაც დღეს კაბა მუხლებთან სწვდება,
ვინაც დაკარგა ბალიშზე ძილი,
ვინაც დაკარგა ალერსში ღილი, —
სამაგიერო პოვა ღიმილი!

ვინც არ წუწუნებს,
ვინც სხვაში ხედავს თვის უკვდავებას,
ვინც იყო წუხელ,
ვინც კიდევ ელის პირველ პაემანს, —
მე ყველას ვუმღერ!..

რა არის სიტყვა?
 თუ ერთხელ ითქვა,
 მერე ხომ ასე სულ მეორდება, —
 წინაპრის ძვალი,
 კაეი
 და
 ფილთა
 მოდის ჩვენამდე მეტეორებად!..

შენს ჩრდილში ვხედავ:
 დაბორკილ მონას,
 მეამბოხეს
 და
 ბორკილებაყრილს;
 მე შენში მესმის:
 „ლილე“
 და
 „ქონა“
 მე შენით ვხედები:
 გაზაფხულს,
 აპრილს.

სიტყვავ,
 შენს უკან დგას საუკუნე
 ოცი, ორმოცი...
 ნასამუშარი,
 შენში მიწა და ხალხი გუგუნებს,
 ათასი ზვირთის ხარ საგუბარი.

ხალხი ყოველ დღე სკედს ახალ საქმეს,
 ბედნიერებას თუ ახალ სიტყვებს, —
 დღეს ვიმეორებ ზვალინდელ სათქმელს,
 რადგან სიხარულს გული ვერ იტევს.

თუ ზღვა სიხარულს ლექსიც ვერ სწვდება,
 ხალხო,
 სიმღერა რილათი გითხრათ?!
 სჩანს,
 მომავლისა დილა თენდება,
 ჩქარა,
 მომეცი თ ახალი სიტყვა!..





ზაქარია შერაზალიძე

შემეძინება თანმიყოლებით ოთხი ბოკვერი, ლექვნი მგლისანი,
გაღიღღებთან ჩემი ჯილაგი და ქვეყანაზე მოსვლის მიზანი.

მათგან მოთხრილი მუხის კუნძებით სულ იტყაცუნებს ჩემი ბუხარი,
რომ წამოვხარშო მთელი კამეჩი, ძვალის არ დაგვრჩეს გამოუხრავი.

არ გადაგვირჩეს პურის ნატეხი, რომ არ გახმეს და რომ არ გაძვალდეს,
ჩვენს შემომყურეს ჩემს დიასახლისს ენატრებოდეს ღვინო საქმარე.

და, მერე რაკი დავგერგილდებით, ვეკიდებოდეთ საქმეს მომჭირნედ,
რომ ღროზე გახდნენ მამა-ბიძანი, ოთხივე რიგზე დამიქორწილდეს.

მერე სიკვდილსაც არად ჩავაგდებ, მოსახდენელი მოხდეს -ბარემა,
ბეჭს შემომიღვამს ჩემი ოთხი ძე, არ დასჭირდებათ სხვათა გარევა.

და დამიცხრება გული, რომელიც სიაკაცესთან ომით გასივდა,
მაშინ ცრემლები არ დამჭირდება არცა გულწრფელად, არცა ყასიდად.

გმობა

მე სულში დიდი ნაღველი მიძევს,
უკმაყოფილო ჩავცქერი მიწას,
როგორღაც შურით შევცქერი ბიძებს,
რადგან ვერასდროს გავხდები ბიძა.

ამ მწუხარებას ვერასდროს დავძლევ,
ვარ ბაღობიდან ცრემლში ნაბანი,
როგორღაც ხარბად ვუცქერი და-ძმებს.
არ გამაჩნია რადგან და-ძმანი.

მე სამუდამოდ გამიერთა ძილი,
და უძილობა ძალ-ღონეს მიღევს,

ვერ მაღლეგრძელებს დედმამის შვილი,
ვერ ვაღლეგრძელებ დედმამის შვილებს.

კაცმა რა გულით უნდა ვიწრომო,
ვახ, სიხარულო, ცუდად ჩაშლილო,
ამ ქვეყანაზე, ჩემო პირმშონო,
უნდა იაროთ უბიძაშვილოდ.

კენტი, ცხოვრებას შევცქერი შიშით,
ფიქრის თარეში ველარ დაეძარი,
ბედნიერებო, ჭირსა და ლხინში
წილს დაგიდებენ თქვენი და-ძმანი.

განა რამდენი უნდა დავთვალო,
საკმარისია თითო მათგანიც,
მშობელნო ჩემნო, არა მართალნო,
რად დაინანეთ ჩემთვის და-ძმანი.

დედა-მშობელო, მამა-მშობელო,
რით გავიხარო მწირმა, უდაძმომ,
თუნდ მეხმა დამკრას, მიმბელ-მომბელოს,
გაჩენა ჩემი მაინც უნდა ვგმო.

მე მწუხარებას ჩემსას ვერ დავძლევ,
ვარ ბაღლობიდან ცრემლში ნაბანი,
თქვენს გამო შურით შევყურებ და-ძმებს.
არ გამაჩნია რადგან და-ძმანი.

მე სულში დიდი ნაღველი მიძევს,
უკმაყოფილო ჩავცქერი მიწას,
თქვენს გამო შურით შევყურებ ბიძებს
და ვერასოდეს გავხდები ბიძა.



მიორიყა

მოლდავეური ხალხური ბალადა

მთაზე, სადაც მოლო
მიწას მწვანედ ფარავს,
მობიბინე ბალახს
ძივდა სამი ფარა.
პატრონობდა თითოს
თითო მწყემსი მარჯვე:
ერთი — მოლდაველი,
კეთილი და გამარჯვე,
ერთიც — მეზობელი,
მოძმე ვრანჩის მხრიდან,
ერთიც — შორეული
ტრანსილვანიიდან.

აჰა, ლამემ მთაში
ფრთა გაშალა ყორჩის,
ავ საქმეზე ბნელში
საუბრობენ ორნი...

მწყემსმა მეზობელმა,
მოძმე ვრანჩის მხრიდან,
მწყემსმა შორეული
ტრანსილვანიიდან —
გადასწყვიტეს მოკლან
კეთილი და ქველი,
ტკბილი სიტყვის მთქმელი,
მწყემსი მოლდაველი.
რამ აღუძრათ ნეტავ
გულში დიდი შურის?! —
მწყემსი მოლდაველი
ფარას კარგად უვლის.
განთქმულია მთაში,
ამხანაგებს სჯობნის,
ნაგაზიც ჰყავს, ცხენიც —

მეგობარი ჩობნის.
შრომობს, ყველა ბატკანს
უვლის, ფხიზლად იცავს...
სულ სხვა ბატკანია
თეთრი მიორიცა.
მაგრამ ნეტავ რატომ
ჩაუქინდრავს თავი,
ავად ხომ არ გახდა
გულთმისანი კრავი?! —
არ ძოვს, არ სვამს, სევდა
დასწოლია შავი.

— რაო, მიორიცა,
თეთრო, პაწაწინავ,
ავად ხომ არა ხარ,
ვინ რა გაწყენინა?!
არ ძოვ, არ სვამ, სევდა
დაგწოლია შავი,
მითხარ, ეგრე რატომ
ჩაგიქინდრავს თავი?!
— სუყველაფერს გეტყვი,
არას დაგიმაღავ,
გააშორე ჩქარა
ამ ადგილებს ფარა!
ნაგაზებსაც უხმე
ლამის ფხიზელ მცველად,
ბოროტებას მუხთალს
გადურჩები ძნელად.
მწყემსმა მეზობელმა,
მოძმე ვრანჩის მხრიდან,
მწყემსმა შორეული
ტრანსილვანიიდან —

* მიორიცა — ბატკანი, კრავი; აქ — გულთმისანი კრავი.

გადასწყვიტეს მუხთლად
მოგებარონ, მოგვან,
მათ საუბარს ყური
ბნელ ღამეში მოვკარ.
— გულთმისანო ყრავო,
თეთრო მიორიცავ,
თუ კი მართლა გავხდე
მსხვერპლი ვერაგ მტრისა,
გადაეცი მკვლელებს
ჩემი თხოვნა ერთი:
დე, დამმარხონ აქვე,
ამ ფარების გვერდით, —
თქვენთა ფეხთა ბაკუნს
რომ ვისმენდე ღამით...
სალამური სამი
ჩემს საფლავზე დასდონ:
ერთი — გოგნარისგან
გამითლია ზრუნვით,
ერთიც — წიფლის ხისგან,
ღვიძლ შეილივიფ ვუვლი,
ერთიც — სპილოს ძვლისგან,
შიგ ძევეს ჩემი გული.
როცა გაზაფხულის
დაუბერავეს ქარი,
მათი კენესის ხმაზე
შეგროვდება ცხვარი.
აბლაღდდება ფარა,
გამიხსენებს პატრონს,
რომ საფლავში სული
იღარ დამედარდოს.
ცხვარს ნუ ეტყვი თ ჩემსას,
რომ მე მუხთლად მომკლეს,
რომ სიცოცხლის დღენი
იღრე შემიმოკლეს;
უთხარი, რომ ტკბილი
განვიცადე წამი,
რომ ჩემს გულისსწორთან
ვიქორწინე ღამით,
რომ ტინის კლდემ, სალმა,
გადაგვწერა ჯვარი,
მაყრიონად გვყავდა
ცის მნათობთა ჯარი,
ცაზე მზე და მთვარე
ვნახეთ ერთად მდგარი:

ვარსკვლავები შორი
თრთოდნენ ჩვენი ეშხით,
უცებ მოწყდა ერთი
და შთაინთქა ბნელში.

გულთმისანო ჩემო,
ერთს გიბარებ კიდევ:
ეგებ სადმე, მინდვრად,
ეგებ სოფლის კიდეს,
ეგებ შარაგზაზე,
შეპყრობილი სენით,
წლებით მოტეხილი
შეგხვდეს დედაჩემი.
დადის, ჩემზე დარდობს,
დააბერა დარდმა,
ამელელსა და ჩამელელს
ჰკითხავეს შვილის ამბავს:
„ღეღამვილობასა,
თუ ყოფილხარ მთაში,
არ გინახავს სადმე
ჩემი მწყემსი ვაჟი?! —
რა ხანია ველი,
იქ ცხვრის ფარას გაჰყვა,
თმები უგავეს ღამეს
და თვალები — მაყვალს“.
ნუ გაუმხელ მოხუცს,
რომ მე მუხთლად მომკლეს,
რომ სიცოცხლის დღენი
აღრე შემიმოკლეს.
უთხარი, რომ ტკბილი
განვიცადე წამი,
რომ ჩემს გულისსწორთან
ვიქორწინე ღამით,
რომ ტინის კლდემ, სალმა,
გადაგვწერა ჯვარი,
მაყრიონად გვყავდა
ცის მნათობთა ჯარი,
ცაზე მზე და მთვარე
ვნახეთ ერთად მდგარი.
ვარსკვლავები შორი
თრთოდნენ ჩვენი ეშხით...
მაგრამ არ-კი უთხრა,
რომ ვარსკვლავი ერთი
უცებ მოწყდა ზეცას
და შთაინთქა ბნელში.

თარგმნა გიორგი კალანდამე



პახუზვი კოვაჯიშვილი

დ ღ ე ს

კაცი ვარ,
მოვალ
და სწრაფვანიც
 მომაქვს კაცური.
შიშის,
ყოყმანის,
დაჩოქების
 არა ვიცი რა,
წუხელ დამით თუ
 ოცნებებით ზეცა გავცურე.
დღეს ის ოცნება
 არ მეყოფა
 ალბათ სიცილად.
დღეს მეტი მინდა,
უფრო მეტი,
ვიდრე მინდოდა,
მეტნი სწრაფვანი,
სიხარული
და აღტაცება,
მინდა
ჯეჯილად გარდაიქცეს ყველა მინდორი
და ეს ხეები,
 ეს კლდეები იქცნენ კაცებად...
ქუჩაში დავალ,

მიხარია,
მზე მიმზერს მაღლით,
და ვგრძნობ,
ოდესმე
 ამ სიცოცხლის ზოტბით დავშვრები,
ვხედავ,
ცათამდე აღმართულა
 ახალი სახლი,
ვხედავ,
სკოლისკენ იჩქარიან
 ცელქი ბავშვები...
ვგრძნობ,
ყველაფერი
 როგორ იხვევს სიცოცხლის მერქანს.
ვგრძნობ,
რომ სიკვდილი
 დამარცხდება
 ადრე თუ გვიან,
რადგან მას,
 რასაც აქამომდე
 მშვიდობა ერქვა,
მას
დღეის შემდეგ
 სიცოცხლე ჰქვია!..

ზღვის ნაპირას

მოვარაყებულ ზღვის ცისფერ ყდაში
ტალღათ ფურცლები გადმოიკეცა,
შენ ტანის რბევით შეხვედი ზღვაში
და კაცი უცებ ზღვის წყლად ვიქეცი...

შენ და ზღვამ თვალთა ფერთა სინაზე
ვინ ვის წაართვით, ვინ ვის მიეცით,
მზით დათენთილი გაწექ სილაზე
და კაცი მხურვალ სილად ვიქეცი
ზღვა და სილა კი კაცებად იქცნენ...

ჭაბუკური

ვითენთები გახურებულ მზეზე,
ენაგამშრალ რიყის ქვებზე ვთბები.
მინდა უცებ წამოვვარდე ზეზე,
მზეს ვეცე და გავუწეწო თმები...

მინდა სუნთქვა ზღვის ნიავექარს შევერთო,
ა იმ ღრუბელს ჩამოვხიო კალთა,
იმ აშოლტილ ალვის ხესთან ერთად
გავიარო, როგორც ლამაზ ქალთან...

სიტყვა მინდა ქარიშხალთა მსგავსი,
მკერდგაღეღილ ცას გავარდეს მეხი,
ცაზე მთვარის აყირავდეს თასი,
ზღვაზე ტალღამ მოიტეხოს ფეხი...

მსურს სიცოცხლეს გული მივცე მინდად,
ყველა ცაზე ჩამოვხიო ბინდი,
ყველაფერი მზით აღსავსე მინდა,
ყველაფერი ამ ზღვასავით დიდი...

შემოდგომა

წვიმს ზეცის შვიდივე კარით,
არაფერ არ ჩანს ვარეთ...


.....
მხოლოდ შემოდგომის დღენი,
სარკმლის წინ დევნილნი ქარით,
და დედიშობილა ხენი
დატანტალებენ ვარეთ...

თოვლი

თეთრი დათვივით მოვიდა თოვლი
და მხარზე უხმოდ დაგვადო თათი,
თეთრი ფიფქები ცვივოდნენ თრთოლვით
და არ გვესმოდა ჩურჩული მათი...
ჩვენ შინ დავბრუნდით შორ გზაზე მოვლით,
ჩვენ თვითონ თოვლის ფანტელებს ვგავდით.
თეთრი დათვივით გამოგვყვა თოვლი
და აივანზეც შემოჰყო თათი...



თამაზ გიბილაძე



მთაში იელის სუნი დგას.

ჩვენ ბარში ვბრუნდებით და შოლტით ასკილებს თავეებს ვასხეპავთ.
ვმღერით.

ხან ჩემი ცხენია წინ, ხან დათუნასი.

დათუნა ჯმუხი ბიჭია, გულჩათხრობილი და უენო; მოუხეშავია, შავ სა-
ხეზე თეთრად მოუჩანს სიმინდის მარცვლებივით ჩაწყობილი კბილები.
მღერის...

იმღეროს!

დათუნა ობოლია. დარდს ზოგი რით იქარვებს, ზოგი რითა.

ცხენები გავაჩერეთ და მუხნარში დასასვენებლად ჩამოვხტით. დათუნამ
ხურჯინი გახსნა. მე ჯიბეში მოვსინჯე პატარა ყანწი. დავთვერით და ერთმა-
ნეთს ვკოცნიდით. დათუნამ ჩემი და აღღეგრძელა. თვალები უბრწყინავდა.
ტუჩზე შერჩენოდა წითელი ღვინის ლაქა და გაწითლებული ამბობდა:

- შენი და... ცოლად მინდა.
- ჩემი და ბაღლია. ცოლობას ვერ გაგიწევს.
- ეგ მე ვიცი.
- მეც უნდა ვიცოდე.
- ქვეყნიერებაზე მაგის ბაღალი გოგო არ დადის.
- ჯერ პატარაა. გაიზარდოს.
- შენ მიზეზი არ დაგეუვავ.
- ცხვარში წადი. შორს იქნები და დაგავიწყდება.

- მოგტაცებ, იცოდე...
- ძვირად დაგიჯდება.
- მაშ შენ შორიდან მიყურე...

ჩვენ მთვრალეები ვიყავით და ერთმანეთს ვცემდით. შემდეგ ერთმანეთს ვკოცნიდით. დამემუქრა. მეც დავემუქრე. ერთმანეთი ვერ გავიმეტეთ. გაბრაზებული თავქვე დავეშვი. დათუნა პირშელმა შეუყვია აღმართს.

მე თვრამეტი წლის ბიჭი ვარ; სანამ გული მერჩის, დას ვერავინ წამართმევს. დათუნაც თვრამეტი წლისაა. თუ დამემუქრა, ამისრულებს, მარინეს მომტაცებს, მთაში წაიყვანს, დამცინებს და შემარცხვენს. მაშინ... დათუნა ჩემი ანაწერა გახდება.

გულამღვრელი მოვერეკებოდი ცხენს.

მთაში ბნელოდა. წვიმადა. მოვაქენებდი და წვიმა მისველებდა ბოზობა ქუდს, გაქუცულ ნაბაღს. ულაცის ფეხქვეშ იმსხვრეოდნენ ხმელი ტოტები.

დათუნამ მითხრა: შენი დის ბაღალი გოგო არ დადისო. მე ეს მიკვირს. ჩემი და ჯერ ისევ ბაღლია. მე დავცინი და ძალით ვუჩეჩავ დაწულ თმებს. ხელიდან ვტაცებ მოკრეფილ მაყვალს და ლოყებს მაყვლისფრად ვუთხუნი. დათუნა თავთ უკრეფს მუჭაში მაყვალს, თათს გაუწვდის და თავდახრილი ბურღლუნებს:

— აიღე, შენი თვალების ფერია...

მარინე კისკისებს. დათუნა წითლდება. მე...

ჩვენ ერთად გავიზარდეთ. მეგობრები ვიყავით და ერთმანეთში დამალული არა გვქონდა რა. გოგოს თუ რამეს გავუმხელებდით, ეს რა კაცობა იქნებოდა. ბაჟის ძირში ჩამოვჯდებოდით და საიდუმლოდ ვჩურჩულებდით:

— მოგწონს?

— ვინ? მარინე?

— მარინე კი არა ის, გუშინ რომ ვნახეთ ბაზრობაზე...

— ისე, რა...

— მე მიყვარს. თვალი გეჭიროს.

ლასტის უკან ხარხარებდა ჩემი და:

— გა-ვი-გეეე!!

ჩვენ გამოვუდგებოდით, დავიჭერდით და ვკეითებოდით:

— რა გაიგე?

— ყველაფერი გავიგე!

— არსად წამოგდეს.

— გამიშვით და არ წამომცდება.

ჩვენ ხელს ვუშვებდით. ჩემი და გაიქცეოდა. ეზოს გადაირბენდა. ყორეს უკან ჩაცუცქდებოდა და გეეეეეააა!!

— წა-მომ-ცდე-ბაააა!!

ცნობისმოყვარე იყო.

როცა ყურს ვერაფერს მოჰკრავდა, დამდევა და მეზვეწებოდა:

— მითხარ.

— არ გეტყვებ.

— სულ ერთია, გავიგებ.

— როგორ გაიგებ?

— ჩიტი მომიტანს ამბავს.

ეს ჩიტი დათუნა იყო. იმ ღამესვე დაიჭერდა, სანამ ყველაფერს არ ათქმევინებდა, ვერ ისვენებდა. მეორე დღეს ბაზრობაზე ნანახი გოგოს ამბავი მოტელმა სოფელმა იცოდა. მე დათუნას მოვიხელებდი და ვჩხუბობდით:

— რად უთხარი?

— ვიტყვებო, და... — ბუზლუნებდა დათუნა.

— მერე, იტყრა?

— რად ვატირებდი, რა...

ერთხელ მდინარესთან საბანაოდ ჩავედით. ფაჩუნი მოგვესმა. ნადირი გვეგონა. წინ დათუნა მიძვრებოდა, უკან მე. მდინარის პირას შამბნარები მივწი-მოვწიეთ. დათუნა გახევდა და ჩურჩულით თქვა:

— ალი!

— ალი კი არა, ის არ გინდა?

— აბა შეხედე!

წყალში თავწარგულ ხავსიან კუნძზე ჩემი და ჩამომჯდარიყო, შიშველი ფეხები წყალში ჩაეყო, თმები გაეშალა. იელის გვირგვინს იწნავდა და თავისთვის ჩუმიად ლილინებდა.

ჩემი და ძალზე ლამაზი იყო.

— შენ კი ალი გეგონა! — უუთხარი დათუნას.

მივიხედ-მოვიხედე, დათუნა აღარსად იყო.

გამოვეკიდე.

შინდის ძირში ვიპოვე. ჯოხსა თლიდა და უსმენდა, როგორ მღეროდა ჩემი და.

ეხლა ცხენს მოვერეკები.

წვიმით იელინთება ჩემი ნაბადი.

შუალამეა.

უკან დარჩა ღრუბლებში ჩაკარგული მთა.

სოფლამდე ჩამოდის ირმის ყვირილი.

ვინ იცის, როგორ უჭირს დათუნას.

კარი გავაღე და შინ ფრთხილად შევედი.

ჩემი და მოძეგება. ნაბადი ჩამომართვა. შეშინებულმა მკითხა:

— დასველდით?

— დასველდი.

— დათუნა რა იქნა?

— მთაში დარჩა.

მე გამეცინა.

— დამთვრალხარ! — მითხრა ჩემმა დამ.

ვუცქერდი და მიხაროდა.

ბუხარს ცეცხლი გაუღელა და შეშინებულმა მკითხა:

— ძალიან წვიმს?

— თავსხმაა.

მან კანკალი დაიწყო. კბილებს კბილებზე აცემინებდა. მობუზული ფანჯარას მისჩერებოდა და უსმენდა, როგორ აკაკუნებდნენ ცერის სიმსხო წვეთები.

— მეშინია...

- რისა გეშინია?
- მცოცხა...
- დაწეტი და გათბები.
- არ მეძინება...

მე ლოგინში თბილად გავეხვიე. ისევ წვიმდა. მარინე დაგმანულ ფანჯარასთან კოპებშეკრული იჯდა. მის წინ კანკალებდა პატარა სანთელი. მე თავი მიბრუოდა და მეჩვენებოდა, რომ ჩემი და ჩურჩულით იბვლიდა წვიმის წვეთებს: ერთი... ორი... სამი... ოთხი...

- გადაიღო...
- დილაძე ვერ გადაიღებს, დაიძინე.
- მიყვარს წვიმა.
- ჩუმად. დედა გაიღვიძებს.
- მიყვარს წვიმა, ძალიან მიყვარს...

მე გვერდზე გადავბრუნდი. ტახტმა გაიჭრიალა. ჩაძინება ვცადე: მესმოდა, როგორ აკაკუნებდა ფანჯარაზე წვიმა და როგორ სუნთქავდა ჩემი და. ჩამეძინა.

უეცრად შევხტი.

თითქოს ვილაცამ შემანჯღრია და გამომავლიდა. წვიმას გადაეღო და სიჩუმე იდგა. სოფლის ბოლოს ყიოდა მამალი. სოფლის თავში ჯავრობდა სახეღარი. ჩემი და ფანჯრის რაფას ჩამოყრდნობოდა და გაფართოებული თვალბით გასცქეროდა სიბნელეს.

შორეული სიმღერა მომესმა.

შემდეგ ეს სიმღერა თანდათან მოახლოვდა.

ცხადად მოისმა ცხენის ფლოკების თქარუნე.

— დათუნა დაბრუნდა, — ჩაეილულლულე ჩემთვის და პირაღმა დავწეტი. ჩემი და წამოდგა. ფანჯარა გააღო და მითხრა:

- მოუსმინე...
- რა იყო?
- რა კარგად მღერის.

ოთახში შემოდოდა ნაწვიმარი სიგრილე; ჩემი და კანკალებდა.

— ფანჯარა დახურე, შეგცივდება.

— არ შემცივდება.

გულხელდაკრეფილი იდგა და მაინც სციოდა.

სიმღერა დასრულდა.

განთიადმა დასუნთქა ნაწვიმარი მიწა.

ჩემი და ფანჯარას მოსცილდა, თვალბი მოიფშვნიტა და დაამთქნარა:

— მეძინება... მეძინება...

ისევ ფანჯრის რაფას ჩამოეყრდნო.

მე კი ვხვრანავდი.

შემდეგ ისევ შემანჯღრია ვილაცამ. თვალბი გავაჭყიტე და მივიხედ-მოვიხედე. ფანჯრის რაფაზე წამხობილიყო ჩემი და, ხელის ზურგზე ლოყა ჩამოეყრდნო და ღრმად სუნთქავდა.

წამოვხტი.

ხელში ავიყვანე. ლოგინზე ფრთხილად დავაწვინე. ნაბადი მივახურე, შუბლზე ვაკოცე და განთიადის სიჩუმეში მომეჩვენა: სადღაც ისევ მღეროდა ჩვენი დათუნა.

პოქსან, ყუკი

- ეხლა სად ცხოვრობ?
- ჩემს წყნარ ქუჩაზე.
- რა დაგრჩენია იქ? ალბათ ძველისძველი სახლი და ორიოდ გაცრეცილი კაღარი...
- მე მიყვარს ეს წყნარი ქუჩა.
- მე მირჩენია ხმაურიანი გამზირი.
- ასე ვსაუბრობდით მე და შენ გუშინ...
- შემდეგ შენ მკითხე:
- რა ამბავია შენს წყნარ ქუჩაზე?
- მშვიდობაა ჩემს წყნარ ქუჩაზე და განსაკუთრებული არაფერი ხდება.
- ...სალამოა. ადამიანები სამუშაოდან ბრუნდებიან. სამზარეულოში სადილი ცხელდება. დედები ბავშვებს ეზოში ისტუმრებენ — დალილ მამას დასვენება სჭირდება. საღაც იწყებენ როიალის დაკვრას და კაღრის ქვეშ ისმის ჩურჩული:
- გინდა ბედნიერება?
- შენ, ხარ ჩემი ბედნიერება...

ხანში შესული ხეიბარი ხენშითა და სვენებ-სვენებით ამოდის აღმართზე. უფეხო კაცისთვის აღმართის ამოვლა ძნელია. ორსართულიანი სახლის პირდაპირ, დაბრეცილ მესერთან ორფეხა სკამი დგას. ეს კაცი სკამზე ჩამოჯდება, ოფლს შეიმშრალებს, სულს მოითქვამს, ხის ფეხს ქვაფენილზე გასკიშავს და დიდხანს, ძალიან დიდხანს წვალეებით იჩხრეკს გარღვეულ ჯიბეს. ჯიბის კუთხეში ჩასრეხილა პაპიროსი. ხეიბარს ასანთი სჭირდება და ხარბი თვალებით გამვლელ-გამომვლელს ეძებს.

მესამე სართულის ღია ფანჯარასთან უკმეხი კაცი ზის. ხეიბარს მოკუტუღლი, მრისხანე თვალეებით უყურებს. რაფიდან ასანთს იღებს და ხეიბრის ცხვირწინ აგდებს.

სადარბაზო კართან მდგარი ბიჭი ალტაცების ნიშნად ტაშს უკრავს.

ხეიბარს მადლობის თქმა სურს, მაგრამ მრისხანე კაცი ფანჯარას უკმეხად კეტავს... შემდეგ დაგმანული ფანჯრიდან ისმის ფორტეპიანოს ხმა.

ხეიბარი თავისთვის ზის. დანაოკებულ სახეზე ეანგისფერი დაჰკრავს. ნიკაბი მკერდზე დაუბჯენია. წარბებს ქვემოდან ღვივიან მისი ახალგაზრდული თვალეები.

მესამე სართულზე კი ფორტეპიანოს უკრავენ. ხან გაზაფხულის ხმები ისმის, ხან გუგულის ძახილი. ხან ქარიშხალი მრისხანებს და ისმის დაჰრილთა გოდება, ტირილი, მოწოდების ძახილი.

მუსიკა წყდება. წყნარ ქუჩაზე ისევ ცისფერი საღამო დგას. ხეიბარს უახლოვდება ათიოდე წლის ბუთხუზა ბიჭი. როცა ხეიბარს ასანთი ესროლეს, ეს ბიჭი ალტაცების ნიშნად ტაშს უკრავდა; ეხლა ხეიბრის წინ ჩერდება. ზურგზე დიდი კაცივით იწყობს ხელეებს და კაცს თვალეებში შესცქერის. თუ ხეიბარს ხელიდან პაპიროსი გაუვარდება, ბიჭი მკვირცხლად დასწვდება და მიაწვდის.

— გამარჯობათ! — ამბობს ბიჭი.

- გაიზარდე.
- აქ ვის ელოდებით?
- ვისვენებ...
- დაილაღეთ?

— მიჭირს აღმართის ავლა. მე ხომ ხეიბარი ვარ...

გათამამებული ბიჭი გვერდით მოუჯდა, ფეხი ფეხზე გადაიღო და და-
არია:

— სახლიდან არ უნდა გამოხვიდეთ.

ხეიბარს გაეცინა. წამით სათქმელიც აღარაფერი ჰქონდათ. წამოდგა. ვაი-
ვაგლახით გამართა წელი. წასვლა დააპირა. ბიჭს მოუტრიალდა და ჰკითხა:

— იქ ვინ უკრავს?

— მამაა ჩემი...

—

— მოგწონთ?

— ძალიან.

— მაშ მოიცადეთ. ვეტყვი და კიდევ დაუკრავს.

— დიდი მადლობა. ნუ შეაწუხებ.

— პირიქით. მამას უხარია, როცა უსმენენ...

— ღამე მშვიდობისა...

— ხვალაც გამოვივლით?

— გამოვივლი.

ბიჭი ლაპარაკობდა გაუბედავად, ცნობის წადილით; ხეიბარი — დინჯად, აუჩქარებლად და გულჩათხრობით. ბიჭმა სიბრალულით სავსე თვალები მოსახ-
ვევამდე გააყოლა, მოტრიალდა და სახლისკენ გაიქცა; ბამბასავით თეთრი იყო, ხუჭუქთმიანი, მოკლე შარვლიდან შიშველი მუხლები უჩანდა... შემდეგ წყნარ ქუჩაზე ჩამოღამდა.



მეორე საღამოს ხეიბარი დიდხანს არ გაჩერებულა. არც დამჯდარა, არც პაპიროსი ამოუღია. წყნარ ქუჩაზე ციოდა. ნაცრისფერი ღრუბელი წვრილად სცრიდა. ერთფეროვნად შიშინებდა შემოდგომის უნიათო ცრემლი. სიცივით მობუზულ ბელურებს მიწისფერი დასდებოდათ. მესამე სართულის ფანჯრები დაგმანული იყო.

ხეიბარმა გზა ნელი ნაბიჯით განაგრძო. თბილი ქუდი თავზე ჩამოიფხატა. გახუნებული ზურგი დასველებოდა. მოკრიალეზულ ქვაფენილზე რჩებოდა მისი ნაფეხურები. წვიმის შიშინში ცხადად ისმოდა ყავარჯნის რიტმული ჩახუნნი.

მესამე სართულზე ფანჯარა გაიღო და მრისხანე კაცმა ქუჩა დახვერა. ხეიბარი ჭადარს შეეფარა. ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო. წელში მოიკაკვა და ასანთი ძლივსძლივობით გაჰკრა. პაპიროსი გააბოლა თუ არა, აქლოშინებუ-
ლი ბიჭი მოეარდა.

— დაილაღეთ?

— არა, — გაუკვირდა ხეიბარს.

— როგორ არა. მე თქვენ დაგინახეთ. თუ გინდათ, მამას ვკითხოთ.

— მამამაც დამინახა?

— დიახ.

- შინ გაიქეცი.
- რატომ?
- თავზე დაგაწვიმს, შეგცივდება...
- მე უკვე დიდი ბიჭი ვარ. საქმეს სულ მე ვაკეთებ. მამა ამბობს, ამ ზაფხულს ზღვაზე მარტოს გაგიშვებო.
- მერე რა? აი მეც დიდი ვარ, მაგრამ მეშინია, არ გავცივდე.
- ვაგაცილებთ...
- რისთვის? დიდი მადლობა.
- მამამ დამაველა, სახლამდე ვაგაცილოთ. მე მამას ყველაფერს ვუსრულებ.
- დიდი მადლობა. არ მიყვარს, როცა მაცილებენ.
- რატომ?
- წინათ მე თვითონ ვაცილებდი ხალხს...
- ახლა?
- ახლა... — ხეიბარმა ყავარჯენზე ანიშნა. შუბლზე ჩამოსული წვიმის წვეთები ცხვირსახოცით შეიმშრალა. გზა განაგრძო. ბიჭმა მხრები აიჩჩია, მიმავალ ხეიბარს თვალი გააყოლა. შუა ქუჩაში იდგა და ხუჭუჭა თმებზე აწვიმდა. ჯიბეებში ვაჟკაცივით ჩაეყო ხელები და ფიქრობდა.

მესამე დღეს ისევ გამოიდარა. ნაცრისფერი ღრუბლები მთაწმინდის გადაღმა მიიმალნენ. ნიავი მთებში გადაიკარგა. მეეზოვემ დამპყნარი ფოთლები ქუჩის ბოლოში დაწვა. ბელურები სადღაც გაფრინდნენ. ადამიანები სამუშაოდან კვლავ შინ ბრუნდებოდნენ. დედები ბავშვებს ეზოში ისტუმრებდნენ — დალილ მამას კვლავ სჭირდებოდა დასვენება.



ხეიბარიც დასასვენებლად ჩამოჯდა ორფეხა სკამზე. ნიკაბი ისევ მკერდზე დაებჯინა. დამდებოდა და აქა-იქ ენთებოდა ნათურები. მესამე სართულზე კვლავ ფორტეპიანოს უკრავდნენ. ფანჯარაზე გადმოყუდებული ბიჭი ხმამაღლა იძახდა:

— მოგწონთ?

ხეიბარი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

— ძალიან?

კვლავ თავს უკრავდა ხეიბარი.

— ეხლა მამა ბრძოლის სიმღერას დაუკრავს.

მამა „ბრძოლის სიმღერას“ უკრავდა.

— ამოხვალთ ზევით?

ხეიბარმა უარის ნიშნად თავი გააჩნია.

— მამა გთხოვთ...

კვლავ უარი თქვა ხეიბარმა.

— მაშინ მე ჩამოვალ და ძალით წამოგიყვანთ, —
დაიქაუნა ბიჭმა და ფანჯრიდან ოთახში ჩახტა.

ხეიბარი პაპიროსს აბოლებდა. სადარბაზო კარს
მიჩერებოდა, ელოდა. ბიჭი ქუჩაში გამოვარდა.
ხეიბრის წინ შეჩერდა. მუდარით უთხრა:

— წამოდით ჩვენთან.

— რისთვის? მამაშენი შეწუხდება.

— მამამ თქვა, მოიპატიეო.

— დიდი მადლობა მოახსენე მას.

— კიდევ დაუკრავს. მამას უხარია, როცა უსმე-
ნენ...



— დიდი მადლობა, — თქვა ხეიბარმა, ყავარ-
ჯენზე ანიშნა, თითქოს შერცხვავო, ხმადაბლა და-
ატანა: — ზევით ამოსვლა გამიჭირდება.

ბიჭმა გაბუტულივით დახარა თავი, გადმობრუნებული ტუჩებით ჩაიბუტ-
ბუტა:

— მამას თქვენი გაცნობა უნდა.

— ძირს ჩამოვიდეს შენი მამა.

ბიჭი გაწითლდა. დაიბნა. აღარ იცოდა, რა ეთქვა. ხეიბრის გახუნებულ
ყავარჯენს თავდახრილი დასჩერებოდა. თავისთვის ბუტბუტებდა:

— ჩემი მამა ძირს ვერ ჩამოვა. ძირს არასოდეს ჩამოდის. წელს ზღვაზეც ვერ
წამოვიდა. მერმის ზღვაზე მარტო გამიშვებს. მაგრამ მე არ წავალ ზღვაზე. არც
დედა წავა. მამას მოვლა სჭირდება... მას არც ერთი ფეხი არა აქვს...

წყნარ ქუჩაზე სიჩუმე იდგა. დამკნარი ფოთლები უძრავად თვლემდნენ.
ბავშვებს უკვე ეძინათ. აღარ ისმოდა არც დედის ძახილი, არც შეყვარებულთა
ჩურჩული. ქუჩაში იდგა მშვიდი, ცისფერი საღამო და მამა ბრძოლის სიმღერას
უკრავდა.

ხეიბარი სკამზე იჯდა და უსმენდა.

დაკვრა შეწყდა და მესამე სართულის ღია ფანჯარაში მრისხანე სახის
კაცი გამოჩნდა. მან ხელი ასწია და ხეიბარს უსიტყვოდ მიესალმა. შემდეგ
მრისხანე კაცმა გაიღიმა. ხეიბარმაც ხელი ასწია, წამოდგა, ქული მოიხადა და
ფანჯარაში გადმომდგარს ღიმილით დაუქნია.

— ის ჩემი მამაა! — გამოცოცხლდა ბიჭი.

ყავარჯენზე დაყრდნობილი ხეიბარი ქუდის ქნევით დაადგა გზას.

— გაგაცილებთ, კარგი? — გაუბედავად თქვა ბიჭმა.

— კარგი, გამაცილე. — უპასუხა ხეიბარმა.

კარგი

ხარაჩოზე შევტუხა ბიჭი მუშაობს.

წყნარი ქუჩის გოგოებს მოსწონთ თამამი ბიჭი. სოფლელია, მაგრამ მორ-
ცხვი არ არის. ისე არ გაივლი, რამე არ გადმოგძახოს. გოგოები ერთმანეთში
ჩურჩულებენ:

— რა ლამაზია!

— როგორ უხდება პაპიროსის წვევა!..

ერთი გოგო კი დილაადრიანად სადარბაზო კარიდან გამოვარდება. საფუნ-
თუშეში შავ პურს იყიდის. სახლისაკენ მადიანი კბეჩით მიდის. მშენებლობის
ხარაჩოს რომ გაუსწორდება, წამწამების ხამხამით ზევით აიხედავს და რაკი
გელას შენიშნავს, შერცხვება, ზურგს შეაქცევს, სწრაფად კარს მოეფარება.

„რა ლამაზი გოგოა!“ — ფიქრობს გელა.

გრძელ ნაწნავებს ატარებს. ღონისძიებისთვის თვალები აქვს, სევდიანი და
დაბინდული.

ტანი ეხლა აუყრია, ამ გაზაფხულზე დაქალბულა, მოკლე კაბა შიშველ
მუხლებს ძლივს უფარავს. ჩითის წელზედა მჭიდროდ შემოტმასნია ახალათ-
ქეირებულ ჰეკრდზე. მორიდებულია, უნდო და მშიშარა. თუ შემთხვევით გე-
ლას გადაეყრება, ყურებამდე გაწითლდება, თვალს მოარიდებს...

„რომ წაწამყვებოდეს, დედაჩემს მივგვრიდი“, — ფიქრობს გელა.

მიდიან თვეები.

ხან გაზაფხულია, ხან შემოდგომა.

ან სევდიან გოგოს მოსწონს გელას გამხდარი სახე, დიდი შავი თვალები,
გაკვანძული შუბლი და მკაცრად შეყრილი წარბები. სქელ ტუჩებს ზემოთ სა-
ულვაშე ღინდლი. როცა წელზევით გახდილი ბიჭი ბეტონის ფილებს ღონივრად
ეწევა, ოფლიანი ქედი მიწისფრად ულაპლაპებს... მაშინ ის სევდიანი გოგოც
ჭიშკრის დირესთან ზის. გელას გული ჩაქუჩივით ცემს. თვალები ჭიშკრისკენ
გარბიან და ბებერი კალატოზი გულიანად ხითხითებს:

— მოგწონს ის გოგო?

— მომწონს, მაშ არ მომწონს?

— ღამის სკოლაში სწავლობს. ჭიშკართან დაუხვდი და აკოცე.

გელა იცინის და კეფას იფხანს.

თვალები ლაპლაპებენ.

მზე აცხუნებს.

ოფლი ღვარად მოდის და ბიჭი ზმორებით ფიქრობს:

„დავუხვდები და... ყველაფერს ვეტყვი“.

კვირა დღეს ბაზრიდან მომავალ გოგოს შემთხვევით შეხვდა. შეშინებული
გოგო გაქცევას ლამობდა. ბიჭი მოუტირდებელი იყო, უტეხი და არხეინი. უდარ-
დელად ჰკითხა:

— აქ ცხოვრობ?

— დიან...

— მეც აქვე ვცხოვრობ.

— ვიცი...

— წამოხვალ სასეირნოდ?

— ჩემად... დედა გაიგონებს...

— ქუჩის ბოლოში მოგიციდი.

— ჩანთას შევინახავ და ამ წუთში გამოვალ.

გოგომ ჩანთა შეინახა. აღარ გამოსულა. ბიჭი ელოდა და ფიქრობდა:

„მომატყუა... ეშმაკი ყოფილა...“

ღამით გოგო ლოგინში იწვა და აღარ ეძინებოდა. მახლობლად ღრმად სუნ-
თქავდა მძინარე დედა. ფრთხილი გოგო ფანჯრის გაღებას ცდილობდა. ისმო-

და საწოლის კრიალი... და ძნელი იყო მარტობა. ბიჭსაც მოსწყინდა მარტობა. გახდა. ჩაშაგებულ ქუთუთოებში ელაგდნენ თვალები. მორცხვ გოგოს ძლიერ უყვარდა დედა. შეაგვიანდებოდა და სახლისაკენ გარბოდა, „დედას შეეშინდებოა“; ბიჭი ადგილს დაუთქვამდა და ჯიუტობდა, „დედა გამიჯავრდებაო“; ხელთამამი ბიჭი მოხვეწნას დაუპირებდა და წუხდა „დედა დაგვინახავსო“. ბიჭი ხარხარებდა:

— თუ უარს მეტყვი, თავს მოვიკლავ...

— დამცინი?

— დიახ.

— გულანდილი ყოფილხარ.

— მაშ გულანდილად გეტყვი.

— თქვი...

— ვერსად წამიხვალ.

— გამიშვი...

— მიფრთხილდი. ჩვენს სოფელში ქვის ნატეხს მეძახიან.

— მე ჩვენს ქუჩაზე ცისფერ ენძელას.

— მე მიყვარს ცისფერი ენძელები.

— მართლა?

— გასართობად. გულზე დასაბნევად.

— ტყუილად. ენძელები ქვებზე არ ჰყვებიან...

გავიდა ზაფხული და უერთმანეთოდ ვეღარ სძლებდნენ. გოგოს დედა კიშკართან იღვა და ქალიშვილს ელოდა. ქალიშვილი გვიან, ღამით ბრუნდებოდა. შუალამედე იღგენ ქადრის ბნელში და ჩურჩულით გეგმებს აწყობდნენ:

— წამოხვალ სოფელში?

— დედა გამიჯავრდება.

— წავალთ და აღარ დავბრუნდებით.

— მეშინია.

— გავიპაროთ.

— მეშინია.

— მე შენთან ვიქნები და არ შეგეშინდება.

— რას გვეტყვის დედაშენი?

— ცოტას გაგვიწყრება.

— რატომ გაგვიწყრება?

— ისე... რა ვიცი... ამას წინათ ჩემმა ძმამ საცოლვე მოიტაცა და მამაჩემმა გაჯოხა.

— გაჯოხა? შენც რომ გაგჯოხონ?

— მერე რა? გავიზრდებით და დაგვაფიწყდება.

— მეშინია...

— შაბათს გაგვეჯოხავენ, კვირას ქორწილს გადაგვიხდიან.

— მეშინია...

მეორე ღამეს განხლებული ბიჭი იმუქრებოდა:

— სულ ერთია ვერსად წამიხვალ...

ბიჭი მის სახესთან თავს ხრიდა და ერთმანეთის ტუჩებთან ფშვინავდნენ.

— სტირი? — შფოთავდა გოგო.

— არა, ეს შემოდგომის წვიმაა. მოულოდნელად წამოგვეპარა, — არხეინად ამბობდა ბიჭი და ცას შესცქეროდა.

წვიმდა.

ქუჩა ნელ-ნელა სველდებოდა.

ნათურის შუქზე ბრწყინავდნენ წვიმის ძაფები.

ბიჭი ჩურჩულებდა:

— სოფელში უნდა გამომყვე, დედაჩემმა უნდა გნახოს. შეუყვარდები.

— დედა არ გამომიშვებს.

— ხვალ აქ დაგელოდები.

— არ მოვალ.

— მოხვალ...

— არ შემიძლია.

ბიჭმა გააჩქარა. ზურგი შეაქცია და პაპიროსი გააბოლა. გოგო ჩუმად ტიროდა. კვლავ წვიმდა. ბიჭმა პიჯაკი გაიხადა და გოგოს მოახურა. გოგო გაბრაზდა. ბიჭს პიჯაკი მიუგდო:

— არა მჭირდება. გმადლობთ!

— არაფერს... — არჩეინად თქვა ბიჭმა და პიჯაკი უდარდელად ჩაიცვა.

გოგო სადარბაზო კარში შეეკარდა.

ბიჭმა ხმამაღლა მიაძახა:

— ხვალ სოფელში წავალთ... დაგელოდები...

*

მეორე დღეს მზიანი დარი იდგა. ბიჭის ბეჭები ხარაჩოს თავზე მიწისფრად ელავდნენ. ამ სახლის ხარაჩოდან მთელი თბილისი მოჩანს. შემდეგ მთებია. მთების ყურეში პატარა სოფელი. სოფლის ბოლოში პატარა ეზო. გელა სტუმრად ჩავა, მარტო კი არა... ატყდება ფაციფუცო... ქათმები კრიახით მაყვლის ბარდებში შეძვრებიან. გახარებული დედა მეზობლებში დაიკვებნის: ქვის ნატები ბიჭი სწავლას გულს ვერ უდებდა. სამუშაოდ გავუშვი... დააკცა და დამიბრუნდა. მარტო კი არა...

ცხელა.

გოგო ჭიშკრის დირეზე ზის და ბებერი კალატოზი ჩუმად ხითხითებს.

— გიყვარს ის გოგო?

— მიყვარს, მაშ არ მიყვარს? — იცინის გელა და კეფას იფხანს.

დაოგა ღამე.

წყნარ ქუჩას დაეძინა.

სადარბაზო კარის კიბესთან ჩამოჯდა გელა.

გოგო ფეხაკრეფით გამოვიდა.

— წავედით! — თქვა ბიჭმა. გაიზმორა. წამოდგა და გამტკერილი შარვალი დაიბერტყა.

— აქ მომიცადე, ამ წუთში გამოვალ.

— სად მიდიხარ?

— დედას წყალს შეეუტან, ავადაა.

— გელოდები იცოდე...

ბიჭი კიბის საფეხურზე ჩამოჯდა. პაპიროსი გააბოლა და მუხლისთავეებს ნიდაყვებით ჩამოეყრდნო. ფიქრში წასული თავისთვის დიღინებდა. არც გაუგია, როგორ წამოადგა თავს გოგოს გრძელნაწნავა ლანდი.

— მიუტანე?

— მიუტანე, — თქვა გოგომ და ბიჭს გვერდით მოუჯდა. კაბა მუხლებზე გადმოიფარა, გულხელი დაიკრიფა და ამოიოხრა.

— ახლოს დაუდგი?

გოგო შეშფოთდა.

— წადი, ახლოს დაუდგი.

გოგო წავიდა. ბიჭი ერთხანს იჯდა. შემდეგ კიბეზე გულადმა გადაწვა. თითქოს ჩაძინებას აპირებდო, გაბმით ამოიხვნეშა. მკლავები თავქვეშ ამოიღო და დაამთქნარა. თვალები მიილულა. კიბეზე ჩამოსული გოგო თავთან დაუჯდა. ერთ ხანს უყურა. ბიჭს თავი აუწია და კალთაში ჩაიდო.

— თერმომეტრი ჩავედღე.

ბიჭს ხმა არ გაუცია. კალთაში თავი ედო და ტკბილად ფშვინავდა. გოგო იჯდა და მის გრძელ წამწამებს ითვლიდა. ერთი... ორი... სამი...

ბიჭმა დაიხურჩულა:

— ამაღამ არ შეგეშინდეს. დილაზე გავიქცევი და ექიმს მოვიყვან.

გოგომ გაუღიმა. ბიჭმა ეს ღიმილი წყალობასავით დაიჭირა, მკლავები ასწია, გოგოს კისერზე შემოაჭდო და თავისაკენ გადმოზიდა. ხარბი იყო ნისლიანი თვალები, გამშრალი ტუჩები... გოგომ თავი გაითავისუფლა და ჩურჩულით თქვა:

— დედა მეძახის...

ბიჭს თითი ტუჩთან მიუტანა და გაუცინა:

— სირცხვილია.

ოთახში შევარდა და კარი მოიხურა.

ბიჭი მცირე ხანს იჯდა. დაღლილ კუნთებს დასვენება უნდოდათ. თვალბში ნისლივით ჩამდგარიყო ძილი. წყალი სწყუროდათ გაფიცხებულ ტუჩებს.

...შემდეგ ქუჩაში მიდიოდა.

გრილით ჩაიჭროლა უკანასკნელმა ტრამვაიმ. ჭიშკართან აყეფდა ძაღლი. ქალაქი ღრმა ძილს მოეცვა და ბიჭი ფიქრობდა:

„ექიმს მოვაყვან. შემდეგ მთელ ღამეს ლილისთან ვიქნები. ცოდოა... შეეშინდება...“
შემდეგ... შემდეგ ყველაფერი კარგად მოეწყობა. ჩვენ სოფელში ვავიპარებთ...“

ბიჭი თავქუდმოგლეჯილი მირბოდა.



ეზუარ კვიზაიშვილი

•
• •

არად მიჩანს მე ღრუბლების სისქე,
მათი მსგავსი ბევრი გაიცრიცა,
ვინც ხშირ-ხშირად იყურება ცისკენ,
მას ყველაზე მეტად უყვარს მიწა.

გადმომედო ყვავილების სუნთქვა,
მათი ფერიც იყოს მარადისი,
სიყვარულზე ვისაც მცირე უთქვამს,
დიდი არის სიყვარული მისი.

სალამოა მყუდროებით სავსე,
გაღვიძება დაეიწყინა ნიავს,
ასე ვფიქრობ, ამ გათელილ გზაზე
რომ ჩემს გარდა არვის გაუვლია!

•
• •

გაიზარდა დიდებული სივრცე,
ლამაზ მიწას ეღვარება მოჰფინა,
მე ამ დილით სიყვარული ვიგრძენ, —
თურმე სხვისი სიყვარული ყოფილა.

ჩემს გულს მარტო გაზაფხული გაშლის,
ჯადოსანი ყვავილების დობილი,
გაზაფხული მეგონა და ბაღში
თურმე ძველი შემოდგომა ყოფილა.

მცირე ლანდი ძირს მოყვება ფოთლებს,
წეროები მიფრინავენ წყობილად,
აკაცია გაშიშვლდა და ტოტზე
თურმე საწყალ ჩიტის ბუდე ყოფილა...

გზაში ნათქვამი სიმღერა

რაც მე ტყეები მივლია,
ველები შემომივლია,
ზოგან მთებია ზვიადი,
ზოგან ყანები ლივლივა.

ძირს რომ გაშლილა მინდვრები,
არსად მინახავს იმდენი;
ეს მე ვარ, ჩემი ხმა ისმის —
საავდრო ღრუბლებს მივდენი.

არც აღარაფერს ვინაღვლებ,
თუნდ მთებიც გადაყირავდეს,
მზემ რომ ჩამხედოს თვალებში,
სხივს ვერ ჩამატანს ძირამდე.

ეს რა გზებია ხვეული.
ხეები რტოდარხეული,
დამტრიალებენ ორბებში,
ლაყვარდში ფრენას ჩვეულნი.

გავლადდი, გამიხარია,
ფოთლების ნიაღვარია,
ქარმა წაბლი და წიფელა
ტულ ერთმანეთში არია.

რა კარგი ხეობებია,
ფერდებზე ჩანჩქერნახალი,
ცას მკერდი შეობებია,
ცა გვინდა უფრო ახალი.

მზეც გვინდა უფრო ახალი —
ზეცა და მიწა ელაგდეს,
ყვავილთა ამონაყარი
გაწვდეს ველიდან ველამდე.

ხმაც გვინდა უფრო ახალი,
ყველგან რომ მიმოებნევა, —
კარგი გამგონე მრავალი
ისედაც მოიძებნება.

რაც მე ფერები მინახავს
და ზღვები გადამილახავს,
რას ვეფერები არ ვიცი,
ან საალერსო ვინა მყავს.

მივწვდები მიუწვდომელთაც,
მხრები ფრთებს წამომართავენ,
თქვენ — კარგად იცით რომელთაც
ჩემი სიმღერის სათავე.



ბაქა დაიანი

რაც გამახსენდა

17

განვარძობთ დროებით შეწყვეტილი ჩემი გასახსენებელი.

ოო, ხალხი! ხალხის სამსახური! ეს იყო უდიდესი დედაპირი ცხოვრების ჩვენს ოჯახში, მამის მიერ დადგენილი და განმტკიცებული.

ოლონდ ამის შეგნება გვიან მოვიდა ჩემამდე.

ეს უფრო უნდა მივაწერო იმ დროს, როდესაც უკვე სცენაზე მუშაობა დავიწყე. როგორც პროფესიონალმა მსახიობმა და დიდ სალიტერატურო ასპარეზზე გამოვედი.

მართალია, ამ შეგნების პირველ გადავივებას ხელს უწყობდა ჩემი საკუთარი, ხელნაწერი ჟურნალის „მონარდის“ გამოცემაც, მაგრამ მაშინდელი ჩემი ყმაწვილური მწერლობაც და სცენით გატაცებაც უფრო, ჩემის ფიქრით, წაბაძელობით იყო უმთავრესად გამოწვეული. პროგრამული იდუა ხალხის სამსახურისა კი უფრო შეგვიანებით არის შექმნილი და ეს უთუოდ უფრო რელიეფურად მაშინ გამოჩნდება, როდესაც ჩემს მწერლობასა და თეატრალურ მუშაობას ცალკე გავიხსენებ. მანამ კი ვიყავ იხე „ტლუ ზიჟი“.

მართალია, მალე შევიყვარე კითხვა, ისიც მხოლოდ ქართულ ენაზე, რადგან რუსულს გვიან დავეუფლე, მაგრამ ეს კიდევ არ იყო ის ღვრიტა, რომლის მეოხებით შემდეგ ჩემი საზოგადოებრივი მუშაობა უნდა წარმემართა.

ამიტომ თითქო მხოლოდ სოფელში ვიყავ ჩატრიალებული.

სოფელში კი ბერთემის გარდა სხვაგანაც ბერგან მიცხოვრია, თევობით, მთელი ზაფხულობით. მხოლოდ განსხვავება ის იყო, რომ სხვა სოფელში შემთხვევას არ მოუტანია, რომ ტოლ-ამხანაგები გამეჩინა, განსაკუთრებით ისეთები, როგორც ბერთემში მყავდა: უბიწონი, გულწრფელები, უშეშაკონი და საკვირვლად დინჯი ხასიათისა. მე არ მახსოვს, რომ ოდესმე მათ რაიმე აყალ-მყალი აეტეხათ, ან ერთიმეორის წაპკიდებოდნენ, ხელით შეშებოდნენ. ყოვლად წესიერი და გულ-ლია ხალხის შვილები იყვნენ.

ერთხელ ჩვენთან ბერთემში სტუმრად იყო მწერალი დეტუ მერგელი და მე და ჩემს ამხანაგებს რომ დაგვიკვირდა, იხუმრა თურმე: საიდან შეურჩევია შალვას ასეთი ბიჭები? ყველანი ფილოსოფოსებად გამოიყურებიანო.

აქ ჩემი დაცინვაც იყო, რადგან მე ბავშვობაში, როგორც ზემოთაც მაქვს ნახსენები, ბავშვისათვის უჩვეულო, მეტად სერიოზული სახე მქონდა.

ახლა ვიგონებ: რა გაურყვნელები იყვნენ ეს ჩემი ამხანაგები. შემდეგშიაც, როდესაც მე მათ, სხვაგან გამგზავრების გამო, დროებით ჩამოვშორდებოდი, როცა ყველა ჩვენ წამოვიზარდენით, სქესობრივად რა სპეტაკები იყვნენ, — პრაქტიკი გახუმრება გოგოებთან, არაკითარი ლაზლანდარული სიტყვა და საქციელი მათ არა ჰქონდათ. თუ კი ვინმე ჩვენი ხელზე მოსამსახურე ვაჟი, ან რომელიმე სტუმარი მათ ამ საგანზე ჩამოუგდებდა „საკიჟიმაჟიკო“ საუბარს, ერთბაშად წითლდებოდნენ, ყვითლდებოდნენ, ან უეცრად გაიქცეოდნენ და მიმალდებოდნენ.

მე კი ჩვენს სტუმრებში, უფრო თავაზნაურთა წრისაგან ან შინამოსამსახურეთაგან ხშირად შეუფუგულიანებვართ და წაუქუქებუბავართ სქესობრივ აღტკინებისათვის, მაგრამ დახეთ ჩემი

* გაგრძელება იხ. „ციცკარი“ № 2, 3, 4, 5.

ამხანაგების გაგულნას (მე იმათ ვაწერ ამას), არაფერი არ გამეგებოდა და მათი უხეირო ღრქა და გამასხრება სულ სხვა, საწინააღმდეგო შთაბეჭდილებას ტოვებდა ჩემზე.

აქი ვამბობ „ტლუ ბიტი“ ვიყავი-მეთქი.

სხვა სოფლებში—ბანძას, საწულუკიძეთოს, ჯიხიაში უფრო მარტო ვიყავ ჩემთვის. ამ ადგილებში უფრო სხვა წრე მეხვია გარს: თავადაზნაურობის წარმომადგენლები. ბანძაში — ფალავები, საწულუკიძეთში — წულუკიძეები, ჯიხიაში — ლლობერიძეები, ლორთქიფანიძეები. ყველა ესენი ჩემზე უხესი ადამიანები იყვნენ და მე, შედარებით ბაღლს, თავს არ მიყადებდნენ.

მე კი მათი მოწონნა მწვენიერი თვალტანადობა, გამოწკიპული ჩოხა-აბალუნი, უფრო ხშირად იმ დროს მოსიხრმული წულა-მესტრი და კოხტა იარაღი. თან საკვირველი ზრდილობიანი საქციელი, განსაკუთრებით უფროსებთან და ქალებთან. მათი მხიარულება, ცეკვა-თამაში. ფალავებში ხომ მათი მომხიბვლელი და გულში ჩამწვდომი მეგრული სიმღერები, განსაკუთრებით ნელი დილინი სხვადასხვა მუსიკალური ნიუანსით აღსაესე.

ამ სიმღერებმა მეც გამიტაცა და, მართალია, ეტყობა, რომ ბუნებით მუსიკალობა შემდგამდა, მაგრამ საამისო ხმა არა მქონდა და მეც უფრო ხანის პარტიას შევეცდელი. ეს რომ შემამჩნიეს, თვითონ დამიწყეს გაგარჯიშება; მეც და ჩემს დას მამოსაც, რომელსაც მწვენიერი ძლიერი კონტრალოტი აღმოაჩნდა და ძალიან მალე გურულ „ხელხვავს“ საუცხოოდ ასრულებდა. ასე რომ ამის შემდეგ ფალავებში არ იყო ისეთი წვეულება, რომ უფროსებთან ერთად ორივე დამძანი არ მივეწვიეთ და განსაკუთრებით მამოსთვის არ ემღერებინათ ახლად შეთვისებული სიმღერები.

სიმღერის ჩვენი მსწავლელები იყვნენ: დათა ფალავა, ქიშვარდი ფალავა და მათთან ხან გუგუ და ხან კოწი ფალავა.

მეტად საამური მოსასმენი იყო მათი პანგები. ხან გულმონწყული ქვეყნის დარღი: „შავო დლა, შავიღო!“, ხან „გულო, შავ-გულო, გამოაცხადე, ვინ შემოგავლო სეფლისა ბაღე“, ხან საკისკოს „პატარა საყვარელი“ და ხან გამყვიანი „ხელხვავი“ თუ „კუჩხი ზენდენი“ და სხვ.

ყველა ამათ მუსიკალობაც შედგამდათ და კარგი ხმებაც ჰქონდათ, მაგრამ მათ შორის მეტად უზაღო და ძლიერი ტენორის პატრონი იყო ქიშვარდი.

რა დასანანია, რომ იმ დროს ამ კაცს არ შეეძლო მუსიკალური განათლება მიეღო და ღირსეული და დიდი ადგილი დაეჭირა ჩვენს ვოკალისტებში.

ეეპ, დუხჭირო დრო! რამდენი ნიჭი დაღუპულა გაუფურჩქნავად!

განა მარტო მუსიკაში, მწერლობაში, გნებათ ფილოსოფიაში...

ერთხელ, მონაქცევეზე, სულწასულობამ დამძლია და განსვენებულ აკადემიკოსს, ჩვენს გამოჩენილ ისტორიკოსს ივანე ჯავახიშვილს გვითხე: მეგრული სტუდენტობა რაიმეში იჩენს თავის უნარს თუ არამეთქი?

მან თავისებურის ზრდილობიანობით მიპასუხა: პატრონი შალვა! მეგრულ სტუდენტებს აქვთ მიდრეკილება სიბრძნისმეტყველებისადმი.

როგორც ვიცით, ძვირფასი ივანე ქართულად ფილოსოფიას სიბრძნისმეტყველებას უწოდებდა.

ამგვარად ჩემთვის ბანძა იყო ის კუთხე, რომელმაც პირველად ჩვენებური ხალხური სიმღერების სიყვარული ჩამინერგა. თუმცა მამაჩემს თვითონ უყვარდა მუსიკა. სახლში მუდამ გვქონდა მუსიკალური ინსტრუმენტები: ევროპული პიანინო, ფისგარმონია. ეს უკანასკნელი უფრო იმისათვის, რომ ხალხური სიმღერების შესრულება ამ საკრავზე უფრო მოხერხებული იყო და მამაც პიანინოსა და ფისგარმონიაზე კარგის ოსტატობით უკრავდა ხოლმე ჩვენებურსა თუ უცხოურ პანგებს. სიმღერით არა მღეროდა, მაგრამ დიდი მუსიკალური გემოვნება რომ შედგამდა, ეს კი ცხადია. თვითონაც თანზავდა მუსიკალურ ნომრებს და ზოგიერთ მათგანს მე და ჩემი და ვმღეროდით კოდე: „ოპ, სახიერო“, „მინდორ-მინდორ მივლოდი“ და სხვ. მაგრამ აქ აღსანიშნავი ის არის, რომ ჩვენ, მამა-შვილები, ორკესტრანტულ მუსიკაბასაც ვეწვიოდით. აქ უკვე გამოყენებული იყო ჩვენებური ჩანჯური, ჩანჯი და ვიტარა. მამა საუცხოოდ ფლობდა ჩანჯურს და შემძლია ვთქვა, რომ ბირდაპირ ვირტუოზობით ასრულებდა განსაკუთრებით ქართულ პანგებს, ჩემი და უკრავდა ჩანჯს, მე კი ვიტარით აქვაც ბანის პარტიებს ვასრულებდი.

საკვირველი ის არის, რომ მე თითქმე შემდეგშიაც ცხოვრებაში მუდამ დამხმარე ელემენტად ვიყავ გამოვლინებული. არც სიმღერაში — დაწყება ან მოძახილი მე არ შემეძლო, მხოლოდ ვეხმარებოდი ბანით და თამამად ვიტყვი, რომ ცოტა სამკაული არ შემქონდა გუნდის სიმღერაში.

მაგრამ ბანზე ერთ დროს მაქვს დაწერილი პატარა მინიატურა. ეს თითქმე გამართლებაა ბანის როლისა და... თავის დროზე ეს შეიძლება საამაყოდაც მიმჩნადა.

აქ ვერ ვითმენ, რომ ეს ჩემი მინიატურა სრულად არ მოვიყვანო:

- „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტში“ მყოფმა ლაღად დაიწყო თავისი საგალობელი.
- „მისი კრიალა ხმა ისარივით გასრილდა ცის კამარაში და იქ ათას ბეგრად განიზანა.
- „მაგრამ აგერ მოძახილმა შემოუკრიმანჭულა, გაუწვა და ჩაეგრინა პირველ ხმაში.
- „დახატა და მორთო-მოკაზმა.
- „ეს იყო შეყვარებულთა მორთოლვარე გულ-მკერდი, ერთიმორეზე გადაწული.
- „მათი სულთქმა-ოხვრა, მათი სიხარულით შეცივლება იყო უცხო პარმონია გულისა და სულის დამატყვევებელი.
- „მაგრამ აგერ ბანმა წამოუღულუნა.
- „თითქო გვირგვინი დაადგაო შეყვარებულთ.
- „თითქო ამ უცხო და საკვირველ შენობას, შექმნილს ორის ხმისაგან, გუმბათად მოცვლინაო.
- „და წარიზიდნენ ეს ხმები.
- „პირველი წკრიალებდა, სრიალებდა დაურიღებლად. მეორე თან მისდევდა, მისი მომრთველი მხატვარი. მესამე კი ბანი, თითქო ამ ორის სადავე ხელთ უჭირავსო, ცოტა აკაგებდა გალაღებულ ხმებს, ცოტა აცლიდა მათ სიმკვეთეს, გამყიფანობას. უგურგურებდა, უყვავებდა კუთხე-ქვიდეებს. აჩუქურთმებდა ხელოვნურად.
- „დიად, ბანი ცოტა კონსერვატორი იყო და უფლების მოყვარულიც. თვით კი მაინც მათი შემამკობელი იყო.
- „სადავეს ხშირად წევდა უკან, მაგრამ ბრძოლის სულს მაინც არ ახშობდა. სიმამაცის თვით იყო გამომხატველი.
- „თვითონ თავისით კი არას წარმოადგენდა, როგორც მეფე, რომელსაც სამეფო აღარა აქვს, როგორც სარდალი, რომელსაც ჯარი არა ჰყავს.
- მაგრამ მათთან მაინც მეფე იყო, მაინც სარდალი, სამკაული და მშვენიება გალობისა — ბანი.
- „და ბეგრდენ საძივენი ხმაშეწყობილად. ახლა კი ზოგჯერ სპარსული ზაითი ემსის ყურს.
- „გულსაკლავია მისი კილოვნება, ბევრი მოთქმა-კვენესა შიგ.
- „მაგრამ მაინც განმარტოებით ბეგრს თავისთვის, როგორც თვითონ მისი გამომთქმელი სპარსი, ქვისმტკრეველი მუშა.
- „ან კიდევ ზოგჯერ იტალოური რომანსერო შეეხება სასმენელს.
- „წარმტაცია, ენებათაღმძვრელი.
- „მაგრამ ჩემთვის მაინც სულ სხვაა ვადაშლილს სივრცეში ლაღად მოკრიალე ხმა, მოძახილით შეკრიმანჭულება და ტკბილი ღულუნის დინჯის, მამაცის ბანისა“.
- ამგვარად სიმღერაში ბანი ვიყავ. მსახიობობაში უფრო რეზონიორი, რომელიც ბესაში თითქმის უმეტესად დამხმარე ელემენტად გვევლინება, ერთის სიტყვით მთავარი როლი მას არ ეკუთვნება. და მწერლობაშიც, მაგ., დრამატურგიაში, ჩემსობას ქართული რეპერტუარის სიმცირემ მის დასახმარებლად ჩემი უნარის გამოყენება მიმანჯენია საჭიროდ, შემდეგ ბელეტრისტიკაშიც...
- მაგრამ ამეგზის შესახებ ხომ ცალკეც მექნება საუბარი ამ ნაწიერში.
- ერთის სიტყვით დამხმარე ადამიანად ვიყავ თითქო გაჩენილი, მეორე პლანის ფიგურად და... თავს მაინც სასარგებლო კაცად ვგრძნობდი.

18

გარდა ბერთემისა, სხვა სოფლებში ცხოვრებამ ვერაფერ ამხანაგი ან დაახლოებული მეგობარი ვერ გამაჩენინა, განსაკუთრებით ჩემი ტოლი, ჩემი ხნის ყმაწვილი და ვიყავ განმარტოებული, თავისთავის ამარა.

და...

ასე ღებჩჩი სულ ჩემი ცხოვრების ბოლომდე, თითქო „სულით ობოლი“. რაღა თქმა უნდა, შემდეგში მეგობრები თითქო გამოჩნდა. მათ ჩემდამი დამოკიდებულებას, რასაკვირველია, ზოგიერთი-სას, დიდად ვაფასებ, მათი გულბოლი მოპყრობა ბევრჯერ განმიცდია, მათი გამოცდილებითაც ბევრი შემოძენია, მაგრამ მაინც ვიკონებ ხშირად პუშკინის ამ მუნასიხს:

Всегда так было и бывало,
 Таков издревне белый свет:
 Ученых много, умных мало,
 Знакомых тьма, а друга нет.

და ეს თითქო უმეგობრობა იმიტომ კი არა მჭირდა, რომ მე ჩემი თავი რაღაც განსხვავებულ კაცად მყავდა მიჩნეული და თითქო სხვებს ვეუკადრისობდი — ღმერთმა დამიფაროს! — ან იმი-

ტომ, რომ მე პირადად ძალიან გულჩახვეული კაცი ვიყავ, მიუკარებელი. პირუქუ ვიყავ, რომ ვინც ჩემს ნიშნებს, იმან იცის, რომ მე მუდამ დიდი თანაზიარი ვიყავ ადამიანებისა, გულახდილი და... ამ-ყოლ-დამყოლი, მაგრამ როდესაც საკუთარ თავთან მარტო ვრჩებოდი და ჩემს ცხოვრებას თვალს გადავაგვებდი, მწვავედ გვრძობდი სულიერ მარტოხელობას.

სოფ. ბერთემის გარდა, სხვა სოფლებში უფრო თავდაზნაურთა წრის ხალხი ტრილებდა ჩემ გარშემო. მათ შორის, რასაკვირველია, მე, ჯერ ბავშვსაც და შემდეგ უფრო მოჩიტილსაც, მეტწილად ახალგაზრდობა მიზიდავდა. უწინარეს მათი გარეგნობა. მწყაზარი სახე, ტანადობა და შემდეგ ჩაცმულობა — წელში გამოჩაყვთული ჩოხა-ახალუხი, წულა-მესტი, ქამარ-ხანჯალი, ლეკური, მათარა (გზაში სახმარი სამოგვისსავან შვეკერილი წყლის დასაღვეი ქურჭელი), მათარა და სხე. ყოველივე ეს ჩემთვის ისეთი მაცთური რამ საგნები იყო, რომ ბავშვობიდანვე მისი ტრფიალი შევიქნენ და დიხანს ვნატობდი, რომ მეც მათებრ მოვრთულიყავ; ეს კი მხოლოდ ჩემს სიჭაბუკეში მომიხებდა და ამაზე იყო, რომ თავის დროზე დიდებული აკაცი წერეთელისაგან ღმობიერი საყვედურიც მივიღე.

დიდებულ აკაციზე ჩემს „რაც გამახსენდა“-ში ცალკე თავი მაქვს განკუთვნილი. მაგრამ აქ ცული არ მითმენს, რომ ეს პატარა ებოზოდი არ მოვიყვანო:

ქუთაისში ვარ, ახალ ცოლშერთული, და უფრო სზირად ჩოხა-ახალუხს ვატარებ. შუადღეა. ზაფხული. თეატრში წარმოდგენები არ არის და მეც გამოვდივარ ბულვარში, რომელსაც გიორგი წერეთელმა თავის „ედიშერ ქველბაქიანში“ რომის ფორუმი უწოდა. რომის ფორუმისა რა მოგახსენოთ და თავის დროზე ეს ბულვარი მართლაც იყო შესაქრებული მთელი ქუთაისის მოწინავე საზოგადოებისა.

კობტად „გამოკანკულ“ ახალგაზრდა ქალ-ვაგების გარდა, რომლებიც, ცხადია, უფრო სა-არშიყოლ და სალაღობო იკრიბებოდნენ, აქ იყრიდა თავს ქუთაისის მაშინდელი ინტელიგენცია, რომელთაც ჰქონდათ მსჯელობა პოლიტიკურ საკითხებზე, ადვოკობრივ „საჭირბოროტო“ საგნებზე — ქალაქის თვითმმართველობის საქმეზე, საადგილმამულო ზანკის ვითარებაზე, ქუთაისში გაწე-თის გამოცემაზე და სხვა ამგვარზე. აქვე მოისმენდით ჩვენს მწერლობაშიც თავის დროზე კარგა ცნობილი, ერთ-ერთი თერგდალეულთავანის, კირილე ლორთქიფანიძის დამჯდარს, ჭკვიანურს და შეუვალის ლოლიკით სავსე საუბარს, ცნობილი ადვოკატის მოსე ქიქობის „გამყივან კამათს“, კოტე მესხის სხარტულ გამოთქმებს და სხვა.

აქვე იყვნენ საზაფხულოდ ჩამოსული სტუდენტები, რომელთაც დინჯ საუბარში შემოქონ-დათ თავიანთი მღელვარე პროტესტის პანგები, რაიც იქცა რევოლუციონურად მომართული ახალ-გაზრდების უფრო მძლავრ იერიშებად და ქალაქის ბალი ბოლოს გადაიქცა ამ რევოლუციონერთა ერთ მთავარ, ვითომდა ლეგალურ თავმოსაყრელად, სადაც ჩემსობას ცნობილი მიხა ცხაკაია თავისებური დინამიტური საჭურვლით ათარალებდა მის მიმყოლ ჯგუფებს.

ყოველივე ამის გამო ქუთაისის ბულვარი იზიდავდა სულ სხვადასხვა აღზრდისა, მსოფლ-მხედველობისა და მდგომარეობის ხალხს.

მეც ამ „მიზიდულებში“ ვერიე. მოვდივარ ჩერკესკიანი და იარალში ჩამჯდარი. ლეკური ხანჯალი ზედ მარტყია, ახალ-გაზრდა ვარ და უთუოდ ნაბიჯიც მტკიცე მაქვს და შესახედაობაც „დამოუკიდებელი“.

დავიანხე აკაცი ჩემს პირდაპირ, მარტო მოზრძანდება. მივეგებე. ღიმილით ხელი ჩამომართვა, ამხედ-დამხედა, ჩაიჭირქილა:

— როგორ ცოტენ დადიანივით გამოწყობილხარ?

ვიგრძენ საყვედურის კილო და ცოტა შეეწითლდი. მან უფრო მტკიცედ განაგრძო:

— სულ მიატოვე საზოგადოებრივი საქმიანობა? თეატრი? მწერლობა?

გულმა რეჩხი მიყო: ვაიმე! აკაციც ტანისამოსს აქცევს ყურადღებას... დმერთი-რჯული, შეძ-ლებისდაგვარად არც ერთი არ მიმიტოვებია, მაგრამ ჩემმა ჩოხა-ახალუხმა, უთუოდ ლეკურ-ხან-ჯალმა მიყო ეს „საჯაყი საქმე“, რომ აკაცის აღარ მოვეწონე.

ეს მისთვის არ მითქვამს. თავი ვიმართლე, არც ერთი არ მიმიტოვებია-მეთქი, მაგრამ არ ვიცი დარწმუნდა, არ დარწმუნდა?!

მახსოვს, თითქმის მთელი დღე მოწამლული მქონდა. ვიცოდი, რომ „ჩერკესკიანობა“ თავდაზნაურული მუქთახობის, „ლოთობისა და სკანდალისტობის“ სინონიმი იყო უმრავლესობის თვალში. მაგრამ უმრავლესობა ხომ სხვა იყო და აკაცი სხვა, რად უყურებდა ისიც ჩოხოსანს ასე-თი „ავი თვალთ“? განა ტანისამოსს ასეთი მნიშვნელობა აქვს? შინაარსი უნდა იყოს საქმე და არა გარეგნობა.

ასე ვფიქრობდი მაშინ. რატომ აკაციმ ვერ გამიგო-მეთქი და... ვწუხნი. იმავე დროს მხიბლავდა აგრეთვე ამ ჩოხოსნების მოხდენილი ცეცა — ქართულიც და ევრო-



ბიულეც. მაგ. ს. საწულუკიძეში იყენენ ახალგაზრდა ანტონ წულუკიძე, რუსხელმწიფის ცხელში „კონიის ოფიცრად“ ნამყოფი, კარგი მოყვანილი ვაჟაკი, რომელიც საუცხოოდ ცეკვადა გასაკუთრებით მაზურკას; შემდეგში იმერეთში განთქმული მოცეკვავე ლეურისა ნიკო ფალავა. მეც ამიყოლია მათმა ხელოვნებამ, ვაჰაძედი, ზოგჯერ კიდევ კინალამ ფეხები დავიმტვრიე, მაგრამ ხერხიანი მოცეკვავე ვერასოდეს გამოვადი. მიუხედავად იმისა, რომ მამამ თვითონ შეადგინა მუსიკა კადრილის ყველა ფიგურისათვის, თვითონ უკრავდა და შინაობაში გავცეკვებდა ყველას. შემდეგშიაც, როცა ქუთაისში რეჟისორობა დავიწყებ და კარგად მქონდა შეგნებული, რომ მსახიობს თავისი ტანის მოქნილობა უნდა შედგამდეს და, მაშასადამე, ყოველგვარ ადამიანურ ცეკვაროვესაც დაუფლებული უნდა იყოს, დასისათვის მოვიწვიე სპეციალისტი, ცეკვის მასწავლებელი ალულოვი და ვამაცადინებდი დასს, მეც ვღებულობდი ვარჯიშში მონაწილეობას. ბევრმა დასის წევრმა კარგად შეითვისა ეს ხელოვნება, მე კი, როგორც ზემოთაც ვთქვი, რიგიანი მოცეკვავე მაინც ვერ გამოვედი. ეტყობა ამასი უნიჭო ვიყავ და ვერც თუ ისე მიმიზიდა.

ან შემთხვევაში მაინც „ტლუ ბიჰად“ დავრჩი და სერიოზულ ნაადრევ „ფილოსოფოსად“ პა, პა, პა!

უფრო ხნიერებაში კი ჩემთვის ხსოვნიდან წარუშლელია დედი ბიძაჩემი, დედიჩემის ძმა, გიორგი წულუკიძე. ის სახლობდა სოფ. საწულუკიძეში, ჰქონდა მშვენიერი სახლ-კარი და საკუთარი ჩარხის წისქვილი თავისი ფართო ეზოს გვერდით, სადაც არაერთხელ ვმჯდარავარ ბიძაჩემთან ერთად და ვისმენდი მის ტკბილ სასმინარ საუბარს; ხანაც მარტოკა, ღარებში მოჩუჩუხუწყალას მაცქერალი ან თვით წისქვილის ბორბლების ტრიალსა და სარგელას მიჩერებული, მივცემოვარ „ფიქრთა გერობას“.

ბიძაჩემი გიორგი, როგორც სხვა იმდროინდელ სოფლებში მცხოვრები თავადი, ჩოხოსანი იყო. ისეთი ფაქიზი მატარებელი ტანსაცმლისა და მთელი სხეულისაც იშვიათად მინახავს. კარგა დიდი წვერი ჰქონდა მოშვებული, ჩემსობას სრულიად გათვითრებული, მაგრამ ისეთი სპეტაკი, რომ დიდახანს თვალს ვერ მოაშორებდით. ასეთივე კარგი მომღვლები იყო თავისი ოჯახის ავეჯეულობისა, საწოლისა, პირსაბანი ტაშტისა, თუნგულობისა და სანოვაგისათვის განკუთვნილი ჭურჭლეულობისა. ამას ყველას თვითონ კი არ უვლიდა, არამედ მის მეუღლეს და ოჯახის შინამოსამსახურებს ჰქონდათ დავალებული, რომ არც ერთ საოჯახო სავანს არასოდეს არავითარი ლაქა არა ჰქონოდათ და არც დამტკერიანებული ვამოტანათ. ასევე უვლიდა თავის იარაღს. ატარებდა უფრო სმიტ და ვესონის სინტემის გრძელ რევილევებს, რომელიც ჩოხის ჩერქეზულ ქამარზე ჰქონდა დაკიდებული თავისი მუშის ბუდით, იმავე ქამარზე ჰქონდა დაკიდებული საშუალო მოყვანილობის ხანჯალი უბრალო მუშის ქარქაშში ჩაღებული. მხოლოდ სახელური ჰქონდა სპილოს ძვლისგან გაკეთებული. სხვა იარაღს, მაგ., ლეკურს, არ ატარებდა, მაგრამ რასაც ატარებდა, ის იარაღიც არასოდეს, არც ჩემსობას და თურმე არც საყმაწვილეში, ვინმეს შეტევისათვის არ უხმარია და ბუდიდან არ ამოულა.

ასეთივე დაკვირვებით უვლიდა თავის ცხემ-უნაგირს. და ცხენები ხომ, რომ იტყვიან, „თავს ურჩევნოდა“ და მუდამ ისე გავარგარებული ჰყავდა, რომ საამური იყო. მე თვით მინახავს, რომ მეჯინებესაგან საამურულით და ძაგრისით გაწმენდილი ცხენი მას კადვე გაუსინჯავს თავისი ხელსაბოცით და შეუმოწმებია, ცხენის გავა-ტანი ჭუჭყიანი ხომ არ არისო. ცხენების ხალგაში თავლაც სუფთა, დაგვილი, მოწმენდილი იყო.

იყოდა ცხენების შერჩევაც და მუდამ საუკეთესო ჯიშის, მოყვანილი და ცქვიტი ცხენები ჰყავდა.

ამიტომ ამბობდნენ ირგვლივ, გიორგი საუკეთესო „ზინდარი“ არისო — ეს იყო ძველებური სახელი ცხენების კარგი შემნახველის და მომღვლებისა.

თვითონ კი მკონი ქუთაისის გარდა ეტლში არასოდეს არსად არა მჯდარა, თუმცა მისობს ეტლები უკვე ჰყავდათ ხონსა, სოფ. საწულუკიძეთსა და ახლომხლო სოფლებშიც კერძო მებატრონებს. ის, სულ ბოლომდე უფრო ხშირად, ცხენით დაიარებოდა.

საერთოდ კი დიდი მოგზაური კაცი არ იყო, არც თუ ნადირობას ეტანებოდა.

მხოლოდ ერთხელ წამიყვანა საკურდლოდ, ისიც იმისთვის, რომ ჩემთვის გაეცნო სპორტის ეს სახეობა. უფრო კი თავის სახლში იჯდა სოფ. საწულუკიძეში, თავს დასტრიალებდა თავის კარ-მიდამოს, განსაკუთრებით მის ჩარხის წისქვილს. სტუმართმოყვარე იყო, პურმარილიანი, მაგრამ ღვინოს დასათრობად არც თავის სახლში და არც სხვისას არ ეტანებოდა. რესტორანში თუ სადმე სოფლის დოქანსა თუ სამიკიტროში შესვლა არ უყვარდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ბიძაშვილები, ალკილონოვი თავადაზნაურობა გადაყოლილი იყო ღვინის სმასა და ქეიფს.

სახლში კი სტუმრები მუდამ ბლომად ჰყავდა და იმათ უხვად უმასპინძლებოდა, მაგრამ რაკი იყოდნენ მისი ხასიათი, მაინცდამაინც დასათრობად ღვინოს არც სტუმრები ეძალებოდნენ.

ჩვენ, მისი ნათესავები, უფრო პატარები — მისი დისწულები — ზაფხულობით მასთან ხშირად

ვიყავით და ისიც ხშირად გვეხუმრებოდა. მაგ. სადილობისას, სანამ მთავარ კერძს შემირჩინებდნენ, შევექცეოდით ყველსა და პურს ან რაღაც ფხალებულს, ერთ-ორ ლუკმას პირში ჩაიდებდა თუ არა, ვითომდა ძალიან კმაყოფილი წამოიძახებდა:

— უპ, მეც გაგებხი და ჩემი სტუმრებიც!

რაზედაც ჩვენ ყველანი ავხუვლდებოდით:

— არა, ბიძია არაა რა დროს გაძლიომა... — და სხვა.

სამაგიეროდ ჩვენც გავუგეთ, რომ ხუმრობა უყვარდა და დიღ-დიღობით ვუმღერდით ხოლმე წვიმს, თოვს, ხოშყაკლავს,

მასპინძელი ხბოს დაკლავს! —

რაზედაც ის გაცინებული წამოიწვედა სკამიდან, ვითომდა ჩვენ საცემრად და შემოგვეტევა: — დიახ, თქვენმა მზემ ხბო კი არა, ის არ გინდათ?! დამეკარგეთ, თქვე ცინგლიანებო, თქვენა!

და ავეტიყებოდა ხარხარი და ვეძლევოდით მხიარულებას.

დიდხანს გაძლო. მგონი ოთხმოც წელს მიაღწია და ისე ჩავიდა საფლავში, რომ მუზობლებისა და მისი მცნობი ადამიანების პატივისცემა არ მოჰკლებია, გროგოც ცხოვრებაში ყოვლად პატიოსანს და უმწიკვლო ზნეობის კაცს.

თავის სიცოცხლეში არავითარ საუკუღმართო საქმეში არ გარეულა, მაგ., ცხენის ქურდობის მფარველობაში, ყაჩაღების გადაძალდაში თუ სხვა რამ ამისათანებში, მაშინ, როდესაც ირველიც მისი რანგის ხალხი, განსაკუთრებით თავად-აზნაურებში, ასეთ „საქმიანობას“ არ ერიდებოდნენ.

არც თუ მისი რომანებისა გაუგონია ვისმე. ის იყო დიდი ერთგული ოჯახისა და მეტად მოყვარული თავისი მეუღლის, ფატმან წულუკიძის ქალისა. მეუღლე მასზედ ხნით უფროსი იყო და არც თუ ძალიან სახიერი, მაგრამ მათს დამოკიდებულებაში შავ კატას არასოდეს არ გაურბენია და ორ-თავენი, ერთიმეორის ერთგულნი, შეხბაროდნენ თავის ერთადერთ ქალიშვილს ლუბას. საწყენად მხოლოდ ის ჰქონდათ, რომ ეს მშვენიერი, ახოვანი და პირმწყაზარი ქალიშვილი გაუთხოვარი შემოაბერდათ. ლუბა არც მათი გარდაცვალების შემდეგ გათხოვილა. ამის მიზეზი, ჩემის ფიქრით, უწინარედ ჰყოვლიას, ის იყო, რომ თვითონ ლუბას, მიუხედავად იმისა, რომ მთხოვნელები კარგა ბლომად ჰყავდა ახალგაზრდობისას, თვალში არავინ არ მოსდიოდა და მისი გული მათ არ ეკარგებოდა; მხოლოდ რომ შეებრდა, შემდეგ, რა თქმა უნდა, მთხოვნელებმაც იკლო, თუმცა მას საქმრო უთუოდ აღმოუჩნდებოდა, რადგანაც კარგი სახლ-კარისა და გვარიანი მამულის მემკვიდრე იყო: გარდა საწულუკიძეოსი, რაჭაშიც ჰქონდა მამული და ანგარების ვაშო მანც შერთავდნენ, მაგრამ თვითონ ლუბა იყო უცნაური ხასიათის: მამაკაცური საქციელი ჰქონდა და ქალური სინაზის მიმზიდველობა სრულიად არ გააზნდა. პირუკუ! ის მუდამ ვაჟებს ეჯიბრებოდა ცხენოსნობაში, ბურთაობაში, ნადირობაში და სხვ. ასე რომ მასთან მყოფ ვაჟს ასეთ ეჯიბრ ადამიანთან არზიყობა არ შეეძლო დაეწყო და თვითონ ლუბა სრულიად ვერ გრძნობდა ასეთ ნოთხონიღებას. მისი ასეთი ხასიათი უფროთხობდა საქმროებსა და ისინიც ერიდებოდნენ.

ბიძია გიორგისას მე ყყოფილვარ პატარაობისას, შემდეგ სიჭაბუკეში და ბოლოს მოწიფულობის დროს, უფრო ზაფხულობით და ხშირად თვეობითაც, მაგრამ ამ საყვარელ კაცს თავისი ცხოვრების ნირი არასოდეს არ შეუწყვლია.

ზოგჯერ, როდესაც დავაკვაცებული ვიყავი და მას შევხვდებოდი ან მისას, ან ჩვენსა ეტუთასში თუ სოფელ ბერთემში, ჩამომიგებდა ხოლმე რევოლუციურ მოძრაობაზე ლაპარაკს და ბევრ რასმე მკითხებოდა. ეგონა, რომ მე დიდი მცოდნე ვიყავი ამ ისტორიული ამბებისა და მისი მიმდინარეობისა. შემდეგ წამოიტყოდა:

— არა, რაღაც კარგს კი აკეთებენ ეს ახალგაზრდები, მაგრამ მე მაინც ბევრი რამ არ მესმის. აი თუნდა გიგოს შვილი საშა (შემდეგში ცნობილი რევოლუციონერ საშა წულუკიძე ამბობდა) — რაღაც კარგი განზრახვები კი აქვს ვაჭყობ... პა, პა, შენც იმისთანა ხარ, ბიჭო... — და სიყვარულით აღსავსე თვალებს შემომანათებდა.

— არა, ბიძია, არა, მე მხოლოდ სცენაზე ვჩივიანობ რაცხას...

„რაცხა!“

თუ ეს სიტყვა წამომცდებოდა, მაშინვე გამასენდებოდა ჩვენი სასიქადულო არტისტი ლალო მესხიშვილი, იმერლებს რომ დასცინოდა ასეთ ქართულს:

„ვინცხა, რაცხა, საცხა!“

ბიძია კი მეუბნებოდა:

— პო, ვიცო, ვიცო! არც შენ ხარ პატიოსანი კაცი! სულ ჩვენ, თავადაზნაურობას რომ დაგვიცინი სცენიდან! თუნდა რა? ერთხელ მეც მათამაშეს სცენაზე. წულუკიძეებმა დავდგით ხონში გიორგი ერისთავის „გაყრა“ და მე სულ „ვაი არა აქ შენ პავლეხა, პოო!“ მაყვირეს...

— ბიძია, ეგ ხომ გროტესკული როლია... შენისთანა დარბაისელი კაცი და მავისთანა სათევარი?



— რაო? სათევარიო? ეგ რაღა არის?

— სათევარი, ბიძია, ქართულად როლს ჰქვია და, ჩემის ფიქრით, „თევა“ ღამის თევისაგან უნდა იყოს, წარმომდგარი. ჯერ როლის შესწავლისათვის რომ ათეგ ღამეს და შემდეგ თვითონ წარმოდგენის დროს...

— ჰო, ჰო, რას არ იტყვის ეს ბიჭი!

კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ მე აღარ ვაცალე:

— აა, ახლა კი მივხვდი... სასცენოდ შენი ნიჭი გამოწყობილია, ბიძია...

— ოჰ, დაიკარგე იქით! — ვითომ გაჯგერებულმა შემომიხტა. შემდეგ ისევ მოძრაობის ამბებზე გადავიდა და ბოლოს მაინც მდაბოური შეხედულება გამოთქვა: — მხოლოდ თავი არ წააგოთ, ბიჭებო, თავი ხომ იცი კულაშელი ურიები რას ეუბნებიან შენისთანა ახალგაზრდებს: „რას შობით, ბოშო, თქვენ? თქვენ მეურევით რუს-ხალმწიფეს?“

და ხშირად ასეთ სახუმარო დიალოგად იქცეოდა ჩვენი საუბარი.

სოფ. საწულუკიძეთოში ცხოვრობდნენ სხვა წულუკიძეებიც და რაკი მე უფრო მათ შორის ვტრიალებდი, ბარემ იმათზედაც ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას.

იყო კიდევ სხვა გიორგი წულუკიძე. ესეც ამ სოფელში ესახლა, მაგრამ ბიძაჩემ გიორგისაგან რომ განეზავებინათ, „მაღალს“ ეძახდნენ. მართალია, არც ბიძია გიორგი იყო ტანდაბალი კაცი, მაგრამ ეს მეორე გიორგი მართლა რაღაც არაჩვეულებრივად მაღალი იყო და შეეფერებოდა კიდევ ეს შერქმეული სახელი. ისე კი ეს ნაღალი გიორგი მეტისმეტად თავმდაბალი და დემოკრატი კაცი იყო. არ თაკილობდა ფიზიკურ მუშაობას ყანაში, ტყეში. თვითონ ხნავდა, თვითონ თესდა და მოჰყავდა ჭირნახული, თვითონ ჭირდა ტყეში სავენახე მარჯილებს, შემს და სხვ. გლეხობაში მეტად პოპულარული იყო. ბედნიერად და მშვიდად ცხოვრობდა თავის კეთილ ცოლთან ერთად. მათი ერთადერთი საწუხარი ის იყო, რომ შვილი არა ჰყავდათ.

ამის მიღმა ცხოვრობდა დათა წულუკიძე, ოდენსაც მგონი მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლად თუ იმავე წოდების დეპუტატთა საერებულოს დეპუტატად ნამყოფი. ჰყავდა ორი ვაჟი — ალექსანდრე და ივანე, ესენიც ცოლშვილიანები — და ეწეოდნენ ჩვეულებრივ იმ დროს მიღებულ თავადაზნაურულ ცხოვრებას: სტუმარიანობა მათ ოჯახებში და სხვაგანაც მათ მიერ წასვლა ნათესაობაში კულაშს, ჯიხაიშს თუ სხვაგან, რასაკვირველია, საქეიფოდ და დროს გასატარებლად. იმავე დროს არც ერთი მათგანი არ იყო ნასწავლი. საშუალო სკოლის კურსიც კი არ ჰქონდათ დამთავრებული, როგორც საერთოდ უმეტეს ნაწილს თავადაზნაურობისას, — თითქმის ყველანი ვიმნაზიის თუ სხვა სკოლის მეოთხე კლასიდან იყვნენ გამოშტარნი, ან პირდაპირ გამოირცხლები.

ეს მეოთხე კლასი თავადაზნაურთა ახალგაზრდობისათვის თითქმის გააღეთადავი რაღაც ჯეზირი იყო და ამისე ხშირად ერთიმეორეში დაიცინებოდნენ კიდევ. დათა ერთ ვაჟს კი 70-იან წლების რუს-თათართა ომში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული და წმიდა გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული. ეს ჯილდო კი ძალიან სასახელოდ იყო მიჩნეული, რადგანაც მას ომში მამაკობისა და გმირობის გამოჩენისათვის აძლევდნენ.

დათა წულუკიძის მიღმა, სოფლის პატარა მოედნის მეორე მხარეზე, ესახლა სამსონ წულუკიძე.

არსებითად არც სამსონის ოჯახი განსხვავდებოდა სხვა იმერელი თავადებისა და მისი მოგვარეების წულუკიძეების ოჯახებისგან: იგივე სტუმართმოყვარეობა, ქეიფი, მხოლოდ უფრო თავშეკაპებით, ვიდრე სხვა ოჯახები, სადაც მამაკაცები ითვრებოდნენ უგრძნობელობამდე და ხშირად ერთიმეორეზე ხანჯლებიც დაუტრიალებიათ.

ასე არ იყო ამ ოჯახში. მას უფრო სხვანაირი, თუ შეიძლება ესე ითქვას, „წესიერი“ ელფერი ედგა და ამის მთავარი მიზეზი იყო სამსონის მეუღლე ეფროსინე, ლორთქიფანიძის ქალი — ცნობილი სასოვადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის თანამოსაქმის, ძველი „თერგდალეულის“, კირილე ლორთქიფანიძის და.

ძალიან მინდა მოეხაზო ამ საუცხოო ქალის სურათი, თუმცა გამიჭირდება კი, რადგანაც ის არა ჰგავდა არც იმ ლოცვა-ვედრებასა და ოჯახის მურებს საქმეებზე გადაყოლილ მანდილოსნებს, რომელთაც ამის გარდა თითქმის სხვა არა ახსოვთ-რა ცხოვრებაში. ასეთები კიდევ იყვნენ ეფროსინეს დროს, თუნდაც ჩემი ბიძოლსა, ბიძია გიორგის მეუღლე ფატმაც წულუკიძის ქალი: მეტად გულუკეთილი და აღმაინათ თანაზიარი, მაგრამ დილით, სისხამ დღიაზე რომ წამოდგებოდა და რაღაც საშინაო ფრიალა კაბას გადაიცვამდა (როგორც შემდეგში დაგაკვირდი, ევროპული „პენიუარის“ მაგვარ რაღაცას წარმოადგენდა), თავსაც რომ წაიკრავდა თეთრი მანდილით, დაუტრიალდებოდა შინამოსამსახურებს და ყველას თავის საქმეს მიუჩენდა, განსაკუთრებით ქალებს. ერთი მუნჯია ჰყავდა, ქალი, და მისი საქმე იყო ბამბის პენტა და საბან-ლებიის ბამბის ამოდება, კერვით ამ საბან-ლებებებს შემდეგ სხვა ქალბატონები ჰკერავდნენ. მეორე ჯუჟუა-ძაბუ, ეგვიც ქა-

ლი, განაგებდა სამზარეულოს, იყო მისი შეფი. ჩემთვის აქამდე დაუიწყარია პატარა, წყვილებით წვრილ შამფურებზე მის მიერ წამოცმული და შემწვარი ქათმის კუჭმაჭი, რაც ქონის უცნაურ ბადეში იყო გახვეული. ხაჭაპურები ხომ... „თითებს რომ ჩაატანდი“, იმისთანა. კიდევ ბევრ სხვა სანუგარობესაც აკეთებდა ძაბუ განსაკუთრებით პატარა თიხის ქოთნებში, „კვაწიებში“, მხოლოდ ხორცეულის დიდი ნაჭრების კეთება, ძაბუსავე მეთვალყურეობით, დამოხილი ჰქონდათ მამაკაც მზარეულებს, ისე, როგორც პურის — გომიჯების და ლავაშების ცხობა — საბაზებს. ყველა ამგვარებს რომ მოისაქმებდა ბიცილა ფატმანი, შემდეგ პირს დაიბანდა, ანუ უკეთ — მოსამსახურეები დააბანინებდნენ, ისიც თმებს გადაივარცხნიდა, პატარა ნაწინაგებს ყურებზე ამოიკვებდა კავებივით, ზედ დოლბანდს და ხელმანდილს გადაიხურავდა, ტანზედაც კაბას გამოიცვლიდა, უფრო საგარეო იერისას, ფოსტლებსაც გაიხდიდა, დაბალქუსლიან ფეხსაწოლს ჩაიცვამდა და უსმელ-უქმელი, უზმოზე, გაემართებოდა მისი ოთახის აღმოსავლეთით მდლა კედელზე მოთავსებულ ლევისმშობლს ხატისაკენ.

აი აქ იწყებოდა... „ლიტურგია“.

ფატმანი იდგა ხატის წინ, ხშირ-ხშირ პირჯვარს იწერდა, ჯერ რაღაც გრძელ ლოცვებს ზეპირად „აღაღელდა“, შემდეგ კი სასულიერო წიგნიდან „ქამნი“-დან თუ „კურთხევანი“-დან კითხულობდა გაუთავებელ, გაჭიმულ „მონოლოგებს“. თან მეტანასაც აქ-აქ ერთგულად ატანდა. ასე რომ ეს ფატმანის ლოცვა ზოგჯერ ისე გრძელდებოდა, რომ ბიძია გიორგი იძულებული იყო სასადილო ოთახიდან დაეჭახხა: „ფატმან, ბეჩა! ნუ მომკალი შიმშილით“. წესად იყო შემოდებუ-ლი, რომ უფატმანოდ „ბურად ღება“ არ შეიძლებოდა.

ზოგჯერ ლოცვის დროს, პატარაობისას, მე შევიპარებოდი ფატმანის „სამლოცველოში“ და თვალყურს ვადევნებდი მის საქციელს. ის კი დამინახავდა თუ არა, მაშინვე ასე მიმართავდა ლეთს-მშობელს: „დედაო ლეთსავე, შეიწყალენ პატარა მონა შენი შალვა, შალვა დადიანი, საცოდავ ღი-ღიას (ეს დედაჩემის სახელია) ერთადერთი ვაჟი. მიეცი ჯანმრთელობა და გაზარდე სასახელო კაცი“... და კიდევ რაღაც ამგვარი.

ასეთი ჩვეულებისა და საქციელისა იყო ბიცილა ფატმანი და აქა-იქ საქართველოს ყველა კუთხეში კიდევ იყვნენ ასეთი გადაძვირებული მლოცველები და ლეთისმოსავები, მხოლოდ ეფროსინე არ იყო ამისთანა.

არც იმისთანა იყო, როგორც სულ სხვაგვარი ხასიათისა და საქციელის კენიები იყვნენ. კობაიები, პრანჭიები, სულ უმარილით თუ სხვა ემუსიებით რომ ცდილობდნენ გაღამაზებას, უკანასკნელი მოდის კაბებით და „შლიაპებით“ რომ ირთებოდნენ და თან... მამაკაცებთან არმი-ყობას არ ერიდებოდნენ... უფრო ხშირად ესრეთ წოდებულ „ფლირტზე“ რომ იყვნენ გადაგებულნი. არა, არც ესეთი იყო ეფროსინე!

სახემწყაზარი ქალი იყო და არც არავითარ საღებავს არა ხმარობდა. მშვენიერი ტანადიც-იცვამდა ქართულ კაბას თავის გულისპირით და წელზე ჩამოშვებული ფართო მოქარგული სარტყე-ლებით. თავზე თავსაკრავს ხმარობდა თავის ჩინტიკოპიანა და თავიდან წელამდე საუკეთესო ხარის-ხის ლიჩაქი ჰქონდა გადმოფარებულა.

სიტყვა-პასუხი ზრდილი ჰქონდა და ხმის ტემბრიც არც გამყვანი, ზოგჯერ კაბასობის იქით რომ იმალება, და არც მოდულუნე, გაუბედაობისა და დარცხვენის მაუწყებელი რომ არის.

სამური იყო მისი დინჯი საუბარი, ის უფრო ქართულად ლაპარაკობდა და არც კი ვიცი, რუსული იცოდა თუ არა. მე ისიც კი არ ვიცი, სადმე სასწავლებელში ნასწავლი იყო თუ არა, მაგ-რამ დაკვირვებული კაცი შეატყობდა, რომ საკმაოდ განათლებული, გონებაგახსნილი ქალი იყო. ეს ეტყობოდა მის პაწა ბიბლიოთეკას, სადაც ჩვენი, ქართველი მწერლების მაშინდელი დროის პა-ტარ-პატარა წიგნაკები იყო დალაგებული: გრივოდ და ვახტანგ ორბელიანები, მგონი ცნობილი მწიგნობარის ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული; აკაკი, უფრო სოსიკო მერკვილაძის საფასუ-რით დაბეჭდილი მომცრო ბროშურები. ილიას პროზა: „გლახის ნაამბობი“, „კაცია-აღამიანი?“, სხვა რამ იმეამად ცალკე წიგნად ილიახი არა იყო-რა; გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ და ალ. ყაზბეგის რამდენიმე მოთხრობა.

ოო, მე თვითონ შევსწრებივარ, ეფროსინე თავის ფართო და გრძელ აივანზე რომელიმე კუთხეში მიმჯდარი სახეზე სხვგადაფენილი რომ კითხულობდა ყაზბეგს. ვინ იცის მერამდენე-ჯერ!

მგონი რომ ეფროსინე ბუნებით რომანტიკოსი იყო.

ამას ვარდა გამიგონია, რომ ეფროსინემ მშვენიერი მოსაკითხი ბარათების წერა იცოდა თურ-მე. დედაჩემის თეოლინასაგან განიგონია. ესეც თავისებურად განვითარებული ქალი იყო და მხატვრული ლიტერატურა ძალზე უყვარდა. ამან რუსულიც კარგად იცოდა და აი ამას უამბუნია ჩემთვის. ეფროსინე რომ მოსაკითხ ბარათს დასწერს, ეს მართო მოსაკითხი კი არ არის, პატარ-პატარა ამბებია ზიგ მოთხრობილი, ნამდვილი ნოველებიაო.



საუბარში კი არ ეტანებოდა ამბების მოყოლას და ჭორიკანობა ხოშ მისთვის ისე მტკიცედ იყო, რომ აკი მეზობლები, კენიები თუ სხვა დედაკაცები, მასთან ჭორიკანობას ვერ ბედავდნენ როგორ შეძლო მან ამის მიღწევა, ჩემთვის გამოუცნობია. აგრეთვე ჩემთვის გაურკვეველია თუ საიდან ჰქონდა ოჯახში დამყარებული საოცარი დისციპლინა და წესიერება მოსამსახურეებში, თითო სტუმრებშიაც კი. ყველამ იცოდა, რომ ის არასოდეს არ უნახავთ მყვირალი და „გაკაპახებული“. მიუხედავად ამისა, ყოველივე თავის რიგზე იყო მის ოჯახში. ყველაფერი თავის განსაზღვრულ საათებში: დილის ტუალეტი, ჩაი და საუზმე, სადილი, საღამოს ჩაი და ზოგჯერ, თუ სტუმრებიც იყვნენ, ვახშამიც. თან ყოველივე თავის დროზე მოკვირებული — სურსათ-სანოვავე, შესაკერავი ქსოვილები თუ სხვა რამ. მის სახლში მყოფთ ყველას რაიმე საქმე ჰქონდა მიჩენილი და ისინიც უყვირლად, შეუშფოთებლად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

არც ბევრი მოსამსახურე ჰყავდა: მოურავი, ან უფრო სამწიფო ნაწილის გამგე, მზარეული და ერთი-ორი გოგო, მრეცხავი და ხელზე მოსამსახურე, მაშინ, როდესაც სხვა თავადების ოჯახებში ბუზებივით ირეოდნენ შინაური და გარეული „დამხმარეები“ ოჯახში და ხშირად იყო ერთი აურზაური ერთმანეთში, შური, ჭორი და ხშირად დიდი უსამიზნეობა, რაც ხშირად მთელი მეზობლების „საკვილო“ ხდებოდა. მათი დაცინვისა თუ განსჯის საგნად. ბატონყმობა დიდი ხნის გადავარდნილი იყო, მაგრამ სოფლის ჩამორჩენილი ელემენტები — ზარმაცები, მუქთახორები — მაინც ეტანებოდნენ მებატონის ოჯახებს, სადაც ასე იყო თუ ისე, ცოტა რამ გამოსარჩენს მაინც მოელოდნენ.

ეფროსინესას, როგორც ვთქვით, ასე არ იყო.

და დიდს სიამოვნებით ეტანებოდა მის ოჯახს უფრო ინტელიგენცია, ადგილობრივი თუ სტუმრად ჩამოსული, მეტწილად ხონის პედაგოგები. იმ დროს ხონში არსებობდა ესრეთ წოდებული საოსტატო სემინარია და იქაური მასწავლებლები საღამოობით ხშირად მოდიოდნენ ეფროსინე და სამსონისა. ამათმა იყვნენ რუსებიც და მათ შორის ერთი თურმე ნეტად საყურადღებო კაცი, დიდად განათლებული და ნათელი პიროვნება. ვინც იცნობდა, ყველა ემაღლიერებოდა. ას იყო სხენებულ საოსტატო სემინარიის უფროსი, ხელმძღვანელი, და ისე ჰქონდა საქმე დაყენებული, რომ მასწავლებლებაც კარგა მომზადებულნი და შერჩეული ჰყავდა და მოწაფეებსაც ღირსეულად აზზადებდნენ. ამ მასწავლებელმა შემდეგში ბევრი მისცა საზოგადოებას ერთეული მუშაკი საზოგადოებრივ ასპარეზზე: ზოგი შესანიშნავი პედაგოგი გამოვიდა, ზოგი მეტად საყურადღებო ლიტერატორი და სხვა.

მე კი სემინარიის ამ ხელმძღვანელის ნახვამ (სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს) პირველ ხანად ძალიან გამაკვირვა. შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო, სახიერი, კარგად ჩაცმული, ზრდილობიანი, მაგრამ ავადმყოფი. ესეთ ახალგაზრდას თავი უჭიკჭიკებდა... განუწყვეტილი... და სანამ არ მიეჩვეოდით, მანამ ძნელი იყო ყურება. მიეჩვეოდით მხოლოდ მაშინ, როდესაც დაილაპარაკებდა. მისი აზრით და შინაარსით ლაპარაკი გავიწყებლათ მის თავის ძიკვით.

და აი ამ კაცმა ერთი ხონელი ულამაზესი, ახალგაზრდა ქალი შეირთო ცოლად. ყველა გააკვირვა ამ ამბავმა და ბოროტი ენები ამბობდნენ, ქალმა კარიერისათვის, ე. ი. საზოგადოებრივი მდგომარეობისათვის ვაკვიდა თავი და მალე ნახავთ, იმ თავმოძიკიკეს ოჯახს ლომებივით „კავალრები“ როგორ შეესევინათ, მაგრამ... ამ მშვენიერი ახალგაზრდა ქალის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის ქმრის ნამდვილი და ერთგული მეუღლე გამოდგა.

ცულლუტ ახალგაზრდა ვაგენს მხოლოდ ის ჰქონდათ დარჩენილი, რომ დაიცინებოდნენ: „როგორ კონცის ეს ღამაში გოგონა ამ თავიკიკიკას? რას უშვრება, თავს გაუჩერებს თუ როგორ?“ ზოგი ამტიკებდა — ვერ გაუჩერებს, ტურებს ააცდენსო, და იყო ამაზე ერთი სიცილ-ხარხარი.

ამათ გარდა, როგორც ვთქვი, ადგილობრივი სხვა ინტელიგენტებიც იყრიდნენ თავს სამსონისა და ეფროსინეს ოჯახში. ეს უფრო საღამოობი და იყო საუბარი მიმდინარე პოლიტიკისა თუ საზოგადოებრივ საკითხების გარშემო.

ეფროსინე თვითონ ესეთ საუბარში აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდა, მაგრამ, თითქო შეკრებილთა იღუმალა შეთანხმებით, იქ მყოფთა თავმჯდომარედ ითვლებოდა და ამის გამო საუბარი ცხარე კამათში თითქმის არასოდეს არ გადადიოდა.

ქმარი ეფროსინესი იყო ერთი უწყინარი, ბუნრულა კაცი, ოჯახში მისი ყოფნა თითქმის არ იგრძნობოდა. არც ყვირილი, არც გაჯაერება ვისმეზე, არც კი ერქოდა ოჯახის მართვა-გამგეობაში. ის მახსურობდა ქუთაისის საადგილმამულო ბანკში დამფასებლად და ჯამაგირი, რასაკვირველია, სახლში მოჰქონდა. თან ყოველდღე მიღ-მოდიოდნენ ქუთაისისა და ხონს შუა. ამ ორ ადგილს შუა მხოლოდ 25 კილომეტრია და სამსონი ასწრებდა დილთ სამსახურში მისვლას ქუთაისში და სადილობისას შინ დაბრუნებას.

(გაგრძელება იქნება)



ხათისო არქაეპოპილი

ნათელ გზაზე

სოციალისტური წყობილება ვახდა ჩვენი ხალხის ბედნიერი ცხოვრების ურღვევი ლიბო და საძირკველი. ახალ ცხოვრებას მოჰყვა ახალი თაობა — თაობა მშენებელი, თაობა კაცთმოყვარე, სხვისი შრომის პატივმდებელი. ახალმა ცხოვრებამ ადამიანებში ახალი სულიერი თვისებები დაჰბადა. შრომა იქცა ღირსებისა და გმირობის საქმედ. ჩვენს ქვეყანაში შრომის გმირთა სახელი მილიონია. ახალ ადამიანებზე, მათ მამაკურ საქმეებზე ბევრი რამ იწერება. კიდევაც უნდა დაიწეროს. ცოტა არც ქართველ მეტალურგებსა და ავტომშენებლებზე დაწერილა. გავიწნოთ კიდევ ერთი მათგანი, სერგო ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის თერმული საამქროს ახალგაზრდა მწრთობელი, კომკავშირელი მუშა კობა კიზირია...

...იმ საღამოს კობა სახლში გვიან დაბრუნდა. რომ გვეკითხათ, სად იყო მთელი დღე, რა გააკეთა, ვერაფერს ვიპასუხებდათ. რალაც უტყვი ფიქრებით დამძიმებულიყო მისი გონება. დღეს ფეხით შემოიარა ცავერი, ცხენის წყალზე ჩაივინდა, ორბელის ციხესაც თვალი მოავლო. აქ ყოველი ხე, ადგილი, კლდის შვერილი სიყმაწვილის ღრუბლებს აგონებდა. აქამდე თითქოს ვერც ამჩნევდა მათ, დღეს კი სრულიად სხვანაირად შეხება აღმზრდელ გარემოს, უფრო მეტი სახალცივე იგრძნო მათდამი. რა მოხდა ასეთი? ნუთუ ასე უცბად იცვლება ადამიანი, ისიც სკოლის მერხთან გამოთხოვების შემდეგ. სულ რამდენიმე დღე არც კი გასულა რაც აღმზრდელებს დაემშვიდობა, მათაც ვხა დაულოცეს, წარმატება უსურვეს. სწორედ ეს არის, რომ აფიქრებს, ყველას იმედი აქვს მისი მომავლის, მისი კაცობის და თვითონ გზა ვერ აუჩვენებია. სად არ წავა, რას არ მიაღწევს ადამიანის ნებისყოფა, სწრაფვა, სიძლიერე. მაგრამ სად წავიდეს? მას ხომ ჯერ არაფერი გამოუტლია, განა ასე ადვილია მოახდინო მომავლის არჩევანი.

როგორ უთხრას დედას, როგორ გამოუტყდეს. გაუტყდენ კი? მამამისი თავმოყვარე კაცია, რამდენადმე პატივმოყვარეც. დაეთანხმება შეილის გულისთქმას?

კობას უკვირდა თავისი ამბავი. იგი მოქმედებაში ყოველთვის სწრაფი და ლალი იყო, მაგრამ ახლა თითქოს შეიცვალა, თითქოს გაურკვეველი შიშით კი იგრძნო მომავლის წინაშე.

— იმაზე საამაყო რა უნდა იყო, კაცი ჰქმნი, აშენებ, ცივ რკინას სულს უდგამ! არა, რადაც არ უნდა დამიჯდეს ავტომშენებელი უნდა გაგხდეს, ვისწავლი კიდევ, ვისწავლი დაუსწრებლად, — ძალობდა ჰაბუკის შინაგანი რწმენა. დედამისი მეორე ოთახში ტრიალებდა, მალიმალ შეაგულებდა თვალს შეილის, გრძნობდა მის სულიერ მღელვარებას, მაგრამ არაფერს ეკითხებოდა, ერიდებოდა.

ვასშვად რომ დასხდნენ, სიტყვა მამამისმა ჩამოავლო. ყველანი მოუთმენლად მოელოდნენ, თურას იტყოდა კობა, სად აპირებდა საბუთების შეტანას, სწავლის გაგრძელებას. კობას მამის დიდი ხათრი ჰქონდა, ადვილად ვერაფერს გაუბედვდა, ერთხანს შეყოყმანდა კიდევ, მაგრამ მაინც თქვა გულის წაილი.

— კარგი შეილო, როგორც გირჩევნია, მე კი მეგონა, უფრო მეტად გაიყვარდა მამა, უფრო მეტი გეცმოდა მისი.

კობამ კარგად იცოდა მამის ბუნება, იგი გამოცდილი, ავ-კარგანხული კაცი იყო, შრომა და გაჭირვება ბევრი ჰქონდა გამოვლილი, არც შეილს დაუშლიდა არჩევანს, მაგრამ როგორც ყოველი ადამიანი, იგი მაინც მეტს ფიქრობდა, უფრო სხვანაირად წარმოედგინა თავისი შეილის გზა და სავალი.

მეორე დღეს დედა კობას ქუჩამდე გაჰყვა. მანქანადეც უნდოდა გაჰყოლოდა, მაგრამ შეილმა არ დაანება.

— შენ იცი, შეილო, ეცადე ისევ სწავლას მოკილო ხელი, მუშაობას კოველთვის მოესწრება,



წუხელ მამაშენიც ხომ ნახე, როგორ გახდა, აბა, შენ იცი... წერილი მოიწერე. კობას ძახილი შემოესმა, ამხანაგები აჩქარებდნენ, მანქანა გასვლას აპირებდა... დედა კიდევ დიდხანს იდგა იმ ადგილას... მისი თვალები ლოცულობდნენ უხმოლ, უჩინრად.

... კობას ქუთაისში ბევრი ნათესავები ჰყავდა, მაგრამ ისევ სასტუმროში მისვლა აშკარა იყო. არ უნდოდა იმ მომბეზრებელი კითხვების ხორბოშელას ქვეშ მოჰყოლოდა, რასაც იქ მისი ვადა-წვეტილების გამო დააპირებდნენ. დილით ადრე გამოვიდოდა. ფანჯარასთან მივიდა. ხალხს უკვე მოესწრო ადგომა, ვინ სამსახურში გარბოდა, ვინ ბაზარში. დრო აღარ იცდიდა. საუზმის შემდეგ იქვე სასტუმროს წინ კობამ ავტოქარხნისაკენ მიმავალ ავტობუსს მიუძღრო.

აი ავტოქარხანაც... ალაყაფის კარებიდან განუწყვეტლოვ მიმოდიოდნენ მანქანები, ზოგზე მეტები ისტენენ, ზოგზე მასალა ელავა. კარებისაკენ მიმავალი მანქანა სვლას ანელებდა. კობამ დრო შეურჩია, მანქანას შეახტა და ქარხნის ტერატირიაზე ამოყო თავი. მის წინ ახალი, მწვანეში ჩაქვდარი ქალაქი გადაიშალა. თვალგაუწვდენელი კორპუსები განუწყვეტლოვ გულუნებდნენ. ცალ მხარეს ახლად გამოშვებული მანქანების კოლონა იდგა. ჯერ არცერთი კილომეტრი გარბენილი არ ჰქონდათ, მზეზე ლაპლაპებდნენ. კობას მანქანების დანახვამ გული მოუშავრა. ირგვლივ ფეხაუქცეველი მოძრაობა იყო. როგორც იქნა, მესამე სართულზე მივიდა კოპკაშვილის კომიტეტს. მდივანმა გულთბილად მიიღო. განზრახვა მოუწონა. დახმარება აღუთქვა.

— რომელ საამქროში გინდა?

— ჩემთვის სულ ერთია.

— კარგი, თერმიულში წაიყვან.

თერმიული საამქრო ქარხანაში ერთ-ერთი შრომატევადი და რთულბროცესიანი სამუშაოების საამქროა. არცერთი დეტალი ისე არ წავა ამწყობ კონვეიერზე, თუ ეს საამქრო არ გაიარა. აქ მიმდინარეობს დეტალების წრთობა, ცემენტაცია (დეტალის ნახშირბადით გამდიდრება), ციანირება (დეტალის ნახშირბადითა და აზოტით ფრთხილად გამდიდრება), მოშვების კონტროლი, დეტალების გაწმენდა-გასწორება. თვითნული ეს პროცედურა დაკავშირებულია ქიმიური შენაერთების ზოგიერ გამოყენებასთან, რაც გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. საამქროს უფროსმა მოუსმინა ორივეს, ახედდახედა ახალმოსულს, მიეწონა.

— მუშაობას შესძლებ, მაგრამ თუ გინდა სრულფასოვანი მუშა იყო და შენი საქმე გესმოდეს, უნდა ისწავლო, ბიძია. ავტო შემიძლია მთელი დღე დეტალები გაწმენდინო, ამას დიდი ფილოსოფია არ უნდა, საშემენად ქვიშას დაყრი, დენს ჩართავ, დეტალებს გვერდს მოუქცევ, გადმოალაგებ... ხოლო თუ ისწავლი, წინ წახვალ.

სკოლა ჩვენთან არის, ერთწლიანია. აქვეს. როგორც გინდა.

ამას კი აღარ მოელოდა კობა. იგი ქარხანაში მუშაობის დაწყებას და თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალში სწავლის გაგრძელებას ერთდროულად იმედოვნებდა. აქ კი ეუბნებოდა, თუ ერთწლიანი ტექნიკური სასწავლებელი არ დაამთავრე, შენი ფასი კაპიკაოა. დასთანხმდა, ჩაირიცხა სასწავლებელში. ბუნებთ ჯანსაღმა და ნიჭიერმა ახალგაზრდამ ყველას ყურადღება მიიპყრო. საუცხოოდ იმედოვნებდა. სპორტი ხომ მისი სული და გული იყო. პატარაობიდანვე წილიდა უყვარდა, ორივერ მკლავიც ამოვლო, ფეხი იღროძო, მაგრამ თავი მაინც არ დაუნებებია. შუა-ზამთარშიც კი კობა მისისურის ამარა ჩადიოდა ცივ ღარბაზში და ვარჯიშობდა, ცივი წყლით ტანს იზღუდა, კაქდებოდა. ამაზე ამხანაგები ბევრს ოხუნჯობდნენ. სსრკ სპორტის ოსტატმა და ჩაჩინძემ მასში თავიდანვე კარგი მონაცემები შეამჩნია და იგი გულმოდგინედ ავარჯიშებდა და შევიდა. ვარჯიშის თავისი შედეგი მოჰყვა. 1957 წელს ქუთაისის საქალაქო პირველობაზე საშუალო წონაში კობამ პირველი ადგილი მოიპოვა. კობასათვის სპორტის სიყვარულს სწავლაში ხელი არ შეუშლია, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. 1956 წელს ტექნიკური სასწავლებელი ფრიადზე დაამთავრა, თერმიულ საამქროს მიაშურა.

ახლა მისთვის უცხო აღარ იყო თერმიული (მწრთობელი) საამქროს მუშაობა. დეტალების ცემენტაცია, ციანირება, მოშვება თეორიულად და პრაქტიკულად ღრმად ჰქონდა შესწავლილი. არასოდეს დაავიწყდება კობას შახტურ ლუმელთან მუშაობის დაწყების პირველი დღეები. ძალიან გაუჭირდა გავარჯობულ ლუმელთან დგომა, შოგ ჩაწყობილი დეტალების პორიონტალურ ფართზე სათანადო სიმეტრიის დაცვა, მათი გამოცივებულ აბაზანაში ამწეით გადატანა.

მართლაც ხუმრობა არ იყო 820 — 840 გრადუს ტემპერატურაზე მუშაობა, ტანზე ხვითი გადასადგობა, ხელები ეწვოდა, სტიკოდა, მაგრამ აბა ამის როგორ შეიმჩნევდა. მან კარგად იცოდა, რომ ყველაფერი პირველ სტარტზე იყო დამოკიდებული. მისი მეზობლები, გამოცდილი თერმისტები დ. ჰაგვანიძე, ო. კუხალაშვილი, პ. ივანევი და სხვები კარგად ხედავდნენ კობას მონდომებას და მიდიოდნენ მასთან, რჩევადარიოგებას აძლევდნენ.

— აბა დაყოვნების წუთები როგორ მიდის?

— გახს ხშირად ნუ შეუცვლი.

— ლუმელში ბევრი დეტალების ჩაწყობას ნუ მიეხარბები, ნახშირბადი ნაკლებ შეღწევადი იქნება და წუნს დაგიდებენ.

— აი, ასე სააბაზანო ტივლები ყოველთვის მზად უნდა გქონდეს. მალ-მალ გამოუვლიდნენ

ისინი ახალგაზრდა ოსტატს და მარტოობას არ აგრძნობინებდნენ. ერთხელ კობას ღუმელის სისუფთავისათვის და შიგ გაზის წვისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მაშინ იგი სიჩქარის კოლოფის კბილანებს ანახშირბადებდა. კბილანებმა თერმიულ საამქროში ყველა პროცედურა გაიარეს და ამწყობ საამქროში გაიგზავნენ. კოლოფი აიწყო, მაგრამ იმავე წუთში მუშაობა შესწყვიტა. კბილანა რბილი აღმოჩნდა. საქმე იმაში იყო, რომ კბილანების შიდა ზედაპირი დაფორულიყო მტკვრითა და გაზის წვით წარმოქმნილი ქვარტლოთ, რის გამოც ნახშირბადის პროცენტული რაოდენობა ამ ადგილებზე ნაკლები აღმოჩნდა, რასაც შედეგად მოჰყვა დეტალის სირბილე, ხოლო კოლოფში ჩადებისთანავე სწრაფი გაცევათა. ეს ამბავი ვერც ტექნიკურ კონტროლიორს შეემჩნია. კობასათვის იმჯერად არაფერი უთქვამთ. ბავლე ივანოვი, რომელმაც პირველად მოჰკრა ყურა ამბზე საუბარს, მაშინვე კობასთან მივიდა.

— კობა, კარგა ვერ მოგესვლია, რბილი დეტალები გაგიშვია, მაგრამ აწი უნდა იფრთხილო. ვინ მოსთვლის რამდენჯერ გამწარებაულა კობა რკინებთან ჭიდილში, რამდენჯერ თითზე ტყავიც გადასძვრა, მაგრამ ყველაფერს გაუძლო, გაიწაფა და ბოლოს სიმღერით ტრიალებდა ღუმელთან. მისი მეგობარი ბორის ბალაუტურია საამწყობო საამქროში მუშაობს. ისინი ოთახშიც ერთად ცხოვრობენ. სასიამოვნოა მათთან ყოფნა, როცა ისინი სამუშაო საათების შემდეგ სახლში თავს მოიყრიან. მათ ალალ, გულუბრყვილო სიცილში, საუბარში იგრძნობა ადამიანური სიკეთე, სიყვარული.

— ჩვენ რომ დეტალები არ გამოიგზავნოთ მთელი დღე თუთიყუშებივით უნდა იჯდეთ, — ეხატებოდა კობა.

— აი, აი, ბიჭო, ბაბუაჩემი შენზე კაი მკედელი იყო, მაგრამ საქმე მანქანაა, ფეხს რომ დააკერ და აგრიალდება.

ოთახში შემოდის საშუალო ტანის ახალგაზრდა. თვალები ძირს დაუსრია და ელიძემა. მის დანახვებზე ბიჭები ხარხარებენ.

— ა, ავთანდილ როგორ იძინე წუხელ?

— კაი სიზმარს ქე ნახავთ.

— ბიჭო რამ დაგაძინა მისე სოლომონა მღვდელივით.

ავთანდილს ოთახში ყველაზე მეტად ყვარებია ძილი, თანაც უგრძნობი. იმ ღამეს ბიჭებს ავთანდილი ზეწარის ამარა ვადმოეყვანათ საწოლიდან და იატაკზე მოეთავსებინათ. ავთანდილმა თურმე მთელი ღამე იტრიალა, იბორგა, მაგრამ იმდენი მაინც ვერ შეიძლო, გამოღვიძებოდა და ადგილი მოენახა...

ასე შრომაში, მხიარულობაში გაირბინეს დღეებმა, დღეებს თვეები მოჰყვნენ. კობაზე ახლა საამქროში ქება ისმოდა, ყოველდღე ასობით დეტალს ანახშირბადებდა, აწრთობდა და უშვებდა შემდგომ დამუშავებაში. ამხანაგებმა საამქროს კომკავშირის კომიტეტის მდივანადაც აირჩიეს. კობას ახლა უფრო მეტი საზრუნავი გაუჩნდა. საამქროს უფროსმა ურჩია, გადასულიყო უფრო იოლ სამუშაოზე. კობამ იუარა. ღუმელთან მუშაობა მის თავისებურ სიამაყეს გვრიდა.

— რაც არ უნდა იყოს, ცეცხლთან, რკინასთან გაქვს საქმე, აწრთობ, ღუნავ, — ამბობდა იგი და გავარგარებულ დეტალებს ისე ატრიალებდა ხელში, როგორც ერთდროს ცხენისწყლის ნაპირას ბროლისფერ კენჭებს...

კონვეიერებზე კი ახლად ფეხადგმული მანქანები ქორბულებივით გაკვიდნენ და მძლოლებს დაეძებნენ.

ერთხელ...

— კობას გაუმარჯოს, — შეეგება ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი ახლადმოსულს და სკამი დაუდგა. — როგორ ხარ, შენ ალბათ გეცოდინება, საამქროს უფროსი გეტყოდ.

— არაფერი არ უთქვამს. კიდევ ჭიდაობა ხომ არა? მაინც რამდენ დღეს წამართმევს, ეხლაც ტურიატკოს დაეუტოვე ღუმელი.

— ჭიდაობა კი არა, ბიჭო, ფესტივალზე გავხავნით, ფესტივალზე, მოსკოვში.

— ფესტივალზე? — უნებურად გაიფორა კობამ. გაუხარდა. არც ცდილა აღფრთოვანება დამალა. მდივანი ესაუბრა. დროულად თადარიგის დაჭერა ურჩია. კობა საამქროსაკენ მიდიოდა კი არა, მიფრინავდა. არასოდეს თავის გამოდგება გამოჩენაზე არ უფიქრია, მაგრამ ახლა რატომღაც ისეთი განწყობილება დაეუფლა, უნდოდა, ყველას სცოდნოდა მისი ზედნიერების შესახებ, ყველას მიელოცა.



ზინიან ზაბიძე

ტფილისი

მეფე ლომკაცამ, თუ მგელკაცმა დაგარტყა კვერთხი
და ჩემ წამებად შენ აღსდექი ქვეყნად, ქალაქო,
ბევრი ვაჟკაცი გალავანთან შემოიფერთხე,
მეც მინდა, გული სისხლის ლექსად შემოგალაქო.
მეც მიმინო ვარ, გოგირდის ტბას შენ რომ ჩაფალი,
მეც სიკვდილამდე წყურვილისგან მიშრება პირი.
ვიცი, სხვა ღმერთზე უწყალოა ქართლის უფალი,
მაგრამ მისი ვარ სამუდამო მე ოქროპირი;
ვიცი, გიცავდენ მოციხოვნე მორკინალები,
ვიცი, ძვლებიდან ამდგარია შენს ახლო მთები,
ვიცი, გთელავდნენ ყიზილბაშის ცხენის ნალები
და წაუტყრიათ ტაძრებისთვის ხმლებს გუმბათები.
თათრების სისხლით მეწამული გამხდარა მტკვარი
და როგორც მოსეს — სააკაძეს ხმლით გაუტაფავეს;
გილეწდა კალოს ბავშვებისას თათრის ყვეარი,
მიტომ ვერ გენდენენ თამარ მეფის შენ ძვირფას საფლავს.
ბებერი ძვლები ირაკლიმაც ძლივს გაიტანა,
სული დამარხა ნარიყალას გამსკდარ ბასტიონს,
მესამე უნდა საქართველოს ზღვა შავ ზღვისთანა —
მარაბდის ველზე ვაჟკაცური ქართლი დასტიონს.
ვერ გიბედავდა რუსთაველი პირისპირ შებმას,
ვერც სხვა პოეტმა შენ აქამდე ლექსით ვერ გაქო
და უფრთხის ყველა სამუდამო შენ სისხლის ემბაზს,
ვაჟკაცობისთვის განწირულო, ძველო ქალაქო!..
თავი შეგაკლა საიათნოვამ, უცხო სომეხმა,
გემრიელ წყალით ნაქებია ძველადვე მტკვარი,
და თუ შენ ახლა პოეტისგან მოგესმის შესხმა,
ეს გედი მღერის — ყელწაჭრილი და ცოცხალმკედარი.
მე ვარ მიმინო, ხახამშრალი და კაპოეტი,
მე ვარ ტფილისის აგონიით მკედარი პოეტი...

*
* *

სამჯერ ვარ დაბადებული,
მონათლულიც ვარ სამჯერა;
ერთხელ სიკვდილი რას მიზამს,
ერთხელ სიკვდილის არ მჯერა.
შეხედეთ ოქროს მზეთამზეს,
მთები რომ მთებზე ეყარა;
ყოველდღე ამას ხედავდეს,
რა მოკლავს ასეთ ქვეყანას.
მოვა სიკვდილი, შეხედავს
და შერცხვენილი გაიარს,
როცა ცა სისხლით შეღებავს
თურაშაულის განთიადს.

ცა მაღალია — მთაც მაღალია
და კაციც უნდა იყოს მაღალი,
გამოირღვევა მთების გალია,
გადმოფრინდება ქორის ბახალა.
ვარ თავდაბალი, გული საწყალი
სხვისი ჩამიდგეს თითქოს საგულეს,
მაგრამ ქართული მიწა და წყალი
ვერ ნახავს პოეტს ჩემს უერთგულესს.
სანამ სამშობლოს ცა ბაირაღობს
და მყინვარს აფენს შვინდისფერ ხავერდს,
სანამ კახეთი ღვინოთი ღვარობს
და ალავერდთან მიდის ალავერდს.
სანამ თბილისზე დგას ოქროყანა,
ტაბახმელაზე ქოროღლის ციხე;
თუ ვერ ვადიდო ჩემი ქვეყანა —
ამხანაგებო, მართლა ჩამწიხლეთ.
ცაც მაღალია, მთაც მაღალია,
და კაციც უნდა იყოს მაღალი;
გამოირღვევა მთების გალია, —
გადმოფრინდება ქორის ბახალა.



პოპულარული

იმერეთის დედოფალი

კ. ა. ბოროზდინის ეს ნარკვევი — „იმერეთის დედოფალი“ დაბეჭდილია ჟურნალ „ნების“ 1893 წლის XI კრებულში. კ. ბოროზდინი დიდხანს ცხოვრობდა საქართველოში, როგორც კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიის მოხელე. იგი იყო ნიჭიერი ლიტერატორ-მემუარისტი, დაგვიტოვა მრავალი საინტერესო შრომა, სადაც მიუდგომლობით ასახულია მეფის მთავრობის კოლოიაური პოლიტიკა საქართველოში. თავის შრომებში კ. ბოროზდინი ცოცხლად ახასიათებს როგორც რუს მოხელეებსა და სამხედრო პირებს; ისე ქართველი ინტელიგენციისა და მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლებს.

1854 წელს კ. ა. ბოროზდინი მეფის ნაცვალმა მიაღწია ქ. ზუგდიდში სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე დადიანის ოჯახში, როგორც მისი შვილების აღმზრდელი და მდივნის მოვალეობის აღმსრულებელი. დასაველეთ საქართველოში ყოფნის შედეგად მან დაწერა ფრიად საინტერესო მემუარული ნაშრომი „Закавказские воспоминания. Мингрелия и Сванетия в 1854 — 1861 г. г.“. ამ თხზულებებში ავტორი უმთავრესად ავვიწერს იმ ამბებს, რომელთა უშუალო მონაწილეც თვითონ იყო. კ. ბოროზდინი თანამშრომლობდა მაშინდელს ჟურნალ-გაზეთებში („ისტორიკესი ვესტნიკ“, „ნაბლიუდატელ“ და სხვ.). იგი გარდაიცვალა 1893 წელს.

ამ პატარა ქრონიკაში სწორადაა ასახული ეპოქის სული — იმერეთის უკანასკნელი მეფის ზოლომონ მეორის ოჯახის უბედურება, იმ დროისათვის ტიპური ქართული ოჯახის ტრაგედია.

ამ საუკუნის დამდეგს, თხუთმეტსა და ოც წლებს შორის, პეტერბურგის ერთ-ერთ ქუჩაზე, განმარტოებულ სახლში მშვიდად და უბრალოდ ცხოვრობდა მეტად წარჩინებული მოხუცი ბანოვანი — იმერეთის დედოფალი მარიამი. ის იშვიათად თუ გაემგზავრებოდა ხოლმე ქალაქში და მუდამ თავის ეროვნულ ტანისამოსს იცვამდა. ხანდაზმულობით შელახულ მის სახეს ახლაც ეტყობოდა ადრინდელი სილამაზე. დედოფლის ამალას რამდენიმე-მასლობელი ადამიანი შეადგენდა. მათ შორის იყვნენ შორეული სამშობლოდან ჩამოყოლილი ქალებიცა და მამაკაცებიც, მოხუცებიცა და ახალგაზრდებიც. ამაღა განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდა დედოფალს.

ყოველ კვირა დღეს დედოფალი სამეფო კარის ეტლით მიემგზავრებოდა ღვთისმშობლის საყდარში, ანდა ნევის ლავრაში. საზეიმო და უქმე დღეებში მისი ნახვა სამეფო დარბაზობასა და ბალებზე შეიძლებოდა. დედოფლის საგარეო ტანი-

კ. ბოროზდინის ეს ნარკვევი გადმოგვცა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებთ. — მთარგმნელი.

სამოსი ყოველთვის ერთნაირი იყო: თეთრი ატლასის კაბა, ასეთივე ოქრომკედით ნაქარჯი ქათიბი, საიდანაც წმინდა ეკატერინეს ორდენი და ლენტი მოჩანდა. თავზე ეხურა ძვირფასი ქვებით შემკობილი თავსაკარავი, რომელსაც გრძელი ლეჩაქი ჰვარავდა; რუსთა ორივე დედოფალი ალერსს არ აკლებდა მარიამს. ხელმწიფეც დიდად წყალობდა, მაგრამ მარიამ დედოფლის ღირსებითა და სიკეთით შემკულ მშვიდ სახეზე ღიმილს იშვიათად თუ დაინახავდა კაცი. თავის ცხოვრებაში ამ ბანოვანმა მრავალი მწუხარება გადაიტანა მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინათ მისმა ქმარმა, იმერეთის მეფემ სოლომონმა ფიცი გასტეხა და თურქეთში გაიქცა.

აჲ, როგორ მოხდა ეს ამბავი.

ქუჩუკ-კაინარჯის 1783 წლის საზავო ხელშეკრულების თანახმად თურქეთის ქვეშევრდომობისაგან განთავისუფლებული ამიერკავკასიის ქრისტიანული ქვეყნების მფლობელნი აღიარებული იქნენ დამოუკიდებელ მმართველებად. ამიერიდან მათ თავი დაიხსნეს სამარცხვინო ვალდებულებიდან, რომლის მიხედვითაც თურქებს ხარკად აძლევდნენ საუკეთესო ჭაბუკებსა და ქალიშვილებს; მაგრამ სინამდვილეში ეს დამოუკიდებლობა მხოლოდ ფარატინა ქალაქად იქცა.

როდესაც სპარსელებისა და თურქების დამმარცხებელმა რუსეთის ჯარმა ამიერკავკასია დასტოვა, სპარსელებმა და ლეკებმა ისევ ძველებურად განაგრძეს საქართველოს აწიოკება, თურქები კი დროდადრო თავს ესხმოდნენ იმერეთს, სამეგრელოსა და აღმოსავლეთ საქართველოს, ერთმანეთზე ამხედრებდნენ მათს მეფეებსა და მფლობელებს და ანადგურებდნენ მთელს ქვეყანას. ამ ორ ცეცხლს შუა ყოფნისა და მუდმივი მერყეობის ძალა როდი შესწევდათ ამიერკავკასიის მფლობელთ; როცა 1801 წელს საქართველოს მეფემ გიორგი მეთორმეტემ სიკვდილის წინ თავისი სამეფო რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომად აღიარა, მის მაგალითს მიჰყვნენ 1803 წელს სამეგრელოს მთავარი გრიგოლ დადიანი, ხოლო 1804 წელს — იმერეთის მეფე სოლომონიც, რომელიც წინასწარ მოეთათბირა კავკასიის მთავარსარდალს თავად ციციანოვს. სოლომონ მეფეს ჯეროვნად არ ესმოდა ამ გადამწყვეტი ნაბიჯის მნიშვნელობა; არც ის იცოდა, თუ ამით რუსეთის მთავრობის წინაშე რა მოვალეობას კისრულობდა: მას პასუხი უნდა ეგო თავისი ყოველი მოქმედებისათვის, რაც კი რუსეთის მთავრობის გეგმების საწინააღმდეგო იქნებოდა.

იმ ეგრეთ წოდებული სათხოვარი პუნქტების საფუძველზე, რომლითაც რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობას კისრულობდა, სოლომონ მეფე ჰკარგავდა უფლებას განეგო თავის ქვეშევრდომთა სიცოცხლე და ბიროვნება. სხვანაირად რომ ვთქვათ, მას ერთმეოდა სისხლის სამართლის უფლება და მხოლოდ სამოქალაქო საქმეებში იყო სრულუფლებიანი. ამასთან მოსაზღვრე სახელმწიფოსთან — თურქეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის დამყარებაც მხოლოდ კავკასიის მთავარსარდალის მეშვეობით შეეძლო. ქუთაისში შესულმა რუსეთის ჯარის ნაწილმა იქ თავისი მთავარი ბინები მოაწყო, ხოლო მეფეს სათანადო ინსტრუქციითა და რწმუნებით აღმსურვილი განსაკუთრებული მოხელე მიუჩინეს. ამ რეჟიმს სოლომონი ვერ შეეგუა, — უმთავრესად მასთან დაახლოებული თავადებისა და დედოფლის ინტრიგების გამო. ეს უკანასკნელნი მიჩვეული იყვნენ, რომ სუსტი ნებისყოფის მეფე მათს გავლენას ემორჩილებოდა და ყველაფერს მათი სურვილისამებრ აკეთებდა. რაკი დაინახეს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მათი თვითნებობა ალაგმა, დაიწყეს ათასნაირი მოთქმა-მოთქმით მეფის ავუღიანება რუსების წინააღმდეგ, უხალისოდ ან სრულიადაც არ ასრულებდნენ ჩვენი რეზიდენტისა და თვით მთავარსარდალის მოთხოვნებს. ამავე დროს მეფემ საიდუმლო კავშირი გააბა ახალციხის ფაშასთან, რომელიც აქეზებდა, სულთნის ქვეშევრდომობას დაუბრუნდი და რუსები გააძევე შენი ქვეყნიდანო. ახალციხის ფაშა ჯარით დახმარებასაც

კი ჰპირდებოდა სოლომონს. ამ ამბავმა მთავრსარდლის ყურამდე მიაღწია მაშინ მთავრსარდლად აღარ იყო თავადი ციციანოვი, რომელსაც მეფე განუსაზღვრელად ენდობოდა. იგი შესცვალა ჯერ გრავამა გუდოვიჩმა, შემდეგ კი გენერალმა ტორმასოვმა, რომელსაც სოლომონი კარვად არ იცნობდა. ტორმასოვის წერილები მკაცრი იყო. როდესაც სოლომონის მიმოწერა ხელში ჩაუვარდა, მთავრსარდლმა იგი თბილისში გამოიძახა და მიზეზი არც კი აცნობა. წაუსვლელობა არ შეიძლებოდა. ერთი მხრით, ეს აშკარა ურჩობა იქნებოდა, მეორე მხრით კიდევ, მეფისთვის ცხადი იყო, რომ თუ საჭიროება მოითხოვდა, მაინც ძალით წაიყვანდნენ. თბილისში მეფე მტკვრის პირას, ორბელიანთა ერთ-ერთ სახლში დააბინავეს. სოლომონი შეხვდა ტორმასოვს და გაიგო, რომ ახალციხის ფაშასთან მისი ურთიერთობა შეეტყვოთ და პეტერბურგისთვის ეცნობებიათ; სანამ იქიდან გადაწყვეტილება არ მოვიდოდა, სოლომონი პატიმრად უნდა ყოფილიყო თავის ბინაში. მას ყარაული მიუჩინეს.

ამ დღიდან დაიწყო გულისგამწყალებელი, მომაბეზრებელი ლოდინი. მეფეს კარავის ნახვის უფლება არ ჰქონდა, თუ ყარაულის უფროსისაგან არ აიღებდა ნებართვას. მას შეეძლო შეხვედროდა მხოლოდ იმათ, ვინც საიმედო პირად ითვლებოდა. ამალიდან სოლომონს დაუტოვეს მხოლოდ ერთი გლეხი — ივანე სალარიძე, რომელიც განუყრელად მასთან ცხოვრობდა. მაგრამ გულხელდაკრეფილნი როდის ხდნენ მეფის მომხრენი — თავადები: ანდრონიკაშვილები, აბაშიძეები, წულუკიძეები. მათ მოახერხეს მეფესთან საიდუმლო კავშირის დამყარება. და ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ ერთხელ, როცა ყარაულის ოფიცერი სოლომონის ოთახში შევიდა, ნახა ტახტზე მწოლიარე გლეხი სალარიძე, მეფის ტანისამოსში გამოწყობილი. თვითონ სოლომონი კი გაქცეულიყო.

აი, როგორ ყოფილა საქმე:

სალარიძე დღეში რამდენჯერმე ფრიალო ნაპირით მტკვარზე ჩადიოდა ხოლმე, თუნგით წყალი ამოჰქონდა და ისევ მეფის ოთახში ბრუნდებოდა. სალარიძის ასე ხშირად წყალზე სიარულს ისე შეეჩვივნენ, რომ მის ჩაცმულობასა და უბრალო სახეს ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ის კი წყალზე სიარულისას მეფის მომხრეებთან შეხვედრასაც ახერხებდა. ასეთი მომზადების შემდეგ სოლომონმა თავისი მსახურის ტანისამოსი გადაიცვა, ქული შუბლზე ჩამოიფხატა და თუნგით ხელში დაეშვა მტკვრისაკენ, სადაც თავადები ელოდნენ შეკავშული ცხენით.

როდესაც მეფის გაქცევა გამოქვდა, ყოველი მიმართულებით მღვერები აფრინეს. მაგრამ ისინი ხელცარიელი დაბრუნდნენ მთის ბლიკებით სოლომონმა ახალციხეს მიაღწია და მეორე დღეს უკვე ფაშას შეაფარა თავი.

ამ ამბავმა თბილისსა და იმერეთში დიდი აურზაური გამოიწვია. დაიწყეს დაპატიმრებანი, ივანე სალარიძე ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც რამდენიმე თვე ამყოფეს, მერე კი ციმბირის შორეულ კუთხეში გადაასახლეს. იმერეთში აჯანყების მოწყობის ცდა ჩაიშალა და საბოლოოდ დამკვიდრდა რუსეთის მმართველობა.

სოლომონის ცოლი მარიამ დედოფალი დიდის პატივით გადაიყვანეს პეტერბურგში, სადაც სიკვდილამდე ცხოვრობდა და ხელმწიფისა და მისი ოჯახის ყურადღება არ მოკლებია.

ქმრის შესახებ სასიამოვნო ამბები არ მოსდიოდა დედოფალს. ახალციხის ფაშა უძლური აღმოჩნდა რითიმე დახმარებოდა მეფეს. და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ სოლომონს მცირე პენსია დაუნიშნეს და ტრაპიზონში დასახლება შესთავაზეს. სოლომონ მეფეს თავისი საქციელი გულწრფელად რომ მოენანიებია და რუსეთის იმპერატორის დიდსულოვნებას მინდობოდა, რუსეთში დაბრუნების უფლებას მისცემდნენ. იგი თავის ცოლსაც შეხვედებოდა და, როგორც კერძო პი-

რი, მშვიდად იცხოვრებდა ჩვენს რომელიმე საგუბერნიო ქალაქში. მაგრამ მასთან დაახლოებული პირები, რომლებიც ტრაპიზონში გაჰყვნენ, ამის საშუალებას არ აძლევდნენ და ფუჭი იმედებით კვებავდნენ. დედოფლის წერილებსაც კი, რომლებშიც იგი ქმარს დაბრუნებას თხოვდა, არავითარი შედეგი არ გამოუღია.

სოლომონი ტრაპიზონში გარდაიცვალა 1820 წელს. ეს ამბავი დედოფალმა მალე გაიგო და ისეთი თავზარი დაეცა, ექიმები შიშობდნენ, გონება არ წაერთვა. როდესაც მარიამს ცნობიერება დაუბრუნდა და თანდათან დამშვიდა, არაჩვეულებრივი სიცხადით მოაგონდა თავისი ბედნიერი წარსული. მოაგონდა ცოლქმრობის პირველი, ყველაზე უშფოთველი წლები. მას გაგიჟებით უყვარდა ქმარი. არც შეიძლებოდა ადამიანს არ ჰყვარებოდა ეს გულითადი, გულუბრყვილო და უაღრესად მიმნდობი, ხშირად ფიცხი, მაგრამ უზომოდ კეთილი ვაჟაკი- მათდა სამწუხაროდ, ორი შვილი მცირეწლოვანი მოუკვდათ, შემდეგ კი დედოფალს შვილი აღარ გასჩენია. ამ გარემოებამ მათს ცხოვრებას სევდის დაღი დაასვა. ცოლქმარი ნუგეშს იმაშიღა პოულობდნენ, რომ სხვის ბავშვებს ზრდიდნენ და ღვიძლი შვილებივით უვლიდნენ; ერთი მათგანი, თავად მაჭუტაძის მიერ ნაჩუქარი ობოლი, აზნაური გიორგი გეგიძე, სოლომონ მეფეს განსაკუთრებით უყვარდა. მარიამი და სოლომონი უბრალოდ ცხოვრობდნენ, კარლიად, მეფის ნახვა ყველას შეეძლო. მაგრამ ყოველივე ეს ჩაშხამებული იყო იმით, რომ სოლომონ მეფეს და სამეგრელოს მთავარ გრიგოლ დადიანს შეურიგებელი მტრობა ჰქონდათ ერთმანეთისა. მათი სამფლობელოები ერთმანეთს ესაზღვრებოდა და საზღვარზე რაიმე უბრალო საბაზსაც კი მუდამ მოჰყვებოდა იმერლებისა და მეგრელების პატარა შეტაკება, ბოლოს ამ შეტაკებაში ჩაერეოდნენ მეფეცა და მთავარიც, და მათ შორის ომიც კი ჩაღებოდა. ვისი გამარჯვებოდაც არ უნდა დამთავრებულიყო ეს ომი, ორივე სამფლობელო ძლიერ ნადგურდებოდა და ორივე მხარე თურქეთში ჰყიდდა ტყვედ წამოყვანილ ქალებსა და ბავშვებს. რარიც არ ცდილობდნენ იმერეთისა და სამეგრელოს უბისკომოსები და მთელი სასულიერო წოდება მეფისა და მთავრის შერიგებას, მაგრამ უშედეგოდ — მტკიცე ზავს ვერ ამყარებდნენ. და აი, 1802 წელს, ახალი შეტაკების დროს, სოლომონ მეფემ აჯობა, დადიანს წაართვა სამეგრელოს მთიანი ნაწილი ლეჩხუმი და მისი სამფლობელოს დანარჩენ ნაწილსაც ემუქრებოდა; მაგრამ დადიანმა მისთვის ამ საზედისწერო ჟამს დახმარებისათვის რუსეთის ხელმწიფის მთავრობას მიმართა და თავისი თავი და ხალხი რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომად აღიარა. დადიანის დასახმარებლად გაგზავნილი ჯარი პოლკოვნიკმა რიკოფმა ზღვის ნაპირზე რედუტ-ყალბეში გადასხა. რიკოფმა დადიანს ენერგიულად დაუჭირა მხარი. ლეჩხუმი დაუბრუნა, სამეგრელოდან განდევნა იმერეთის მეფის ჯარი. ახლა უკვე თვითონ სოლომონს ელოდა საფრთხე. სწორედ ამ დროს დაიწყო მოლაპარაკება თავად ციციანოვთან იმ მიზნით, რომ სოლომონი რუსეთის ქვეშევრდომი გახდარიყო. ეს მოლაპარაკება წარმოებდა სასწრაფოდ, მეფის გარშემო მყოფი მოქიშპე პარტიების გავლენით. ერთი მხარე რუსებთან დაკავშირების მომხრე იყო, მეორე კი წინააღმდეგი. სოლომონი მათ ხელში სათამაშო ბურთად გადაიქცა. და თუ ყველაფერი ეს იმით დამთავრდა, რომ იმერეთმა რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო. ეს აქტი მეფეს ყოველმხრივ არც კი აუწონდაუწონია. როდესაც რუსები იმერეთში შევიდნენ, სოლომონი თავისი ახალი მდგომარეობით მაინც არ იყო მოსვენებული. მის გარშემო მყოფი თავადები რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ აქეზებდნენ, ამას კი მეფისთვის ზიანი მოჰქონდა.

ყველა ეს ინტრიგა და ინტრიგანები გაიხსენა დედოფალმა და მწარედ დასტიროდა თავისი უბედური ქმრის ბედს, რომელმაც თავისი ცხოვრება უცხო, მუს-



ლიმანურ ქვეყანაში დაასრულა. ამ მწუხარების ჟამს დედოფალი მარიამი ვინდებურად რუსეთის ხელმწიფის უავგუსტოსს ოჯახში ჰპოვებდა ნუგეშს. რუსთა ორივე დედოფალი, ხელმწიფე და დიდი მთავრები ნახულობდნენ მას. ზოგჯერ ხელმწიფე საათზე მეტ ხანს რჩებოდა დედოფალთან, რომელიც დიდად აფასებდა მის გულთბილობასა და მოწყალებას. ხელმწიფე ყურადღებით ეკიდებოდა მარიამ დედოფლის ცხოვრების ყოველ წვრილმანს.

ერთხელ, ასეთი საუბრის დროს, დედოფალმა ხელმწიფეს თავისი სანუკვარი თხოვნით მიმართა:

— ახლა, როდესაც ჩემი საწყალი ქმარი ცოცხალი აღარ არის, ინებეთ. ხელმწიფეო, თქვენი უმოწყალესი ყურადღების ღირსი გახადოთ ის უბედური გლეხი, რომელიც უკვე ათ წელზე მეტია შორეულ ციმბირში გადასახლებული იტანჯება. რასაკვირველია, იგი ჩემს ქმარს ხელს უწყობდა ღალატში, მაგრამ ეს გლეხი ხელის შემწყობი არ ყოფილა თავისი განზრახვით, მას მხოლოდ თავისი ბატონის უსაზღვრო ერთგულების გრძნობამ გააწირვინა თავი. მე არ შემძლია არ ვიტანჯებოდე მისი უბედური ხვედრით, ის გლეხი ჩემთვის ძვირფასია და მახლობელი, და გადავწყვიტე ამ თხოვნით მოგმართოთ, ხელმწიფეო. შეიწყალებთ იგი და გადასახლებიდან დააბრუნეთ, რათა მას ჩემი ზრუნვა არ მოგაკლო.

ხელმწიფეს ცრემლი მოგვარა ამ თხოვნამ, გული აუჩუყდა, როცა დედოფალი ფეხებში ჩაუვარდა. მან დედოფალი წამოაყენა, დაამშვიდა და შეპირდა, ახლავე ბრძანებას გავცემ, რომ გლეხი სალარიძე გადასახლებიდან დააბრუნონ და თქვენ მოგგვარონო.

ამის შემდეგ მალე ხელმწიფე თავისი იმპერიის შიდა გუბერნიებში გაემგზავრა. დედოფლის ცხოვრება კი კვლავ ერთფეროვნად და მდორედ მიედინებოდა. ზოგჯერ მარიამს მისთვის ძვირფასი გადასახლებულის მოსვლის მოლოდინი თუ გამოაცოცხლებდა. მაგრამ ლოდინი ამაო იყო. იმ ცნობების მიხედვით, რაც მას შეატყობინეს, სალარიძე ციმბირში დაკარგულიყო. ისიც კი არ იცოდნენ, მკვდარი იყო თუ ცოცხალი. გავიდა ნახევარი წელი, წელიწადიც, და სალარიძის ამბავი არ მოდიოდა. დედოფალმა იფიქრა, ალბათ, მოკვდაო და თავის განსვენებულ ქმართან ერთად იმის სულის მოსახსენებლადაც ლოცულობდა. მაგრამ ერთხელ მოახსენეს, ვიღაც უცნობს, უბრალოდ ჩაცმულ მოხუცს თქვენი ნახვა სურსო. მარიამის ქველმოქმედების ამბავი ყველამ იცოდა და მასთან ხშირად მოდიოდნენ შემწეობის სათხოვნელად. დედოფალს ეს კაციც ასეთი ვინმე მთხოვნელი ეკონა და ბრძანა, შემოიყვანეთო. უცნობი შემოვიდა თუ არა, მარიამმა მაშინვე იცნო სალარიძე. უსიტყვოდ გადაეხვივნენ ერთმანეთს და დიდხანს ქვითინებდნენ. ეს წუთები ორივესთვის გამოუთქმელი სიხარულის წუთები იყო.

ბოლოს, როდესაც ცოტათი დამშვიდდნენ, სოლომონ მეფის ერთგული მსახური დედოფალს ფერხითი დაუჯდა და უამბო, რაც კი რამ თავს გადახდენოდა ამ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

თბილისიდან სალარიძე აღმოსავლეთ ციმბირში გადაეგზავნათ. აქ, როგორც მეთვალყურეობაში მყოფს, რამდენიმე წელი ფეხმოუცვლელად ეცხოვრა ერთ მიყრუებულ, პატარა ქალაქში. შემდეგ ციმბირის სხვა ქალაქებში ცხოვრების ნება დაერთოთ. სამუშაოს ძებნაში თურმე სხვადასხვა მრეწველთან და ვაჭართან ემუშავა. პირველად რუსულის უცოდინარობა ძალიან უშლიდა ხელს, მაგრამ მალე შეესწავლა ენაც და წერა-კითხვაც. ბევრი ხეტიალი შეხვედროდა. ბოლოს დასავლეთ ციმბირში მოხვედრილა, სადაც მალაროებში მუშაობა დაეწყო. თურმე ამიტომაც ვერ შეძლეს მისი პოვნა — მას ხომ აღმოსავლეთ ციმბირში დაექებდნენ, და მხოლოდ ამ ორი თვის წინათ მიეგნოთ მისი კვალი ეკატერინბურგში. პატიე-

ბა გამოეცხადებინათ და საგზაო ფულიც მიეცათ პეტერბურგს ჩამოსასვლელად. ამ სამწუხარო ხეტიალის დროს სალარიძეს ღრმა მადლობის გრძნობა აღძროდა რუსი ხალხისადმი, რადგან თურმე ყველგან დიდი თანაგრძნობით ხვდებოდნენ. თვით რუს ხალხსაც გაჭირვებული ცხოვრება აქვს და ამიტომ თანაუგრძნობს უბედურს. ციმბირის მკაცრ ჰავას სალარიძე ვერ შეპგუებია, ხშირად რამდენიმე თვე უავადმყოფია და ახლაც ხველება ახრჩობდა.

დედოფალი თვალცრემლიანი უსმენდა ერთგულ მსახურს. სალარიძემ თავი სი პზბის მოყოლა რომ დაასრულა, მარიამმა მოხუცი კიდეც ერთხელ ჩაიკრა გულში, სავარძლიდან წამოდგა და მისთვის საცხოვრებლად მიჩენილ ოთახში წაიყვანა. აქ ყველაფერი მოემზადებინათ, რაც საჭირო იყო, რათა მოხუცს აჩიერიდან მყუდროდ ეცხოვრა. სადილის შემდეგ სალარიძე, ციმბირში შეთვისებული რუსული ჩვეულებისამებრ, აბანოში წავიდა. მერე კი გვიანობამდე ისევ ისაუბრეს მარიამმა უამბო თავისი ქმრის უბედურება და მისი სიკვდილი. არც იმის თქმა დავიწყებია, თუ რა წყალობას იჩენდნენ მისადმი იმპერატორი და მთელი მისი ოჯახი.

— ასეა ჩემო ივანე, — დამთავრა დედოფალმა საუბარი, — ჩვენს საერთო უბედურებაში ღმერთმა თავისი წყალობა არ მომაკლო და შენთან შემახვედრა. ამ ქვეყნად შენზე ძვირფასი აღარავინ მყავს. დაივიწყე, რაც უბედურება გადაგიტანია, ერთად ვილოცოთ და ერთადვე დავლიოთ წუთისოფელი. შენ ახლა ლუკმაპური საზრუნავი აღარ გექნება, საქმელ-სასამელი არ მოგაკლდება. ხვალ დილით გავემგზავროთ ღვთისმშობლის საყდარში, სოლომონის სულის მოსახსენებლად ვაწირვინოთ და ბანაშვიდიც გადავუხადოთ. ახლა კი წადი და დაიძინე, მოსვინება გჭირდება.

დედოფალმა სალარიძე მისი ოთახის კარამდე მიაცილა და ღამე ნებისა უსურვა. ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ეს მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო.


დილით, როცა პირისფარეში მოხუცის ოთახში შევიდა, რათა გაეღვიძებინა და დედოფალთან ერთად წირვაზე წასულიყო, ქალმა ივანე უსულოდ მდებარე და უკვე სულ გაციებული ნახა... ღამით მოხუცს გული გახეთქოდა.

ადვილი წარმოსადგენია, რა თავზარდამცემი იყო დედოფლისათვის ეს ახალი, მძიმე უბედურება — ბედმა ასე მოულოდნელად და დაუნდობლად მოსტაცა უკანასკნელი ძვირფასი აღამიანი. ეს უბედურება დედოფალმა ვეღარ გადაიტანა და რამდენიმე თვის შემდეგ თვითონაც სული განუტევა.

ამ ტანჯული აღამიანისათვის სამარე წყალობა იყო...

ეს ამბავი ოთხმოცი წლის მოხუცმა, მარიამ დედოფლის თანამედროვემ, უბრწყინვალესმა თავადმა გრიგოლ ივანეს-ძე დადიანმა გვიამბო და ჩვენ ჩავიწერეთ.

თარგმნა იროდიონ ქავჭარაძემ



სოლომონ ხუციშვილი

მასალები აღმქანდრე ჭავჭავაძის გიორგაფიისათვის

იასაულ მასილ გრუდავის „ღირსები“

1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის აღმქანდრე ჭავჭავაძე 1833 წლის 15 იანვარს დააპატიმრეს. პატიმრობაში იგი 8 სექტემბრამდე იმყოფებოდა, 16 ნოემბერს კი ტაშოვის გზას უნდა გასდგომოდა. განაჩენის სისრულეში მოყვანამდე, ე. ი. ტაშოვს გამგზავრებაამდე, ალ. ჭავჭავაძემ წინანდლის სახლისა და მამულის საქმეების მოსაწესრიგებლად დრო ითხოვა. მას წინანდალში წასვლის ნება დართეს. ამასთან, თბილისიდან კაცი გააყოლეს, რომელსაც დაევა ალ. ჭავჭავაძის ყოველი ნაბიჯის აღნუსხვა. ეს პირი ყოფილა შავი ზღვის კაზაკთა ჯარის ოფიცერი, იასაული ვასილ გრუდაევი, რომელსაც თავისი უფროსის — ბარონ გრიგოლ როზენის ბრძანება პირნათლად შეუსრულებია. იასაულს წინანდალში ჰყოლია მწვერავები, ანუ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, აგენტები, რომელნიც ფხიზრად ადევნებდნენ თვალს ალ. ჭავჭავაძის ყოველ ქცევას და იასაულს აუწყებდნენ: ვის დაელაპარაკა, სად წაიდა, ვისთან მივიდა, მასთან ვინ იყო, რამდენ ხანს დარჩა და სხვა ყველა წერილმანი, რაც მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ადამიანს შეემთხვეოდა.

ჩვენამდე მოუღწევია ამ იასაულის 13 მოხსენების ბარათი, რომლებშიც აღნუსხულია, თუ რა გააკეთა ალ. ჭავჭავაძემ 1833 წლის 13 სექტემბრიდან მანამდე, ვიდრე წინანდიდან თბილისში გამობრუნდებოდა. გრიგოლ როზენის სამხედრო ჩინოვნიკის რაპორტები პოლიტიკური დამნაშავის შესახებ გვაწვდის ცნობებს დიდი ქართველი პოეტის ცხოვრების ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარეზე, მის ხასიათზე, ოჯახზე, სამეურნეო საქმიანობაზე და ნაცნობთა წრეზე. იასაულ ვასილ გრუდაევს შეგნებული აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა უმადლესი უფროსის წინაშე.

ვ. გრუდაევის რუსულად დაწერილ რაპორტებში დაცულია შემდეგი ცნობები:

აღმქანდრე ჭავჭავაძე თბილისიდან წინანდი-

საკენ თავის ავადმყოფ დედასთან ერთად გამგზავრებულა 1833 წლის 9 სექტემბერს, დილის 5 საათზე. რადგან მია ავლია შვილის ასული, გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე, საკმაოდ მოხუცი იყო და ავიდაც ყოფილა, აუჩქარებლად უფლით და ის დღე მუდანლოში (რომელსაც გრუდაევი შეუდომით მონგალინად წერს) შემოღამებიათ. გრუდაევი წერს: „ღამე გავათეთ მისი, ჭავჭავაძის საკუთარ თათრების სოფელში, რომელსაც მონგალინა ეწოდება და თბილისიდან 30 ვერსით არის დაშორებული და დედამისის სუსტი ჯანმრთელობის გამო ნება ითხოვა ნელა გვევლო. რადგან არ უნდოდა დედისათვის თავი დანებებინა. მცხოვრებნი იმ სოფლისა, რომელშიც დამის გათევა მოგვიხდა, მთელი ოჯახებით, გარდა ქალთა სქესისა, რომელსაც ალბათ აზიური წესის მიხედვით არ შეუძლია სახლიდან გამოვიდეს, სიხარულის ცრემლით, პურითა, მარილით და სხვადასხვა ხილუულით შეგვხვდნენ და აზიურად გაწყობილი სუფრით გაგვიმასპინძლდნენ...“ იმავე საღამოს მუდანლოში აღმქანდრე ჭავჭავაძესთან ვიზიტით გამოცხადებულან ვინმე ყორღანოვი და ვაზოვი, რომელთაც, ალბათ, დავალებული ჰქონდათ მისთვის გზა-გზა თვალყურის დევნება. „იმათ, — აგრძელებს გრუდაევი, — აღმქანდრე ჭავჭავაძე შესჩიოდა, მკაცრი პატიმრობა მაქვსო, და თქვა, იმდენი დანაშაული არ არსებობს, რამდენიც დასჯილიაო დამას რუსულ ენაზე ლაპარაკობდა“.

10 სექტემბერს გზა განუგრძვიათ. აღმქანდრე ჭავჭავაძე მეტად უფუნებოდ ყოფილა: „თავადი მთელ გზაზე მოწყენითა და უხალისოდ იყო და ამბობდა, რომ სოფელში მისვლისთანავე თავს მოთავადმყოფებს და არავის არ მიიღებს, მხოლოდ სამეურნეო საქმეებს განაგებს. როცა მე ვუთხარ, რომ მას შეუძლია მიიღოს ის ადამიანები, რომელნიც მას გამოაღებდა და დასჯიდება სამეურნეო საქმეებისათვის, მან მითხრა, — ეს რა მიღება იქნება, როცა ჩეტერის კოგორ-

ტით ვარ შემორტყმულია“. ამ უკანასკნელ ფრაზას ვასილ გრუდაევი იქვე შენიშვნაში განმარტავს: „ჩემის გაგებით — ნაპოლეონის საიდუმლო პოლიციითა“.

რადგან შემოდგომა უკვე ძალაში იყო, მგზავრებს ვაღივლიათ არა გომორის ვადასავალზე და შუამთაზე, არამედ მელან-ჩალაუნის ხეებზე და იმ დღის საღამოს ბაკურციხესთან დაუღამებთ. ღამე გაუთევიათ „ბაკურციხის საბძღებთან, ერთი გლეხის კალოზე. იქ გვიან მივედით და დილით ადრე გამოვემგზავრეთ, ისე, რომ ჩვენთან არავინ არ მოსულა“. შიდა კახეთის სოფლებში ალექსანდრესა და მის დედას კახელები სიხარულითა და პატივისცემით ხვდებოდნენ თურმე: „გზისპირა სოფლის მცხოვრებნი, მოხუცები გამოდიოდნენ სიხარულითა და პურის მაგიერ მოპქონდათ წაირ-წაირი ხილი და თხოვდნენ მიეთათ ნიშნად მათი ერთგულებისა და თავდადებისა“.

იმ დღეს, 11 სექტემბერს უსადილიათ სოფელ მუკუზანში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სოფელში, სადაც მგზავრებს შეგებებთან პრაპორშჩიკი შერვაშიძე და პორუიკები — რომან ჭავჭავაძე და გულბათიშვილი, აგრეთვე აზნაურები, გლეხები და სხვ. „ბოლოს მივედით სოფელ წინანდალში, — განაგრძობს ისაუბრო, — ამავე დღის საღამოს 6 საათზე, ხსენებული თავადების თანხლებით, სადაც სასახლეში შერვაბილი ჭავჭავაძის ნათესავები, რომელნიც წინანდალში ცხოვრობენ, გლეხები და სოფლის მღვდელი არა ჩვეულებრივი სიხარულით შეხვდნენ...“

ისაუბროს დაკვირვებით ალექსანდრე ჭავჭავაძეს იქაურ მცხოვრებლებზე დიდი გავლენა ჰქონია, ხალხს მისი პატივისცემა და სიყვარული გამოუხატავს. წინანდალში მცხოვრებნი — პორუიკები ჭავჭავაძე და გულბათიშვილი, აგრეთვე კონსტანტინე შერვაშიძე, თადია ჩოლოყაშვილი, დიმიტრი ფალავანდიშვილი და აზნაური კოხჩანაშვილი იმავე საღამოს სწვევიან ალექსანდრე ჭავჭავაძეს და მასთან უსაუბრიათ. გრუდაევი რაპორტს შემდეგს უმატებს: *Честь имею присвокупить к сим описанным мною обстоятельствам: видно, что генерал-майор князь Чевчевадзе имеет сильное влияние в грузинском народе, во всех сословиях сего края*“.

წინანდალში 11 სექტემბერს მისულ ისაუბრს პირველი რაპორტი დაუწერია 13 სექტემბერს, რადგანო „მე არ მქონდა ჩემთვის განკუთვნილი ოთახი და არ შემეძლო ამ ჩემი რაპორტის წერას შევდგომოდი“.

ალექსანდრე ჭავჭავაძისათვის თვალყურის სადევნებლად საჭირო აგენტიც სექტემბრის 13-ს შემველებია ისაუბრ გრუდაევს. ეს აგენტი თვალადიან გამოუგზავნია ყანდარმთა კორპუსის

მაიორს კახასს. ალექსანდრე ჭავჭავაძესთან წინანდლის სახლში სტუმრად ყოფილან პოდპორუჩიკი ახვერდოვი, 12 სექტემბერს მოსულა სამსახურიდან გამოსული შტაბს-კაპიტანი ჯანდიერა, გამოცხადებულა აგრეთვე ყანდარმთა კორპუსის კაპიტანი სლინკო. ალექსანდრესთან იმყოფებოდა აგრეთვე ექიმი პრეიალკოვსკი.

16 სექტემბერს დილის 7 საათზე ისაუბრ გრუდაევი მეორე რაპორტს წერს ბარონ როზენს და ატყობინებს, თუ რა მოხდა სამი დღის განმავლობაში. ამ დღებში ალ. ჭავჭავაძეს არავინ მიუღია, გარდა წინანდელი ნათესავებისა. იგი უკვე შესდგომია სახლისა და მამულის საქმეების მოგვარებას. 14 სექტემბერს, ალავერდობას, დღეობაში გაუგზავნია პორუიკი რომან ჭავჭავაძე, რომელსაც ალექსანდრეს ნაცნობ-ნათესავებისათვის უნდა ვაღდეკა, რომ იგი ავადა და არავის არ იღებს. მართლაც, ალავერდიდან გამობრუნებულთაგან ალექსანდრესთან წინანდალში არავინ მოსულა. ეტყობა ალექსანდრემ თავი განგებ მოიავადმყოფა, რათა იმ მდგომარეობაში მყოფი არავის ენახა, რაც ისაუბრ გრუდაევისა და მისი აგენტების ინტერესს ვაღვივებდა.

13 სექტემბერს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან სტუმრად ყოფილან სამსახურიდან გამოსული მაიორი ავალიშვილი, ნიევეგროდის დრაგუნთა პოლკის პორუიკი არსენიევი, პრაპორშჩიკი ავალიშვილი და იუნჯიკი ერისთავი, ხოლო 15 სექტემბერს სტუმრად მოსულან კაპიტანი ჯანდიერი, თავადი ქობულაშვილი, შერვაშიძე და ავალიშვილი. მათთან ერთად ყოფილა ყანდარმთა კორპუსის მაიორი კახასი, რომელიც, როგორც ჩანს, ღორდადრო დახვდავდა ხოლმე ალექსანდრე ჭავჭავაძეს.

იმავე დღეს, მიუხედავად გრუდაევის გაფორთხილებისა, ალექსანდრე ჭავჭავაძე წინანდლიდან გასულა სამიღვე ვერსზე გაფუჭებული წყალსადენის სათავის სანახავად. გრუდაევი შემფოთებული მწერს ამაზე ბარონ როზენს: „მე მგზავრობა მან მოახდინა წინააღმდეგ ჩემი გახსენებისა და თქვენი მაღალკეთილშობილებისაგან მიცემული მითითებებისა და ღიმილით მიპასუხა, რომ მას აგრძალული აქვს გამგზავრება, გამოსვლა კი შეუძლია და ამიტომაც, დაუმატა მან, იქ შეიძლება ქვეითად წაიგდო“.

20 სექტემბერს დამის 9 საათზე დაწერილი რაპორტით ვიგებთ, რომ 17, 18 და 19 რიცხვებში ალექსანდრე ჭავჭავაძესთან არავინ ყოფილა, გარდა ველისციხელი ვაჭრის მარტირის ტრეტერაშვილისა (Тетерашули), რომელსაც თურმე წინანდალში „დიდი კაპიტალისტის“ სახელი ჰქონია დავარდნილი. იგი სამ დღეს დარჩენილა ალექსანდრე ჭავჭავაძისას და საკრედიტო ანგარიშებს აწარმოებდაო. თვით ალექსანდრე სამეურნეო საქმეებით ყოფილა დაკავებული. მასთან სახლში არიან დიმიტრი ფალავანდიშვილი და ექიმი პრეიალკოვსკი. ახალგაზრდა ოფიცრები

სახლში წასულან, დარჩენილა მხოლოდ რომან ჭავჭავაძე.

24 სექტემბერს ისევ დამის 10 საათზე დაწერილ რაპორტში იასაული გრუდაევი წერს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე 21 და 22 სექტემბერს სანადიროდ გასულა სოფლიდან. ალექსანდრე ჭავჭავაძის ასეთი საქციელი გრუდაევს გულს უხეშთავდა. „სოფლიდან გასვლის აკრძალვის ყოველ გახსენებაზე იგი მიბასუხებდა: რომ მან ძალიან კარგად იცის, რომ სოფლიდან გასვლა აკრძალული აქვს, ან რომელიმე მემამულესთან მისვლა, და არც წაეალო, სანადიროდ კი იმისათვის დადის, რომ გამოჯანმრთელდეს, რისთვისაც ასეთი მოძრაობა სასარგებლოა, აქვე დასძინა, რომ ჩემი ასეთი სოფლიდან გასვლის შესახებ შეგიძლია ამბავი მიიტანო. მისი მგზავრობისას მეც თან ვახლდი და არც ერთ მგზობელ მემამულესთან არ მისულა“.

21 სექტემბერს ალექსანდრესთან სტუმრად ყოფილა ზაალ ვახვაჩიშვილი, 22-ში ლევან ჭავჭავაძე, 23-ში ქართულ გრენადერთა ბოლკის პორუჩიკი ლუკოვსკი და პრაპორშჩიკი ურუსოვი. 24 — 28 სექტემბერის განმავლობაში მნიშვნელოვანი არა მომხდარა-რა. ალექსანდრესთან ყოფილან დიმიტრი ფალავანდიშვილი, ივანე ჯანდირი, ექიმი პრეიალკოვსკი და პორუჩიკი ურუსოვი.

კახეთის ბუნებით მოხიბლული იასაული ლიბიკულად ვანწყობილი გერმანული წარმოშობის ბარონ როზენს მამებლად წერს თავის სულიერ ვანწყობილებასა და კახეთის ბარაქიანობაზე:

„Не могу остаться в молчании, что бы не сообщить вашему превосходительству о здешнем крае. Кахетию можно назвать одною из лучших провинций прелестной Германии. Ее образуют два хребта — Кавказских и Тифлиских гор, а середина их плодосной (sic!) плоскости или долины, занимающей пространство между гор, в ширину от 50-ти до 60-ти верст, украшенной населенными деревнями, виноградными садами и плодоносными полями. Только сих последних по многолюдству не достаточно. Крестьянские дома построены здесь по европейскому вкусу. Климат весьма суровый. Еще с первых чисел сентября горы покрыты снегом и при теперешних ежедневных дождях очень холодно“.

„Жизнь моя, — განაგრძობს ვასილ გრუდაევი, — здесь самая прескучная, при всем моем вежливом поступке все смотрят на меня как на тигра. Один князь, как образованный человек поступает со мной. На сих днях родилась у него дочь София...“

(რუსულ ტექსტებში ყველაგან დაცულია ვასილ გრუდაევის სტილი).

28 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე არაფერი მომხდარა. მაიორ ავლიშვილისა და ერთი სომხის გარდა ჭავჭავაძესთან არავინ მოსულა, არც თვით წასულა სადმე. სახლში მასთან არიან ჯანდირი და პრეიალკოვსკი. ურუსოვი 5 ოქტომბერს გამგზავრებულია წინანდლიდან. ეს სომეხი ყოფილა ვინმე ბაღდასარ მუხარფიერი, სპარსულად ჩაცმული. იგი ბაიაზეთის სომეხთაგანი ყოფილა, ვაჭარი, გადმოსახლებული ერევნის ოლქში, სიღანაც, როგორც გრუდაევის აგენტებს გამოურყვევით, მამასთან ჩხუბის გამო წამოსულა და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან მოსულა წინანდალში სამოსახლო ადგილის გამოსათხოვად. ალექსანდრე ჭავჭავაძეს ბაღდასარისთვის ურჩევია უკან გაბრუნება, მაგრამ ეს კაცი გრუდაევს ჩავარდნია ხელში. „მე ამ სომეხში ეჭვი შევიტანე: რაიმე მნიშვნელოვანი ბოროტმოქმედების ჩადენის გამო ხომ არაა გამოქცეული, ან მოგზავნილი ხომ არ არის ჭავჭავაძესთან ვისგანმე საიდუმლო დავალებით — რისთვისაც მაშინვე ვაცნობე თელავში მყოფ ენდრიამთა კორპუსის კაპიტანს სლინკოს, მისი მხრიდან ზომების მისაღებად ამ სომხის შესაპყრობად. კაპიტანმა სლინკომ მაცნობა, რომ აღნიშნული სომეხი ბაღდასარ მუხარფიერი დაჭერილია და გადაგზავნილია შენაფერისისთვის (!) ქალაქ თბილისში“.

7 — 11 ოქტომბერს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან არავინ მოსულა, გარდა „ნადირონი სოვეტნიკის“ ზუბარევისა, რომელსაც მარშალ ერისთავის ცოლთან ერთად მოუხატლია ალექსანდრე ჭავჭავაძის ახალშობილი ასული.

16 — 17 ოქტომბერს ალექსანდრე ჭავჭავაძეს სტუმრებია სამი თუში, რომელნიც, გრუდაევის აგენტის მიერ შეყრებილი ცნობებით, თელავს ყოფილან ერბოს გასაყიდად და მარილის საყიდლად და წინანდალში გამოუვლიათ ალექსანდრესთან, როგორც ნათესავთან და პურმარილიან ადამიანთან. „როცა მე აგენტს ვუბრძანე, — წერს გრუდაევი, — ეკითხა მათთვის, რა ნათესავი შეიძლება იყოს თელავისა და ქართულ თავადს შორის, მათ თქვეს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნათესავად თვლიან იმიტომ, რომ თითქოს ჭავჭავაძის გვარის წინაბრები თუშებისაგან არიან წარმოდგენილი, რის შესახებაც თვით თავმა ჭავჭავაძემ მასთან ჩამოსულთა შესახებ საუბრისას მიიხრა, რომ თუშები მას ასე თვლიან და ამიტომაც ყოველთვის მოდიან მასთან“. თუშებს ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთი ღამე გაუთვევით, მასპინძელს მათ მიმართ განსაკუთრებული გულთბილობა არ გამოუჩენია ალბათ იმიტომ, — წერს გრუდაევი, — რომ არ უნდოდა მე შენიშვნა მიმეცათ.

26 ოქტომბრის რაპორტით იასაული იტყობინება, რომ თელავიდან ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ჩამოსულა თავადი ვახვაჩიშვილი, ხოლო

ხირის წმ. სტეფანეს მონასტრიდან სტუმრებია არქიმანდრიტი სერაფიმე ნოდარიშვილი (Нондаришули). ვახვახიშვილი დარჩენილა ოთხ დღეს და 25 ოქტომბერს გაბრუნებულა. როგორც შევატყუო, — წერს გრუდაევი როზენს, — ვახვახიშვილი „დიდი ლაბირალისტია (!), რადგან თავისი აქ ყოფნის განმავლობაში არაფრად მაგდებდა და არასოდეს არ უნდოდა ჩემთვის სიტყვა ეთქვა“.

ექიმი პრეიალკოვსკი 23 ოქტომბერს თბილისში წასულა იმ პირობით, რომ მალე დაბრუნებულიყო არქიმანდრიტ სერაფიმეს სამკურნალოდ, რომელიც წინანდალში ავად გამხდარა. დიმიტრი ფალავანდიშვილი ლეკების საყარაულო ხაზზე წასულა, ივანე ჯანდიერი საოლქო სასამართლოში სამსახურის გამო თელავს ასულა, ავადმყოფი არქიმანდრიტის სანახავად მოსულან ივანე და თომა ნოდარიშვილები.

28 ოქტომბერს ალექსანდრე ჭავჭავაძემ ვასილ გრუდაევისა და აგენტის თანხლებით ნაფარეულში გასულა და დაბრუნებულა 30 ოქტომბერს. ნაფარეულში გლეხების საჩივარი გაურჩევია, სტუმრად არავისთან არ მისულა, მის სანახავად კი მოსულან „ნადვორნი სოვეტნიკი“ ავალიშვილი, თავადი ყარალაშვილი და სამსახურიდან გამოსული შტაბს-კაპიტანი ფენდრიკოვი.

„По наблюдениям моим, так-же и служителя моего за их посещением, особенно ничего заметить не могли, кроме по образу их обхождении приметен был как из прочих грузинцах феодальной патриотизм“. — ასკენის გრუდაევი.

2 ნოემბრამდე ალექსანდრე ჭავჭავაძესთან წინანდალში გზად გამოუვლია ბოდბელ მთავარეპისკოპოსს იოანე მაყაშვილს, გაუთევია მასთან ღამე და წასულა იყალთოში იოსებ მაყაშვილის კარის ეკლესიის გასანათლად¹. სტუმრად მოსუ-

¹ ამ იოანე ბოდბელმა მაყაშვილმა გარკვეული როლი შეასრულა თავის დროზე სოლომონ დოდაშვილის პეტერბურგში გამგზავრების საქმეში.

ლან აგრეთვე რომან ჭავჭავაძე და დიმიტრი ფალავანდიშვილი, რომლებიც 4 ნოემბრამდე დარჩენილან.

4—9 ნოემბრის განმავლობაში ალექსანდრე ჭავჭავაძეს სწვევიან პრაპორშიკი ვახვახიშვილი, ავალიშვილი, „კოლეესკი ასესორი“ მეზენკაშვილი და ექიმი დეპნერი. თბილისიდან წინანდალს დაბრუნებულა ექიმი პრეიალკოვსკიც.

ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდალში ყოფნის ვადა 16 ნოემბერს გადიოდა, მაგრამ, მას საქმეების მოუგვარებლობა მოუმჩივნებია და ბარონ როზენისათვის ვადის გაგრძელება უთხოვია. ამ უკანასკნელს ანგარიში გაუწევია მთხოვნელისათვის და ერთი თვეც დაუტოვებია ალექსანდრე წინანდალში.

ალექსანდრე ჭავჭავაძეზე თვალყურის დევნება წინანდალში სხვა ჩინოვნიკებსაც ჰქონიათ დავალებული. სწორედ ეს ჩინოვნიკი — ალექსანდრე პოპოვი ატყობინებდა როზენს 1833 წლის 14 დეკემბერს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს აქ ყოფნის ვადა გასდის და გადაწყვიტა ამ თვის 16 ან 17 რიცხვში გაემგზავროს, რომ 20 რიცხვში თქვენ წარმოგიდგეთო.

ალექსანდრე ჭავჭავაძემ მოაწესრიგა სახლისა და მამულის საქმეები და წინანდილიდან თბილისში წამოვიდა ტამბოვში გასამგზავრებლად. წინანდალში დატოვა მოხუცი დედა, მეუღლე სალომე ორბელიანის ასული და ახალად შეძენილი მესამე ასული — სოფიო.

იასაულ ვასილ გრუდაევის მიერ უქვეშევრდომილესად დაწერილი რაპორტები ბარონ გრიგოლ როზენ პირველთან იხახება საქართველოს ცენტრალურ ისტორიულ არქივში.

ვასილ გრუდაევის რაპორტებში დასახელებული ამბებისა და პიროვნებების გაშიფრვა და მათ ირგვლივ ცნობების გამოზიარება საინტერესო სურათს გადაშლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრების ერთი მონაკვეთის შესახებ.





გუგამ პანკაჟი

ცხოვრების მშვენიერება და ხელშეწყობა

სერგო კლდიაშვილი რთული პრობლემების მოყვარულ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის. თავის მცირე მოცულობის მოთხრობებში იგი სვამს ისეთ საკითხებს, რომლებიც ქვეყნებებს წარმოადგენენ ლიტერატურაში, ადამიანის აზროვნებაში. სერგო კლდიაშვილი ჩშირად უბრუნდება თავის თემებს, სხვადასხვა სახეებში წარმოადგენს მათ. თემის ან საკითხის ხელახალი დამუშავება შესაძლოა ყოველთვის მის გაღრმავებას არ გულისხმობდეს, მაგრამ მხატვრული დამაჯერებლობისათვის, სიმართლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მწერლის შემოქმედებაში. ყურადღება, რომელსაც ავტორი იჩენს მის მიერ შერჩეული თემებისა და პრობლემების მიმართ, მკითხველს უფრო მეტად არწმუნებს მათს საფუძვლიანობასა და ავტორის გულწრფელობაში.

სერგო კლდიაშვილი მეტად ინტიმური მწერალია. მას ეხერხება შექმნას უღარესად ინტიმური, ახლოლური გარემო, შეიყვანოს მასში თავისი გმირები, გაიტაცოს მკითხველი. მწერალს შეგობრული, გულთბილი დამოკიდებულება აქვს როგორც თავის მცირე მოცულობის მოთხრობათა გმირებთან, ისე მათს მკითხველებთან. მას მხოლოდ ამგვარ ატმოსფეროში შეუძლია შემოქმედება.

ს. კლდიაშვილის ნაწარმოებებში გამოუკლებლად დატულია ადგილის კოლორეტი, მაგრამ იგი არასოდეს თეითიზირებული არაა. ადგილის კოლორეტის გამოყენება ესაჭიროება თეითონ მწერალს, რათა უფრო სავსედ, ამომწურავად გადმოსცეს აღწერილ გარემოთა თავისებურებანი. მკითხველი სწორედ ისეთ ვითარებაში გრძნობს თავს, როგორც გარემოც არის მწერლის ნაწარმოებში წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, თუ რა იქნება აღწერილი — თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი, გურიის ნათელი პეიზაჟი, იმერეთის სოფელი თუ სვანეთის მცხოვრებთა ყოფა. ჩვენს აზრით, ქართულ ლიტერატურაში ასე კარგად ჯერ არავის გადმოუცია სვანეთის ზოგიერთი

ადათ-წესი, ჩვეულება და ისტორიულ-ლენგენდარული ფერადოვნება, როგორც ეს ს. კლდიაშვილმა შეძლო. ამ მხარის კარგ ცოდნასა და შესწავლაში მას უდავოდ დაეხმარა სვანეთის სიყვარული. მწერლისათვის ადგილობრივი იერის გადმოცემა არასდროს არ იღებს ეგზოტიკურ-დეკორატიულ სახეს, მწერალი ამისაგან დაზღვეულია იმიტომ, რომ მას არ ღალატობს გამოცდილი რეალისტი მხატვრის თვალი, ჭეშმარიტი მწერლის გემოვნება.

გვინდა შეეჩერდეთ ს. კლდიაშვილის კიდევ ერთ თავისებურებაზე, რომელიც, შესაძლოა, ყველაზე ნიშანდობლივი იყოს მისი შემოქმედებისათვის. ს. კლდიაშვილის ნაწარმოებთა გმირები არ არიან, ან თითქმის არ არიან დიდი ქალაქის მოქალაქენი; თითქმის არც ერთ მოთხრობაში არ გადმოუცია მწერალს დიდი ქალაქის ცხოვრება, ქალაქის რიტმი, ან მისი მოქალაქეების გართულებული, გამახვილებული ცხოვრების პირობები. ეს მოვლენა არ არის შემთხვევითი და იგი გარკვევას მოითხოვს.

სერგო კლდიაშვილის თითქმის ყველა ლიტერატურული გმირი პროვინციის მცხოვრებია. მითი ინტერესების სფერო, აზროვნება, ემოციური სამყარო, სოფლის ცხოვრებას შეჩვეული ადამიანისათვის დამახასიათებელი სამყაროა. იმ ფაქტს, რომ მწერლის სიმპატიები შეჩერდა სწორედ სოფლის ამსახველ მასალაზე, პროვინციული ყოფის გადმოცემაზე, უდავოდ სხვადასხვა მხრივი გამართლება აქვს. უწინარეს ყოვლისა, ის, რომ ჩვენში ეროვნული იერი, ნაციონალური თავისებურებანი და კოლორეტი უფრო სოფლებში გვაქვს შენარჩუნებული, შემონახული; ქართული სოფელი, ვინც კი დაინტერესდება მისი რაობით, წარმოადგენს ცოცხალ ძეგლს, მუზეუმს ეროვნულ, დამახასიათებელ ნიშნებში ჩასაწვდომად, განსხვავებით დიდი ქალაქისაგან, რომელიც ვითარდება და მიმართება საერთოდ უნიფიკაციის გზით.

მაგრამ, ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ მხარეს არ განუსაზღვრავს მწერლის არჩევანი. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვი, რომ ს. კლდიაშვილს, როგორც მხატვარს, უფრო მოსწონს მართვიად, ერთმნიშვნელოვნად მოაზროვნე სოფლის ადამიანები. უბრალო, სადა ადამიანის გრძობებში, მწერლის აზრით, ყველაზე მეტი ბუნებრივობაა. ასეთია ავტორის შეხედულება ამ საკითხზე. აქ ჩვენ საქმე არა გვაქვს არავითარ ფილოსოფიურ დოქტრინითობასთან ან რუსოიზმთან, ეს მხოლოდ მხატვრის თვალსაზრისია, მწერლის სალი გემოვნება და არა უმწეო ფილოსოფოსობა.

ერთ თავის მოთხრობაში „პატარა ცხოვრება“ ს. კლდიაშვილი გვამცნობს: „ჩაუწიეს ლამპებს, დარბაზში ჩამოხედა და ფარდის ახდის მოლოდინში ხმაურიც ჩაურედა. დაე, ცოცხად ჩამოთვალოს, რომ განსაკუთრებულად მიყვარს პიროვნების თეატრში სცენისმოყვარეთა თამაში. ეს არის ნამდვილი თეატრი, სადაც ვენებულის გამოხატვის საშუალებანი, მიმიკა, ჩაცმულობა და დეკორაციები გულუბრყვილო პირობითობის მიეღი უშუალოდ ცოცხლობენ და მაყურებელიც ახლო მონაწილეობას იღებს სპექტაკლში იმით, რომ თავისი ფიქრით და გრძნობით ავსებს სცენას და მიქმედებს. თუ ხელოვნების ძალა გულწრფელობაშია, სად შეიძლება უფრო დიდი გულწრფელობა ვიგობნოთ, თუ არა მათ შორის, ვინც თვითუღ სიტყვას თავისი გულის ნაწილს თან გამოაყოლებს!“

ს. კლდიაშვილი თავისი ნაწარმოებებით ნათელყოფს, რომ სოფლურ, გლეხურ ყოფაში იმდენად ღრმააზროვნებაა და ისეთივე ცხოვრებისეული კანონზომიერებანი მოქმედებენ, როგორც სხვაგან ყოველგან. ნოველაში „ნაბოლნარა“ ავტორი მოგვითხრობს, რომ ოდესღაც პატრიცეში აღტურვილი იორდანე ბუბაშვილას ოჯახიდან აღარაფერი არ დარჩა, გაიფანტენ ში-სი წევრები, დაიქსაქსენ სხვადასხვა ადგილებში. როგორ შორსაა ავტორი, თუნდაც ამ პატარა მოთხრობის ფარგლებში, იმათგან, ვისთვისაც ასეთი ფაქტი პესიმიზმის წყაროდ გახდებოდა, ან იმ ფილიტრთა თვალსაზრისიდან, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამ ქვეყნად სრული პარმონია არის დამკვიდრებული. განადგურდა, გაიფანტა ოჯახი, მაგრამ მისი განშტოებები რომელიც დაეცა პირობებში განაგებენ სიცოცხლეს. აღარ არსებობს იორდანე ბუბაშვილის ოჯახი, მაგრამ მის ვერძლით მკვიდრ ნიადაგზე დგანან მისი თანამესოფლენი. აქ ჩვენ მივადექით იმ საკითხს, რომელსაც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილია ს. კლდიაშვილის ნაზრევში, რომელიც მაცოცხლებელი ძალაა მწერლის, როგორც შემოქმედისა.

საქმე ისაა, რომ ს. კლდიაშვილის მთელ შემოქმედებას მეტად აშკარად გასდევს სიკვიდი-სი-

ცოცხლის მონაცვლეობის, მათი ზრდა-შეცდა მიმართების გარკვევის საკითხი. ავტორი არ სვამს ზოგად ფილოსოფიურ საკითხს, თუ რას წარმოადგენს ან ერთი, ან მეორე, არ ცდილობს გაარკვეოს მათი რაობა, მაგრამ მიუღწევს ნაწარმოებებში („სერაფიტი“, „დაბრუნება“, „ფერფლი“, „თქვენი ვამაჯვებისა, ძმებო!“, „ნაბოლნარა“, „თემელ ღამეში“ და მრავალი სხვა, რომლებიც თემატურად ენათესავენ და ეხმარებიან ამით) იძლევა მათს ოპტიმისტურ შეფასებას, იმუშავენს ჯანსაღ თვალსაზრისს.

შესანიშნავია, ეტრფოდე მძალად იდეალებს, რაც კი ადამიანს შეუქმნია, საუკეთესოა, იფიქრო უმაღლეს მატერიებზე, რაც კი ადამიანის გონებას ჩამოუყალიბებია, იცოცხლო სილამაზისათვის, ... მაგრამ, ჩემო კარგო, ცოცხალი ცხოვრება კიდევ უფრო მეტი და დიდი საქმეა. იმ იშვიათ და განუყოფელ ნიჟს, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება, ვერაფერი ვერ შეედრება. ერთი ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ვაკუაცი და დედა ჩემთვის უფრო საიმედო და გულთანადაა*ახლოა, ვიდრე ათასი ლეგენდარული სერაფიტი. ის მუხუმი გახლავთ. რა თქმა უნდა, მუხუმი მდიდარი უნდა იქნეს, მაგრამ მე მინდა, რომ ჩვენი ცოცხალი ცხოვრება მიმდინარეობდეს დაუმრთელ წყაროვანად და უფრო მდიდარიც, უფრო სავსე გახდეს. მე მინდა, რომ აქ მკვიდროდ ცხოვრობდეს ხალხი, მე მინდა, რომ... — არ დაამთავრა და ჩაჩუმდა უეცრად. ამ წუთში მან თვალი მოჰკრა, როგორ მოსწყდა ეს ერთი ვარსკვლავი, როგორ გასრიალდა შუქი უსაზღვრო ეთერში და შემდეგ ჩაქრა სამუდამოდ“.

ეს პატარა ნაწყვეტი ამოღებულია ს. კლდიაშვილის ერთ-ერთი ბრწყინვალე ნოველიდან „სერაფიტი“. თვითონ სათაური ამ ნაწარმოებისა სიმბოლურია. იგი სიმბოლოა ყოველივე უსაგნო, წმინდა სილამაზისა, რომელიც ამის გამო ვანაკუნებული ვაგზდარა და „გარდასულ მშენებელს“ წარმოადგენს. საინტერესოდ, ღრმააზროვნად არის აგებული თვით ნოველის შინაარსიც. სარაიონო ქალაქის საუკადმყოფოს დერეფანში ტარასი გელაშვილი ექიმი ელოდებოდა. მისი მშობიარე ცოლი უკანასკნელ დღეში იყო და შეშფოთებული ტარასი ექიმის წასაყვანად ჩამოვიდა. ექიმი მინდელი კი ყოყმანობდა: იგი საშინლად დაღლილი იყო სამუშაო დღის შემდეგ, მაგრამ, რაც მთავარია, სახლში ელოდებოდა რაიონში ვავლით მასთან გაჩერებული, დიდინის უსახავი მეგობარი არქეოლოგი. მეგობარი ორნაირად იყო მისთვის ძვირფასი: ერთი რომ, იგი იშვიათ სტუმარს წარმოადგენდა, მეორე კი იმიტომ, რომ ჩამოუტანა ახალ-ახალი ამბები, რაც კი ქართულ არქეოლოგიაში მომხდარიყო, კერძოდ, უამბობდა ულამაზესი ქალწულის, სეკა-კურტის აღმოჩენილი სამარხის შესახებ, რითაც და-



ატყვევა მასპინძლის ყურადღება. მცირე კოქმანის შემდეგ ექიმი დათანხმდა ტარასი გელაშვილს გაპყლოდა ავიდმყოფ ცოლთან და თან არქეოლოგიც გაიყოლია.

ექიმი მინდელი გზადაგზა გაუთავებლად ლაპარაკობდა, ფილოსოფოსობდა, კრძალვით შეკურნებდა რომელიღაც ტაძრის ნანგრევებს, ტყებოდა ამ კუთხის ლამიანი პეიზაჟით და შემდეგ ხმაშლით გამოთქვამდა თავის აზრებს. არქეოლოგს არ მოსწონდა მეგობრის ამგვარი ენაწყლიანობა. იგი მღუშპარედ უჭერებდა გარემოს და ექიმის საუბარი მხოლოდ აღიზიანებდა. ბოლოს გადაწყვიტა, რომ არქეოლოგი დარჩებოდა ტაძრის დასათვალთვლებლად, ხოლო ექიმი ტარასის გაყვებოდა.

მძიმე სურათი დახვდა მინდელს ტარასის სახლში. ხუთი დღის წინ ქალს მოემშობიარებინა და ბებიობა ერთ სოფელს ექიმმაშ დედებერს გაეწია. ორი დღის შემდეგ ქალი ლოგინად ჩავარდნილყო და გამოედგინა თვალმა შეტაკო, რომ მის სასიცოცხლო პირი აღარ უჩანდა. „ძალიან ახალგაზრდა ჩანდა ქალი, თანაც ლამაზი. დიდხანს მღუშპარედ იჯდა ექიმი და სინანულით დასცქეროდა მშვენიერ სახეს. პირველი წუთიდანვე მისთვის ნათელი ვახდა, რაც დამართოდა. „სერაფიმა! — რატომღაც მოაგონდა ეს სახელი“.

სოფლიდან კარვად დამორბეული არ იყო მინდელი, როდესაც კვიცილი გაიგონა. კვიცილი ტარასი გელაშვილის სახლის მხრიდან ისმოდა...

როდესაც ძველი ტაძრის ადგილმდებარეობას გაუსწორდა, არქეოლოგი შემოეგება. იგი აღტაცებული იყო ნანახით. ძველის უნიკალობით, კონტრასტურის მონუმენტურობით, ისტორიის სიფაქიზით. მას ძველის დათარიღებაც მოეწეროდა. იგი შეთვლითვე საუკუნეს ეკუთვნოდა. გატაცებით ლაპარაკობდა მის იშვიათ ჩუქურთმებზე, შემდეგ საერთოდ ქართული ჩუქურთმის სინატიფზე... ექიმი გულგრილად უსმენდა თანამგზავს, გულს არ ეკარებოდა მისი საუბარი, თითქოს აღიზიანებდა კიდევ. „რამდენს ყბედობს!“ — გაიფიქრა უკმაყოფილოდ. ექიმს ვერ წარმოედგინა, რომ რამეს შეეძლო ემოქმედა მასზე, მის განმარტებზე იმის შემდეგ, რაც ცოტა ხნის წინ ნახა. იგი უღედოდ ფიქრობდა იმ ქალის სიკვდილზე, რომელიც ბრმა, უაზრო შემთხვევითობით იყო გამოწვეული. მინდელს ვერ წარმოედგინა, რომ შესაძლებელია გატაცებით ისაუბრო თუნდაც ხელოვნების საკითხების შესახებ იმ დროს, როდესაც შენს გვერდით გაუმართლებლად, უმიზნოდ ისმობა სიცოცხლე; შენი ყურადღება დაუთმო ისეთ საკითხს, რომელსაც უშუალოდ გამოკიდებულია არ ექნება ამ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლესთან, საერთოდ, ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლესთან. ადამიანის სიცოცხლე ისეთი ძვირფასი რამაა, — სურს ავტორს თქვას, —

რომ მასზე მალა ვერც ერთ პრინციპულად ალს, აზრს ვერ დაეყენებო. არაფერი არ არსებობს უფრო აზრიანი, ვიდრე სიცოცხლეა. რაღაც მნიშვნელობა ეძლევა ასეული წლების წინ მცხოვრები სერაფიტის ლანდისათვის ყურადღების მიპყრობას, როდესაც ცოცხალი ახალგაზრდა სერაფიტი იღუპება, შესაძლოა ყურადღების ნაკლებობის გამო?

ამგვარად ფიქრობს რაიონის ექიმი ავტორთან ერთად. ამვე თემას უკავშირდება რიგი ნოველების: „ხნელ ღამეში“, „ფერფლი“ და სხვა.

ს. კლიაშვილის ნაწარმოებებში ვერ შეხვდებით სიცოცხლის ჰიმნებს, მის უშუალო ზოტბას, მაგრამ მისი გმირების მოქმედება დიქარი, მის წრათვება და საქმიანობა აქეთვენაა მიმართული. „მშვენიერია ცხოვრება“, ასე მსჯელობენ ქვეშეცნულად ს. კლიაშვილის გმირებიც და მათთან ერთად მკითხველიც.

ძალზე კარგია ნოველი „თქვენი გამარჯვებისა, ძმებო!“ ამვე თემატურით რეკლიდან. ეს ნაწარმოები უჩვეულოდ პატრიოტულია, ცხოვრებისადმი დიდი იმედისა და ფართო ვიწროების გამოხატველი. მისი შინაარსი მარტივია, მაგრამ ორიგინალური, სიუჟეტურად იგი თითქოს დაუმთავრებელია, მაგრამ განწყობილებით და აზრობრივად მეტად შეკრული. ეს არის, ერთი მხრივ, ვრცელი ისტორია ერთი გზაბნეული ადამიანისა, რომლის პირველი მარცხის მიზეზი გამხდარა ის, რომ სამშობლო მიუტოვებია, ხეტიალს შეპყროლია და ამის შემდეგ თუ ამის გამო ცხოვრებისაგან გარიყული გამხდარა. მეორე მხრივ კი, გაცილებით ნაკლები დროის მომცველი, მაგრამ კიდევ უფრო შექვემდებარებული ამბავი ახლადდაბადებულისა, რომელიც ამ ქვეყანაზე გაჩნდა ნახევრად უკაცრიელ გარემოში, კალაოტდამშრალ მდინარეში, ჩაფლული მოტორიანი ნავის კიბუტაში... მაგრამ მაინც სამშობლო ქვეყნის წიადში, ცხოვრების ნათელი მომავლით.

მხატვრულად ძლიერ ამ ნაწარმოებში მეტად კონტრასტულად, კოლორიტულად და დიდი არტისტიზმით დაპირისპირებულია ბედი ამ ორი ადამიანისა — გზაკვალებული პოლანდიელი შვიპერის, ფილიპო როვერის ცხოვრებისა, რომელიც ერთი გაუთავებელი გაუგებრობა გამხდარა მისთვის, და არაჩვეულებრივ, არაბუნებრივ პირობებში დაბადებულა ქართველისა, რომელსაც ჯერ სახელიც არა აქვს, მაგრამ მისი სამშობლოში ყოფნის გამო ასეთ პირობებშიც ბურ-მარბილი იშლდა და გულთაიდა სიღღერძქელები ითქმის.

თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ს. კლიაშვილი გვევლინება ლირიკული პროზის შესანიშნავი ტრადიციების განმტკიცებლად. როგორც დიდი, ისე მცირე მოცულობის ნაწარმოებებში თანაბრად არის განხორციელებული



მწერლის ეს მხატვრული ხერხი. მის მოთხრობაში სიუჟეტის ხაზის განვითარება, კოლოზიებისა და მხატვრული ვარემოს შექმნა წარმოებს ლირიკულად გაწყობილ გმირთა გარშემო. ს. კლდიაშვილის ბელეტრისტიკის თავისებურებაში არ შედის სინამდვილის ეპიკური აღქმა, მისი ეპიკური გადმოცემა. მწერლის მხატვრული სტილისათვის უფრო ნიშანდობლივია ემოციური, გრძობისმიერი მიმართება სინამდვილისადმი და იქნებ აქ უნდა ვეძებოთ ამ მწერლის მიმხედველობა, ენტიმეორი თხრობის ოსტატობა.

თავისებური მიდგომა აქვს ს. კლდიაშვილს მის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებთან, აღწერილ ამბებთან, დახატულ პეიზაჟთან; იგრძნობა წერის მსუბუქი მანერა, მზით გამთხარა ბუნების სიციცხლე, ნაზი იუმორი საკუთარი პერსონაჟების მიმართ, თანაგრძნობა მათადმი არა მარტო მწუხარებაში, არამედ სიხარულშიც და რაფინირებული გეოგნება მკითხველისათვის ყოველივე ამის მიწოდებაში.

მწერალი მუდამ იმის ცდაშია დაიმსახუროს მკითხველის თანაგრძნობა თავის მიერ მოყოლილი ამბის გამო, აღწერილი გმირის თავგადასავლის მიმართ. განა ამგვარ მოკლე მოთხრობას არ წარმოადგენს „შემოდგომის წვიმა“, რომელშიც ადამიანის ბუნების კარგი ცოდნით და მის მიმართ ლობიოერი სიყვარულით მოთხრობილია ერთი მათხვერის ცხოვრების რამდენიმე დღის ამბავი!

მოთხრობაში ძუნწი, გარეგნულად უმნიშვნელო შტრიხებით მწერალმა დაგვიხატა მთელი სიმამრე სასაწარკვეთილებსა, რომელიც მხოლოდ უსახლკარო ადამიანს შეიძლება ჰქონდეს; დაგვიხატა ტკივილი ადამიანსა, რომელსაც არადფერი გააჩნია, მაგრამ რომელიც გაახსენეს, თუ რას არის იგი მოკლებული.

კომპოზიციურად და შინაარსობრივად საინტერესოა „დაკარგული თასი“. უდავოდ, ეს მოთხრობა უფრო ღრმაა, ვიდრე იგი ერთი წაკითხვით ჩანს. ამ ნაწარმოებში არა მარტო თასი იყარვება, იყარვება ბევრი სხვა: მთავარი გმირის, გივი გორდაძის ბავშვობა ქვეულა მოგონებად, ძველი სოფლის კონტურები სარაიონო ქალაქის ცხოვრებაში გადაზრდილია, შესაძლებელი რომანული ძაფები არ გაიბა გმირებს შორის და ბოლოს გივის მთავარი მიზანიც არ შესრულდა — იყარვება რომელიღაც ძველებური, მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნივთი, რომლის შესამოწმებლად და წასადებად ჩამოსულა ამ სოფელში ეს ახალგაზრდა არქეოლოგი. ნაწარმოები განწყობილობათა ნაირნაირ მონაცვლეობაზეა აგებული და ასხმული.

ჩამორჩენილი სოფლური ცხოვრების წესის შესახებ მოთხრობილია მწერლის სხვადასხვა ნაწარმოებებში — „მინდვრის ყვავილი“, „ქალაქი ხევი“, „ზევი“ და სხვა. ამ ნაწარმოებთა წაკითხვის შემდეგ ნათელი ხდება, როგორ აცოცხ-

ლებს სოფელს ყოველი ახალი მშენებლობა, რამე დიდი ღონისძიება, მასში ინტენსიური სულის შეტანა; ეს სოფლის მეორედ დაბადებას უდრის. ნოველში „მინდვრის ყვავილი“ დამაჯერებლად არის ნაჩვენები სოფლის ტელეგრაფისტის ფსიქიკა, მისი უღიმღამო არსებობა, სანამ სოფლის ცხოვრებაშიც არ შეიჭრა სიციცხლის სხივი (როდესაც მის მახლობლად დაიწყეს ელსადგურის მშენებლობა). მხოლოდ მუშაობითა და შრომით გამოიწვეულ ენთუზიაზმს შეეძლო ნამდვილი სიციცხლისაყენ მიებრუნებინა ტელეგრაფისტი, მხოლოდ ამგვარ მშენებლობას შეეძლო გამოეფხზებინა იგი წლების განმავლობაში მოკიდებული თვლემისაგან.

„ქალაქი ხევი“ მხატვრულად სავსებით დასრულებული ნაწარმოებია. მწერალი მასში რეველუციამდელი იმერული პატარა ქალაქის დასამხსოვრებელ და კოლორიტულ სურათს ქმნის. ნაწარმოები დაწერილია ცოცხალი იუმორით, ოსტატურად ნაბოვნი ცხოვრებისეული შტრიხები იმერეთის ყოფისა, შეკრებილია მდიდარი, საინტერესო ტიპები ნახევრადქალაქური, ნახევრადსოფლური მცხოვრებლებისა და ყოველივე ეს მოწოდებულია ოდნავ გროტესკულად.

მწერლის გამამხნეველი, იუმორისტული განწყობილება მოთხრობაში ძალზე ხშირად იცვლება ირონიით, ირონია გადადის სატრაში, სარკაზმში და მკითხველი უნებურად ზიზღით იფხვება იმ პირთაგანად არსებობის მიმართ, რომელსაც ხევის მოქალაქენი ეწევიან თავიანთი სიციცხლის მანძილზე. რა არის მათი საზრუნავი? რაზე ფიქრობენ ისინი? რით ერთობიან? რა წარმოადგენს აქვთ ვარე სამყაროზე? ვინ არიან ამქალაქეები ამ ხევისა? რა იფიქვს ყველგან დიდ პოეტებმა ამ ქუქყიან და საზიზღარ ქალაქში? ყველა ამ კითხვაზე ვპოულობთ პასუხს ს. კლდიაშვილის მაღალმხატვრულ ნაწარმოებში. გონებამხვილობით, მონერხებული შედარებებით და ებითეტებით, კოლორიტული სახეებით მწერალი გადაკვიშლის პატარა ქალაქის ტიპურ სურათს.

ს. კლდიაშვილი ლაკონიურია და ეკონომიური თავის მხატვრობაში. „ვიწრო ხევი“ პატარა ქალაქი ჩაბუდებულია. ხის კოლოფები ოჩოფხებზე შემდგარა. ქვეშ ცხოვრობს ოჯახის „სიმდიდრე — ღორი, ცხვარი, ძროხა. ზედა სართულში — ადამიანი“. ეს მხატვრული მასალის მომჭირნება მწერალს საშუალებას აძლევს უფრო ნათლად გამოთქვას თავისი შეხედულებანი და აზრები, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, იგი მათი ზემოქმედების გაძლიერებისკენ აქვს მიმართული.

მწერალი მუდამ სინამდვილიდან იღებს თავის პერსონაჟებს, ბუნების სურათებს თუ ქალაქურ პეიზაჟს. მწერლისათვის სინამდვილე არ წარმოადგენს განზოგადებებისა და განყენებული შეხედულებების შესამუშავებელ მასალას. ს. კლდიაშვილი სინამდვილეს იყენებს არა თეორიულ



მსჯელობათა და აზრების გამოსატყეველად, არამედ, პირიქით — რაიმე აზრი ან შეხედულება მას განვითარებული აქვს მოქმედებაში, სიუჟეტში, ამბავში.

უფრო ტრაგიკული ნაწარმოები „პატარა ცხოვრება“, ეს ნაწარმოები მხატვრული მთლიანობის თვალსაზრისით ჩამორჩება მწერლის ზოგიერთ ქმნილებას, მაგრამ თავისი თემატური გამიზნულობით სასტიკად ამხილებს იმ საზოგადოებას, რომელიც თვა აქვს აღკვეთილი პიროვნების საუკეთესო თვისებათა გამოვლენას, სადაც იჩინავდა და ინშობა ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებები, სადაც ლტოლვა თავისუფლებისაკენ, სილამაზისაკენ ყოველთვის კრახით მთავრდება (მოთხრობა რევოლუციამდელ ყოფას აგვიწერს). საზოგადოებას, რომელიც, ერთი მხრივ, უსულგულო ბიუროკრატებისაგან შედგება, ხოლო, მეორე მხრივ, მათგან დაშინებული ფილისტერებისგან, მხოლოდ განადგურება მოაქვს ცალკეული მებრძოლი და მოაზროვნე ადამიანებისათვის. მწერლის მიერ დახატული ეს ადამიანები დასაყრდენს ვერ პოულობენ, მორალურად მცემიან და ამისაგან ფიზიკური სიკვდილიც შორს აღარ არის.

მოთხრობა პირველ პირშია დაწერილი, მაგრამ მისი მთავარი გმირი უდავოდ სალომეა. ნაწარმოებში მკრთალად, მაგრამ მინც საკმარისად არის ასახული მეშინურ-ფილისტერული გარემო, ადამიანები, რომლებსაც ჯანსაღი პრინციპულობისა და იდეური თავგამოდებულობის არაფერი სცხიათ.

მოთხრობაში კიდევ ერთი ფენა იჩენს თავს პროვინციელი მსახიობის, მიშაკოს სახით. მიშაკო მოლიბერალო შეხედულების პატრონია, მაგრამ მისი პროტესტი ისევე უსუსურია, როგორც მისი პროფესიული მიღწევები. იგი ჩითრა ინტელექტის არასახარბიელო, მაგრამ გავრცელებული ტიპია.

„პატარა ცხოვრება“ დაწერილია თბილი ლირიზმით, ადამიანური გულსტიკვილით და მწერლის მაღალ ჰუმანურობაზე მეტყველებს.

შთამბეჭდავი და სურნელოვანი ს. კლდიაშვილის სევანური ნოველების პოეტური ციკლი. იმ მოკლე მოთხრობებში დახვეწილად, საესე ფერებით და დრამატულად წარმოდგენილია საქართველოს ამ თავისებური გმირული კუთხის წარსულის ზოგიერთი ჩანახატი, შუა საუკუნეების სუნთქვა, ვნებები და მორალი, ხოლო მათ გვერდით დღევანდელი, ახალი სევანით და მისი განთავისუფლება (თუმცა არაუმტიკვენოდ) დრომოქმული ადით-ჩვევებისაგან.

ს. კლდიაშვილი, უპირველეს ყოვლისა, მხატვარია და მისი სევანური ნოველები მწერლის უშუალო შთაბეჭდილებების, მოგზაურობათა შედეგად ნახულის მეტად მართებული, ან პოეტური (რაც ამ შემთხვევაში ერთი და იგივეა)

გადმოცემა. მწერალმა აქ ნახა ^{გარეგნული} ჰუმანიზმი რამ, რაც სხვაგან მას არ შეხვედროია, სწორედ აქ იგრძნო ის, რაც სხვაგან არც შეეძლო ეგრძნო, და შეეცადა აეწერა ისე, რომ „არც არაფერი დაემატებინა და არც არაფერი დაეკლო“. ჩვენ შეგხვედროია ძალიან ბევრი ჰუმანური ადამიანი, რომლებიც გატაცებით ჰყვებოდნენ სევანთზე, მის წარსულზე, მაგრამ საბოლოოდ მათი ნაამბობი ჰგავდა ს. კლდიაშვილის მოკლე მოთხრობებში აღწერილ ამბებს, სიუჟეტებს. ხოლო ამ უკანასკნელ მოვლენას კი აღბათ მივხედავ ისევე. ს. კლდიაშვილის ნოველებში მოქმედებებს: ისინი დიდი გულწრფელობით, პოეტურობით და დამაჯერებლობით გამოირჩევიან.

„ძველი კოშკი“ დაწერილია პირველი პირით. ამ ნოველაში თქვენ იგრძნობთ სევანთის მთებს, ბუნებას, თუმცა ამის შესახებ პირდაპირ ძალიან ცოტაა თქმული, ნახავთ, რომ მხოლოდ ასეთ ქვეყანაში შეიძლება ადამიანს ავტობლდეს მთის მწვერვალთან სიდიადე. „მათ იტაცებს მთვარის სხივით დაფერილი მწვერვლები და ამ ნათელს ებოტინებიან. გაბოროტებული დაძრწიან მთებზე, დაფოფხავენ კლდეებზე. ისინი მთათა შეწირული ზნებიან და თითქმის ყოველთვის ერთნაირად ილუბებიან: ჩქერი გაიტაცებთ, ან ნაბრალში იჩებებიან“. აქ გაეცნობით შუა საუკუნეთა მდიდარ რელიქვიებს, რიჩუგაიანების გვარის თავისებურ აღსასრულს სევანთში და, ავრთვე, თანამედროვე ახალგაზრდა სევანის ოჯახის თათელ პრინციპტივიან ცხოვრებას, რომელიც დროებითი რიჩუგაიანის მრისხანე კოშკშია შევადლებული.

ფეოდალური სევანთის თემა მეორდება ნოველებში „ლაშხეთის ბატონი“, „უშგულ“, „ხალდე“ და სხვა. ეს ნოველები დახვეწილი არტისტიზმითა და ფერადოვნებით გამოირჩევა. ყოველ მთვანში თავისებურად და, უნდა ითქვას, ნუნუმეორებლად, ნაჩვენებია, თუ რა ვანს წარმოადგენს თავისუფლება ადამიანისათვის და რა მრავალგვარი ფორმით შეიძლება გამოვლინდეს ბრძოლა მის დასამკვიდრებლად. ყველაზე მომცრო ამ მოთხრობათგან — „უშგულ“, სულ ოთხიოდ გვერდზეა გაშლილი, მაგრამ ყველაზე მასშტაბური, მონოლითური და პათეტიკურია. მისი სიუჟეტის ვადმოცემა ზედმეტი იქნებოდა, მკითხველისათვის იგი საკმარის ცნობილია. მხატვრულად ნაწარმოები კარგად არის შესრულებული. მაგრამ ყველაზე დიდი მნიშვნელობა, ჩვენს აზრით, მინც თვითონ თემას, ამ მოთხრობის საკანძო საკითხს ენიჭება: ერთიანია და მლიონი ხალხის ნება, როდესაც იგი წყვეტს თავისუფლების საკითხს.

ს. კლდიაშვილის ეხერხება ხალხის, ადამიანთა დიდი ჯგუფების, მასის, გაშლილი ხალხური ღრობების და ზეიმების ხატვა. ხალხის ძალის

და რისხვის ჩვენების მხრივ საინტერესოა და კოლორიტული „ლაშქეთის ბატონი“, მაგრამ იგი უფრო ეთნოგრაფიული მოვლენაა და მხატვრული თვალსაზრისით ეტიუდური.

სიმძაფრითა და ამტყდარი ვენებების სიძლიერით აღინიშნება ნოველა „პარტიზანები“. მასში მოთხრობილია, თუ როგორ მკაცრად გადაჭრა სამართალი სევანმა გიერგილმა მეგობარ პარტიზანსა და საყუთარ ძმას — ჯატუს შორის, უკანასკნელის სავალალოდ.

შინაარსით ეს მოთხრობა ძალზე უახლოვდება მერიმეს პოპულარულ „მატეო ფალკონს“, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს უღირესად თვითმყოფ, სევანეთის მკაცრი ყოფისათვის დამახასიათებელ ნაწარმოებს. სევანი გიერგილის ან ჯატუს სახეები არ არის გამოვლილი და არც მერიმესაგან არიან ისინი რითიმე დავალეგულნი. მრავალი სევანი კარგი იბარლისათვის მართლაც ასალმებდა ადამიანს სიცოცხლეს, როგორც ავტორიც შენიშნავს, ხოლო მრავალი მათგანი კი ისე მკაცრი იყო სამართალის გამოტანაში, როგორც გიერგილი. ამიტომაც არ შეიძლება „პარტიზანებში“ „მატეო ფალკონს“ არ მოგვაგონოს და არ შეიძლება პირველის წვაითხვის შემდეგ არ დაერწმუნდე მის თვითმყოფობაში, ორიგინალობაში.

თანამედროვე სევანთს ეხება მოთხრობა „მტრები“, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ შევიდეს ადამიანს შეგნების ამაღლებაში თანამედროვე საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. იმისათვის, რომ ადამიანს შეეცვალოს წარმოდგენები, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, შეიცვალოს მისი ცხოვრების წესი, ადამიანები ერთმანეთს დაუკავშირდნენ ახალ სოციალურ ურთიერთობაში.

ამ ნაწარმოებით ს. კლდიაშვილმა მართებულად ვადმოგვცა, რომ ადამიანების, სხვადასხვა კუთხეთა ჩამორჩენილობას უნდა ვებრძოლოთ მათი ახალ ურთიერთობაში ჩაბმით, მხარეთა ინდუსტრიალიზაციით, მოწინავე ადამიანებად და მხარეებად მათი ქცევით. ის, რომ ორივე ჩამორჩენილი სვანი გლეხი, აღსვენით ერთი — შურისძიებით, მეორე კი ამის შიშით, ცხოვრების ნამდვილ აზრს შრომაში პოულობს (მას შემდეგ, რაც ისინი ფეროშენადნობის ქარხნის მუშები გახდნენ), მისასალმებელი თემაა და გაცილებით უფრო დიდი მხატვრული ტილოს ღირსიცაა.

არის ნაწარმოებები, რომელთა დასაწერად მწერალი დიდ მოსამზადებელ სამუშაოს არ ატარებს, არ ფიქრობს, რომ იგი ფართო მნიშვნელობისა გახდება, მაგრამ მისდაუნებურად ნაწარმოები შემოქმედის სულში მომწიფდება, არაცნობიერად მხატვრულ სრულყოფას შეიძენს, გამოყოფა ხელოვანის გრძნობებსა და ფიქრს და დამოუკიდებელ სიცოცხლეს შეიძენს.

მოთხრობა „წარმართი“ შესრულებით როდღ

გამორჩევა სხვა მოთხრობებისაგან, ^{მწერლის} მასში ნაკლებიც იყოს ის არტისტიზმი, რომელიც სევანურ ნოველებს სხვა შემთხვევაში უფრო ახასიათებს. მაგრამ იგი ჩვენ უძვირფასეს მარგალიტად მივაჩინა სერგო კლდიაშვილის მიერ შემოქმედებაში. „წარმართი“ ბევრნაირად არის შესანიშნავი. როგორც ხელოვნების ყოველი დიდი და კარგი ნაწარმოები, „წარმართი“ მრავალმხრივად შეიძლება იქნეს გაგებული. უპირველეს ყოვლისა, ეს ნაწარმოები არის სულიერი სიმშვენიერით ტკბობის ქებათა-ქება, საკეთირი სულით დატკბობის ჰიმნი, ადამიანის შინაგანი ცხოვრების სიმაღლეთა ჩვენება. ამ მხრივ „წარმართი“ შესაძლოა გავიგოთ, როგორც სიმბოლური ნაწარმოები, ხოლო მისი გმირი — სოზარი, როგორც ერთგვარი სიმბოლო სულიერი მოღვაწეობისა. ამ სრულყოფილ ნაწარმოებში ნაჩვენებია, თუ როგორი ბედნიერება მოაქვს ადამიანისათვის სულიერი შემოქმედებას, როგორ იქცევა ღამაში ფანტაზიით სავსე შინაგანი საყარო ადამიანის სიხარულად, ცხოვრების შინაარსად. გარეგნობით სოზარი მახინჯი ადამიანია; „მსუქან ტანზე მოკლე ფეხებით, პატარა და თავკომბალა, სვანური ფანფანაკით კოსროზე, სოზარი დიდ სკოის გავდა. შეიძლება იმტომ, რომ უყვარდა ძილი თივის ზვინში და ნაძვნარის ჩრდილქვეშ, მუდამ სდიოდა ხავსის და ნოტიო მიწის სუნში“.

მაგრამ გარეგნული უსახურობა სოზარისათვის არ იქცევა მწუხარების წყაროდ. ამ მხრივ, იგი უპირისპირდება და გაცილებით ზნეობრივად მყარი აღმორჩევა გარეგნულად მის მონათესავე ქონდრის კაცზე უაღრეს ზღაპრიდან „ინფანტის დაბადების დღე“. უაილის ქონდრის კაცსაც უყვარს სილამაზე, ყოველივე მშვენიერი, მაგრამ როგორც კი დაინახავს თავის სიმახინჯეს სარკეში, მიღებულ ტრავმას ვერ უძლებს და გულს უსვდება. სოზარს გაცილებით მეტი მორალური ძალა გააჩნია, რადგან იგი არა მარტო ეტრფის მშვენიერებას, არამედ ჰქმნის მას, არა მარტო თავყვანს სცემს სილამაზეს, არამედ თავად სილამაზეს წამოადგენს თავისი სულით, შემოქმედებით.

მშვენიერება არაგარეგნულია, არაოპტიკური, — ამბობს ამ მოთხრობის ავტორი. მშვენიერია მხოლოდ ის, რაც დაფარულია და თვალის პირველი დანახვისათვის უხილველი. მშვენიერია ის, რაც იბადება მიულოდნელად, იქ, სადაც მას არც ელი. მშვენიერია სოზარი, შემოქმედი პიროვნება, თემცა მას გარეგნულად მახინჯს უწოდებენ სოფელში. მშვენიერების გენია ხალხშია გაფანტული, გაბნეული და არავინ იცის, სად, როდის, ვისი სახით გამოვლინდება იგი. ამგვარ აზრებს ბადებს „წარმართი“ მისი საფუძვლიანი წვაითხვის შემდეგ.

მეორე მხრივ, „წარმართი“ ამ ცხოვრების ქებათა-ქებასაც წარმოადგენს. თვით ნაწარმოების



სათაური მიუთითებს, რომ მთავარი გმირისათვის უცნობია რაიმე შეზღუდვები ცხოვრების ყოველგვარი მადლით სარგებლობაში. სოზარისთვის უცხოა სასტიკი ქრისტიანული იერარქია როგორც ეკლერ, ისე მიწიურ ღირებულებებში. სოზარის მსოფლშეგრძნობა უფრო პირველყოფილია, არაგონებისეული, ემოციური, ვიდრე ქრისტიანული დოგმები.

სვანი სოზარი თანაბარი სიფაქიზითა და სიყვარულით უყურებს გარემოს — ბუნებას და ადამიანებს, მათს საქმიანობას, ბუნების მოვლენებს და ცხოველებს, რომელთაც იგი მშობლიურ კლდე-ღრებში ხვდება... მისი პირველყოფილი, ხელუხლები, კეთილშობილი ბუნებისათვის უცხოა მათი გარჩევა; ასევე უცხოა მისთვის უმცროს-უფროსობის ცნება, ღირებულებათა ჩვეულებრივი შეფასება.

ერთხელ სოზარი ბერებს შეეკედლა და მათთან მონასტერში ცხოვრობდა. „მატარა საჯვარე, რომელიც სიძველისაგან ინგრეოდა და რომელსაც არავინ ეკარებოდა, სოზარმა თავის საყვარელ ადილად მიიჩნია. როცა შიგ ბერები შესულან, დაუნახავთ, რომ იჯდა სოზარი კუთხეში და ტიტველ კედელს მისჩერებოდა...“

ერთხელ, როცა შემთხვევით კარი ღია დარჩენოდა, საჯვარე შეაღო მოხუცმა იოვანემ. შესვლისთანავე გაოცებული შეჩერდა ის მთულოდნელი სანახაობისაგან: ჯირკვზე შემდგარი სოზარი ერთ თავისუფალ კედელზე რაღაცას ხატავდა. დანარჩენი სამი კედელი უკვე მოხატული აღმოჩნდა... იოვანეს ხშირმა სიცილმა თავი მოუყარა მონასტრის ძმებს. ისინიც გაკვირდნენ ნახულით და ბერები იცინეს.

მარჯვენა კედელზე აღმართულიყო კლდიანი მთა, სადაც ჯიხვების ჯოგი ბალახს ძოვდა. ყინულით დაფარულ მწვერვალს და წინამძღოლ ჯიხვს თავზე წმინდანების ნათელი ჰქონდა დადგმული. მარცხნივ ეხატა კოშკები, სოზარის ძმები, რომელნიც არაყს რქებით სვამდნენ, შემდეგ ჩქერალები, ბილიკი მთებში და წყარო... და ყველას სათითაოდ გარშემო ნათელი უვლიდა.

მესამე კედელზე ეხატა ჭრელთავსაფერიანი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც გარშემო დიდი ნათელი ეფინა. მისი სილამაზე მეტად მიწიერი იყო. წარბზე ჭრილობის კვალი ემჩნეოდა. კისერი მიივებით შემკული ჰქონდა. ფაფანაკით თავდახურული ყმა ქალის მყერდს მიკროდა და სავეე მუქუს ხარბად დასწვებოდა. ქვევით უსწორო ასოებით ეწერა: „წმინდაო მარის, ღვთისმშობლის სწორო“ (სიციხადისაივის უნდა ვთქვათ, რომ მარისი სოზარის ახალგაზრდობის ტრაგიკულ სიყვარულს წარმოადგენდა).

ყოველივე ცოცხალი თანაბრად ღირსია მზის სინათლისა, ყველანი სწორი ვართ მის სხივებშივე, ყველა ჩვენი მოქმედება სიცოცხლის და-

წაუფება, მხოლოდ ამას სხვადასხვაგვარად ვითებენ სხვადასხვა ადამიანები, — ამგვარად ესმის ცხოვრება ხელოვან სოზარს.

სოზარი არ წარმოადგენს დიდ ტალანტს. „ყველაფერმა ამან, — გამცნობს მის მხატვრობაზე ავტორი, — შესრულებულმა უჩვეევი ხელით და კიდევ უფრო დამხატავის გულბერძნობამ დიდხანს აცინა იოვანე და მონასტრის მოძღვარი“. სოზარი არის პოეტური ხალხური გენია, რომელიც მოიპოვება ერის, ხალხის უფართოეს ფენებში. იგი გარეგნულად ჯერ. გაუფორმებელია, დაუწმენდელი და განუვითარებელი, მაგრამ ეს პოეტურობა არსებული ნიჭი მხოლოდ იმას ელოდება, რათა აყვავდეს და აფრქვიოს თავისაგვე დამბადებელ მშობელ ხალხს მასში არსებული სიმდიდრე.

ს. კლდიაშვილი ამგვარად ამთავრებს თავის პოეტურ მოთხრობას: „დამარხულია სოზარი თავისი სოფლის ეკლესიის გალავანში. იქვე დევს დიდი ლოდი, რომელზედაც გამოკვეთილია საჭურველით დამშვენებული კაცი. გადმოცემით ის სოზარს წარმოადგენს. ქანდაკება ერთობ უხეში ნახელავია, მაგრამ მაინც სტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ოსტატს ეწადა გამოეხატა სულით მაღალი ადამიანი“.

თავის მხრივ, მწერალმა ყველაზე სრულყოფილად და ხატოვანად ამ ნოველაში გადმოგვცა საკუთარი შეხედულებები ცხოვრებაზე, ხელოვნებაზე, შემოქმედებაზე. მან პლასტიკური სახეებით შექმნა ხელოვანის შთაბეჭდავი პორტრეტი. ს. კლდიაშვილმა ბევრი რამ თავის მსოფლშეგრძნობიდან მიაწერა „წარმართის“ გმირს, როდესაც სოზარი ხატავდა, განურჩევლად დახატულისა, მათ ნათელს ავლებდა თავზე. ეს იმიტომ, რომ ყოველივე, რაც მის გარშემო იყო, ცოცხლობდა, არსებობდა, ისევე მოდა, ყველაფერი მხოლოდ უსახლგრო სიხარულისა და ასეთივე სიყვარულის გრძნობას იწვევდა მასში. ყველაფერი მშობნიერი იყო მის გარშემო იმიტომ, რომ თვით მისი სული იყო მშვენიერი. სოზარი თანაბრად ტკებოდა მათი ხილვით, შეხებით, განსახიერებით, რადგან უგლოვერში გრძნობდა სიცოცხლეს, ამ ყველაზე მეტად სასწაულებრივ, შესანიშნავ ნიჭს.

სერგო კლდიაშვილი ამ მოთხრობით ერთხელ კიდევ დაუბრუნდა სიცოცხლის თემს და კიდევ ერთხელ იგრძნობა თავი გამარჯვებულად მის დამუშავებაში. ს. კლდიაშვილი თავისებური გაგებით სოზარია. ისევე როგორც სვანი ხელოვანი, ს. კლდიაშვილი ტკებდა თავისი ხელოვნებით, მაგრამ შემოქმედების დროსაც უფრო მეტად მას აინტერესებს თავად ცხოვრება, სიცოცხლე, რადგან უკვე დიდი ხანია, რაც იგრძნობდა მისი მწვავე მშვენიება.

ხალხთა გაჯანსაღება

ცხოვრება და სკოლა

თავის დროზე ილია ქაჯავაძე ოცნებობდა ოცოდნაა თქონებდა აგრძელებდა და ინჟინერზე; ოციოდნა უმაღლეს ტექნიკური ცოდნის მქონე ადამიანი აქ რომ მუშაობდეს, ჩვენი საქმე წინ წავაგო, ამბობდა ჩვენი დიდი ადამიანი.

ახლა საქართველოში ათასი მცხოვრებელიან თვრამეტი უმაღლესი განათლებითაა. ამ მხრივ ჩვენ უპირველესი ადგილი გვიჭირავს და მსოფლიოში მრავალ მოწინავე ქვეყანას გავასწარიით.

ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა, ხალხმა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის გამოარჯევის შედეგად რომ მოიპოვა.

მაგრამ ახლა კომუნისმის მშენებლობის ახალი რთული ამოცანები უფრო მაღალ მოთხოვნილებას უყენებენ საშუალო და უმაღლეს სკოლას.

საქართველოს 19 უმაღლეს სასწავლებელში სამოც ათასამდე, ხოლო საშუალო სასწავლებლებში შვიდას ათასამდე ახალგაზრდა სწავლობს. როგორ მუშაობს ჩვენი უმაღლესი და საშუალო სკოლა, გვაძლევს თუ არა ის სრულყოფილი ცოდნით აღჭურვილ სპეციალისტებს, შეუძლიათ თუ არა კომუნისმის მშენებელთა ამ ახალ თაობებს გაერკვნენ ცხოვრების რთულ პირობებში, კარგად გამოიყენონ პრაქტიკულ მოღვაწეობაში უმაღლეს თუ საშუალო სასწავლებელში მიღებული ცოდნა? ეს კითხვები სრულიად კანონიერად აინტერესებს ჩვენს საზოგადოებრიობას.

საბჭოთა საშუალო და უმაღლესი სკოლის მნიშვნელოვანი, თვალსაჩინო მიღწევებს მხოლოდ მტერი თუ უარყოფს, — მოყვარე ასეთ უგუნურ საქმეს არ იკისრებს.

დიდ საბჭოეთის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის მრავალ დარგში წარმატებით მოღვაწეობს ასი ათასობით ადამიანი, რომლებმაც ცოდნა ჩვენს უნივერსიტეტში, ტექნიკურ, სამედიცინო თუ პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში შეიძინეს. საბჭოთა საშუალო და უმაღლეს სკოლადამთავრებულთა გენიამ

შექმნა თანამგზავრები, ბალისტიკური რაკეტები; მათი ღვაწლის შედეგად საბჭოთა მეცნიერების დონე იმდენად ამაღლდა, რომ ის სოცნებო გახდა მრავალი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების ჩათვლით. აზიისა და ევროპის არა ერთ და ორ ქვეყანაში მაღლობით იხსენიებენ საბჭოთა მეცნიერს, სპეციალისტ-ინჟინერს, ექიმს, ბოტანიკოსს, აგრონომს, პედაგოგს, რომელნიც უნაგაროდ უზიარებენ ჩვენი სამშობლოს გამოცდილებას და მრავალმხრივ მუშაობას ეწევიან იქ.

მაგრამ ისიც მართალია, რომ სკოლას ახლა მეტი მოეთხოვება. ჩვენ, ვინც უმაღლეს სკოლაში ვმუშაობთ, ვალდებულნი ვართ, გამოვსთქვათ ორიოდნა მოსაზრება, ჩვენის აზრით, პირველ რიგში, თუ რა არის საჭირო უმაღლესი სკოლის განკარგვისათვის. ზედმეტია ლაპარაკი, რომ ეს ჩვენი პირადი მოსაზრებებია, ეგებ არა უქვევლიც.

უმაღლესი და საშუალო სკოლის მუშაობა რომ მნიშვნელოვან გაუმჯობესებას მოითხოვს, ამას თვით ახალგაზრდობაც კარგად გრძნობს.

ყური დაუგვდით, როგორ მსჯელობს ამ საკითხებზე ჩვენი ახალი თაობა. ჩვენ გვინდა „ციკლის“ მკითხველს მივუწოდოთ ახალგაზრდობისთან რამდენიმე საუბრის ცოტაოდნა შესწორებული, ფაქტობრივად სტენოგრაფიული ანგარიში. რასაკვირველია, ამ საუბრებში ბევრი რომ გულუბრყვილია, საუბრის ტონიც ცოტა არ იყოს დიდაქტიურია, მრავალი რომ პიკერბოლოვებულისა, გადაჭარბებული, ბევრი მოსაზრება საკამათოა. უქვევლი მხოლოდ ისაა, რომ ეს ცოცხალი აზრებია და მას ანგარიში უნდა ვაქციოთ.

ჩვენი ცხოვრების საში თარიღი

ერთი დაკვირვებული და გონიერი ახალგაზრდა გოგონა ამ საკითხებზე მსჯელობისას ასე ამბობდა:

— ყოველი საბჭოთა ახალგაზრდის ცხოვრებაში სამი თარიღი, სამი გადაწყვეტი მომენტია: პირველი — საშუალო სკოლის რომ ვამთავრებთ;

* საკითხის განხილვის წესით. რ. ე.



მეორე — უმაღლესი სკოლის კვლევებს რომ ვემ-
შვიდობებით; მესამე — ცხოვრების მეგობარს
რომ ვირჩევთ. ახლა მე მინდა პირველ თარიღზე
ვთქვა ორიოდ სიტყვა. სად წვაიდეთ, რა გავა-
კეთით საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ?
რა უფრო შეეფერება ჩვენს შესაძლებლობას,
ჩვენს ნიჭს, ჩვენს უნარს, ჩვენს მისწრაფებას?
ეს ძნელი და რთული საკითხია. ხშირად მჩრე-
ველი არა გვეყავს; თუ გვეყავს, მეტად დაუკვირ-
ვებელი და ხშირად ზერელეც, შორს რომ არ
იყურება, ჩვენი სამშობლოს ინტერესები მაინც-
დამაინც კარგად რომ არ ესმის და ხშირად პი-
რადს საზოგადოებრივზე მაღლა აყენებს, პირა-
დისა და საზოგადოებრივის ერთობა და განუ-
ყოფლობა რომ არ ესმის.

გოგონა ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მერე განა-
გრძობ:

— ამ რთულ საკითხთა გადაწყვეტაში თით-
ქოს მშობლები და სკოლა უნდა გვეხმარებოდნენ.
მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდახან სკოლაც და მშო-
ბელიც მაშინ გაიხსენებენ ხოლმე ჩვენი ცხოვ-
რების გზის ამ ურთულეს საკითხებს, როცა მე-
ათე, მეთერთმეტე კლასში გადავდივართ, უფრო
ხშირად კი — გამოსაშვებ გამოცდების დროს.
მე კი ვეფიქრობ, რომ პროფესიის არჩევა, მის-
თვის შემზადება საშუალო სკოლაში, ჩვენი სწავ-
ლის თითქმის მთელ მანძილზე უნდა ხდებოდეს.
მასწავლებლებზე და მშობლებზე არის უმთავრე-
სად დამოკიდებული — რა ჩვენებს შევიძენთ, რა
მისწრაფება გავიჩინებთ, რა ხელობა შეგვიყვარ-
დება, საით წარიმართება ჩვენი აზრები, მთელი
ჩვენი სულიერი სამყარო, რადგან ეს ასე არ
ხდება, ჩვენი არჩევანი შემთხვევითია და მერე
მთელი ცხოვრების მანძილზე კმუნვა, უცმყოფ-
ფილება და ათასი გაუგებრობაა. ყოველი შრომა
ღირსების საქმეა, მაგრამ ადამიანს ვაცილებით
მეტი შეუძლია შემატრის ხალხს, სამშობლოს, თუ
ის საყვარელ და მისთვის შესაფერ შრომას ეწე-
ვა.

— მე კი მგონია, — თქვა ნიჭიერმა ახალგაზრ-
და პოეტმა, რომელიც უმაღლეს სასწავლებელ-
ში სწავლობს, — მასწავლებელმა და მშობელ-
მა ისე უნდა წარმართონ ბავშვის სწავლა, აღ-
ზრდა, განათლება და ცხოვრება, რომ პირველ
რაგში შრომას შეარჩიონ, ვარკვეული მორალური
თვისებებით აღჭურვონ, ზოგადი, უნივერსალურ
რე განათლება მისცენ. მას. საშუალო სკოლის
დამთავრების შემდეგ კი არჩევანი თვით ახალ-
გაზრდაზე უნდა იყოს. ჩვენ რომ საშუალო სკო-
ლას დამთავრებთ, თვრამეტ-ცხრამეტი წლისანი
ვართ. ჩვენს დროში ეს უკვე ჰაბუკობის, მომ-
წიდების ხანაა. თვრამეტი წლის ახალგაზრდა —
დამოუკიდებელი ადამიანია. საკუთარი პასპორ-
ტი აქვს. მან უკვე გაიარა ოქტომბრელის, პიონე-
რის გზა. ის უკვე კომკავშირელია. ჩვენი კონ-
სტიტუცია მას მოქალაქის ყველა უფლებას ანი-

ჭებს, სამშობლო მას ანდობს საბჭოთა წესით
ჩვენი ღირსების, თავისუფლების, მშვიდობის
საქმის დაცვას, თვრამეტ-ცხრამეტი წლის ახალ-
გაზრდას, რომელსაც ბევრი და კარგად ასწავ-
ლეს, ზოგადი განათლება მისცეს, უნდა შესწევ-
დეს უნარი თვითონ აირჩიოს გზა მომავლისა, მას
აღარ უნდა სჭირდებოდეს გადაიბი და ბებები,
თვრამეტ-ცხრამეტი წლის ახალგაზრდად, რომე-
ლიც ჩვენი აქტიური ცხოვრების ფერხულშია
ჩაბმული, თუ კი ისიც არ იცის, რა პროფესია
უნდა აირჩიოს, ცუდი ახალგაზრდა ყოფილა და
მეტი არაფერი, — ცოტა არ იყოს გულმოსულმა
დაასკვნა ჩვენმა პოეტმა.

ჩვენ საუბარს ერთი, თითქოს, ფუქსავატი გო-
გონაც ესწრებოდა. წინა საუბრებისას ჩვენ მის-
გან არაფერი ვცხმენია კაბების, წინდების, ფეხ-
საცმელების, ახალ-ახალი ცეკებისა და საგიტარო
რომანსების გარდა. დღეს ისიც ჩაერთა სა-
უბარში და ნაღვლიანი კილოთა თქვა:

პატივმოყვარეობის მსხვერპლი

— შენ ამბობ, — მიმართა მან ახალგაზრდა
პოეტს, — რომ მე თვითონ უნდა ამერჩია პრო-
ფესია, თვითონ უნდა გავრკვეულიყავ მომავალ
ცხოვრების რთულ გზებში, ბილიკებში; ეგებ
სწორიც იყოს შენი გულისწყრომა. შენ ასე იმი-
ტრო მსჯელობ, რომ არ იცნობ ჩვენი თანამე-
დროე ინტელიგენტის ზოგიერთ ოჯახს, იქ გა-
მეფებულ განწყობილებებს. მე არ ვიცი, შე-
იძლება ვაჭარბებ, ვაზვიადებ, შეიძლება საკუთა-
რი ოჯახის ამბებს ვაზოგადებ, მაგრამ თუ ნებას
მომცემთ, სულ მოკლედ მოგიხსნობთ ჩემი ბავ-
შვობის თავგადასავალს. ერთი თუ ორი წლისა
ვიყავი, რომ თურმე მთელი ოჯახი ფეხზე დგა-
ბოდა და ფუსფუსებდა, როცა სასიერნოდ ბაღ-
ში მივყავდით. დიდი აღზრდაური ატყდებოდა იმი-
ზე, თუ რომელ კაბაში გამოვეწყობოდი, რომელ
წინდებს, რომელ ფეხსაცმელს ჩავიცვამდი. გა-
მომაწყობდნენ ტიკინასავით და ისე გამოსტუმ-
რებდნენ, ფანჯარაში მთელი ოჯახი გამოეფინე-
ბოდა, შემეტყუროდნენ, შემომხაროდნენ. ხუთი
წლისაც არ ვიყავი, მუსიკალურ სკოლაში მიმა-
ბარეს. ოჯახში ყველაფერი გაყარეს, ფული ისე
სხეს, რომ ჩემთვის როიალი შეეძინათ, ის კი
დაავიწყდათ, ვინმესთვის ეკითხათ, მქონდა თუ
არა საკმარისი მუსიკალური სმენა. ექვსი წლი-
სა ძლივს გავხედი, რომ უცხო ენის სწავლა დამა-
წყებინეს, შვილისა ხომ სასწავლებელში მიმცეს.
საბავშვო ბაღი არ მინახავს, ემინოდათ რაიმე არ
შემმთხვევოდა, არ გავცივებულყავი; ვიო თუ
რაიმე ზემდემტი აჰამონო, — გაიძახოდა დედაც;
სკოლაშიც, მეხუთე კლასამდე, ხან დედას, ხან
მამას, ხან დედას და ხან მამიდას დაეყავი.
სკოლაშიც განსაკუთრებულად მეცვა და რაც

ჩემი თავი მახსოვს, ამის გამო დაუსრულებელ უხერხულობას ვგრძობდი. წამოვიზარდე. მუსიკის მასწავლებლები დედას არწმუნებდნენ, რომ მე უნივერსიტი მუსიკოსი ვარ, რომ თუ ვიოლინოზე დავეკრავ, ყველას სანატრელად დარჩება ჩემი ვირტუოზობა, თუ როიალზე დაკვრას ვისწავლი, ქვეყანას განვაცვიფრებ. ამ მოტივენლურმა, ბრყყულმა დაპირებებმა თავბრუ დაასხეს ჩემს მშობლებს. იმასაც აწვევებდნენ დედას ყურში, — მუსიკოსის ხელობა შემოსავლიანიაო. დედაჩემი, მშვენიერი ადამიანი, საუცხოოო დისახლისი, შრომისმოყვარე მემანქანე, რომელიც ერთ აქაურ დაწესებულებაში მუშაობდა, ცრუ ოცნებებში შეიპყრო. მას ესინჯებოდა ხალხით სავსე, ვაბრწყინებელი რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზი, სადაც მე ან ვმღეროდი, ან ვუკრავდი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ვცეკვავდი.

ხოლო უცხო ენის მასწავლებელი მამაჩემს სულ იმას ჩასჩიჩინებდა: თქვენს ქალშვილს აშკარად ემჩნევა პოლიგლოტის ნიშნები, ენათმეცნიერის კარიერა უკვე ხელში უჭირავს, აკადემიკოსებს და პროფესორებს ხომ იცოდ რა ხელფასიც აქვთო. ვიჯექი მე უბედური დილიდან შუადღემდე როიალთან და ვაბრაახუნებდი, „დოს“ „სისავან“ ვერ ვარჩევდი, რადგან ბუნებამ მუსიკალური სმენით არ დამაჯილდოვა. შუადღიდან საიღამდე „პერფექტსა“ და „პულსკომ-პერფექტს“ ვუთხავდი და ძლივს ვარჩევდი ამ ორ ნამყო დროს აწმყოსა და მყობადისავანს. სადამოთი სკოლაში მივბრბოდი, შუადღემდე მთელი ოჯახი ჩემს გაკვეთილებს ამზადებდა. თოთხმეტი თუ თხუთმეტი წლისა რომ ვავხდი, დასრულებული ნერვასტენიკა ვიყავი და პროფესორ პეტრე სარაჯიშვილის მუღმივი პატივებიც ვავხდი. ძეკლუცად მეცვა, ლამაზიც ვიყავი, ზრდილიც. სკოლაში მასწავლებლები მანებვიგრებდნენ, ცოტას ესწავლობდი, ცოტას ვმღეროდი, ცოტას ვუკრავდი, ცოტას ვცეკვავდი, ერთი-ორჯერ რადიოშიც გამომიყვანეს, აკანკალეული, რადაც ცრუ პათეტიკურ-რომანტიკული ხმით ლექსიც წამკითხეს. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის მიერ დაწერილ სიტყვებს ხან ერთ და ხან მეორე საზეიმო სხდომაზე ზეპირად თუ ქალღიდან დიდი პათოსით ვკითხულობდი, მერე პიონერთა სასახლეში, ლიტერატურულ წრეში ვკითხულობდი როგორც ჩემით შეთხუულ, ისე იმავე მასწავლებლის დაწერილ მოხსენებებს. რას ვკითხულობდი, არც ვიცოდი, არც მესმოდა. პათოსი არც აქ მღალატობდა. არ მახოვს, მგონი ტრუსაიც მიკრავდნენ. რომ წამოვიზარდე და ის ვითომ ჩემი მოხსენებები გადავიკითხე, სირცხვილმა შემიპყრო. წესიერი, სისტემატური შრომა არავან მასწავლა, საქმის ღრმა, ნამდვილი სიყვარული არავინ მთამინერგა. რა მოჰყვა ყველა ამას? რამდენი იმედი გაცრუვდა! — არც მომ-

ღერალი ვარ, არც პოლიგლოტი-ენათმეცნიერი, ვემზადები მასწავლებლობისათვის, მხოლოდ აქ ვედილობ გავიგო, შევიყვარო ჩემთვის ეს ახალი პროფესია. მაგრამ აქაც რამდენი სიძნელე უნდა გადავლახო. თბილისში, საქართველოს ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში მასწავლებლის ადგილი არ არის, ანკი შევძლებ სოფლად მუშაობას, იქ დამკვიდრებას? მომამზადა განა ამისათვის ოჯახმა, სკოლამ, უმადლესმა მასწავლებელმა?

ამხანაგების რეპლიკა

სკოლის დამლაგებლის ვაჟმა, რომელიც იქვე სწავლობს, გაკვირვებით თქვა:

— ეს რა უცნაური თავგადასავალია, რა საკვირველ სკოლაში და უფრო საკვირველ ოჯახში ყოფილობარ, ქალო, გაზრდილი! ნუთუ ასეთი ოჯახი, ასეთი სკოლა, ასეთი მასწავლებლები კიდევ არსებობენ ჩვენს ქვეყანაში? წარმოვიდგინოთ, რომ მთელი ეს თითქმის ტრაგიკული ამბავი შეთხზული არ არის, მაგრამ ეს ხომ შემთხვევითი რამაა: ასეთი ოჯახი, ასეთი სკოლა ერთიც რომ იყოს, ისიც გასაკიცი და დასავამბოია.

კინთელი გომონას ფიქრები

ყველამ შევინშნეთ, რომ შორეულ სოფელ კინთიდან ჩამოსულ ხევსურ გოგონას, ჩვენი მასწავლებლის სტუდენტს, სურდა საუბარში ჩარევა, მაგრამ რაღაცისა სცხვენოდა. წავაქეზეთ, ვთხოვეთ თავისი აზრი გამოეთქვა.

— სათქმელი ბევრი არა მაქვს რა, — გვიასუხა მან, — სოფლად ვავიზარდე, სოფლის სკოლაში ესწავლობდი და თან ვმუშაობდი. მთელი ოჯახი თავდადებულად შრომობდა. მართალი გითხრათ, ჩემთვის მოცლა არა ჰქონდათ. ბარბიდან ამოსული ზოგი მასწავლებელი მთაში ცხოვრებას იწყებდა, თვალის ისევ აქეთ, ბარბსაკენ ეჭირა, ქალაქს მოეშურებოდა. იმაზე კი ნაკლებად ფიქრობდა, რომ ჩვენთვის ისეთი ცოდნა მოეცა, რომელიც საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულ ცხოვრებაში, კოლმეურნეობაში, წარმოებაში გამოგადგებოდა. საშუალო სკოლა საჭიროზე უფრო ნაკლებად უვითარებს მოწაფეებს შრომის ჩვევებს.

ქალაქისაკენ ზოგიერთი თითქოს იმისათვის მიიღტვის, რომ სულიერი მოთხოვნილებაანი დეცემყოფილოს. რა სჭირდება ადამიანს სრულყოფილი სულიერი ცხოვრებისათვის? ცხოვრების მასწავლებელი, ქვეყანური და კარგი წიგნი — წიგნი სოფლად გვაქვს და შეიძლება მეტიც გვეჩონდეს, ეს არც ისე ძნელი საქმეა. ხელოვნება სჭირდება ადამიანს — სოფლად ადვილად შეიძლება გვეჩონდეს ხელოვნება, მუსიკა, ოპერა, დრამა — ამის საშუალებას კინო, რადიო გვაძლევს. ბევრს ავიწყდება, რომ მეოცე საუკუნეში ცხცხოვრობო, რომ მესტია ერთ დღეში თვითმფრინავით შეიძლება მიიარ-მოიარო, რომ თბილისიდან ბარბსა-



ზოში ორმოც წუთში, ერთ საათში ჩახვალ. თვით-
შემოქმედება განა ხელოვნება არ არის? ამას ვაზრ-
და, განა არ შეიძლება თბილისელი მსახიობები
უფრო ხშირ-ხშირად ესტუმრონ სოფელს? თანა-
მედროვე ადამიანს ყოველდღე სურს გაიგოს
ახალი ამბავი, მსოფლიოს და დედა-სამშობლოს,
ჩვენი დიდი საბჭოეთის ცხოვრება. ესეც ადილი
საქმეა, რადიო, ახალ-ახალი ვაზეთები განა აკ-
ლად ჩვენს სოფელს? ჩვენს სოფელში ახლა მრავ-
ლად არის ინტელიგენცია; ამ ინტელიგენციას,
მასწავლებლებს, ექიმებს, აგრონომებს, ზოოტექ-
ნიკოსებს ევალებათ ასწიონ სოფლის კულტურის
დონე, საანური გახადონ სოფლად ცხოვრება.
რატომ უნდა სტეპანდის რუსთაველის პროს-
პექტს საშუალო და უმაღლესი განათლებით
აღჭურვილი ის ახალგაზრდა, რომელიც თბილის-
ში არაფერს აკეთებს და სოფლად კი მის ნიქსა
და უნარს სათანადო სარიბელი აქვს და დიდი
სარგებლობაც შეუძლია მოუტანოს ქვეყანას!

საუბარი გაგვიგრძელდა. მალე მეორე ცვლა
დაიწყებდა მეკლდინებთან. ზარი რეკდა. დავიშა-
ლენი.

**ხარატანთ შთამომავლის
მოთხრობა**

მეორე დღეს პირველ კურსზე ამ შემოდგომა-
ზე შემოსულმა ახალგაზრდამ, ცნობილ ქართველ
ხარატთა შთამომავალმა პირველმა მოითხოვა
სიტყვა:

— წინა საუბარში აქ გამოვიდა სოფელ კინ-
თიდან ჩამოსული ახალგაზრდა გოგონა. მე გგო-
ნა, კინთელი კოლეგა მართალი, ათასჯერ მარ-
თალი იყო. სოფელი ცარიელდება, ყველა ქალა-
ქისაკენ მოეშურება. მარტო მოხუცები სოფლის
საქმეს თავს ვერ გაართმევენ. ახალ ქართულ
საბჭოთა სოფელში, კოლმეურნეობაში ფეხი მო-
იდგა ტრაქტორმა, კომბაინმა, მრავალმა სხვა
მანქანამ, მაგრამ მანქანა ხომ ვერ შესცვლის
ადამიანს. სოფლის მეურნეობა გამრჯევი გლეხის
გარეშე არ არსებულა და ვერც იარსებებს. ვერ
გამივია, რატომ გაურბის ჩვენი ახალგაზრდობა
ტურფა, ლამაზ ქართულ სოფელს. არ მესმის
ზოგი ახალგაზრდას სურვილი, რადაც არ უნდა
დაუჯდეს თავი პარტიის სოფელს და აქ, ქალაქად
დასახლდეს, აქ იპოვოს ცხოვრების მეგობარი, აქ
დამკვიდრდეს, ხშირად, ყოფის თვალსაზრისით გა-
ცილებით უფრო ცუდ და მძიმე პირობებში, ვიდრე
სოფლად იცხოვრებდა. ერის თითქმის მესამედს
თუ მეოთხედს ერთ ქალაქში მოუყრია თავი. რა-
ლად თავკომბალს დავემსგავსეთ. არც ერთი
თვალსაზრისით და მოსაზრებით ეს სწორი და მი-
ზანშეწონილი არ არის. მაგრამ მე ახლა სხვა სა-
კითხი მაინტერესებს. აქაც, ქალაქად, ჩვენი ქარ-
თელი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილი გა-
ურბის ქარხანას, ხელოვნა, ფიზიკურ სრომას.
ცილიობზე დაწესებულებებში მოეწყონ, არა-
წარმოებითს სფეროში იმუშაონ. ბევრი, საქირო-

ზე გაცილებით მეტი, უმაღლეს მასწავლებელში
მოისწრაფის. მე გგონია, ეს არ არის ნორმალუ-
რი მდგომარეობა. ავიღო ჩემი ოჯახი. ჩვენი
ოჯახის წმინდათა წმიდა ტრადიცია ხარატობა იყო.
პაპიჩემის პაპაც ხარატი ყოფილა. პაპაჩემიც, მამა-
ჩემი, ბიძები, თქვენ წარმოიდგინეთ, დედიდაც კი
ხარატი ქალი იყო, თუმცა ცნობილია, რომ ქარ-
თველი ქალი წარსულში მაინცა და მაინც არ
ეტანებოდა ქარხანას, წარმოებას, ის უფრო
ოჯახს დასტრიალებდა თავს, იქ ფუსფუსებდა,
იქ ირჯებოდა, იქ ეწეოდა ცხოვრების ჭაპანს.
ჩვენ ხარატანთ ოჯახს გვეძახდნენ. პაპიჩემის
ოჯახში მრველ მაგიდას სამხრის ემს ცხრა
ვაყვაცი შემოუჯდებოდა, ცხრა განთქმული ხე-
ლოსანი, რომელთაც არა მარტო ჩვენი უბანი,
მთელი ნაძალადევი პატრიოთა და სიყვარულით
მოიხსენიებდა. მხნე, გამრჯევი, მარჯევი, თავის ხე-
ლობას შეყვარებული მუშები ყველასთვის თვა-
ლისჩინი იყვნენ. პაპაჩემი ხუმრობით ამბობდა,
მე არც ქარხანაში მუშირდება, არც პარტუჯრელი,
ერთიც და მეორეც აქ, ჩემ ოჯახში მაქვს. პა-
პაჩემი, მისი ცხრა ვაჟი და ერთი ქალი თერთმე-
ტივე კომუნისტები იყვნენ. ჩვენ დიდ და კარგ
მუშურ ოჯახს არავინ აკლდა: არც მომღერალი,
არც მოცეკვავე, არც მოქიდავე. ბრვე ვაყვაცები,
ხელობას კარგად დაუფლებულნი, თავის საქმის
დიდოსტარნი, კარგად ინახავდნენ ოჯახს. არა
გვაკლდა არ. ლხინშიც კარგად ვიყავით და ჭირ-
შიც. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, საქართველოში
ჩვენი მუშური საბჭოთა ხელისუფლების დამყა-
რების შემდეგ ჩვენს ოჯახს უფრო ხშირად მო-
უხუნებია, ვიდრე უღარდია. ჩვენი ოჯახი პატა-
რა უჯრედო იყო იმ დღი მუშათა კლასისა, რომ-
ლის დიქტატურა აქ, ჩვენს სამშობლოში, საქარ-
თველოში, 1921 წლიდან დამყარდა. პაპაჩემს
ვერც წარმოედგინა, რომ ოჯახი უღალატებდა თავის
პროფესიას, არ განაგრძობდა სახელოვან
ტრადიციას. მას ხშირად უთქვამს ჩემთვის: ქარ-
თველი ვგავრდები ხელოვნის მიხედვით ვაჭკვეს
შერქმეული: დურგალიშვილები, მქედლიშვილები,
კალატოზიშვილები, ფიქრიშვილები, ხუროძე-
ები, ხარატიშვილები, ოქროშვილიშვილები და
ბევრი სხვა, რომელი ერთი ვითხრა. ოდითან
ქართველები მერკინები, მეფოლადეები ვყოფილ-
ვართ. ძველ ებრაელებს და ბერძნებს ჩვენი
ქვეყანა ხალიბების, მეფოლადეების ქვეყნად
ჰქონდათ წარმოდგენილი. ჩვენს ხალხს ხელობა
უყვარდა, მისი ერთგული იყო. თავდადებით და
სიყვარულით სქედდა მათი მარჯვენა ყველაფერს,
რაც ერს, ხალხს სჭირდებოდა. თბილისის ულა-
მაზეც კუთხეს ფეიქრის გორა ერქვა. ახლა მას
ფიქრის გორას უწოდებენ, ორჯონიკიძის სახე-
ლობის რაიონში რომ არის, ვარაზის ხევის ახალ
ქუჩას, გმირთა მოედანს, ზოოლოგიურ პარკს
რომ გადაჰყურებს სამხრეთიდან.

ჩვენ, მომდევნო თაობამ, დავარდნივით ათეუ-
ლი, თუ მეტი ანა, წლების მანძილზე შემუშა-

ვებული მტკიცე ტრადიცია. დავარდევით მას შემდეგ, რაც პაპა გარდავეცვალა. ქარხანას ზურგი ვაქციეთ, დავიფანტენით, ზოგი საღ წავიდა, ზოგი საღ. საღ არ ნახავთ ახლა ჩვენი ანებს. ორი თუ სამი საღაც მნელ მუშაობს. ორი ექსპედიტორია. ერთი დახლიდარია, ერთი აბანოს დირექტორი, ერთი მექისეა. ორიოდვე სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს, ერთი იურიდიულზე, ერთი ისტორიულზე, ერთი კონსერვატორიაში, ერთი სამხატვრო აკადემიაში (ოთხი წელია სწავლობს, ვერაფრით ვერ დახატა პაპინემის პორტრეტი), ერთი თეატრალურ ინსტიტუტშია (აქ სწოხედ ის შევიდა, რომელიც ფიზიკური მონაცემებით ყველაზე უფრო დაკნინებული იყო ჩვენს შორის), ერთი უცხო ენებს სწავლობს, ერთიც ეკონომიურ ფაკულტეტს ამთავრებს და ბალანსი ვერ წაუკითხია, დებეტს კრედიტისაგან ვერ არჩევს, საღლო რა არის, არ იცის, პასივი და აქტივი კომკავშირის მუშაობაში მონაწილეობის აღმნუსხველი ტერმინები ჰგონია.

საღლა ჩვენი მაგარად შეკრული ქართული მუშის ძველი ოჯახი? რატომ დავიფანტენით? რატომ ვუღალატეთ პაპათა და მამათა ხელობას? მე თვითონ არ ვიცი! რასაკვირველია, ჩვენს სამშობლოს სხვადასხვა პროფესიის აღამიანები სჭირდება. უმაღლესი განათლება ერთ დროს ალბათ ყველასთვის სავალდებულო გახდებდა. განსწავლული ხალხი არა ნაკლებ გვეჭირდება, ვიდრე ხარატი, დურგალი, მჭედელი თუ ფეიქარი. მექისეც გვეჭირდება და კარგი დალაქიც და მზარეულიც. ამბობენ, დალაქებისა და მზარეულების პროფესია ცოტა არ იყოს დეფიციტური გახდათ. სოციალისტური საზოგადოება შრომის მრავალმხრივ, ფართო განაწილებაზეა დამყარებული. ჩვენი საბჭოთა ახალი ინტელიგენცია მუშების, გლეხების ოჯახებშიდან არის გამოსული, ყველაფერი ეს მართალია. მაგრამ თუ ჩვენ, შთამომავლობით მუშები აღარ ვიმუშავეთ წარმოებაში, ვინდა უნდა იმუშაოს იქ? ჩვენს დროში ვერ იარსებებს ერი, რომელსაც ძლიერი ეროვნული მუშათა კლასი არ ეყოლება. მე ახალგაზრდა ვარ, ვატყობ, ვკადნიერდები, ბევრის ნებას ვაძლევ ჩემს თავს, კუკუის სწავლება მე მჭირდება, მე კი აქ სხვისი კუკუის მასწავლებლად გამოვდივარ, მაგრამ ხომ გადავწყვიტეთ ყველას გვეთქვა ჩვენი გულისნადები, ერთმანეთისათვის ვაგვეზიარება ჩვენი ფიქრები, ის, რაც გვაწუხებს და გვაღელვებს. მე ვფიქრობ, პროფესიის სწორი არჩევის საქმე ბევრად არის დამოკიდებული ოჯახსა და საშუალო სკოლაზე. კინთელი ამხანაგი ჩიოდა, სოფლად სკოლა ნაკლებად ავითარებს შრომის ჩვევებსო. თუ სოფლად ეს მართლაც ასეა, ქალაქად ეს თითქმის საერთო მოვლენაა. ორიოდვე ექსკურსია საწარმოში, პატარა

ხელსაწყოებითან გართობა-ვარჯიშობა და ეს არის ყველაფერი, რაც ჩვენ წარმოებითი სახის შრომისთან გვაკავშირებს საშუალო სკოლაში, პირველი კლასიდან მეთერთმეტემდე. ამ ორი წლის წინათ ჩვენს სკოლაში დიდი ხმაური ატყდა პოლიტექნიზაციის საკითხებზე, — თათბირები, სიტყვები, დადგენილებები. მეონი ამ ხმაურით დამთავრდა საქმე. რაღაც დიდ პროექტებზე იყო მსჯელობა და პრაქტიკულად ხელმისაწვდომი ღონისძიებები კი არავის ჩაუტარებია. ჩვენ არავინ გვინერგავდა ფიზიკური შრომის სიყვარულს. არავინ უმღეროდა ქარხნის მუშის შრომას. სკოლა აწყობდა შეხვედრებს ხან ვისთან და ხან ვისთან. მე არ მასოსეს, რომ სკოლაში მოსულიყო განთქმული ქართველი მუშა, თავისი საქმის ოსტატად, და უბრალოდ, პარადულობისა და ფორმალობის გარეშე მოეთხრო ჩვენთვის თავისი ცხოვრებისა და პროფესიის შესახებ, ან ჩვენ გავცნობოდი მუშის ცხოვრებას, მისი შემოქმედებისა და არსებობის დიდ და საჭირო საქმეს.

ჩვენი მწერლები, ჩვენი თეატრი, კინო, ხელოვნების სხვა მრავალი დარგი სდუმს; ხმას თუ ამოიღებს, ისიც მეტად იშვიათად. ვანა საქართველოში არ მოიძებნებოდა ეურბინები? რით ჩამოუვარდებოდა ჩემი ოჯახი ეურბინების დიდ ოჯახს? რატომ უფრო ხშირად არ გაისმის ჩვენი პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, კომპოზიტორების ქმნილებებში ქარხნის მუშის დიდი და საჭირო შრომის ქება-და დიდება. მე ხშირად დავდივარ თვითშემოქმედების საღამოებზე. ბევრი რამ მომწონს, მაგრამ ვერსად მოვისმინე კარგი, ნამდვილი სიმღერა მუშათა კლასზე, მოწინავე მუშაზე, მუშა ახალგაზრდაზე. შიარტებს ვანა მარტო კოლმეურნეობებში და კოლმეურნეებზე მღერიან. ქარხანაში ვანა არ მოიძებნება მოზაირე? საღ არის მწერლობაში, ხელოვნებაში, ვარდა ერთ-ერთი გამონაკლისისა, ინდუსტრიული თემა? თავგამოდებით გამათობენ დადებითი გმირის საკითხებზე, ეძებენ მას, ეძებენ კონფლიქტებს. გმირები კი, იმ თვისებით, რომელიც ცოცხალ აღამიანს ახასიათებს, ჩვენი მწერლების გვერდით ცხოვრობენ, შრომობენ, იღწვიან, იბრძვიან, ჭეშმარიტად ფასდაუდებელ, ისტორიულ საქმეს აკეთებენ. კონფლიქტებით საგსეა ჩვენი ცხოვრება. ჩაიხედონ ცხოვრების პროზაში და იქ დაინახავენ დიდ, ნამდვილ ბოეზიას, ათასი რომანის, ათი ათასი ლექსის თუ ღრამის მასალას.

ყოველივე ეს გავლენას ახდენს ჩვენი ახალგაზრდობის ფსიქიკის ფორმირებაზე, სათანადოდ არ წარმართავს მის გათვითცნობიერებას, არ აძლევს მას ბიძგს საჭირო მიმართულებით. მუშას პროფესია რომ აირჩიო, ის უნდა შეგიყვარდეს, მასში დიდი სიღამაზე უნდა დაინახო.



როდაც დაუწერელ კანონად იქცა, რომ საშუალო სკოლის შემდეგ ახალგაზრდათა დიდმა უმრავლესობამ აუცილებლად უმაღლეს სასწავლებელს უნდა მიაშუროს და იქ ეძიოს პროფესია, იქ აირჩიოს ცხოვრების გზა. სკოლის დირექტორს, მასწავლებლებს, ჩვენს საყვარელ და პატივცემულ აღმზრდელებს არასოდეს უთქვამთ ჩვენი თვის, რომ გარდა უმაღლესი სასწავლებლისა, ჩვენში ბევრი საშუალო ტექნიკური სასწავლებელი, რომ საშუალო ცოდნით აღჭურვილი ადამიანი ახლა ჩვეულებრივი მოვლენაა, სულ ახლო მომავალში ჩვენს ქვეყანაში ყველა მოქალაქეს ექნება საშუალო განათლება და ეს დიას ხომ არ ნიშნავს, რომ ქართველთაგან უნდა იდიალური ქაზნები და წარმოებები.

ამ სიტყვებით დაამთავრა თავისი ცოტა არ იყოს გრძელი, არც თუ ისე დალაგებული სიტყვა ჩვენმა ორატორმა.

მეჯვრისხმევილი ბიზის ბულიონადები

მესამე კურსის სტუდენტმა, მეჯვრისხმეველმა ახალგაზრდამ ასე თქვა:

— ხარატების შთამომავალს რომ ვუსმენდი, ასე მეგონა საკუთარი ოჯახის თავგადასავალს ვხედავდი. დიდოსტატი მარტო ქაზნებში როდი იყვნენ, სოფლადაც ბევრი იყო თავისი საქმის მცოდნე კაცი. ჩვენი ოჯახი განთქმული მეზღვრების კერა იყო. ჩვენი კარ-მიდამოდან გამოსული ვაშლი, ატამი, მსხალი, პერამი, ბალი, ნუში განთქმული იყო არამცოლუ გორის მაზრაში, არამედ მთელ საქართველოში. ვაშლის, ატმის, მსხლის თუ სხვა ხეხილის ნერგსა თუ ხეს ჩვენები თვალისჩინივით უვლიდნენ, დღელამ თავს დასტრიალებდნენ; მე არ ვიცი, ჩვენს ოჯახში ვის ექცეოდა მეტი ყურადღება — ხეხილს თუ ჩვენს, ბაღებს. კახეთში განა ცოტა იყო ვაზის ოსტატი. რასაკვირველია, ახლაც არიან ჩაის, ციტრუსების, ვაზის, თამბაქოს ოსტატები. მათი სახელი განთქმულია მთელ საბჭოთა კავშირში, მაგრამ მაინც ცოტანი არიან. ჩვენს ქვეყანას, პატარა საქართველოს, დიდ საბჭოთის მეტი ხილი, მეტი თევზი, მეტი ღვინო, სუფრის ყურძენი, მეტი თამბაქო სჭირდება. კოლმეურნეობა ყველა პირობას უქმნის ადამიანს — თუ მას სურს საქმეს მოვიდოს ხელი — დაოსტატდეს, დახელოვნდეს. მარტო მოვალეობის გრძნობა ვერ შექმნის დიდოსტატს, საჭიროა საქმის სიყვარული, თავდადება საყვარელ საქმისათვის. საჭიროა სკოლამ სოფლად, ქალაქად, ბავშვებიდანვე შთაუწეროს ახალგაზრდობას ხელობის აი ასეთი სიყვარული.

მე მასვლას გორის ბაზრობა, რა მშვენიერი ნახელება გამოქონდათ სოფლის ხელოსნებს. საქართველო ოდითგან განთქმული იყო თავისი კერამიკული ნაწარმით. არქეოლოგიური გათხრები ხომ ამკარად მოწმობენ, თუ რა ოსტატები

ყოფილან ჩვენი წინაპრები. ასეთი ბრტყილი ტრადიციის დაკარგვა დანაშაული იქნებოდა. ხელოსნობის არა მარტო ეს დარგი ჩამორჩა. ხელოსნობა ჩამორჩა იმიტომ, რომ მას სათანადო ყურადღებას ვერ ვაქცევდით, ჩვენ სხვა ათასი, უფრო მნიშვნელოვანი, დიდი საქმე ვეიტაცებდით, ბუნებრივია, ყველაფერს ერთბაშად ვერ ვაფრევდით, ახლა კი დროა ამასაც მივხედოთ, აღვადგინოთ კერამიკული წარმოება, ოქრომკვლელობა, ხეზე ხურობა და მრავალი სხვა სახე ხელოსნობისა. ამ ხელობათა დაუფლებებისათვისაც უნდა ემზადოს ახალგაზრდობა. სკოლამ, კომკავშირმა, ოჯახმა ამ საქმესაც უნდა მიჰხედოს, გაუღვიძოს ახალგაზრდობას ინტერესი ამ ხელობებისადმი.

შენარა და მისი ბეზიზი

ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტმა ასე თქვა:

— აქ ბევრი საინტერესო და თან საკამათო აზრი გამოითქვა. შენიშვნები და გულისწყრომა სკოლის, ოჯახის მიმართ სწორი და მართებული იყო.

მაგრამ, მე მგონია, ასე ხელაღებით მსჯელობა სწორი არ უნდა იყოს. სკოლაც არის და სკოლაც. განა ცოტაა სკოლა, სადაც მართლა დაინერგა ბოლიტექნიკური სწავლება? ყველა ოჯახიც ერთნაირი არ არის. მე ბევრი სკოლა ვიცი, არა ერთი ოჯახი, რომელიც აზრიანად და წინდახედულად ეხმარება ახალგაზრდას ამოიჩინოს მისთვის შესაფერი პროფესია.

მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც აქ არ გადაწყდება, მაგრამ თუ ჩვენი საუბრის ანგარიში სადმე დაიბუქდება, შეიძლება მის შესახებ სხვისი აზრაც მოვისმინოთ და ბოლოს საქმესაც ეშველოს. მე მგონია, დადგა დრო გავათავისუფლოთ ჩვენს უმაღლეს სკოლაში მოსწავლე ახალგაზრდობა ზედმეტი ზედამხედველობისაგან, „მეურვეობისაგან“, რომელიც ახლა ყველა უმაღლეს სასწავლებელში არის გაბატონებული. შემოდის ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში, და იწყება დაუმთავრებელი და, ჩემი აზრით, სკოლადა ზედმეტი ზედამხედველობა: აი თურმე სტუდენტმა გააცდინა ლექცია, არ დაესწრო სემინარს, არ მოვიდა ინდივიდუალურ თუ ჯგუფურ კონსულტაციაზე, არ გამოცხადდა ვასაუბრებაზე. დავსდევთ ამ სტუდენტს დღე და ღამე, არც ჩვენ ვისვენებთ, არც მას ვასვენებთ. დასდევს მას ღეჟა, პროფკომი, კომკავშირის ორგანიზაცია, პირველადი პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები. ყველაფერს ვუღმევათ, ყველაფერი მზამზარეულად უნდა მივართვათ, წვივისათვის ზრუნვა მას არ სჭირდება, არც ბიბლიოთეკებში სირბილი, ყველაფერი კაზინეტში უნდა აახლო. გავიხსენოთ, ინდივიდუალური მიდგომა საჭიროა. დავტრა-



ლებთ ამ სტუდენტს თავს, ლამის არის მის მაგივრად ვისწავლოთ, მის მაგივრად შევესრულოთ დაეალებანი — ყოველივე ამის გამო რაღაც პარანოტიზმის მაგვარი მოვლენები ვითარდება ასეთ ახალგაზრდებში. ასეთ პირობებში ადამიანი, ნებისით თუ უნებლიეთ, ნებივრდება, უწინაა ზდება, ნებისყოფა უდუნდება, ის გაუბრუნის მიმე სამუშაოს. დროა გავათავისუფლოთ ასეთი „მეურვეებისაგან“ ჩვენი ახალგაზრდობა. მათ უნდა მივცეთ ცოდნა, უზრუნველყოთ კარგი მასწავლებლებით, ბიბლიოთეკებით, საკურო მეთოდური დახმარებით, რჩევითა და დარიგებით. კონსულტაციაც საჭიროა, ინდივიდუალურიც და კოლექტიურიც, მაგრამ ამ კონსულტაციებზე ძალით კი არ უნდა ვერცხვებოდეთ სტუდენტობას. უმაღლესი სასწავლებლებში უნდა იყოს ყველა პირობა, რომ საკურო ცოდნა მიიღოს ყველამ, ვისაც სურს ისწავლოს და თან სწავლის უნარიც აქვს. ვისაც არ უნდა სწავლა ან არ შეუძლია ისწავლოს, ვერ გამოგია რას ვეტყვებით, ან მას რად ვტანჯავთ, ან ჩვენი რად ვეტანჯებით. ის ახალგაზრდა, რომელიც ვერ გამოიჩენს უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უნარს, სხვა გზას აირჩევს, სხვაგან წავა — წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში.

რა ჩაბარობს ხარატანთი კერას!

საუბარში ახალგაზრდა ლაბორანტი ჩაერთა: — თვით ეს საუბარი, — თქვა მან, — იმის მანქნებელია, თუ როგორ გაიზარდა, ზნეობრივად და სულიერად, დავაყადა, დამწვენდა ჩვენი ახალგაზრდობა, თუ როდენ ღრმად ესმის მას ჩვენი ცხოვრების საკურობოროტო სულ ახალი და ახალი მოთხოვნებიანი. ჩვენი ცხოვრება წინ მიდის. ჩვენი მოვალეობა სოციალისტური სამშობლოს წინაშე ყოველდღიურად იზრდება. ის, რაც გუშინ გვაქმყოფილებდა, დღეს აღარ პასუხობს ახალ და ვაზრდილ მოთხოვნებებს. ვინც ახალ ამოცანებს ვერ ვაიგებს, მას ცხოვრების მძლავრი ტალღები ვარიყავს და დაიღუპება. აქ ჩვენმა ახალგაზრდებმა მეტად მნიშვნელოვანი და, პირადად ჩემთვის, ცოტა არ იყოს, ახალი საკითხები დააყენეს. მე მათ ვეთანხმები, ჩვენი დროსათვის უკვე ნაკლებად ვამოსადეგი ძველი წესები უნდა შეიცვალოს. მაგალითად, ახლა სტუდენტის ვამორიციხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მთელი პირობებია. სტუდენტი არ და ვერ მეტადინიებს, არც უნდა მეტადინიება, არც შეუძლია იმეცადინოს, ყალბაანდობა და მისთვის ვერავის უხვია ზელი. რასაკვირველია, ეს არ არის ნორმალური მდგომარეობა და რაც მალე მოვლდება ბოლო, მით უკეთესი იქნება ბეჯითი სწავლისა და შრომის მოყვარული ახალგაზრდობისათვის.

ჩვენი სტუდენტმა, ხარატანთ შთამომავალმა, ბევრი საინტერესო და დამაფიქრებელი საკითხი

დააყენა. ცნობილია, რომ სოციალისტურმა მნიშვნელობა მატერიალურ წარმოებისა და მნიშვნელოვანი განსხვავება წარმოიქმნა სურვილი გამოყენებულ შრომათა შორის ვარკვეული და მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს ახლა ჩვენ წინაშე დაღვა მატერიალურ წარმოებაში მოხმარებული საზოგადოებრივი შრომა ხვედრითი წონის შემდგომი ზრდის ამოცანა. აქვამად ჩვენში არამწარმოებლურ შრომაში ჩაბმულია საკურობე მეტი ხალხი. ჩვენ მეტი და საკურო რაოდენობით უნდა ჩავაბა, მწარმოებელთა ნაწილი უშუალო, მწარმოებლურ შრომის სფეროში.

საუკეთესო, თავდადებულმა, თავის მოწოდების სიმაღლეზე მდგომარ ახალგაზრდობამ ზელი უნდა მოქციდოს ფიზიკურ შრომას. ყველასათვის ცნობილია ის ვათიშვა, რომელიც არსებობდა კაპიტალიზმის დროს ფიზიკურ შრომასა და ვანებრივ შრომას შორის. მათ შორის მტრული დამოკიდებულება იყო. ყოველივე ეს ვაქრა ჩვენში. სოციალისტური წყობილების პირობებში, ახლა ფიზიკური და ვანებრივი შრომის ადამიანები ამხანაგ-მეგობრები არიან. რასაკვირველია, შრომის ამ ორ სახეს შორის ახლაც არსებობს არსებითი განსხვავება. არსებითი განსხვავება თანდათანობით ვაქტება. მაგრამ ყოველგვარი განსხვავება არ ვაქტება, არასრებიოთი განსხვავება მათიც დარჩება.

სოციალისტურ საზოგადოებაში როგორც ვანებრივი, ისე ფიზიკური შრომის მუშაი სრულყოფილი, მრავალმხრივად ვანვითარებული, დიდ პაზრის, მაღალი ზნეობის, ფაქიზი ვაქმნობების, წარმოქმნილი მატერიალური უნდა იყოს და მრავალ შემთხვევაში არის კიდევ. ამიტომ ვასაგებია, რომ ახალგაზრდა საშუალო უნდა წავიდეს იქ, სადაც ის ყველაზე უფრო საკუროა, იქ, სადაც ის ზელს მოქციდებს იმ პროფესიას, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება მის შესაძლებლობას. მე ვგონია, რომ ხარატანთ კერა არ ჩამქარალა და არასოდეს არ ჩაქრება. ჩვენმა ახალგაზრდობამ ამ კერას უნდა მივშუროს და ის ცეცხლი, იქ რომ დღევანდელი, დიდ კოცონად აქციოს.

ჩვენი შენიშვნები

ახლა კი ჩვენ თავს ნებას მივცემთ ამ საუბარში ჩავერიოთ და ორიოდე საკუთარი მოსაზრება გამოვქვათ, პირველ რიგში უმაღლესი სასწავლებლის მუშაობის შესახებ, რომელსაც ჩვენი უკეთ ვიცნობთ.

საქართველოში, ვანათლების სამინისტროს ცნობით, 1955 — 1956 წლისათვის 4.159 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა იყო. იქ 47.000 მასწავლებელი 620.046 ახალგაზრდას აწვდიდა ცოდნას და ზრუნავდა მათს აღზრდაზე. ქართულ ენაზე 451.912 ბავშვი სწავლობდა; რუსულზე — 130.464; სომხურზე — 42.984; აზერბაიჯანულზე — 22.117; პირველი ოთხი კლასის ფარგლებში



ფხაზურ ენაზე 4.366 სწავლობდა, ოსურზე კი 5.367. მუშათა ახალგაზრდობის, სოფლის ახალგაზრდობის, რეინგზის სკოლებში, მობრძილთა სკოლებში, სხვადასხვა ტექნიკურში ათი ათასობით მოსწავლე იყო და არის. სულ საქართველოში 800.000-მდე ადამიანი სწავლობს, რაც მოსახლეობის (4.000.000 სული) თითქმის 25% შეადგენს. VIII, IX, X, XI, ე. ი. უმაღლეს კლასებში 167.408 მოსწავლეა. საქართველოში არსებული 19 უმაღლესი სასწავლებელი ყოველწლიურად მხოლოდ ხუთი ათასამდე ახალგაზრდას ღებულობს, უფრო ზუსტად: მაგ., 1955-56 სასწავლო წელს უმაღლეს სასწავლებელში მიღეს 4.463 საშუალო სკოლადამთავრებული. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება დაახლოებით მხოლოდ 100-მდე ახალგაზრდა.

ეს ციფრები და ცნობები თავისთავად მიჩვენებელია იმ უდიდესი კულტურული რევოლუციისა, რომელიც ჩვენში განხორციელდა დიდი ტქტომბრის გამარჯვების შედეგად, და რაც ჩვენი ხალხის ისტორიული მონაპოვარია.

რა წესით ზღბდა უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის ჩარიცხვა? აბიტურიენტი გამოცდას აბარებს და თუ ის დააჯილდოვებს გარკვეულ ქულათა რაოდენობას, მას მიიღებენ უმაღლეს სასწავლებელში. გარკვეული შედეგათები არსებობს მედალონებისათვის, ტექნიკუმებში წარწინებული მოსწავლე ახალგაზრდობისათვის და — 1957 წლიდან — იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც მუშაობის ორი წლის სტაჟი აქვთ: ისინი უმაღლეს სასწავლებელში ირიცხებიან უკონკურსოდ.

უზრუნველყოფს თუ არა მიღების ეს წესი უმაღლესი სკოლის დაკომპლექტებას ჰუმანიტარულ და მომზადებულ და მალღა ხარისხის კონტინენტით? ზოგ შემთხვევაში არ უზრუნველყოფს. ამას აღნიშნავენ ცენტრალურ პრესაში. ამაზე მიგვიითიებს ჩვენი გამოცდილებაც. მისაღები გამოცდების დროს იმდენი სუბიექტური ფაქტორი მოქმედებს, რომ იყარება ობიექტური კრიტერიუმები, და რაც შემთხვევაში უმაღლეს სკოლაში ვერ ირიცხება ის, ვინც იქ უნდა სწავლობდეს.

როგორ უნდა მოგვარდეს ეს საკითხი? მრავალი წინადადება შემოვიდა ამ მდგომარეობის მოსაგვარებლად. ცხადია, უმაღლესი სკოლა ვერ დაიტევს ასი ათასობით ახალგაზრდას, რომელიც საშუალო სკოლის ამთავრებს. 1957-58 სასწავლო წელს საქართველოში საშუალო სკოლის დაამთავრებს რამდენიმე ათეული ათასი კაცი. უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხება მხოლოდ მცირე ნაწილი. მაშასადამე, უმაღლეს სკოლაში უნდა მიდიოდეს ის, ვინც თავისი ცოდნით, მოწოდებით, ბეჯითობით მოწოდებულია ამისათვის და ვისაც ამის გარკვეული უნარიც გააჩნია.

ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, უმაღლესი სკოლის მუშაობა მოითხოვს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. სკოლამ ახალგაზრდას უნდა შთაუნერგოს გარკვეული შრომითი ჩვევები, ცხოვერვის გზაზე უნდა გამოუმეას გარკვეული პროფესიის დაწყებითი ჩვევებით აღმზრდილი ახალგაზრდა, რომელიც გზას გაიკვლევს უმაღლესი განათლების გარეშე და, თუ მოწოდება ექნება, უმაღლეს ან საშუალო ტექნიკურ განათლებას უკვე პრაქტიკული მუშაობის დროს მიიღებს. ამისათვის ყველა პირობა შექმნილი ჩვენს ქვეყანაში. დაუსრებლად უმაღლეს განათლებას ათი ათასობით ადამიანი ეუფლება.

პარტია, მთავრობა რიც ღონისძიებებს სხაგეს სკოლის მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამ საკითხებზე დიდი მსჯელობა იყო გამართული პარტიის XIX, XX ყრილობებზე და სათანადო დადგენილებებიც იქნა მიღებული. მაგრამ რეტინა, უარყოფითი ხასიათის ტრადიცია ჯერ კიდევ დრმად არის გამჯდარი საშუალო სკოლაში და მრავალი კარგი ღონისძიება მეტისმეტად ნეული ნაბიჯით იკვლევს გზას სკოლის ცხოვრებაში.

მართალი იყო ერთი ახალგაზრდა, როდესაც ჩიოდა, სკოლის პოლიტექნიზაცია უმეტეს შემთხვევაში ჯერჯერობით რეზოლუციების, დადგენილებების, ცირკულარებისა და ინსტრუქციების სფეროში უფრო ხორციელდება, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში. სკოლის პოლიტექნიზაციას ხელს უშლის არა მარტო ტექნიკური ბაზის სამკირე და, რიც შემთხვევაში, უქონლობა, არამედ, პირველ რიგში, მასწავლებელთა ამ საქმისათვის შეუფერებელი კვალიფიკაცია. საჭიროა მასწავლებელთა გადამზადება პირველ რიგში ამ ხაზით: უმაღლესმა სკოლამ საშუალო სკოლაში მიაწოდოს ამ მხრივ მომზადებული მასწავლებლები. უეჭველია, რომ უმაღლესი სკოლა ახლა ავსოვებს საშუალო სკოლის პოლიტექნიზაციას. ჩვენი მრავალათასიანი მასწავლებლობა ჯერ არ არის სათანადოდ მზად, რომ სკოლა გაიყვანოს პოლიტექნიზაციის დიდ გზაზე. სხვათა შორის, ამიტომაც არის, ბევრა ახალგაზრდა კდილობს, უმაღლეს სასწავლებელში შევასოს ის ცოდნა, რაც საშუალო სკოლას მისთვის უნდა მიეცა და ვერ მისცა არა მარტო მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაციის გამო, არამედ მრავალი სხვა მიზეზის გამო, რომელთა აღნუსხვას აქ არ შეეუდგებით და აღენაშნავთ მხოლოდ ყოვლად აუტანელ მრავალსაგანიანობას, პროგრამების გადატვირთულობას, რის შედეგად ზოგმა საშუალო სკოლადამთავრებულმა არც ერთი საგანი აღარ იცის წესიერად.

ასეა თუ ისე, ყველა, ვინც საშუალო სკოლა დაამთავრა, უმაღლეს სასწავლებელში ვერ შემოვა. მაშ ვინ უნდა შემოვიდეს? ჩვენი აზრით, მხოლოდ ის მოსწავლე, რომელიც VIII, IX, X, XI კლასებში წარჩინებულად სწავლობდა, წარ-

ჩინებული ყოფაქცევია იყო, წარჩინებულად გამოიჩინა თავი საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც, პიონერთა ორგანიზაციაში, კომკავშირში. ამ პრინციპის გატარება, ჩვენს რესპუბლიკაში ყოველ შემთხვევაში, უკვე შესაძლებელია. ამისათვის მომზადდა ყველა წინაპირობა. საქართველოში 1954-1955 სასწავლო წელი ოქროსა და ვერცხლის მედალზე დაამთავრა 1.363 ახალგაზრდამ, ხოლო 1956-1957 წელი — 2963 ახალგაზრდამ. მკირეოდენის გამოყვებით ამ ახალგაზრდობის უმრავლესობა უმაღლეს სასწავლებელში წესიერად შრომობს და სწავლობს.

ახლა ოქროს თუ ვერცხლის მედალს მოსწავდელებულს იმ შემთხვევაში, თუ მან სკოლის დასამთავრებელი გამოცდები ფრიადზე ჩააბარა, ე. ი. მან წლებს მანძილზე საშუალოზე ისწავლა, უკანასკნელ ერთი-ორი წლის განმავლობაში მუშაობა გააუმჯობესა და ამით მოიპოვა უფლება უფაოცდოდ ან ერთი სპეციალური საგნის ჩაბარებით, უბრალო გასაუბრების შედეგად, შევიდეს უმაღლეს სკოლაში. ეს პრინციპი უკვე მიძველდა. მედლები ამრიგად მიწივება აღარ არის მიზანშეწონილი. ოქროსა და ვერცხლის მედალი უნდა მიენიჭოს მხოლოდ იმ ახალგაზრდას, რომელიც პირველი კლასიდან ყველა მეოთხედში, ყველა საგანში წარჩინებულად, ფრიადზე ისწავლის; სკოლამ ატესტატში განსაკუთრებულად უნდა აღნიშნოს, რომელი საგნისადმი, რომელი პროფესიისადმი გამოიჩინა ახალგაზრდამ საგანგებო ინტერესი და მიდრეკილება, რა აინტერესებდა მას. ეს, რასაკვირველია, არ გამოიციხავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ზოგი ბავშვი ამ წესს არ დაემორჩილება, შეიძლება ის დიდად ნიჭიერიც იყოს, მაგრამ პირველ კლასში ვერ გამოამკლავნოს თავისი შესაძლებლობანი; ასეთ გამოჩენილზე უნდა იმსჯელოს სკოლის ხელმძღვანელობამ და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა.

დანარჩენი ახალგაზრდობა უნდა წავიდეს საშუალო საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დამსახურებულებში. ჩვენი აზრით, არა ორი, არამედ სამი წლის უშუალოდ სისტემატური ფიზიკური შრომის შედეგ მათ უნდა მიეცეთ უფლება მიიღონ მონაწილეობა საკონკურსო გამოცდებში. ასეთ პირობებში სუბიექტური ფაქტორები უფრო ნაკლებ იმოქმედებენ და უმაღლესი სასწავლებელი მიიღებს კარგ კონტიგენტს.

უბრუნველოფს თუ არა კარგი კონტიგენტი უმაღლესი სკოლის კარგ მუშაობას? ის მხოლოდ ხელს შეუწყობს ამ სკოლის გაუმჯობესების პროცესს. საჭიროა თვით უმაღლესი სკოლის მუშაობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. როგორია უმაღლესი სკოლაში ამჟამად დაწესებული სასწავლო რეჟიმი? ავიღოთ მაგალითისათვის სასწავლებელი, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. ეს მაგალითი გა-

მოდება, რადგან ის უმეკელად ტიპურია თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში პირველი ლექცია დილის ცხრის ნახევარზე იწყება. სტუდენტი, თუ ის ინსტიტუტიდან მოშორებით ცხოვრობს, უნდა ადგეს დილის 7 საათზე, ის, ფაქულტატური საგნების ჩათვლით, ლექციებს ისმენს ნაშუადღევს 4 საათამდე; შემდეგ იწყება მისი საზოგადოებრივი ცხოვრება, სხდომები, თვითშემოქმედება, ფიზკულტურის სექციები და მრავალი სხვა. კარგი, ბევრითი და წესიერი სტუდენტი შინსაკენ მხოლოდ საღამოს 5-6 საათზე გასწევის. სახლში ის 7-8 საათზე. უნდა ჰქონდეს კოტა დისვენოს, ერთი ნახევარი საათი მაინც, როგორია მისი საშინაო დავალებანი? ეს საკითხი ჩვენ სპეციალურად გამოვიკვლიეთ. სტუდენტმა კი არა, თვით მასწავლებელმაც, კეთილსინდისიერად და პატიოსნად რომ შეასრულოს პროგრამით გათვალისწინებული დავალება ინგლისური, ფრანგული ან გერმანული ენაში, დაიბუღდა უნდა იმუშაოს 2-3 საათი. ეს მასწავლებელმა, სტუდენტმა კი სჭირდება 5-6 საათი, თუ მეტი არა. ამრიგად მხოლოდ ერთ საგანში დავალების შესრულებას ის დამის 1-2 საათისათვის დაამთავრებს. სხვა საგნებში? ასეთი უმაღლესი სკოლებში მოქმედი პროგრამების მოცულობა. მუშაობის ამ მოცულობას კარგი სტუდენტიც ვერ ერება, ცუდზე არას ვაშობთ, რადგან ის თითქმის არ მუშაობს. პირველ კურსზე, უფრო ზუსტად პირველ სემესტრზე, კარგი სტუდენტი კიდევ ცდილობს რაღაც გააკეთოს, ძილს იცლებს, არ კითხულობს არაფერს, რაც დავალებას აღემატება, არსად დადის, მაგრამ მაინც არაფერი გამოუდის. შემდეგ სემესტრებზე ის მუშაობას უწყებს. ახალგაზრდამ თუ შრომით ჩვევებს დაუფლებული არ არის საერთოდ, თავს ვეღარ ართმევს ამოდენა დავალებებს. ოთხი თუ ხუთი წლის მუშაობის შედეგად უკეთეს შემთხვევაში ის ეუფლება პროგრამით გათვალისწინებული მასალის მესამედს, როგორც გამოჩენილი — ნახევარს. საკითხებია, რისთვის არის საჭირო ასეთი პროგრამები, უმაღლესი სასწავლებელში საშუალო სკოლის რეჟიმის შემოღება? უმაღლესი სკოლის მუშაობის გაუმჯობესების საქმეს ახლა წინ გადაეღობა მრავალსაგანიანობა. ზუთწლიან პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციები იკითხებოდა 24 საგანში, და კიდევ 13 საგანში ფაქულტატურად, ე. ი. სულ 37 საგანში, რომლისთვისაც გათვალისწინებულია 6.634 საათი, აქედან არასპეციალურ საგნებს უჭირავთ 2.844 საათი, ე. ი. სასწავლო გეგმის 49,9%. რა შედეგი გამოიღო ასეთმა სასწავლო გეგმამ? კურსდამთავრებულთა მხოლოდ 10—15% დაეუფლა პრაქტიკულად უცხო ენას. დაახლოებით, მეტნაკლებად, ასეთივე მდგომარეობაა სხვა უმაღლესი სასწავლებლებში. ჩვენ მრავალჯის შეგვიმჩენვია, რომ, მაგალითად, უნივერსიტეტის უცხო ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის კურსდამ-



თავრებულ ახალგაზრდათაგან უცხო ენაზე თავისუფლად ლაპარაკობენ მხოლოდ ისინი, ვინც ენა უნივერსიტეტში შესვლამდე იცოდა. და განა მართო უცხო ენათა სწავლება ამ მდგომარეობაში? პირველი ღონისძიება, რომელიც უნდა გატარდეს, როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლაში — ეს არის მრავალსაგანიანობის ლიკვილიცია. კონსერვატივში ამ საკითხში უფროსად უარყოფითს გავლენას ახდენს სკოლის მუშაობაზე.

მაგრამ არც მრავალსაგანიანობის მოსაზრება პანაცეა ყოველგვარი ნაკლის ლიკვიდაციისათვის. თუ უმაღლესი სასწავლებელი დაეომლაქტებულა იქნება იმ წესით, როგორც ეს ზევით იყო აღნიშნული, თუ ლექციები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, მოისპო მრავალსაგანიანობა, ყველა საგანი სახელმძღვანელოებით იქნა უზრუნველყოფილი, დაზუსტდა პროგრამები, მაშინ უკანასკნელი კურსების (IV, V, VI) სტუდენტს უფლება უნდა ჰქონდეს თვითონ გადაწყვიტოს, რომელ ლექციას დაესწროს და რომელს არა, მას მეტი დრო უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი მუშაობისათვის წიგნზე, ბიბლიოთეკაში, სახლში, საერთო საცხოვრებელში, მეტი უნდა ივარჯიშოს, მეტი დრო გაატაროს პეტირ, მეტი დრო მოანდომოს სპორტს, ტანვარჯიშს. ჩვენ სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ხალხი გვჭირდება, დანიავებული ნევრასტენიკები ახალი საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზულ ამოცანებს ვერ გადაწყვეტენ. ახალგაზრდად შრომაღ უნდა იცოდეს და დასვენებაც. მრავალი კოლეგა შეგვინშნავს, სტუდენტები ლექციაზე აღარ ივლიან, სასწავლო პროცესი ჩაიშლებაო. სტუდენტები მართლა არ ივლიან უმწეო და უფიგურო მასწავლებლის ლექციებზე. ძნელი წარმოსადგენია, რომ სტუდენტი არ წასულიყო ივანე ჯავახიშვილის, პეტრე მელიქიშვილის, სიმონ ჯანაშიას, გიორგი ნიკოლაძის, ანდრია რაზმაძის, სერგო გორგაძის ლექციაზე. ასეთი მასშტაბის პროფესორ-მასწავლებლები მეტნაკლებად ახლაც გვყავს. მათ ლექციებზე სტუდენტები აუცილებლად ივლიან. არ ივლიან ცრუმეცნიერების, მოლაყებების, მედეაითნების ლექციებზე, — ასეთი ხალხი ახლაც ხომ ზოგიერთობს! ამრიგად თავისთავად გადაწყდება პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის გაუმჯობესების საკითხი. ასეთ პირობებში ჩათვლების, გამოცდების დროს სტუდენტს მეტს მოსთხოვენ. ის, ვინც ბეჯითად არ იმეცადინებს, ცუდ ნიშნს მიიღებს და გაირიცხება კიდევ უმაღლესი სკოლიდან. ცხადია, ასეთი ღონისძიების გატარება უმაღლესი სკოლის ცხოვრებაში დიდ წინასწარ სამზადისს მოითხოვს და ხელაღებით მისი განხორციელება მხოლოდ ზიანს მიაყენებს ჩვენს ახალგაზრდობას.

გადატვირთული არიან არა მართო სტუდენტები, არამედ უმაღლესი სასწავლებლის ბევრი

მასწავლებელიც. ახლა არსებული მდგომარეობა დვით, სპეციალური შედეგათები დატვირთვის მხრივ აქეთ ხარისხისა და წოდების შქონე პროფესორ-მასწავლებლებს. მრავალ, და უმეტეს შემთხვევაში, ეს სწორი და მართებულია, მაგრამ განა უმაღლეს სასწავლებელში ჯერ კიდევ არ არიან კარგი, გამოცდილი პედაგოგები, განსაკუთრებით ვიწრო სპეციალობაში, რომელთაც არც ხარისხი და არც წოდება არა აქვთ, მაგრამ ყველასაგან პატივცემული, სტუდენტებისათვის საყვარელი მასწავლებლები არიან? ასეთი აღამიანები ახლა შემოღებული წესის მიხედვით წარმოუდგენლად გადატარებული არიან. მათი წლიური დატვირთვა ხინდახინ 1.050 სალექციო საათს აღწევს, ე. ი. მათ ყოველდღიურად უნდა იკითხონ ლექცია 6 საათი. რა ხარისხისა იქნება ეს ლექციები? ამას კარგად წარმოიდგენს არა მართო სპეციალისტი, არამედ ყოველი ჩვენი მკითხველი. ასეთ შემთხვევებში შემოქმედებაზე ლაპარაკი შეუძლებელია. დღეში 6 საათის მანძილზე ლექციების კითხვა ორტოლოქს მედეაითნეს, მეტალმუდესაც გაუჭირდება ალბათ. ყოველი მასწავლებელი უმაღლეს სასწავლებელში უმეტესად მეცნიერულ-კვლევითს მუშაობას უნდა ეწეოდეს, ამ შემთხვევაში მას წლიური დატვირთვა 820 — 840 საათამდე უმცირდება. მაგრამ განა ცოტა შემთხვევა, რომ კარგი, გამოცდილი პედაგოგი, მრავალ შემთხვევაში სწორუბოვარიც, არ არის მკვლევარი? რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება დირექტორს, ცალკეულ შემთხვევებში, როგორც გამოჩაყლისი, თვითონ განსაჯოს, რომელი მასწავლებელი როგორ უნდა დაიტვირთოს, ვის რამდენი სალექციო თუ საკონსულტაციო საათი უნდა მისცეს და როგორ აუნაზღაუროს მას ეს შრომა? ყველაფერი ეს სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს ახალი ინსტრუქციებით თითქოს გათვალისწინებულია, მაგრამ ამ კარგ დადგენილებებს ცხოვრებაში იშვიათად თუ ატარებს ვინმე.

ამასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვა დირექტორების უფლებების შესახებ. ამ ბოლო დროს ბევრი კარგი ნაბიჯი გადაიდგა უმაღლესი სასწავლებლის დირექტორის უფლებების განმტკიცებისა და გადიდებისათვის. მაგრამ მრავალ შემთხვევაში ეს უფლებები კვლავ შეზღუდულია. პროფესორ-მასწავლებელთა შერჩევა თითქოს დირექტორს ევალება, მაგრამ ამ საქმეში ფაქტობრივად მრავალი ინსტანცია ერევა. უფარვის მასწავლებლის განთავისუფლება ისეთი რთული რამ არის, რომ დიდი გამბედაობისა და ნებისყოფის აღამიანი უნდა იყოს უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი, რომ ასეთ „სახიფათო“ ღონისძიების განხორციელებას შეუდგეს. თუ არ ვცდებით, ასეთივე ვითარებაა საშუალო სკოლაშიც. ჩვენი დირექტორები, უმრავლეს შემთხვევაში, გამოჩენილი მეცნიერები, კარგი აღმი-

ინსტრატორები არიან, მაგრამ ყველა ზომ გმირი არ არის, და ხშირად კი, უფარვისი მასწავლებლის თავიდან მოცილება საქმეს საგმიროს მოითხოვს. არამცთუ მასწავლებლის, ყოვლად უფარვისი სტუდენტის სწორ გზაზე დაყენება ფაქტურად ისეთ ენერჯიას და რკინის ნერვებს მოითხოვს, რომ ჩვენი უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელები ამჯობინებენ არ მოკვიდონ ხელი ასეთ რთულ და სახიფათო საქმეს. დირექტორს, რექტორს, ხშირად ზღუდავს არა ინსტრუქცია, არა დებულება, არამედ ყოვლად წარმოუდგენელი მორალური, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ამორალური დაწოლა, ატმოსფერა, რომელიც იქმნება ხოლმე ასეთ შემთხვევაში. ერთი წლის, ხანდახან კი ერთი სემესტრის მუშაობის შედეგად ირკვევა, რომ ესა თუ ის ახალგაზრდა ვერ სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში. ის უნდა წავიდეს სხვაგან, წარმოებაში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, იქ უფრო გამოდგება. არამც და არამც, მისი თავიდან მოშორება არ შეიძლება. უმაღლეს სასწავლებელში განთესვის პროცენტი თუ დიდი, მაშინ აღმინისტრაცია არ ვარა, თუ მოსწრება დაბალია, უმაღლესი სასწავლებელი ცუდად მუშაობს. ამიტომ უმაღლეს სასწავლებელში წლობით შეზღუდული არიან უფარვისი ახალგაზრდები. ნიშნები მექანიკურად ზევით იწვევენ, ან უკვე მიღწეულ მაღალ დონეზე არიან, არც განთესვა, არც მოსწრება დაბალი. საკითხავია, რად ღირს ყოველივე ეს? გვეტყვიან, გადაჭარბება, ეს გამოჩაკლისია, შემთხვევითი მოვლენააო. ნეტავ ასე იყოს მაგრამ ცხოვრებამ დაამტკიცა, რომ სისტემა, როდესაც უმაღლესი სასწავლებლის მუშაობა მხოლოდ განთესვის, მხოლოდ მოსწრების მექანიკური აღრიცხვით ფასდება, კარგ შედეგს არ იძლევა. უმაღლეს სასწავლებელს დირექტორი, რექტორი ხელმძღვანელობს, იქვეა სამეცნიერო საბჭო (რომელიც, მიუხედავად არსებული ინსტრუქციებისა, ამჯერად არ თამაშობს სათანადო როლს სასწავლებლის ცხოვრებაში), ფაქტურად თავისი დეკანები ჰყავთ. საზოგადოებრივი ორგანიზაციები უღიღეს დახმარებას უწევენ აღმინისტრაციას მუშაობის უკეთ ორგანიზაციისათვის. საკითხავია, ნუთუ არ შეიძლება ვენდოთ ამ ინსტანციებს? ვანა არ შეიძლება ვენდოთ პროფესორ-მასწავლებლებს, და მათი შეხედულებისამებრ გადავწყვიტოთ საკითხი, ვინ არის გასარიცხი და ვინ

არის ღირსი განსაკუთრებული ყურადღებამდე რატომ უნდა უღრიდეს სტუდენტთა მოსწრება უქვეყლად 94 — 95%? ჩვენ ასეთი შემთხვევა გვექონდა. ერთხელ ჩვენი ინსტიტუტის კოლექტივმა გადაწყვიტა, მკაცრი და ობიექტური ყოფილიყო სტუდენტთა ცოდნის შეფასებაში. ასეთ პირობებში საშუალო წლური მოსწრება დაახლოებით 80% გამოვიდა. ატყდა ერთი კორიანტელი. ჩვენი ინსტიტუტი მოხვდა მრავალ რეზოლუციაში, სადაც აღნიშნული იყო მისი ჩამორჩენა, გამოიყო კომისიები, დაწყო დავითხვები, განკიცხვები და ა. შ. შემდგომი წლის პირველ სემესტრში მოსწრებამ უკვე 96% მიაღწია. თითქოს ყველაფერი როგვე იყო, რეზოლუციები მიიღეს, ღონისძიებები დასახეს, ჩვენ ისინი ვითომ გავახორციელეთ და მოსწრებაშიც იმატა. კარგიმც რომ ასე ყოფილიყო. ფორმალურად ასეც იყო. საინააღმდეგოს ვერც დაამტკიცებს აღამიანი. მაგრამ ვანა ჩვენ არ ვიცოდით, როგორ მოხდა ეს „სასწაული“? მომთხოვნ და მკაცრ მასწავლებელთან შეიძლება მოსწრება უფრო დაბალი იყოს, ვიდრე ლიბერალ და სუსტი ნებისყოფის მასწავლებელთან. ასეთ შემთხვევაში რომელი მასწავლებელი უკეთესი? ერთერთი ჩვენი კოლეგის ლექციებს სტუდენტები, როგორც წესი, არ უსმენენ: ზოგი თმას ივარცხნის, ზოგი ღიღინებს, ზოგი კითხულობს, ზოგი ქსოვით არის გართული, სხვანი სხვა საგანში მოცემულ დავალებას ასრულებენ, ზოგს კი თვალი ლექტორისათვის მიუპყრია, მაგრამ რას ფიქრობს, არავინ უწყის. ეს მასწავლებელი კარგ სპეციალისტად ითვლება, „ფრიაღზე“ ნაკლებ ნიშანს არ წერს, სტუდენტებმა ეს იციან და გამოცდაზედ „სათანადოდ“ მომზადებული შედიან. აი როგორ კახსამედ მიყვავართ მექანიკურად მოსწრების მიხედვით ამა თუ იმ პროფესორ-მასწავლებლის შეფასებას. ამ აღამიანს თქვენ ხელს ვერ ახლებთ, მას ათეული წლების მინძილზე ასპროცენტიაინი მოსწრება აქვს.

ამ უმსგავსი წესების კარდინალურად შეცვლის დრო უკვე დიდი ხანია დადგა. უმაღლესი სასწავლებლის დირექციას, რექტორატს, აღმინისტრაციას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს უნდა ვენდოთ მასწავლებლისა და მოსწავლის შეფასების დროს.

ჩვენ ამ საკითხთა ჩამოთვლით ვემაყოფილდებით. სხვაც ბევრია. ამჯერად ეს ვიკმაროთ.



შედეგ ხილავები

ერთი „რეპლიკის“ გამო პეტრიწთან დაკავშირებით

ჟურნალ „ციცკრის“ მიმდინარე წლის მესამე ნომერში მოთავსებულია თ. კუკავას წერილი — „ჩანაფიქრი და სინამდვილე“, რომელიც ეხება ჩემს ერთ-ერთ ნაშრომს („იოანე პეტრიწი“, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956 წ.).

მთავარი სადისკუსიო საკითხი აქ არის შუა საუკუნეების დოგმატიზმისადმი პეტრიწის დამოკიდებულება, სახელდობრ: შუა საუკუნეთა ეს შესანიშნავი მოაზროვნე და ფეოდალური ხანის ქართული ფილოსოფიური აზრის უდიდესი წარმომადგენელი დოგმატიკოსი იყო, თუ, როგორც მე მაქვს აღნიშნული ჩემს ნაშრომში, „პრინციპული წინააღმდეგობაში აღმოჩნდა როგორც ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთ ძირითად დოგმატთან, აგრეთვე ფილოსოფიის ძირითადი საკითხის იმგვარ გადაწყვეტასთან, რომელსაც ფილოსოფიის გაბატონებული თეოლოგიურ-იდეალისტური მიმდინარეობა ძღვეოდა“ (გვ. 77).

უპირველესად ყოვლისა, თ. კუკავას შენიშვნები ფაქტების აშკარა დამახინჯებაზეა აგებული.

ასე, მაგალითად, შენიშვნებში ვკითხულობთ, თითქოს მე მსურს დაავამტკიცო „პეტრიწის აზროვნების პროგრესულობა, და არა მხოლოდ პროგრესულობა, არამედ მატერიალიზმის მიჯნებაში მისვლა“ (გვ. 131, ხაზი ჩემია. — მ.ხ.). უნდა შევნიშნო, რომ ჩემს ნაშრომში მე არსად არ მისხენებია არც პეტრიწის მატერიალიზმი და არც მისი „მატერიალიზმის მიჯნებაში“ მისვლა. და ეს იმის გამო, რომ მე მაქვს სრულიად გარკვეული წარმოდგენა (სწორია ის თუ არა — ეს სხვა საკითხია) შუა საუკუნეების ძირითად ფილოსოფიურ მიმართულებებზე. ყოველ შემთხვევაში, „პეტრიწის „მატერიალიზმის მიჯნებაში“ მისვლა“ „ჩანაფიქრის...“ სუფთა პროდუქტია და ის ჩემს მხრივ არ საქართვებს არც დაცვასა და არც უარყოფას (რაც შეეხება პეტრიწის აზროვნების პროგრესულობას“ — იმაზე ქვემოთ).

შენიშვნებში ვკითხულობთ, რომ ჩემს ნაშრომში „არაფერია ნათქვამი პეტრიწისა და იტალის ფილოსოფიათა ურთიერთობის შესახებ“ (გვ. 133). სინამდვილეში, ჩემს წიგნში საკმაოდ ვრცელადაა ლაბარაკი იოანე იტალზე (გვ. 88-96) და აქაც სრულიად გარკვეული მოსაზრებით. საქმე ისაა, რომ იტალსა და პეტრიწს შორის არსებობს არა მხოლოდ მეგობრული კავშირი, არამედ იდეურიც და (როგორც მე ეს, ჩემი აზრით, საკმაოდ ნათლად ვავარკვევ) სრული ანალოგია ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტაში. წერილში ნათქვამია, თითქოს მე ჩემს ნაშრომში „პეტრიწის თხზულების მხოლოდ წინასიტყვაობის განხილვით“ ვმყოფილდებოდე (გვ. 132). მაშინ როდესაც ჩემს ნაშრომში ციტირებულია იოანე პეტრიწის თხზულებები გვ. 43, 45, 59, 60, 76, 95, 213, 222, რომლებიც სცილდებიან წინასიტყვაობის ფარგლებს.

განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ პეტრიწის თხზულების წინასიტყვაობა მე მთლიანად მაქვს გადმოცემული (ჩემი ნაშრომის გვ. 64—70) და ესეც სრულიად გარკვეული მიზნით. ამ წინასიტყვაობაში თვით პეტრიწს მოკლედ აქვს დალაგებული მისი ფილოსოფიის ძირითადი მომენტები, ხოლო მათი გადმოცემა თანამედროვე ქართული ენით (რაც აქამდე არავის გაუკეთებია) რამდენადმე მაინც გაუადვილებდა მკითხველს პეტრიწის რთულ ფილოსოფიურ ტექსტში გარკვევას.

რად დასჭირდა „ჩანაფიქრის...“ ავტორს მკითხველის შეცდომაში შეყვანა, ამის გარკვევაში მე არ შევძევიარ.

რაც შეეხება ძირითად საკამათო საკითხს, ამის შესახებ შემდეგი უნდა ითქვას.

ჩემის აზრით, იმისათვის, რომ მართებულად გადაიჭრას საკითხი — რომელ მიმართულებას ეკუთვნოდა პეტრიწი, დოგმატიკურს, თუ პროგრესულს, ობოზიციურს, — საჭიროა გაირკვეს: როგორ წყვეტს პეტრიწი მთელი ფილოსოფიის უდიდეს საკითხს, და, მაშასადამე, რა ადგილი უჭირავს მას ორ იდეოლოგიურ მიმართულებას



შორის არსებულ წინააღმდეგობაში. ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ფილოსოფიაში ფილოსოფიის უდიდესი საკითხი შემდეგი სახით იდგა: „ქვეყანა ღმერთის მიერაა შექმნილი, თუ იგი დასაბამიდან არსებობს“¹.

ვინც შუა საუკუნეების ფილოსოფიაში გარკვეულია (ხოლო ვინც ამ საკითხებზე წერს — ვალდებულია გარკვეული იყოს), მისთვის ნათელია, თუ რატომ მიიღო ფილოსოფიის ამ ძირითადი საკითხმა სწორედ ასეთი სახე, და რატომაა იგი სპეციალური მსჯელობის საგნად ქცეული ენგელსის შრომაში.

საქმე ისაა, რომ რელიგიური მსოფლმხედველობის მიხედვით (სულ ერთია ეს რელიგია ქრისტიანული იქნება თუ მუსლიმანური) სამყარო წარმოადგენს შედეგს ღმერთის მიერ დროში განხორციელებული აქტისა. „ღმერთმა, რომელიც თავისთავად მარადიულად არსებობდა სამყაროს იდეას, ყველა იდეის მომცველი ღვთისების მეშვეობით შექმნა ეს ქვეყანა თავისუფალ თვითგანსაზღვრებაში. ამ ქვეყანას აქვს დასაწყისი და ექნება ბოლოც; ღმერთმა შექმნა ის, მის მიერ შექმნილი უმადლესი სამყაროს მსგავსებით, არაფრისაგან“².

აქედან ცხადია, რომ ქვეყნისა და ღმერთის მიმართების დოგმატური გადაწყვეტა გულისხმობს ღმერთის (და მაშ. მიწების, საწყისის) მარადიულობას, ხოლო ქვეყნის (და მაშ., შედეგის) დროულობას.

ამიტომ, მგალითად, თბა აქვინელი, ეს დამატარებელი კათოლიკური ფილოსოფიის შენობისა, ჩვენთვის საინტერესო საკითხზე თავისი მოძღვრების ჩამოყალიბების დროს საღმრთო წერილის შემდეგი სამი მომენტიდან გამოდიოდა: შექმნის იდეა უარყოფს წინასწარ არსებულ მატერიას; შექმნილს, თვით მისი ბუნების მიხედვით, არარსებობა უსწრებს წინ, ე. ი. შექმნილი თავისთავად მხოლოდ არარაობაა; და, ბოლოს, შექმნის ცნება იმას გამოხატავს, რომ შექმნილი არარას შემდეგაა არა მხოლოდ ბუნებით, არამედ დროითაც, ე. ი. მას აქვს დასაწყისი დროშიც³.

თუ ამ თვალსაზრისით შევხედვით იოანე პეტრიწის ფილოსოფიას (რაც მე გვაკეთებ ჩემი ნაშრომში) და სხვადასხვა ხასიათის ჩანაფიქრი არ შეგვიშლის ხელს სწორი მსჯელობისათვის, მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ. ეს დასკვნა ჩემი ნაშრომის 76—77 გვერდებზე არის გაკეთებული: „თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შეხედულებას მის მთლიანობასა და სის-

ტემატურობაში, შეიძლება ითქვას, რომ იგი არათუ არ ჩაერთა ქრისტიანულ დოგმატიკაში, არამედ პრინციპულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა როგორც ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთი ძირითადი დოგმატთან, ავრთვე ფილოსოფიის ძირითადი საკითხის იმგვარ გადაწყვეტასთან, რომელსაც ფილოსოფიის გაბატონებული თეოლოგიურ-იდეალისტური მიმდინარეობა იძლეოდა. ფილოსოფიური სისტემის მიხედვით, რომლის თვალსაზრისზე იოანე პეტრიწი იდგა, გამოირიცხებოდა დროის მომენტის წყობით ჩამოთვლილი საფეხურების მიმართებიდან და ამდენად სამყარო „უზესათვის ერთის“, ანუ ღმერთის თანადროულია; უფრო სწორად, სამყარო ღმერთის თანამარადიულია“⁴.

თ. კუკუა „მწუხარებას“ გამოთქვამს იმის გამო, რომ მე ამ „საკმაოდ გაბედული დებულების დასადასტურებლად“ არც ერთი საბუთი არა მაქვს მოტანილი თვით პეტრიწის თხზულებიდან. შემდგომი სიტყვებიდან ირკვევა, რომ საბუთში ციტატება იგულისხმება.

მაგრამ აქ საბილო დარჩა შეუმჩნეველი! ჩემი დებულების საბუთი, როგორც მე ვწერდი, პეტრიწის ფილოსოფიაა „მის მთლიანობასა და სისტემატურობაში“, „ფილოსოფიური სისტემაა, რომლის თვალსაზრისზე იოანე პეტრიწი იდგა“.

ამიტომ, „სანამ უფრო კონკრეტულად შევხებოდეთ საკითხს პეტრიწის ფილოსოფიის პროგრესული იდეების შესახებ, — ნათქვამია ჩემს ნაშრომში, — ვაღმოვაკეთ მისი ფილოსოფიური თხზულების „წინასიტყვადას“ ძირითადი დებულებანი“ (გვ. 64). და აი, ნაშრომის თითქმის 7 გვერდზე (გვ. 64 — 70) ვაღმოვაკეთებ პეტრიწის თხზულების წინასიტყვაობა, რომელიც ნათელ სურათს იძლევა პეტრიწის ფილოსოფიაზე „მის მთლიანობასა და სისტემატურობაში“. ნაშრომის შემდგომ (72) გვერდზე წინასიტყვაობისა და თხზულების 21-ე თავის მიხედვით დალაგებულია სინამდვილის ყველა საფეხური „ზესთ, მდებარე... ერთით“ დაწყებული და ოთხი კვეთის მითა და ყოველთა ქმნადა“ დაბოლოებული. ამგვარად ჩემი ნაშრომის 64 — 70 და 72 გვერდებზე მოტანილია სწორედ საბუთი. ეს საბუთი შეუმჩნეველი შეიძლება დარჩეს მხოლოდ ციტატების ისეთ მოყვარულს, რომელიც ამა თუ იმ აზრს მხოლოდ ცალკეულ, მზამზარეულ, მარტივ დებულებებში სწვდება, მაგრამ საკმარისია ეს აზრი ცოტა უფრო ვრცლად იყოს წარმოდგენილი, რომ იგი მისთვის უმაღლესი გაუჩინარდეს. ის, ვინც ჩემი ნაშრომის 64 — 70 და 72 გვერდზე წარმოდგენილ აზრებში გაერკვა (რომლებიც პეტრიწს ეკუთვნის და არა მე), დარწმუნდება, რომ პეტრიწის ეს საფეხურები თანამარადიულიად ეს-

¹ მარქსი და ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1950, II, გვ. 445.
² А. Гарнак, История догматов, გვ. 320.
³ А. Штёкль, История средневековой философии, 1912, გვ. 217.



მოლა და, მაშასადამე, ქვეყანა მისთვის ღმერთის მიერ კი არაა შექმნილი, არამედ „დასაბამიდან არსებობს“.

მაგრამ საქმე ისაა, რომ პეტრიწის ფილოსოფიაში გარკვევა წერილის ავტორისათვის იმთავითვე გამოიციხულია იმ ფრიად „ორიგინალური“ შეხედულების გამო, რომელიც მას ჰქონია საზოგადოდ მიზეზისა და შედეგის, ერთისა და სიმრავლის, საწყისისა და შედეგის შესახებ.

„საგნები, — ვკითხულობთ წერილში, — რომლებმაც მყოფობა მიიღეს „ერთისაგან“, არიან მისი შედეგი და, ცხადია (ეს „ცხადია“ სრულ გაუგებრობაზეა ავებული. — შ. ხ.), დროში მის შემდეგ არსებობენ“ (გვ. 132). „გ ა ნ ა დ ა ს ა შ ვ ე ბ ი ა, — ვკითხულობთ მეორე ადგილას, — რომ მიზეზი შედეგის თანამარადიულად ყოფილიყო გააზრებულნი?“ (იქვე, ხაზი ჩემია. — შ. ხ.).

ამის შემდეგ ცხადია, რომ შენიშვნების ავტორის საქმე ასე უნდა წარმოსდგომოდეს: „პეტრიწი ყველგან ლაბარაკობს ერთის, როგორც საწყისის წინააღმდეგ არსებობაზე სიმრავლესთან შედარებით“ (იქვე, ხაზი ჩემია. — შ. ხ.).

ძნელია იმის გარკვევა — სად და როგორ შეუმუშავდა ამ სტრიქონების ავტორს ამგვარი წარმოდგენა, მაგრამ ერთი რამ ცხადია: მას გამორჩენია ფილოსოფიის ისტორიის ისეთი „დეტალები“, როგორცაა, ვთქვათ, პლატონი, ნეოპლატონიზმი, ჯორდანო ბრუნო, სპინოზა, ჰეგელი და სხვ. სადაც ერთი, საწყისი, მიზეზი და მისი დამოკიდებულება სიმრავლესთან, ბუნებასთან სწორედ ისეა გააზრებული, როგორც ეს თ. კუკავას დაუშვებლად მიაჩნია.

მაგრამ თ. კუკავას რომ ჩემი ნაშრომი მაინც წყევითხა გულდასმით და მისი კითხვის დროს „ჩანაფიქრისაგან“ განთავისუფლება მოეხერხებინა, მაშინაც დარწმუნდებოდა, თუ რამდენად შორსაა ფილოსოფიის ისტორიის, და, კერძოდ პეტრიწის ეპოქის ფილოსოფიის, ფაქტებისაგან მისი შეძახილი: „განა დასაშვებია, რომ მიზეზი შედეგის თანამარადიულად ყოფილიყო გააზრებული?“

ცნობილია, რომ, მაგალითად, აბუალი იზნინას (ავიციენას, X — XI სს.) „ღმერთი და სამყარო“ გააზრებული ჰქონდა სწორედ „მიზეზისა და მოქმედების მიმართებაში“, და ამიტომ, „თუ ღმერთი მარადიულია, მაშ საწყაროც აუცილებლად მარადიული უნდა იყოს“ (შტაიკლი, ხაზი ჩემია. — შ. ხ.); ავიციენას მიხედვით, „თუ მარადიულია ღმერთი როგორც

მიზეზი, მაშინ საწყაროც არანაკლებ მარადიულია როგორც შედეგი“¹. ცნობილია ისიც, რომ „ავიციენა უარყოფს, რომ საწყარო შექმნის შედეგს წარმოადგენს“ და ამიტომ მისი მოძღვრება „გაფთვებულ შემოტევას“ განიცდიდა „მუსლიმანი ღვთისმეტყველების მხრივ“ (აკად. პავლოვსკი) და სხვ. და სხვ.

მსგავსი მდგომარეობა იოანე იტალიანს. „უფრო მნიშვნელოვანი იქნება, — ვწერ მე, — ანალოგიისათვის მივმართოთ იმ ფილოსოფიურ წრეს, რომელშიც იოანე პეტრიწი ტრიალებდა კონსტანტინოპოლში მიღვაწეობის დროს“ (გვ. 88). ამ წრის ყველაზე მნიშვნელოვანი წარმომადგენელი იყო იოანე იტალი, რომელთანაც პეტრიწი დაახლოებული იყო პირადად და იღებურად. ამავე დროს არსებობს მეტი მასალა იმის გასარკვევად, თუ რა შეხედულებების გამო იყო იტალი სასამართლოში მიცემული. სასამართლოს დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ იტალს ბრალად, სხვათა შორის, ისიც ედებოდა, რომ იგი ავითარებდა მოძღვრებას „დაუსაბამო“ და „თვითმყოფი მატერიის შესახებ“, რომ მისი მოძღვრება უპირისპირდებოდა საეკლესიო მოძღვრებას საყაროს „აარაისაგან“ შექმნის შესახებ.

„იოანე პეტრიწი რომ იტალის თანამოაზრე უნდა ყოფილიყო, — ვწერდი მე (გვ. 96), — ამაში გვარწმუნებს არა მხოლოდ ძუნწად მოღწეული ბიოგრაფიული ცნობები, არამედ იტალიისა და პეტრიწის ფილოსოფიურ შეხედულებათა ანალოზი. მათი შეხედულებანი ძალიან ახლოა საერთოდ ერთმანეთთან, მისა, ეს მსგავსება იდენტურობამდე მიდის იმ კარდინალურ საკითხში, რომელიც მატერიის, ბუნების, სამყაროს მარადიულობას შეეხება“.

აქედან ცხადი იყო ჩემთვის, რომ, თუ იტალის გაიციენისა და დასჯის მიზეზი მისი ფილოსოფიური შეხედულებანი იყო, იგივე გარემოება უნდა ყოფილიყო მიზეზი პეტრიწის დენისა და შეეიწროებისა.

ყოველივე თქმულის შემდეგ მკითხველისათვის, ვფიქრობ, ნათელი უნდა იყოს, რომ თ. კუკავას მიერ ცატრებული პეტრიწის თხზულების ვერცერთი ადგილი ვერ ბარყვეს იმ დებულებას, რომ საწყარო, პეტრიწის მიხედვით, ღმერთის თანამარადიულია.

მე ვი ადგილები, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ჰქონდა გათვალისწინებული. მაგრამ რადგან მე დასაშვებად მიმჩნია, რომ შედეგი შესაძლოა გააზრებულ იქნეს მიზეზის თანამარა-

¹ Институт философии АН, Очерки по истории филос. и общ.-полит. мысли народов СССР, т. I, 1955. გვ. 86. ხაზი ჩემია, შ. ხ.

დიულად, ვიცი, რომ ეს უამრავი ფაქტით არის დადასტურებული ფილოსოფიის ისტორიაში, და პეტრიწთანაც სწორედ ამგვარ ვითარებას ვხედავ, ამიტომ ისინი არ წარმოადგენენ დაბრკოლებას ჩემი დასკვნისათვის. უფრო მეტიც: მე კარგად მქონდა გათვალისწინებული პეტრიწის თხზულების ის ადგილიც, სადაც ლმერთისა და „ქვეყნის“ დამოკიდებულებაზე ისეთი აზრია გამოთქმული, რომელიც მართლაც ახლოა დოგმატიზმთან. თ. კუკავა ან არ იცნობს ამ ადგილს, ანდა ვერ „გაუაზრებია“ მისი მნიშვნელობა საკუთარი თვალსაზრისისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ამ ადგილს აუცილებლად მოიტანდა. მაგრამ მე არც ამ ადგილმა შემიცივალა შეზღუდულება, რადგან, ჩემი აზრით, მას სრულიად გარკვეული ახსნა მოეძებნება.

იმის გარკვევის შემდეგ, თუ როგორ წყვეტდა პეტრიწი ფილოსოფიის ძირითად საკითხს, მე ჩემს ნაშრომში (გვ. 77 — 82) გადავდივარ იმ პრინციპულ ხასიათის შედგენაზე, რომელიც ე. ი. აქვენი დანაშაულებითაა. ზოგად ნაწილში ამ შედეგებზე მსჯელობის დროს ვემყარები ლ. ფოიერბახის ცნობილ თხზულებას „ქრისტიანობის არსება“, სადაც ეს საკითხები საფუძვლიანად არის გარკვეული. „ჩანაფიქრის...“ ავტორმა აქაც ჩვენს ნაშრომში კვლავ ციტატების ძიებაშია. იგი სრულიად არ ჩაფიქრებია იმ გარემოებას, რომ შუა საუკუნეების მოაზროვნე და, კერძოდ, პეტრიწი ვერ იტყოდა ყველაფერ იმას, რაც მისი ფილოსოფიიდან გამომდინარეობდა და დოგმატიზმს უპირისპირდებოდა, განსაკუთრებით ისეთ საკითხებში, რომელთა შესახებაც ჩემს ნაშრომშია საუბარი. ვერ იტყოდა მხოლოდ იმ მიზნით, რომ რვა საუკუნის შემდეგ ისინი ვისმე ამოეკითხა და „პეტრიწის აზროვნების პროგრესულობაში“ ეკვივალარ შეეტანა! მსაჯულეები იტალს იმას კი არ უყენებდნენ ბრალდებულად, რომ იგი სამყაროს დაუბოლოებლობას პირდაპირ ამტკიცებდა, არამედ იმას, რომ სამყაროს დაუბოლოებლობა გამომდინარეობდა იტალიის მოძღვრებიდან. ეს ცნობილი ფაქტია.

ერთგან ჩემს ნაშრომში „ჩანაფიქრის...“ ავტორს „წინააღმდეგობა“ აღმოუჩენია და საზეიმო განწყობილებას ვეღარ ფარავს. ერთი მხრივ მე „რამდენიმე ადგილას ხაზგასმით“ მქონია აღნიშნული, რომ „პეტრიწისათვის „ერთი“ ანუ ლმერთი არის აბსოლუტური რეალიზაო“, ხოლო „შემდგომში, როდესაც თავისი, ჩვენ ვიტყვით აპრიორული, (!) დებულების დასასაბუთებლად დასჭირდება, ასეთ მოსაზრებას გვათავაზობს: „ფილოსოფიის ძირითადი საკითხის პეტრიწისეული გადაწყვეტა დვთაებრივი განგებების აბსოლუტურობას აღუდგინდა და მის ყოვლისშემ-

ძლეობას საფუძველშივე უდებდა „საზღვარს“ (გვ. 80. ხაზი ჩემია. — თ. კ.)“ (გვ. 132).

პირდაპირ უნდა ითქვას: მოტანილ დებულებებს შორის წინააღმდეგობა მხოლოდ იმას შეუძლია დაინახოს, ვისაც მდლარი წარმოადგენდა აქვს აბსოლუტურობაზე, რეალიზაზე, „ერთზე“, განგებაზე, ყოვლისშემძლეობაზე... საიდან აიღო „ჩანაფიქრის...“ ავტორმა, რომ აბსოლუტური რეალიზა აუცილებლად უნდა აბსოლუტური განგება და ყოვლისშემძლეობა იყოს, მე არც ამ საკითხის გარკვევაში შევდივარ. ასევე კი ისაა, რომ, თეოლოგისა და დოგმატიზმის მიხედვით, ლმერთის ყოვლისშემძლეობის უპირველესი აქტი ქვეყნის არაფრისაგან შექმნა, ე. ი. არარაობის ყოფიერებად ქცევა იყო. ისევე, როგორც მისი, როგორც განგების პირველ სასწაულს იგივე აქტი, არაფრისაგან სამყაროს შექმნა წარმოადგენდა. ის, ვინც (ამ შემთხვევაში პეტრიწი) უარყოფდა ამ აქტს, ის ლმერთის „ყოვლისშემძლეობას საფუძველშივე უდებდა საზღვარს“ და „ღვთაებრივი განგების აბსოლუტურობას ზღუდავდა“. თუმცა მას ერთის აბსოლუტურ რეალიზაში არ შეუტანია ემპირია.

მე, რა თქმა უნდა, არა მაქვს საშუალება „რეპლიკების“ დანარჩენი შენიშვნებიც ასევე დაწვრილებით განვიხილო. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ სრული გაუგებრობაა, მაგალითად, იმის განცხადება, თითქოს „პეტრიწი ყველგან ლაპარაკობს ერთის, როგორც საწყისის შეინარჩუნებას არსებობაზე სიმრავლესთან შედარებით“ (გვ. 132, ხაზი ჩემია. — შ. ხ.); თითქოს პეტრიწის ფრაზაში — „მაშა იყოს შემდგომად ერთისა ყოველი სიმრავლე“ — სიტყვა „შემდგომად“ დროში შემდეგს ნიშნავდეს (იქვე); თითქოს პეტრიწი „არსთა დაწყებას, ე. ი. (!) შექმნას“ განიხილავდეს (გვ. 132); ასეთსავე გაუგებრობაზეა დამყარებული „ჩანაფიქრის...“ ავტორის მსჯელობანი პირველ სხეულზე, იოანეს სახარების დასაწყის სიტყვებზე (გვ. 133) და ა. შ.

ასეთია თ. კუკავას შენიშვნების ხასიათი. ერთი შეხედვით აქ თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე მოჩანს. აქ თავისთავში დაჯერებულობაც არის, ძახილის ნიშნებიც (ფრჩხილებში), ტონიც („სამწუხაროდ...“, „ჩვენ ვიტყვით...“ „ავტორს რომ უფრო გულდასმით შეესწავლო...“ და მისთ). მაგრამ რაც უნდა თქვას „ჩანაფიქრის...“ ავტორმა, რაც უნდა შეიძახოს მან („განა დასაშვებია...“ და სხვ.) და რაც უნდა „შეისწავლოს“, არსებითად, იგი ყოველთვის თითოეულს ებჯრება და ერთ ასოციაციას ბუნებრივად იწვევს ჩვენში. პეტრიწი თავისი ზღვევლების



მისამართით წარმოთქვამს: „გინაჲ ძვრთასაცა უძვრეს ესე, რომელ ორითა იპყრობოდეს უმეტრებითა: პირველ—მარტივად უმეტნობითა სასწავლოთაჲთა, და კუალად მეორედ—თვთ მის

უმეტრებისა უმეტრებითა, ვითარ იტყვის სიტყვა რატ, რამეთუ ძნელ — სენი, არამედ უფიციხეს — უმეტრებაჲ სენისაჲ“.


რელაქციონისაზან

იოანე პეტრიწის რთულ მემკვიდრეობაში გარკვევა და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში მისი როლისა და მნიშვნელობის ამომწურავი განსაზღვრა ჩვენი ფილოსოფიური მეცნიერების ერთ-ერთ უველაზე მნიშვნელოვან ამოცანას და საკვანძო პრობლემას წარმოადგენს. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა „ციცკრის“ რელაქცია, როდესაც უშრნალის ფურცლებზე ადგილი დაუთმო თ. კუკავას წერილს — „ჩანაფიქრი და სინამდვილე“. ამავე მოსაზრებით ვაქვეყნებთ შ. ხიდაშელის პასუხს აღნიშნულ წერილზე. ცხადია, რელაქცია შორსაა იმ აზრისაგან, რომ ამ ორი წერილით გაირკვეს რაობა ისეთი რთული პრობლემისა, როგორცაა პეტრიწის ნაზრევი, მაგრამ გარკვეული მხრივ, თუნდაც საკითხთა დაყენების თვალსაზრისით, მათ შეუძლიათ საქმის წინ წაწევა, მით უმეტეს, თუ აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთ სიტყვას იტყვიან ამ დარგში მომუშავე სხვა მეცნიერნიც.



რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია

არის პრობლემები, რომლებიც
მა თუ იმ ხალხისათვის არას-
დროს არ მოძველდება. ქართველი
ერისთვის ერთ-ერთი ამგვარი
პრობლემაა რუსთაველის გენია-
ლური პოემის რაობის დადგენა, მის
არსში ღრმად ჩაწვდომა. და საგუ-
ლისხმოა, რომ იქმნება შთაბეჭდი-
ლება: რაც უფრო მეტი მუშაობა
წარმოებს ამ მხრივ, მით უფრო სა-
ინგლო ხდება ვადაჭრა ხსენებული
პრობლემისა. ამ ამბავმა არ უნდა
გაგვაკვიროს და არც შეგვაშფო-
თოს; მართლაც შედარება რომ მო-
ვიშველიოთ, მაღალი მწვერვალი შორიდან მუდამ



უფრო იოლ დასაპყრობი ჩანს, მიახლოებისას კი
ირაკვევა მასზე ასელის მთელი სიძნელე. შესაძ-
ლოა ამ საქმეს არა ერთი და ორი თაობის თავდა-
დებული ბრძოლა დასჭირდეს, შესაძლოა ზოგმა
თაობამ აღმასვლის სიხარულთან ერთად დამარც-
ხების სიმწარეც ხშირად იწვნოს. მაგრამ საბო-
ლოლოდ მხოლოდ გულმოდგინე, შეუპოვარი, ხან-
გრძლივი შერკინების შედეგად თუ მიეწვდებით
დასახულ იდეალს.

როგორც ცნობილია, მეცნიერულ რუსთველო-
ლოგიას ვახტანგ მეექვსემ ჩაუყარა საფუძველი
„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად დადგენილი
ტექსტის დაბეჭდვითა და მისთვის ფრიალ ორი-
გინალური კომენტარების დართვით. მომდევნო
ხანაში, XIX საუკუნემდე, გასაგები მიზეზების
გამო, ამ დარგში თითქმის აღარაფერი გაკეთე-
ბულა. ამ საუკუნიდან კი „ვეფხისტყაოსანთან“
დაკავშირებული კვლევა-ძიება აღარ შეწყვეტი-
ლა, მეტ-ნაკლები ინტენსივობით წარმოებდა და
მუდამ აპყრობდა ჩვენი საზოგადოების ყურად-
ღებას.

XIX საუკუნეში ამ მხრივ გაწეული მუშაობის
უმავერესი ეტაპები დაახლოებით ასეთ სურათს
ქმნის: ბროსე, ჩუბინაშვილი, ილია ჭავჭავაძისა
და აკაკი წერეთლის პაექრობა, უორდრობი და
საზღვარგარეთის ქვეყნების გარკვეული წრეების

დაინტერესება რუსთაველის პოე-
მით, ნ. მარის შრომები. XX
საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ შეს-
წავლის უფრო მკვიდრ ნიადაგზე
დაყენებისა და მსოფლიო ასპარეზ-
ზე მისი გასვლის პროცესი თან-
დათანობით ჩქარდება, ხოლო სა-
ქართველოში საბჭოთა ხელისუფ-
ლების დამყარების შემდეგ საამი-
სოდ ყველა პირობა იქმნება. ჩვენი
საუკუნის დამდევრიდან უმნიშვნე-
ლოვანეს, საეტაპო შრომებად რუს-
თველოლოგიაში შეიძლება მივიჩ-
ნიოთ კ. ჭიჭინაძის „ალიტერაცია

ქართულ შაირში და „ვეფხისტყაოსნის“ პრობ-
ლემა“ (1925 წ.), პ. ინგოროყვას „რუსთველიანა“
(1926 წ.), შ. ნუცუბიძის „რუსთაველის მსოფლ-
მხედველობა“ (1936 წ.), მისივე „რუსთაველი და
აღმოსავლური რენესანსი“ (1947 წ.), ვ. ნორაკი-
ძის „აღამიანობის იდეის დახასიათებისათვის
„ვეფხისტყაოსანში“ (1944 წ.), ვ. ნოზაძის „ვეფ-
ხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება“ (1953 წ.) და
ზოგიერთი სხვა. გარდა ამისა, ხაზგასმულია ის
გარემოება, რომ უკანასკნელ ხანებში „ვეფხის-
ტყაოსნის“ პრობლემებზე მუშაობს მრავალი
უცხოელი მეცნიერიც.

XX საუკუნეში (განსაკუთრებით უკანასკნელ
ათეულ წლებში) გაწეული შრომისათვის ყვე-
ლაზე დამახასიათებელი ის არის, რომ „შავი
საქუთას“, ვიწრო ფილოლოგიური კვლევა-ძიე-
ბის (არსებულ ხელნაწერთა შეჯერება, სალექ-
სიკონო საქმიანობა, ტექსტის საბოლოო დადგე-
ნის ცდები, პოემის სიმფონიის, ჩანართი და
დანართი ტექსტების გამოცემა და სხვ.) პარა-
ლელურად განსაკუთრებით გაცხოველდა ინტე-
რესი პოემის წმინდა ლიტერატურული, მსოფლ-
მხედველობრივი, ფილოსოფიური რაობის მი-
მართ. უკვე დადგა დრო ფართო მასშტაბების
მოხაზვისა და გაბეჭდილი განზოგადებებისა.



ასეთია ძალზე სქემატური სურათი იმ მუშაობისა, რომელიც გაწეულია რუსთველოლოგიაში ვახტანგ მეექვსისიდან მოკიდებული ჩვენს დღეებამდე. „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის ირგვლივ შეიქმნა დიდძალი ლიტერატურა, რომელსაც უნდა იცნობდეს არა მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, არამედ ფილოლოგიური განათლების მქონე ყოველი ადამიანი, ან, საერთოდ, ქართული მწერლობით დაინტერესებული პირი.

ამ მხრივ ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს გაიზო იმედაშვილის ახლახან გამოსულ წიგნს „რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712 — 1956 წლები“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1957 წ.). ეს ცხრასასროცდაათგვერდიანი ნაშრომი წარმოადგენს რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას. აქ წარმოდგენილია ის ვებერთელა მასალა, რაც კი რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ შექმნილა და რაზედაც ავტორს ხელი მისწვდენია. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად, წლების მიხედვით (თვით წლებს შორის კი დაცულია ანანათა რიგი). გარდა ამა თუ იმ ნაშრომის სახელწოდებისა და მისი ავტორისა, აქ მითითებულია გამომცემლობა (თუ ცალკე წიგნადაა გამოსული), ან ის ორგანო, სადაც ნაშრომი დაიბეჭდა. ამას მოსდევს თვით

ნაშრომის ანოტაცია, მასში მოცემულ მონათხაზებს შორისა და დებულებების რეზიუმე.

ამდენად, საკმარისია გ. იმედაშვილის წიგნის პირველი გაცნობაც, რომ მკითხველმა გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას რუსთველოლოგიის განვითარების ძირითად საფეხურებსა და ტენდენციებზე, „ვეფხისტყაოსნის“ ირგვლივ შექმნილ მრავალმხრივ ლიტერატურაზე.

„რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში“ შესულია 2481 ანოტაცია. მას დართული აქვს ავტორთა და პიროვნებათა საძიებლები, აგრეთვე პრობლემათა სპეციალური, საგნობრივი საძიებელი, რომელიც დიდად აადვილებს წიგნის გამოყენებას.

გაიზო იმედაშვილის წიგნი დიდი, ჭეშმარიტად თავდადებული შრომის შედეგია. მის შემდგენელს მაღლიერებით მოიხსენიებს ყველა, ვინც კი ქართული ლიტერატურით, მისი ისტორიით ან, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნით“ დაინტერესდება ამა თუ იმ მხრივ.


გამომცემლობის მიმართ უნდა შევნიშნოთ, რომ ყოვლად გაუმართლებელი იყო „რუსთველოლოგიური ლიტერატურის“ ესოდენ მცირე ტირაჟით (1000 ცალი) დაბეჭდვა. ვინ იცის, როდის გახდება შესაძლო ამ შესანიშნავი წიგნის მეორედ გამოცემა. არსებული გამოცემა კი უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

რეზაზ თვარაძე

უიარაღო სხულებათა პირველი ტომი

მწერალი უიარაღო... უმაღვე მოგაგონებდათ „მამულუკი“, ისტორიული საქართველოს ბედუქულმართი ცხოვრების ერთი ფურცელი. და ისე მკიდროდ შედეღობებია ერთმანეთს მწერალი და მისი ნაწერი, რომ უიარაღო ქართველი ფართო მკითხველის თვალში მხოლოდ და მხოლოდ „მამულუკის“ ავტორი გახდა. ნეღინელ დარდილა „მამულუკმა“ უიარაღოს დიდი სამწერლო ღვაწლი. ამასაც თავისი მიზეზი აქვს. ამ მოთხრობაში მწერალმა ერის ერთ, მართალია, წარსულ, მაგრამ უმძიმეს წყულუს შეახო ხელი. ტყვეთა სყიდვა, რამაც განსაკუთრებით მახინჯი ხასიათი დასაველთ საქართველოში მიიღო, ფეოდალური საქართველოს ერთი საშინელ სენთაგანი გახლდათ.

ცხადია, ნიქიერი მწერალი ამ მოვლენის ფონზე მშვენიერ ნაწარმოებს შექმნიდა. ასეც მოხდა.



უიარაღოს „მამულუკმა“ მკითხველები დაიპყრო თავისი მძაფრი დრამატული სიუჟეტით, კოლორიტული სახეებით, თხრობის უშუალობით. სიუჟეტის განვითარება ლოგიკურად დაავიჯრვინა მოთხრობის დასასრულმა. სადაც შორს, ეგვიპტეში ერთმანეთს შეაკვდა ორი კაცი. ერთს მამულუკის საშობი ეცვა, მეორეს ვენციელოსა შეგნოდა. მაგრამ „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე — ვენციელი.

ორივენი ბედკრულა საქართველოს შეილები იყვნენ“.

ეს მკითხველთა თვალში ნაძიელი გამოტირება იყო ყველა ტყვე ქართველისა, ომში დაღუბულისა, თუ შინ მოუსვლელისა, ყველა გარდახვეწილისა, მარტოობითა და სამშობლოს სეველი დაბეჩავებულისა. „მამულუკმა“ დიდი პოპულარობა მოიპოვა და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

ნელინელ დაჩრდილა უაიარალოს დიდი სამწერლო ღვაწლი.

უთუოდ საპატიო საფუძველი მოეპოვება გამოცემლობა „საბჭოთა მწერლის“ განზრახვას, მიიწვიებს მტკერი გადაცალის უაიარალოს ცონდრატე თათარიშვილს) და მკითხველთა წინაშე სრულად წარმოადგინოს იგი. ამ განზრახვის ხორცშესხმა უაიარალოს თხზულებათა სრული კრებული, ორ ტომად, რომლის პირველი ტომი წელს გამოვიდა (შემდგენელი სოლომონ ციციშვილი, რედაქტორი გრიგოლ ჩიქოვანი).

ტომს წამდვარებული აქვს ს. ციციშვილის ვრცელი შესავალი წერილი, რომელიც შეიცავს მწერლის ბიოგრაფიულ ნარკვევს და შემოქმედების განხილვას. მკითხველთა წინაშე წარდგება უაიარალოს — მწერლისა და მოქალაქის — მთლიანი პიროვნება. ყოველთვის და ყოველგან — სემინარიაში სწავლის წლები იქნება ეს, სოფლის მღვდლობა, ეგზარქოსთან შერკინება, საზღვარგარეთ სწავლა, თუ შემდეგ სამშობლოში დაბრუნება და აქ პედაგოგიურ-სამწერლო მოღვაწეობა — ყოველთვის და ყოველგან ჩანს, რომ კონდრატე თათარიშვილი იყო კაცი, რომელსაც ერის წყლული აჩნდა წყლულად, რომ იგი იყო დაზარულთა ქომავი და მფარველი.

ტომი იხსნება უაიარალოს პირველი ნაწარმოებით — „მშვიდობით!“ ამ მოთხრობის წერა მწერალს ჯერ კიდევ სემინარიაში დაუწყია. მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები საკმაოდ შორსაა მხატვრული სრულყოფისაგან, აქ მაინც ბევრი რამაა საინტერესო, რაიც მომავალ სერიოზულ მწერალს ამჟღავნებს. მოქმედება ხდება სამეგრელოში. მახვილი თვალთაა დანახული გუბნთა და თვად-აზნაურთა ყოფის მთელი რიგი დეტალები, საშუაგულო მოვლენები რეფორმის შემდგენლობიდან სოფლისა. მწერლის ყურადღებას არ გამოორჩენია სამეგრელოს ბუნება და ადგილები.

პირველ ტომშივე შესულია უაიარალოს რამდენიმე ისეთი მოთხრობა, სადაც საინტერესო მხატვრული ხერხით დაგმობილია მწერლის თანადროული საზოგადოების მანკიერი მხარეები. ასეთებია „ჩაიზე“, „ლაშაზაშ“, „პროტექცია“, „პირუთენელი დაფასება“, „ბუნდნიერება“, განსაკუთრებით საინტერესოა „ბუნდნიერება“. ბუნების წიადი — რამდენიმე ვერხვის ზე ქალაქგარეთ, ავტორის ნებით, ქალაქელთა გულგადაშლის ადგილი ხდება. უზნეო ქალ-ვაჟნი, ქურდ-ბაყაყანი აქ იონებენ გულს, ლაპარაკობენ თავიანთ ცხოვრებაზე. მაგრამ მათი ამბავი თანაგრძობის საგანი ვერ გახდება. პირიქით. მხოლოდ ზიზის იწყებს ის ქუჭუკი და ნაგავი, რაიც თავს იფარავს ადამიანთა საზოგადოებაში. მაგრამ ცხოვრებაში ხომ მართო ეს ნაძირალები არ არიან! „განა უხედულებაზე მომიჩივან ცოტა მოდის?“ — ამბობს ვერ-

ხვის ზე. ცხადია, აქ იგულისხმება ცხოვრების უხელორე მხარეს მღვდონი — ყველა მიმწავრებელი, ღარიბ-ღატაკი, წუთისოფლის გერი.

სამართლიანად მიიპყრო უაიარალო მკითხველთა ყურადღება ვერტოფოდებულ „ბიბლიურ ჰანგზე“ დაწერილი მოთხრობებით („რაბი იოზე“, „შოლტი“, „მეფე“, „ფარისელები“, „გასამართლება“, „სამედიკოლო“ და სხვ.). აქ მთავარია არა სიუჟეტი, არამედ თემის გადაწყვეტა. ყველა ამ მოთხრობის მთავარი გმირია ურასტანის ხალხი, რომელსაც სოციალური და ნაციონალური ჩავგვის ორმაგი უღელი ადგია. ხალხი ბოზოქობის, ზეგარდმო ელის მესიას, რომელმაც უნდა აღასრულოს ურასტანის მცხოვრებთა საუნჯეველი ოცნება. რაბი იოზემ (იესო ქრისტე) უნდა დაამხოს ძველი სარწმუნოება — დამყარებული ხალხის ყვლდაზე, ფარისელობაზე, ტყუილზე და ახალი და ახალი სარწმუნოება მისცეს ხალხს.

უაიარალოს თხზულებათა პირველ ტომში შესულია მწერლის შემოქმედების გვირგვინი — „მამეულიკი“ და რამდენიმე ნარკვევი. ნარკვევები უღავოდ საინტერესოა. ნარკვევი „ბედკრულთა მეგობარი ექიმი გააზი“ რუსულიდანაა გადმოკეთებული. მისი მიზანია ქართველ მკითხველთა წინაშე წარმოადგინოს ექიმი გააზი, მისი ჰუმანურობა, მისი სიყვარული მოყვანთადმი, განსაკუთრებით პატარათადმი. ამავე ტომისაა ნარკვევი „შეშლილთა სამეფოში“, რომელიც მწერლის მიერ ბელგიაში შესულილთა საავადმყოფოს დათვალერების შემდეგაა დაწერილი. მოგზაურის საინტერესო ჩანაწერებია „ტფილისიდან ჯულფამდე“ და „ბრიუსელიდან საქართველომდე“. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნარკვევი „მსოფლიო გამოფენა ქ. განში“. აქ მკითხველი დაინახავს კაცს, რომელიც ათვალთერებს ეკონომიურად დაწინაურებული ერების ნაღაფს გამოფენაზე და სულ ერთი ფიქრი უღრდნის გულს: რატომ ჩემს სამშობლოში არ უნდა იყოს გამოყენებული მიღარი ბუნებრივი სიმდიდრეო. ნარკვევი „ქართული ენისათვის“ ცხადყოფს, რომ კონდრატე თათარიშვილი არა თუ შორს ეღავიმ ბრძოლას, რომელსაც ჩვენი წინაპრები აწარმოებდნენ ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა ამ ბრძოლაში.

უაიარალოს თხზულებათა სრული კრებულის პირველი ტომის გამოცემით „საბჭოთა მწერალმა“ უთუოდ სისარგებლო საქმე გააკეთა. იმედია, მკითხველი მომავალ წელს მიიღებს მწერლის თხზულებათა მეორე ტომს.

„ფარიკაობა“

ისტორიული და კულტურული თვითმყოფადობის თვალსაზრისით ხეცსურეთი თავისებურ პატარა სამყაროს წარმოადგენს. სწორედ ამით აიხსნება ის შეუნელებელი ინტერესი, რომელიც მეცნიერები იჩენენ ამ კუთხის მიმართ. საქართველოს ამ პატარა ნაწილში ოდითგანვე გამრჯე, გულითადი და რაინდული ტრადიციების მქონე ხალხი ცხოვრობდა.

გაუწყნარებელი თავდაცვითი ბრძოლები ხეცსურებს იძულებულს ხდიდა მუდმივ საბრძოლო მზადყოფნაში ყოფილიყვნენ. ამ გარემოებამ განაპირობა ის, რომ მათ აუკუნეთა მანძილზე შეიმუშავეს სამხედრო-ფიზიკური აღზრდის საკუთარი, ორიგინალური სისტემა.

ისტორიულად ჩამოყალიბებული ხეცსურული სამხედრო-ფიზიკური აღზრდის მთავარ რგოლს წარმოადგენდა ცივი იარაღის ოსტატური ხმარება, რის სრულყოფაც ხდებოდა პირველ რიგში ფარიკაობით, რომელიც მკვებრული შერკინების ფორმას ატარებდა.

სწორედ ამ საკითხებისადმი არის მიძღვნილი ამას წინათ რუსულ ენაზე გამოცემული ნაშრომი „ფარიკაობა“, რომლის ავტორია დოქ. ვ. ელა. შვილი.

ვ. ელაშვილს შეეძლო გაეშალა მსჯელობა მხოლოდ ფარიკაობაზე; მაგრამ ამასთან ერთად იგი შეეცადა კონკრეტული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემებით მარქსისტული მეთოდოლოგიის სწორი გამოყენების საფუძველზე გაეშუქებინა საკითხი ხალხური სპორტის რაობის შესახებ. ამ მხრივ საინტერესოა ავტორისეული სრულიად ახალი კონცეფცია; მან ხალხური ფიზიკური ვარჯიშები და მოძრაობი თამაშების სახეობანი განაზოგადა და განიხილა ცალკეულ ისტორიულ ფორმაციათა მიხედვით. აქედან გამომდინარე, მან შეძლო ისეთი ცნებების კონკრეტული ფორმულირება, როგორიცაა „ხალხური სპორტი“, „ეროვნული სპორტი“, „კლასიკური სპორტი“ და სხვ.

მეორე საინტერესო მომენტი არის ის, რომ შრომაში განხილულია სამხედრო-ფიზიკური აღზრდის ავტორის მიერვე ხეცსურთა ყოფაში დაფიქსირებული სისტემა. ხეცსურთა სამხედრო-ფი-



ზიკური აღზრდა საფუძველი იყო მათივე საერთო აღზრდისა და ხეცსური მამაკაცის იმდროინდელი იდეალი — „კაცურ კაც“ თავისებურად რაინდული შინაარსისა და სამხედრო დემოკრატიის პრინციპებზე იყო აგებული.

სამხედრო-ფიზიკური აღზრდა ხეცსურეთში დიფერენცირებული იყო ასაკის მიხედვით და ოთხი ასაკობრივი ჯგუფისაგან შედგებოდა — „ბაღალი“, „მკაცარი“, „კაცი“ და „ბერიკაცი“. ცალკეულ ასაკობრივ ჯგუფს ჰქონდა კონკრეტული ამოცანები, საშუალებანი და ინვენტარი.

ჰქონდათ მოზადებულობის გარკვეული ნორმატივები, შემოწმების ფორმები, სწავლების მეთოდიკა და ა. შ. ახალაზრდა ხეცსური, სხვადასხვა სახის იარაღის ყოველმხრივ დაუფლებასთან ერთად, უნდა ყოფილიყო მამაცი, გონიერი, თავშეკავებული, ამტანი, მკვირცხლი, სტუმართმოყვარე და სხვ. ყველა ამ თვისების გამომუშავებისათვის კი მის უნდა გაეგელო ზემოაღნიშნული ხალხური აღზრდის თავისებური სკოლა, რომელშიც ფარიკაობა ერთ-ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენდა.

„ფარიკაობა“ წმინდა ქართული ცნებაა და ნიშნავს ცივი იარაღის დაუფლების იმ ფორმას, რომელშიც გამოიყენება ფარი და ხმალი. ამით ქართული — ხეცსურული ფარიკაობა მკვეთრად განსხვავდება თანამედროვე კლასიკური ფარიკაობისაგან. ხეცსურულ ფარიკაობაში თავდაცვისა და თავდასხმის დროს ორივე ხელი ერთდროულად იხმარება, მაშინ როდესაც კლასიკურ ფარიკაობაში სპორტსმენი ერთი უნიფიცირებული იარაღით „იბრძვის“, სადაც ერთი იარაღით ფარიც არის და ხმალიც.

ხეცსურული ფარიკაობის დროს „ბრძოლა“ მიმდინარეობს არა ხმლის პირის დარტყმით, არამედ სიბრტყით, ანდა ყუით. გამარჯვებულად და ფარიკაობის ოსტატად ითვლება ის, ვინც მოწინააღმდეგეს რაც შეიძლება მცირე და შედარებით უმტკივნეულო ჭრილობას მიაყენებს.

ნაშრომში, სხვა საინტერესო საკითხებთან ერთად, მკაფიოდ არის დახასიათებული ხეცსურული ფარიკაობის ვარიანტები და კლასიფიცირებულია ხეცსურეთში გავრცელებული ცივი იარაღის სახეობანი.

არჩილ ხუციშვილი



შედეგები

პაოლო იაშვილის ჩანახატები



გიორგიან ტაბიძე



ვალერიან ვაშვილიძე



კოლაუ ნალიბაძე



პაოლო იაშვილი

ალბათ ბევრმა არ იცის და გაუკვირდება კიდევაც, როდესაც გაიგებს, რომ პოეტი პაოლო იაშვილი გარდა პოეზიისა, თავის ყმაწვილკაცობაში მხატვრობითაც ყოფილა გატაცებული, და იმდენად, რომ 1913-1914 წლებში იგი პარიზს გამგზავრებულა და ლუვრთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში შესულა. პარიზში ის დაახლოვებია პიკასოს, აპოლინერს, მოდილიანის, რიბიერას და ილია ერენბურგს. გერონტი ქიქოძე იგონებს: „პაოლო იაშვილს პირველად პარიზში შეეხვდი. პაოლო იაშვილი თავისი გულთბილობისა და თავისი ხელ-



გაშლილობის წყალობით ადვილად ხიბლავდა და იზიდავდა ადამიანებს. ისეთებს, რომელთა ენა მან კარგად არ იცოდა. მან პარიზში რამდენიმე ფრანგი მხატვარი და პოეტი გაიცნო, მათ შორის ვიომ აპოლინერი“.

პაოლო იაშვილი რომ დაახლოებული იყო პარიზში მხატვრებთან და პოეტებთან, ამას ნათლად მოწმობს ერთი ადგილი მისი სენტიმენტალური მოთხრობიდან „ფერადი ბუშტები“ — ერთ ღამეს მე, ილია ერენბურგი და ვიომ აპოლინერი ვეწვიეთ მათხოვრების ბანაკს ალექსანდრე მესამის ხილქვეშო, მაშინ ომი დაწყებული იყო, და კამათიც მათხოვრებს შორის მის გარშემო სწარმოებდაო. ყველას შიოდა. ათი მათხოვარი წაუყვანიათ კაფე „ა ლა როტონდოში“ სავაზმოდ. ამ კაფეში მათ ესპანელი მხატვრის რიბიერას ბრძანებით და მხატვრების ერთ-ერთი მეცენატის მეთაურობით გაუმართავთ ვაზში, რომელზედაც მიუწვევიათ პაბლო პიკასოც, მაგრამ გაგზავნილი მანქანა ცარიელი დაბრუნებულა, ვინაიდან ის წინა დღით ფრონტზე წასულა“. კაფე „ა ლა როტონდოს“ იმ ღამის სურათი აუწერია აღტაცებაში მოსულ ახალგაზრდა პოეტს ალბერტ ჟანს და ლექსი ილია ერენბურგისათვის გადაუცია სათარგმნელად.

სხვათა შორის, საინტერესოა ისიც, რომ პარიზშივე გაუცვია პ. იაშვილს გამოჩენილი რუსი პოეტი კონსტანტინე ბალმონტი, რომელიც აღფრთოვანებული იყო რუსთაველის უკვდავი პოემით. როგორც თვით პ. იაშვილი გადმოგვცემს, პირველად ბალმონტს არაფერი უთქვამს ჩვენი პოეტისთვის „ვეფხისტყაოსნის“ გადათარგმნის შესახებ, მაგრამ როდესაც მისივე თხოვნით წაუკითხავს ადგილები პოემიდან და უთარგმნია რამდენიმე მისგანვე არჩეული სტრიქონი, მისი აღტაცება უსაზღვრო ყოფილა და სტუმრებისთვის განუცხადებია: მრავალი ქვეყანა მინახავს, ისეთიც კი, სადაც ხალხი პირველყოფილ მდგომარეობაშია, საქართველოში კი, რომელიც სიყრმიდანვე მიყვარს, ჯერ არ ვყოფილვარო. ეგებ რაღაც ძალა განგებ მაგვიანებდა, რომ ყველა ნახული სილამაზის შემდეგ, მენახა მხარე, რომლის სილამაზე, ხალხი და დიდი რუსთაველი ტკბილი სიზმრის დასასრული ყოფილიყო. პ. იაშვილს უპასუხნია: რომ მას კარგად იცნობენ საქართველოში, რომ მისი მრავალი ლექსი თარგმნილია ქართულად. შემდეგ ბალმონტს ერთ წიგნზე ასეთი წარწერა გაუკეთებია და იაშვილისთვის მიუძღვნია: „საჩუქრად მისგან, ვისაც უყვარს მატყვევებელი მარგალიტი კავკასიისა — საყვარელი საქართველო“.

პაოლო იაშვილი პირველი მსოფლიო ომის დროს დაბრუნდა პარიზიდან სამშობლოში. 1916 წელს ის ტიციან ტაბიძესთან ერთად აარსებს „ცისფერი ყანწების“ ჯგუფს და რედაქტორობს ამავე სახელწოდების ჟურნალს. როგორც მისი შემდგომი მუშაობიდან ჩანს, პაოლო იაშვილი არ გაყოლია მხატვრობის გზას, მაგრამ ჩვენს ხელთ არის პოეტის მიერ კალმით შესრულებული ავტოპორტრეტი და მისი სამი მეგობრის — ტ. ტაბიძის, ვ. გაფრინდაშვილისა და კ. ნადირაძის ნიღაბთა ჩანახატი.

წინა ტაბიძის გადმოცემით, პაოლო იაშვილს ჰქონია ბევრი სურათი, რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულად უნდა მივიჩნიოთ.



აშშ

გარდაიცვალა ჯილი

ამერიკაში გარდაიცვალა სახელგანთქმული იტალიელი მომღერალი ბენიამინო ჯილი. იგი 67 წლისა იყო.

კუ-კლუს-კლანის ფარფაში

როგორც ამერიკული გაზეთი „დეილი ექსპრესი“ იუწყება, ამას წინათ ჩრდილოეთ კაროლინას შტატის ქალაქ მონროში კუ-კლუს-კლანის 300 წევრმა მოაწყო მამხალბეიანი სვლა. ისინი თავის კაპიუშონებში იყვნენ გამოწყობილნი. მთავარმა ქურუმმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც, სხვათა შორის, განაცხადა: „ჩვენ შეგვიძლია ერთ წამში მობილიზაცია ვუყოთ 50.000 კაცს. ჩვენ ვერძალავთ თეთრკანიანი და ზანგი ბავშვების საერთო სკოლაში სიარულს“.

„თუ რომელიმე ზანგი გაბედავს და ფეხს შედგამს თეთრკანიანებისათვის განკუთვნილ აბანოში, ეს მისთვის სიკვდილის მომასწავებელი იქნება!“ — გაყვიროდა მთავარი ქურუმი. შემდეგ მან სულმდაბალი არამხადები უწოდა ამერიკის უზენაესი სასამართლოს წევრებს, რომლებმაც ამას წინათ გაილაშქრეს რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ.

მოულოდნელი „საზღაური“

ამერიკის ნაპირებთან მდებარე ერთ-ერთი კუნძული, გონავა, ამას წინათ მიწასთან გაახწორა ძლიერმა ქარიშხალმა. კუნძულის მცხოვრებლებმა,

რომლებმაც დროზე შეაფარეს თავი უხიფათო ადგილს, ქარიშხლის შემდეგ ძლავს იპოვნეს თავისი ადრინდელი საცხოვრებლის ნიშანკვალი. მაგრამ ქარიშხალმა კუნძულის მცხოვრებლებს მოულოდნელი და უცნაური საუქარი მოუტანა: ტალღებმა ნაპირზე გამოირიყეს ვეებერთელა აფრიანი ხომალდი, რომელიც ამ ნაპირთან ჩაიძირა 1698 წელს. ამ ხომალდმა, რომელიც 260 წლის განმავლობაში მშვენივრად შენახულა მარილიან წყალში, იმდენი ცნობისმოყვარენი და ტურისტები მოიზიდა, რომ მისი დათვალიერების მსურველთაგან აღებული საფასური საქმარისი აღმოჩნდა ქარიშხლით დანგრეული სახლების აღსადგენად.

ლექციები ტელევიზორით

განთქმულმა პარვარდის უნივერსიტეტმა თავის სტუდენტებს შესაძლებლობა მისცა ზოგიერთი საგნის ლექცია მოისმინათ შინ, ტელევიზორის ეკრანით, ოღონდ გამოცდების ჩასაბარებლად პროფესორებთან უნდა გამოცხადდნენ.

3.000-ზე მეტი მწა

კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა მ. პეიმ დაწვრილებით შეისწავლა საკითხი, თუ რამდენ ენასა და დიალექტს იყენებენ აღამიანები ერთმანეთთან ურთიერთობაში. მისი დათკვნილ კაცობრიობა იყენებს 3.000-ზე მეტ ენასა და დიალექტს. ყველაზე მეტი ხალხი — 500 მილიონი კაცი — ლაპარაკობს ჩინურ ენაზე, შემ-

დეგ მოდის ინგლისური, ინდო-ტანური, რუსული და ესპანური ენები.

ნახმარი ტანსაცმლითაც შეიძლება გამდიდრება

ნიუ-იორკში გაიხსნა საგანგებო მაღაზია, სადაც ყიდიან და ყიდულობენ სახელგანთქმულ კინოვარსკვლავთა ნახმარ ტანსაცმელს. მარლენ დიტრიხმა გასაყიად შესთავაზა თავისი ინგლისური კოსტუმები, ოდრი ბენბერნმა „ბლუზკა“, ხოლო ჯეინ მენსფილდმა — ნეილონის საცვლები. მაღაზია დიდ მოგებაშია. მას ახლა განზრახული აქვს მოიხილოს ევროპის კინოვარსკვლავები, პირველ რიგში ჯინა ლოლობრიჯი და ბრიჯიტ ბარდო.

„რეპოლუსიონი“ ჰოლივუდში

დასავლეთის გაზეთები აქრელებულია სათაურით: „რეპოლუსიონი ჰოლივუდში“. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამერიკის კინოცენტრში ძირეული ცვლილებები მოხდა და იგი აღარაა კინომონოპოლითა ცენტრი. ეს აურზაური იმიტომ შეიქნა, რომ რაც ჰოლივუდი არსებობს, იქ პირველად გამოუშვეს კინოსურათი, რომლის ერთ-ერთი გმირი არის სავესბით ინტელიგენტი და შეგნებული ზანგი — პროფკავშირების მოღვაწე. უფრო მეტიც: მას შეიყვარებს მაღალი წრის თეთრკანიანი მანდილოსანი, ზანგი კი თავზიანდა, მაგრამ მტკიცედ უარყოფს მის სიყვარულს. შემდეგ ახალგაზრდა ინგლისელ არისტოკრატს შეუყვარდება ზანგი

გამყიდველი ქალი და ცოლად ირთავს მას. როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, ასეთმა გადახვევამ ტრადიციისაგან, რომლის მიხედვითაც ზანგი ყოველთვის გამოყვანილი იყო როგორც უბირი მონაპლანტაციებზე ან თეთრკანიანის კომიუნი მსახური, მეტიად გააფართო საზღვრებში ამერიკის პლანტატორები, ამ ფილმში მონაწილე ერთ-ერთმა მთავარმა მსახიობმა ქალმა ჯონა ფონტინმა უკვე მიიღო მრავალი შუქარის წერილი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ფილმის მოქმედება ხდება არა ამერიკაში, არამედ ინგლისის ერთ-ერთ კუნძულზე.

სოციალური ახალი წიგნი

ამერიკელმა მწერალმა ერსკინ კოლდუელმა გამოაქვეყნა ახალი წიგნი — „ზოგიერთი ქალი“. წიგნი შევიდა 7 მოთხრობა, რომლებშიაც დახატულია ქალთა ცხოვრება შუა ამერიკაში.

„გონებასაგვილური“ რეკლამა

ამერიკის ქალაქ ატლანტიკსიტის ერთ-ერთმა გამომცემლობამ ახალ გამოცემულ რომანს დაურთო შემდეგი განცხადება: „ის, ვინც პირველი აღმოაჩენს ამ რომანში შეგნებულად დაშვებულ შეცდომას, მიიღებს 3.000 დოლარს“. ამ რეკლამის წყალობით ორ კვირაში გაიყიდა წიგნი 200.000 ეგზემპლარში, შეცდომას კი აღესაყვებენ...

გერმანია

**გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა
ლოკალიზაცია ზღუდავს
თეატრალურ ხელოვნებას**

დასავლეთ გერმანელმა დრამატურგმა ვიუნტერ ვაიზენბორმა გერმანელ მწერალთა კავშირის ყოველდღიურ ორგა-

ნოში — „ნეი დეინე ლიტერატურ“ გამოაქვეყნა სადისკუსიო წერილი დრამატურგიის შესახებ. ვრცელ თავში — „დრამატურგია ადგილობრივი დანიშნულების გარეშე“ ის წერს, თუ რა დიდი შესაძლებლობანი ჰქონდა ანტიკურ დრამატურგებს, რომელიც არ იყო დატვირთული დეკორაციებითა და ტექნიკით. „მხოლოდ ბაროკოს მანქანებიდან დაიწყო ლოკალიზაციის ტრიუმფი“, წერს ავტორი. „მას აქვთ მთელმა ეპოქამ განვლო, მრავალი რამ დაინგრა, და მხოლოდ დრამატურგია დარჩა ხელუხლებელი... ის უკვე ემყარება არა სიტყვის ძალას, არამედ მანქანათა და ავეჯის ძალას“. ავტორი მიუთითებს, თუ რარიტეტითა და ზღუდავს პიესის განვითარების შინაგან კანონებს ლოკალიზაციის აუცილებლობა. სცენა ადგილობრივი დანიშნულების გარეშე მყარდება სპეციფიკურ და თეატრალურ ხელოვნებასაც ასუფთავებს.

„ქართული ფილმის“ სუბტიტრირების წარმატება

ჟურნალი „ფილმშიველი“ წერს: „სტუდია „ქართული ფილმის“ პროდუქტთა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იჭერს საბჭოთა ფილმებს შორის. „მაგდანას ლურჯას“ საყოველთაო აღიარების შემდეგ განსაკუთრებით გაიზარდა ინტერესი ქართული ფილმებისადმი. დიდი ხანი არ არის, რაც გამოვიდა ახალი ფილმი „ჩვენი ეჭო“, რომელიც მოგვითხრობს თბილისის ერთ-ერთი სახლის მცხოვრებთა ამბავს. ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის — აი თემა ისტორიული კინოფილმისა „ბაში აჩუკი“. ფილმი „ჩრდილი გზაზე“ ეხება ქართული სოფლის პრობლემას“.

შემდეგ ჟურნალი იუწყება, რომ სტუდია „ქართული ფილმი“ იღებს ფილმს „ტექსტლის ტრაგედია“. „ტექსტლი, — განაგრძობს ჟურნალი, — კუნძულ-

თა პოლანდიაში, გადასულნი დროს მოთავსებული იყო ტყვეთა დიდი ბანაკი. ბანაკში მყოფი ქართველი მეომრების თაოსნობით კუნძულზე მოეწყო დიდი აჯანყება“.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა

**ერის მარია რეზაკი
კინოში ითმავება**

ხმები დადის, რომ ცნობილია გერმანელმა მწერალმა ერის მარია რეზაკმა ხელშეკრულება დადო ამერიკულ კინოკომპანიას „იუნაივერსალ-ინტერნეიშნელი“, რომლის თანახმადაც მან უნდა ითამაშოს მასწავლებელ პოლმანის როლი მიხეივ რომანის მიხედვით გადაღებულ კინოხორათში — „უამი სიკოცხლისა და უამი სიკვდილისა“.

დოქტორ ფონიტი დაწერილი „შატალეგი“

საოპერო ხელოვნების მომავლის შესახებ გამართულ გაცხვევლებულ დისკუსიაში, რომელიც დასავლეთში მიმდინარეობს, დიდ განძს წარმოადგენს გიგელჰერ კლეგეს ახალი ოპერა „უაილდის“, შილდერის დრამის მიხედვით. ახალგაზრდა კომპოზიტორმა თავისი პირველი საოპერო ნაწარმოები დაწერა 12-ხმოვანი სისტემით (დოქტორ ფონიტი). კრიტიკა აღნიშნავს, ოპერას დიდი წარმატება ზვდაო, თან ფრთხილად შენიშნავს, ტაშს უყრავდნენ არა იმდენად იმიტომ, რომ ვიგეს ეს ნაწარმოები, რამდენადაც შემსრულებლებისა და „კომპოზიტორის სულიერი ღვაწლის“ პატივისცემისთვის. მკურნებელთა ნაწილმა, ეტყობა, ვერ დაფასა კომპოზიტორის ეს მოწინავე როლი, რადგან ანოლოგიზმენტებს ძლიერი სტვენაც შეერია.

„დიუსელდორფში ყველაზე ახალი“

დიუსელდორფის ერთ-ერთი გიმნაზიის დირექტორმა აგრძელა ბილეთების გავრცელება

მოსწავლეებში ლენინის ცნობილი პიესის „ნათან ბარქენის“ დადგამაზე. „ეს ნაწარმოები, — განაცხადა მან, — მსოფლიმხედველობას შეურყევს ჩემს მოსწავლეებს და ეწინააღმდეგება იმ რელიგიურ მოძღვრებას, რომელსაც გიმნაზიაში ვასწავლით“. დიუსელდორფშივე კლერიაკალური წრეები ამხედრდნენ გერმანულ მათემატიკის პიესის „მაგნუს გარბეს“ წინააღმდეგ და არ მოსვენდნენ, ვიდრე დამდგმელს არსებობდა არ შეცვლივინეს პიესა, რის გამოც დამახინჯდა ისტორიული სინამდვილე და გაქრა მწერლის პუბლიცისტური იდეა. აკრძალეს აგრეთვე ბერტოლდ ბრეხტის ცნობილი პიესა — „გალილეო გალილეი“.

„და განა მხოლოდ დიუსელდორფში? — კითხულობს ახალგაზრდათა ჟურნალი „კლარერ კურს“. — დიუსელდორფში არის ყველგან, მთელს დასავლეთ გერმანიაში“.

შესანიშნავი მსახიობები და რეჟისორები, ხოლო, მეორე მხრივ იმით, რომ ომის დროს შექმნა გახედული ანტიფაშისტური ფილმები, რომლებმაც კარგა ხნით განდევნეს ევროპიდან ნაცისტური პროპაგანდა.

როკ-ნ-როლზა ხალხი და აბიშა

რეჟინის კეტებით შეიარაღებულმა კომუნაგენის პოლიციამ სამი დღე-ღამე ვერ გარეკა როკ-ნ-როლით დაგვიფუძლი რამდენიმე ათასი კაცი. „ნოცტეკვაფები“ პოლიციელებს ესროდნენ შინ დამზადებულ ყუმბარებს. ეს გაშმაგება იმან გამოიწვია, რომ დედაქალაქის ერთ-ერთ კინოთეატრში აჩვენეს ფილმი როკ-ნ-როლის შესახებ.

გევიპტე

უსახელო მშენებელთა ძეგლი

ეგვიპტის პრესა იუწყება, რომ სუეცის არხის ამშენებელი ინჟინრის ფერდინანდ ლესეპის დანგრეული ძეგლის აღდგობა იდგმება ძეგლი არხის მშენებელ 12.000 უსახელო ეგვიპტელისა, რომლებიც დაიღუპნენ მშენებლობის დროს კოლონიურ ხელისუფალთა მიერ მუშახელისთვის შემოღებული ჯოჯოხეთური პირობების გამო.

ესპანეთი

დაიღუპა ეროვნული ძეგლი

მადრიდში დაანგრეს სახლი, სადაც 4 საუკუნის წინ დაიბადა და ცხოვრობდა დიდი ესპანელი დრამატურგი ლოპე დე ვეგა. სახლი დაანგრია მისმა კერძო მფლობელმა, ხოლო მთავრობამ ეს ამბავი შეიტყო მხოლოდ მაშინ, როცა უკვე შეუძლებელი იყო ამ ეროვნული ძეგლის გადარჩენა.

თურქეთი

მომრე თურქული ოპერა

თურქმა კომპოზიტორმა ნევიტ კოდალიმ დაწერა ოპერა „ვან გოგი“ ირვინგ სტოუნის რომანის მიხედვით — „სიციცხლის წყურვილი“. თურქული მუსიკის ისტორიაში ესაა მეორე ოპერა (პირველი ოპერის სიუჟეტი თურქული იყო). ოპერის პრემიერას ანკარაში ისეთი წარმატება ხვდა, რომ განზარაბული აქვთ მისი დადგმა დასავლეთ ევროპის დიდ თეატრებს.

იტალია

საერთაშორისო იუმორისტების გამოფენა

იტალიის პაწია ზღვისპირა კურორტი ბორდიგერა ცნობილია იმით, რომ აქ ყოველწლიურად ეწყობა საერთაშორისო იუმორისტთა გამოფენა. შარშანწინ გამოფენა მიეძღვნა საფრანგეთს, შარშან — გერმანიას, იოლო წელს გამოფენილია პოლონური იუმორისტის ნიმუშები — იუმორისტული ჟურნალები, კარიკატურები და სხვ. 1958 წელს განზარაბულია მოექყოს საბჭოთა კავშირის იუმორისტთა გამოფენა, რომლისთვისაც უკვე დაიწყო მასალების შერჩევა.

2000 წლის შემდეგ

როგორც ვაჭრები იუწყებიან, ორი ათასი წლის შემდეგ იტალიაში როგორც იქნა აღმოჩნდა საიმისო თანხა, რომ შეაკეთონ განთქმული რომაული ორატორის ციცირონის სამარე, რომელიც რამდენიმე საუკუნეა, რაც ინგრევა.

„პალგი ინსტრუმენტი“ უნდა შეიცვალოს

ტურინში გამოვიდა დალფაბროს წიგნი — „როიალის დაისი“, რომელშიც ავტორი განიხილავს საფორტეპიანო დაკვრის ისტორიას (ბაზი და ბუზონი, კორტო, ვიუეკინგი და ა. შ.) და თანამედროვე მღგო-

ღანი

როგორ შეინარჩუნა გასურბებელთა პატივისცემა

ლონდონის გაზეთის „ტაიმსის“ კორესპონდენტი სტატიაში — „ღანიის კინემატოგრაფიის შესანიშნავი მიღწევები“ გამოხატავს მოსაზრებებს კინოხელოვნების სასიცოცხლო საკითხების შესახებ. მოწინავე სტატიაში გაზეთი ეხება კინემატოგრაფიის განვითარების სხვადასხვა გზებს ინგლისსა და ღანიაში. ინგლისში, გასული წლიდან, თავი იჩინა კინემატოგრაფიის ფინანსიურმა კრიზისმა, რაც გამოიწვია ტელეხედვის კონკურენციამ. ღანიაში — კინოხელოვნების პიონერმა — შესძლო შეინარჩუნებინა მაყურებელთა პატივისცემა და ერთგულება, ერთის მხრივ, იმით, რომ მისი ფილმები ეროვნული ხასიათისაა და ჰყავს



მარეობას და დასკვნის, რომ როიალი, ეს „განენის დღიდან ყალბი ინსტრუმენტი“, ვერ აკმაყოფილებს ახალი მუსიკის მოთხოვნილებებს. ფაბრის თქმით, როიალს თითქოს მალე შეესცვლის უფრო სრულყოფილი ინსტრუმენტი, რომელსაც ექნება როიალისა და ორდონოს ღირსება და შესაძლებელს გახდის თანამედროვე საფორტეპიანო ლიტერატურის უფრო სრულყოფილ ინტერპრეტაციას. ჟუკე არსებობს ახალი როიალის სხვადასხვა ტიპი: ერთ-ერთ მათგანს, ამერიკული წარმოშობისას, თუმცა კლავიატურა ნაკლები სიღრმისა აქვს, მაგრამ ზედ შეიძლება შესრულდეს ყოველნაირი საფორტეპიანო კომპოზიცია. თანაც გაცილებით პატარა როიალზე — სულ 20 კგ იწონის.

იუგოსლავია

იუგოსლავიური-იტალიური ფილმი

ცნობილი იტალიელი კინორეჟისორმა ჯუზეპე დე-სანტისმა ზაგრების სტუდიას „იადრანს“ და ბელგრადის სტუდიას „ავალას“ დაუდო ბელშეკრულება, რომ გადაიღებს ფილმს იუგოსლაველ გლეხთა ცხოვრებიდან—„ბრძოლა სოფლად“. ფილმი არ იქნება არც ერთი მთავარი მოქმედი პირი, შეიქმნება მხოლოდ 12 მნიშვნელოვანი სახე. როლებს შეასრულებენ იუგოსლაველი მსახიობები, მაგრამ მოწვეულია რადენიმე უცხოელი მსახიობიც, მათ შორის ივ მონტანი, სილვანა პამპანიჩი და ფოლკო ლული.

პოლონეთი

ამხანაგების საშვილად

ნიკიტრი პოლონელი კომპოზიტორი, მუსიკისმცოდნე, კრიტიკოსი და მწერალი ვ. უულივიცი გმირულად დაიღუპა—ის თოვლის ზეგმა ჩაიტანა მონ-ბლანის მასივზე, სადაც

უულივიცი, როგორც განთქმული მთასვლელი, გაემართა თავის ამხანაგებთან ერთად პოლონელი მთასვლელის გრონსკისა და ორი იუგოსლაველი ამხანაგის საშველად.

ბავშვების შიური

ამ ზაფხულს ვარშავაში დამთავრდა საბავშვო ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, რომელმაც 4 თვის გასტანა (პირველი ფესტივალი მოეწყო ამ ორი წლის წინათ პარიზში). ფესტივალის შიურის შემადგენლობაში შედიოდა 1.800 გოგონა და ბიჭუნა 7—12 წლის ასაკისა, სულ ნაჩვენები იქნა 42 ფილმი. 7—9 წლამდე ასაკის ჯგუფის ბიჭუნებმა ყველაზე მეტად მოიწონეს ფრანგული ფილმი — „თეთრი აფარი“, ხოლო გოგონებმა ჩეხოსლოვაკური ფილმი — „ოქროსფერთმიანი“. უფროსი ჯგუფის ბიჭუნებმა უპირატესობა მიანიჭეს ინგლისურ სათავადასავლო ფილმს — „ყმაწვილი მეზღვაური“, ხოლო გოგონებმა—დასავლეთ გერმანიის სენტიმენტალურ ფილმს — „მუნჯი ანგელოზი“.

სამხრეთ აფრიკის კამშირი

დევნა ბანახლად

გაზეთი „ნიუ ეიჯ“ იტყობინება, რომ სამხრეთ აფრიკის კავშირში განახლდა წიგნების შუასაუკუნეობრივი დევნა. მთავრობის მიერ გამოქვეყნებული აკრძალული ლიტერატურის სიაში შეტანილია „რობინ-ზონ კრუზოს“ ავტორის, დანიელ დეფოს რომანი „მოლ ფლანდერისი“ და საბუთა აკადემიკოსის ს. ვავილოვის სამეცნიერო ნაშრომი — „თვალის და მზე“, რომელიც ოპტიკურ პრობლემებს ეხება.

საბუთოს მოხელეები საკუთარი შეხედულებით ახდენენ საზღვარგარეთიდან შემოსული წიგნების კონფისკაციას. ასე, მაგალითად, ამას წინათ კონფისკაცია უყვეს ცნობილი

ფრანგი ფოტოკორესპონდენტის კარტიე ბუსოს ალბომის მოსკოვის ხედებით.

გამოქვეპაზულების მხატვარი

გამოვიდა წიგნი — „სამხრეთ აფრიკის გამოქვეპაზულების მხატვრები“, რომელშიც თავმოყრილია სამხრეთ აფრიკის გამოქვეპაზულებში ნაპოვნი კედლის ნახატები. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ჯერ გამოუქვეყნებელი სურათების 48 რეპროდუქცია.

საფრანგეთი

„სპილოს ძვლის კოშკი“ წლევანდელ თეატრალურ სეზონში ივ მონტანი მთავარ როლს შეასრულებს ამერიკელი დრამატურგის რ. ოდრის პიესაში—„სპილოს ძვლის კოშკი“. პიესას, რომელსაც ინტერესით მოედიან პარიზის თეატრალური წრეები, დამსპარიზის ერთი საუკეთესო რეჟისორი უან მერკიური.

სტივენსონი მარანა

საფრანგეთში განმეორებით იღებენ ფილმს ინგლისელი კლასიკოსის სტივენსონის მოთხრობის მიხედვით — „ლოქტორ ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური ამბავი“. მოთხრობა ეხება პიროვნების გაორებას. მთავარ როლს ასრულებს უან მარე.

80 საათი დედამიწის გარშემო

განთქმული მწერლის უილვერნის შვილიშვილის შვილიშვილმა, უან-კლოდ ვერნ დელასმა თვითმფრინავით იმოგზაურა დედამიწის გარშემო. ეს მოგზაურობა, რომელსაც დასჭირდა 80 საათი, მან ჩაატარა ზუსტად იმ მარშრუტით, რომლითაც იმოგზაურა მისი პაპის პაპის რომანის—„80 დღე დედამიწის გარშემო“—გმირმა ფილიას ფოგამა.

ფილიპინები

გოლიათი ადამიანის ჩონჩხი

ფილიპინის კუნძულებზე მონადირეებმა ერთ-ერთ გამოქვაბულში აღმოაჩინეს გოლიათი ადამიანის ნ-მეტრიანი ჩონჩხი, რომელიც შესასწავლად გადასცეს სწავლულებს.

შვედეთი

გამოჩენილი მწერლების ხმა

გრამფირფიტების მოყვარულთა შვედურმა საზოგადოებამ გამოუშვა ხანგრძლივდამკვრელი ფირფიტების ალბომი. ამ ფირფიტებზე ჩაწერილია გამოჩენილ შვედ მწერალთა ხმები — სელმა ლაგერლე-

ფი, ტ. ჰედბერგი, ჰილმარ ბერგმანი და სხვები კითხულობენ ნაწყვეტებს თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებებიდან.

შვეიცარია

ვოლტერის წერილები XX ტომი

ჟენევის ვოლტერის ინსტიტუტმა, სადაც თავმოყრილია ამ უდიდესი ფრანგი მწერლის უწარმაშარი მიმოწერა, გამოცა მისი წერილების XX ტომი. შარშან გამოვიდა ტომი, რომელშიც შედის ვოლტერის მიმოწერა მის მეგობართან, განთქმულ მსახიობსა და რეჟისორთან კონსტან დ'ერმანშთან. ეს ტომი საინტერესოა იმით, რომ აქ გამოთქმულია ვოლტერის შეხედულებანი თეატრზე; გარდა ამისა ჩანს მისი შეხედულებანი იმდროინდელი ეპოქის პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენებზე.

ჰოლანდია

ბოტანიკური გალი უსინათლოთათვის

ვაიხსნა მსოფლიოში პირველი ბოტანიკური გალი, განკუთვნილი უსინათლოთათვის. დასახელება იმ ყვავილებისა, რომელთაც უსინათლო მნახველები ვერ გაარჩევენ სუნით, დაწერილია ბრმათათვის შემოღებულ ფირფიტებზე. ბუნებრივია, რომ ამ ბაღში აკრძალული არ არის ყვავილების ხელის ხლევა.

2.500 წლის პუდრი

ჰოლანდიის ქალაქ დელფტას მიდამოებში წარმოებული გათხრების დროს ნაპოვნი იქნა საპუდრე, რომელიც 2.500 წლისა იქნება. საპუდრეში აღმოჩნდა ვარდისფერი პუდრი, რომელსაც ახლაც ძლიერი სუნი აქვს და, როგორც დაადგინეს, ბევრით არაფრით განსხვავდება ახლანდელი პუდრისგან.



ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/1-58 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 716.
უე 01009. ქაღალდის ზომა 70 X 108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბიბლიოგრაფიკამოცემლობის
ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.



ფან 6 ან 6.

6/6/24

565

365



ХУДОЖЕСТВЕННО-ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ